იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირაკლი გიორგაძე

# ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (XX ს-ის 20-90-იან წლებში)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია

ისტორიის დოქტორის (1004) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ელგუჯა მამუკელაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თელავი
**2016**

# შესავალი და საკითხის ისტორიოგრაფია

ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე თავგანწირვით იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქცეულს, მას მუდამ მრავალი მტერი ჰყავდა, მის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მუდმივად საფრთხე ემუქრებოდა. მტრები გაცილებით მრავალრიცხოვანნი და ძლიერები იყვნენ, თუმცა, ეს ვერ აიძულებდა პატარა ქვეყნის შვილებს ხელი აეღოთ ეროვნული ინტერესების დაცვაზე, უარი ეთქვათ სახელმწიფოებრივ დმოუკიდებლობაზე და მუდმივ მონობას შეგუებოდნენ. საქართველოს წარსული არის მუდმივი ბრძოლის ისტორია საკუთარი იდენტობის დასაცავად, ისტორიულ-კულტურული ფასეულობების შესანარჩუნებლად. ამიტომ გახდა საჭირო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის შესწავლა.

**საკვლევი პრობლემის აქტუალობა:** პრობლემა აქტუალურია რამდენადაც ამ ასპექტით საბჭოთა პერიოდში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მონოგრაფიულად აქამდე არაა შესწავლილი. ეს ბრძოლა საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა და ყველა ეტაპზე გარკვეული თავისებურებებით გამოირჩეოდა. ერის მოწინავე შვილები, რომლებიც სათავეში ედგნენ ამ ბრძოლას და უმეტესობა თავს სწირავდა დასახული ეროვნული იდეალების განხორციელების საქმეს, არამარტო თავდადებით, პრაგმატული მოქმედებით, შესაბამის ისტორიულ მომენტში საჭირო სხვადასხვა ეფექტური ხერხებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. ამ მხრივ განსაკუთრებით საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი გამოირჩეოდა, როდესაც ინტერნაციონალური და კოსმოპოლიტური იდეალები კანონიზირებულ ფორმას იღებდა და ყველაფერი ეროვნული იდევნებოდა. საბჭოთა რუსეთის იმპერიულ-ტოტალიტარული მიზნები დღევანდელი რუსეთისთვისაც არ არის უცხო. ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული რუსული აგრესია ქართველ ხალხს აიძულებს გაითვალისწინოს ისტორიული გამოცდილება, ღრმად გაანალიზოს ის სტრატეგია და ტაქტიკა, რაც ქართულ ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში.

აღნიშნული თემა უამრავჯერ არის ისტორიოგრაფიის კვლევის საგნად გამხდარი, ის თავისებურებანი, რაც ამ მოვლენებს ახლდა, ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, ბოლომდე შესწავლილი და მეცნიერულად დასაბუთებული. ხშირად მოვლენების შეფასებები ტენდენციური და წინააღმდეგობრივია. ბევრი მოვლენა დღემდე რჩება არაერთგვაროვანი შეფასების ობიექტად, მკვლევართა და შესაბამისად, საზოგადოების დამოკიდებულება ხშირად ორაზროვანი, სამეცნიერო თვალსაზრისით არაარგუმენტირებულია და ისტორიული მოვლენა თუ ფაქტი მხოლოდ ემოციის მიხედვით ფასდება. ასეთია ქართული პოლიტიკური და სამხედრო ემიგრაციის თვალსაზრისი საქართველო-რუსეთის ურთიერთობასა და ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხებზე, 1924 წლის აჯანყების, 1991-1993 წლების მოვლენათა, ზვიად გამსახურდიას მიერ განხორციელებული ეროვნულ-პოლიტიკური ქმედებების შეფასებები და სხვ.

მიუხედავად ამგვარი, წინააღმდეგობრივი შინაარსის თვალსაზრისებისა, ყველა ეს შეხედულება საინტერესოა და მეცნიერული განხილვის საგანს უნდა წარმოადგენდეს, რადგან ამგვარ აზრთა შეჯერებით არის შესაძლებელი ობიექტური რეალობის დადგენა. ტოტალიტარიზმის პირობებში, კონიუნქტურული და სტერეოტიპული აზროვნების დროსაც, იქმნებოდა ისეთი ნაშრომები, სადაც ფაქტოლოგიური მასალა მრავლად იყო წარმოდგენილი, მათი ანალიზი კი ტენდენციურად ხდებოდა. დღეს ამ ფაქტოლოგიური მასალების გამოყენებითა და საარქივო ფონდებში მიკვლეული ახალი მასალების საშუალებით შეგვიძლია მოვლენათა სრული სურათის წარმოდგენა და ობიექტური დასკვნების გაკეთება.

გარდა იმისა, რომ XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია დღემდე ნაკლებად, ან ფრაგმენტულადაა შესწავლილი, მთავარი მაინც არის ის, რომ საბჭოთა პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები კონცეპტუალურად, ისტორიული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით არ შეფასებულა, რისი გამოსწორებაც აუცილებელია.

მიუხედავად უამრავი გამოკვლევისა, ბოლომდე ეს მოვლენები არც შესწავლილია და არც შეფასებული.

ეს ხარვეზები და XX საუკუნის ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის გამოკვეთილი როლი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში შესასწავლი პრობლემის აქტუალობას განსაზღვრავს.

**სამეცნიერო ნაშრომის მიზანია:** აღმოფხვრას ხსენებული ხარვეზი, პირველ წყაროების საშუალებით, საარქივო მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე შეისწავლოს XX საუკუნის საბჭოურ ეპოქაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გამოავლინოს მისი თავისებურებანი, ამ ისტორიული მოვლენებიდან გამოყოს მთავარი, დაადგინოს ამ მოვლენების მიზეზები, ამოცანები და შედეგები, და ბოლოს, შეაფასოს მათი როლი და ადგილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ისტორიული განვითარების მთლიან პროცესში.

**ქრონოლოგიური ჩარჩო:** ჩვენ მიერ შესასწავლად აღებული მოვლენების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს სწორედ იმ მნიშვნელოვან პერიოდს (1921-1991), როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იდევნებოდა და კომუნისტური კონიუნქტურა იყო აღზევებული. მიუხედავად ამისა, მოქმედებისა და ბრძოლის ახალმა მეთოდებმა, ქართული ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობა ნელ-ნელა გამოიყვანა იატაკვეშიდან, აქცია ის მთელი ერის მონოლითური გაერთიანების მოტივად და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის საშუალებად.

**სამეცნიერო სიახლე:** საკვლევი თემის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო ბრუნვაში პირველად შემოდის ახალი წყაროები, საარქივო დოკუმენტები, პრესის მასალები, სხვადასხვა პოლიტიკური მემორანდუმები და აქტები; პირველად ხდება საკვლევი პრობლემის მონოგრაფიულად შესწავლა; საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები ფასდება რამდენიმე მიმართულებით: 1. ისტორიული მოვლენის, როგორც ფაქტის შესწავლა. ისტორიული მოვლენის მიზეზებისა და კანონზომიერებათა ასპექტის დადგენა; 2. წყაროთმცოდმეობითი ბაზის განსაზღვრა, ისტორიული შეფასებების კრიტერიუმების დადგენა; 3. კვლევის საბოლოო შედეგების დადგენა, ისტორიული მოვლენების შეფასება, როგორც კანონზომიერების დამდგენი საშუალების და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა.

ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების მიხედვით პირველად არის ყურადღება გამახვილებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებებსა და ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ მისი გააზრების სხვადასხვა ასპექტზე. პირველად შემოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ციმბირსა და მანჯურიაში არსებული ქართული სათვისტომოების ეროვნული მოღვაწეობის სამეცნიერო შეფასება, მასალები მისი კავშირის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამხედრო ემიგრაციასთან ევროპაში, იმ წვლილზე, რაც ქართველ მამამულიშვილებმა ბოლშევიკური ტერორის ვითარებაში გაიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. გამოიკვეთა ის სიახლეები, რაც საბჭოთა პერიოდის ეროვნულ-განმათავსუფლებელ მოძრაობას წინანდელი მსგავსი პროცესისგან განასხვავებდა, ისტორიული ფაქტები შეფასდა თანამედროვე მოვლენებთან მიმართებაში.

**კვლევის მეთოდოლოგია:** ნაშრომში გამოყენებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთკავშრის დადგენის პრაგმატული მეთოდოლოგია, ასევე, ისტორიულ-შედარებითი, მეცნიერული ანალიზისა და სინთეზის უნივერსალური მეთოდები. ფაქტებისა და პროცესებისადმი თანამედროვე სახელმწიფოებრივი მიდგომა სრულად უზრუნველყოფს გასული საუკუნის გაბატონებული იდეოლოგიის შეფასებათა გადასინჯვას, კრიტიკულ ანალიზსა და ისტორიულ მოვლენათა ახლებურ გააზრებას.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე შექმნილ ყველა ნაშრომს უდიდესი თეორიული მნიშვნელობა ენიჭება. მითუმეტეს, ჩვენ მიერ აღებული საკვლევი პერიოდი გამორჩეულ ინტერესს იწვევს. საბჭოთა რეჟიმის დროს უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარე ეროვნული წინააღმდეგობის პროცესი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შესწავლილი და გაცნობიერებული. აღნიშნული გამოკვლევით გვინდა, მეტნაკლებად, ეს ხარვეზი გამოვასწოროთ და გავაანალიზოთ ყველა ის ისტორიული მოვლენა და ფაქტი, რომელიც ამ მოძრაობის შემადგენელი ნაწილია. ამით გამთლიანდება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელი განვლილი ეტაპის შესწავლა.

სადისერტაციო ნაშრომს ექნება პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომში დამოწმებული და გაანალიზებული ფაქტობრივი მასალები, ისევე, როგორც კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, გამოადგება საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ის საშუალებას მისცემს ყველას _ მიუდგომლად, ობიქტური კრიტერიუმით შეაფასოს ის ურთულესი მოვლენები, რომელიც საქართველოში განვითარდა XX საუკუნის 20-80-იან წლებში, საბჭოთა დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის აღზევების ხანაში. მთავარ კრიტერიუმად აღებული იქნება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესი, მოვლენები შეფასდება იმის მიხედვით, ავნოგანსახილველმა მოვლენებმა და პიროვნებების ქმედებებმა ამ ინტერესს, თუ არა.

**საკითხის ისტორიოგრაფია:** რაც შეეხება ჩვენი საკვლევი პრობლემის ისტორიოგრაფიულ ნაწილს, ის საკმაოდ დიდი მოცულობისაა და კონცეპტუალურად მრავალფეროვანი. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამოვიდა მთელი რიგი ნაშრომები, სადაც განხილულია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებანი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ნაშრომებში მოტანილი ისტორიული ფაქტების შესწავლა და ავტორთა დასკვნები საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ცარიზმისა და საბჭოთა პერიოდში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის შედარებითი ანალიზი, დავინახოთ 1921-1990 წლების ეროვნული მოძრაობის ზოგადი ხასიათი და გამოვკვეთოთ ის თავისებურებანი, რაც ტოტალიტარიზმის პირობებში განმათავისუფლებელი ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას წარმოადგენდა.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორია გადმოცემულია XX საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ მოღვაწეთა შემდეგ ნაშრომებში: ეროვნულ-დემოკრატის _ ალექსანდრე ასათიანის ნაშრომში _ „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“. ავტორი წერს: „მსოფლიო ომი დაიწყო და მრავალ დამონავებულ ერს გაუღვიძა და გაუცხოველა განთავისუფლების იმედი. ეროვნულ-დემოკრატიულ წრეებს ღირსეულად აქვთ შეფასებული ეს ახალი ვითარება. მათ ფიცხელი მზადება და მარაგი აქვთ, როგორც საქართველოში, ისე

უცხოეთში. ეს წრეები ორი მიმართულებით მუშაობდა, რომ საქმე სავსებით დაზღვეული ჰქონოდათ. ერთ იალეგალური გზად ალეგალური საშუალებების გამოყენება, ეს გამოდგებოდა, უკეთუ რუსეთი გამარჯვებული გამოვიდოდა ომიდან. მეორე მიმართულებით მუშაობა ეწყობოდა იმ შემთხვევისათვის, უკეთუ რუსეთი დამარცხდებოდა მსოფლიო ომში. ამ შემთხვევისათვის მუშაობას აწარმოებდა უცხოეთში ჟენევის ჯგუფი და საქართველოში კი „საქართველოს"გარშემო თავმოყრილი ახალგაზრდობა" [ასათიანი, 1928:138-140].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ლიბერალური ღირებულებების ერთგული ავტორი მოვლენებს ძირითადად სწორად აანალიზებს. განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ძველი და სამომავლო ურთიერთობის განსაზღვრის მცდელობა.

ასევე საინტერესოა დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი აქტიური საზოგადო მოღვაწის, ეროვნულ-დემოკრატ - პეტრე სურგულაძის ნაშრომები. წიგნში - „საქართველო თავისუფლებისაკენ" (სტამბოლი, 1917 წ.) ავტორი მოგვითხრობს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე, იმ მიზეზებზე, რამაც 1783 წლის ტრაქტატით საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა განაპირობა. საუბარია 1801 წლის ანექსიაზე და ამ აქტისადმი ქართველი საზოგადოების დაუმორჩილებლობაზე. წიგნში ნათქვამია: „XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მთავრობამ შელახა ქართველი ერის უზენაესი უფლებანი, მოსპო მისი პოლიტიკური დაწესებულებანი ... ქართველი ერის საუბედუროდ, მას არ აღმოაჩნდა არავინ დამხმარე, არც გულშემატკივარი, სადღაც აზიის კუთხეში რუსეთსა, ოსმალეთსა და სპარსეთს შუა დატრიალდა საოცარი მკაცრი დაულმობელი დრამა, დრამა ძველი კულტუროსანი ერის მოსპობისა, მაგრამ ქართველმა ერმა იარაღი არ დაჰყარა. უბედურებამ ის დაასუსტა, მაგრამ არ დასცა" [სურგულაძე, 1917, 5-6].

წიგნში აღწერილია ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეურიგებელი ბრძოლის ცალკეული მომენტები, დახასიათებულია ერის მაღალი ინტელექტუალური დონე და მისი სრული მზადყოფნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოწყობისათვის. დასკვნაში ნათქვამია: „ქართველი ერის

უცილობელი, ისტორიული და ბუნებრივი უფლებანი დამოუკიდებელი არსებობისა, მდიდარი ისტორიული წარსული, საკმაოდ მდიდარი და განვითარებული დღევანდელი ეკონომიკური ცხოვრება და სულიერი კულტურა, შეუჩერებელი და დაუზოგველი ბრძოლა არსებობისთვის, აურაცხელი მსხვერპლია ქართველი ერის მიერ, ეროვნული თავისუფლების საკურთხეველზე შეწირული საკმაო თავდებია იმისა, რომ ქართველმა ერმა აღიდგინოს ახლო მომავალში თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა და ამ აღდგენაში მას ხელი გაუწოდონ და დაეხმარონ, როგორც მისი მეზობლები, აგრეთვე მოწინავე კაცობრიობა, რომელიც დღეს საქვეყნოდ აღიარებს ერთა უფლებებს“ [სურგულაძე, 1917:21-22].

პეტრე სურგულაძის მეორე ნაშრომი - „საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (სტამბოლი, 1917) ჯერ კიდევ თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობამდეა დაწერილი. იგი ცალკეული სტატიების სახით იბეჭდებოდა გაზეთში - „თავისუფალი საქართველო“. წიგნში განმარტებულია, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებლობა, როგორია საერთოდ სახელმწიფოს პრეროგატივები. ავტორი კონკრეტულად ახასიათებს საქართველოში შექმნილ ვითარებას. წიგნში შთამბეჭდავად, მკაცრი შინაგანი ლოგიკით, ნათელი მაგალითებით, დასაბუთებულია ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების შეზღუდულობა კოლონიური ჩაგვრის პირობებში და ის სასიკეთო პერსპექტივები, რომელიც მას დამოუკიდებლობის ვითარებაში ელოდება. „ვინც ჩვენ ცხოვრებას ცოტაოდენად იცნობს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ქართველ ერში დაზოგვილია საკმაოდ დიდი შემოქმედებითი ძალა და თუ ამ ძალას ეღირსა თავისმოყრა, სისტემა და თავისუფალი განვითარება, მაშინ ყოველ ეჭვს გარეშეა ქართველი ერი აზიის და ევროპის საზღვარზე ერთს საპატიო ადგილს დაიჭერს. ამასთან, ვისაც კი მართლა გულით უყვარს თავისი სამშობლო და მისთვის სიკეთე სურს, იმისთვის ერთი მოვლენაც დაფარული არ უნდა დარჩეს. რუსთა და ქართველთა მასიურ საზოგადოებრივ განვითარების დონეს თუ შევადარებთ ერთმანეთს, აშკარა იქნება ჩვენთვის, რომ ქართველი უფრო მომზადებული და შეგნებულია საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის“ [სურგულაძე, 1917:21-22].

დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზეა საუბარი პეტრე სურგულაძის ნაშრომში - „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“, სტამბოლი, 1918. წიგნში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს თავისებურ გეოგრაფიულ მდგომარეობაზე, რაც, ავტორის აზრით, ქმნის წანამძღვრებს საერთაშორისო მოვლენებში მისი აქტიური და, ამასთან, თავისთავად მონაწილეობისთვის. „თავისუფალი საქართველო ყოველი ღონით შეეცდება თავის უხვ ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად გააძლიეროს თავისი ეკონომიკური შემოქმედება. მისთვის პოლიტიკური განთავისუფლება იქნება ნამდვილი ეკონომიკური მონობისაგან გამოსვლა. შედეგი კი ის იქნება, რომ ჩვენ პირდაპირ ევროპასთან დავიჭერთ ეკონომიკურ ურთიერთობას, რითაც ჩვენ ძლიერ ვისარგებლებთ და სხვასაც ვასარგებლებთ“ [სურგულაძე, 1918:13].

პ. სურგულაძის ამ წიგნს, მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის ეროვნულ ნიჰილიზმს მასებში საკმაოდ ჰქონდა ფესვი გადგმული და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა ჩრდილში იყო მოქცეული, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, ინტელექტუალურ დასაბუთებას აძლევდა დამოუკიდებლად არსებობის დიდ უპირატესობას, რაც საუკუნოვანი მონობის ვითარებაში მყოფ ხალხს, თითქოს დავიწყებოდა და იმის შიშიც ჰქონდა ჩანერგილი, რომ ურუსეთოდ მისი ცხოვრება არ შეიძლებოდა.

საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მემუარული ლიტერატურა, რომელთა ნაწილი საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა, ნაწილი კი, 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ მემუარებს და სამეცნიერო ლიტერატურას საბჭოთა რეჟიმის გავლენის კვალი ეტყობა, ბევრი მათგანი მნიშველოვანია საბჭოთა პერიოდის მონოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით. საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილ მემუარულ წყაროებს შორის აღსანიშნავია სერგო ქავთარაძის [ქავთარაძე, 1957; ქავთარაძე, 1961; ქავთარაძე, 1966] გიორგი მაზნიაშვილის [მაზნიაშვილი, 1990], ნ. ჟორდანიას [ჟორდანია, 1990] ნაშრომები.

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიბეჭდა: ნოე რამიშვილის [რამიშვილი, 2000], გიორგი კვინიტაძის [კვინიტაძე, 1990; კვინიტაძე, 1999; კვინიტაძე, 1986; კვინიტაძე, 1938], აკაკი ვასაძის [ვასაძე, 1977], მამია ტოროშელიძის [ტოროშელიძე, 1921], ვალოდია გოგუაძის [გოგუაძე, 1992], სპირდონ კედიას [კედია, 1991], სოფიო ჩიჯავაძე-კედიას სოფიო ჩიჯავაძე-კედია, 2002], კარლო ჩხეიძის [ჩხეიძე, 1971], სიმონ გოგიბერიძის [გოგიბერიძე, 1990], დათა ვაჩნაძის [ვაჩნაძე, 1992], ვლასა მგელაძის [მგელაძე, 1991], ვ. თევზაძის [თევზაძე, 1990], ნ. მათიკაშვილის დადამ. კვალიაშვილის [მათიკაშვილი, კვალიაშვილი, 1990], გრიგოლ ურატაძის [ურატაძე, 1958], ალექსანდრე მანველიშვილის [მანველიშვილი, 1984], ზურაბ ავალიშვილის [ავალიშვილი, 1929] და სხვათა მოგონებანი.

საბჭოთა პერიოდში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის ისტორია იდეოლოგიური კონიუნქტურის ჩარჩოებში იყო ჩაკეტილი და ობიექტური ანალიზი შეუძლებელი იყო. როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის, ასევე, 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომი და საბჭოთა წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაცია ლენინისა და სტალინის ნაშრომების ანალიზის საფუძველზე განიხილებოდა და რეალური ისტორიისგან ძალზე შორს იყო [საქართველოს ისტორია, 1976].

ემიგრანტი ქართველებისგან განსხვავებით, საბჭოთა ეპოქაში საქართველოში მოღვაწე მკვლევრების ნაშრომები ეპოქის იდეოლოგიურ ზეგავლენას ვერ აცდნენ. საბჭოთა სტერეოტიპების გავლენის და წნეხის ქვეშ შეუძლებელი აღმოჩნდა პროფესიული ეთიკისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების დაცვა. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა პერიოდის მკვლევრებისთვის ბევრი დოკუმენტი ტაბუდადებული და პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო. ბევრი მკვლევარი იცნობდა რეალურ ისტორიას, თუმცა ხმამაღლა საუბარს, მითუმეტეს წერას, თავს არიდებდა. შესაბამისად, 1920-1980-იან წლებში დაწერილი ნაშრომების უმეტესობა ტენდენციური ხასიათისაა. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მათში მოვლენები გაყალბებულია და ზერელედ არის აღწერილი ქართველი მეომრების და მოხალისეთა

თავდადება სამშობლოს ერთიანობის დაცვისთვის ბრძოლაში. სანაცვლოდ, ბოლშევიკებისა და რუსეთის საოკუპაციო ჯარის ქმედებანი გაზვიადებულად და ყალბად არის გადმოცემული. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ: ა. სურგულაძის [სურგულაძე, 1972], ხ. ახვლედიანის [ახვლედიანი, 1971], პ. ცქვიტარიას [ცქვიტარია, 1962], მ. ჯიჯეიშვილის [ჯიჯეიშვილი, 1957], მ. ჩავლეიშვილის [ჩავლეიშვილი, 1977; ჩავლეიშვილი, 1987], ი. ჩულოკის [ჩულოკი, 1970] და სხვათა ნაშრომები.

1990-იანი წლებიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ობიექტურად შესწავლამ და ახლებურად გააზრებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. არაერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი გამოიცა საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად საინტერესო პერიოდზე, ასევე, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ პოლიტიკოსებზე. მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი მრავალი საკვანძო საკითხი. 1991 წლის აპრილში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სხვადასხვა არქივებში დაცული საიდუმლო ფონდები, ასევე, ქართველ ემიგრანტთა მემუარები, ემიგრანტ ისტორიკოსთა ნაშრომები, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა.

საყურადღებო ცნობებს შეიცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული, დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტების მეორე ნაწილი 1990-იანი წლებიდან შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. დოკუმენტები ასახავენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობის ისტორიას, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ეპიზოდებს, ასევე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიას. ეს მასალები საინტერესო ცნობებს შეიცავენ საქართველოს ეროვნული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქამდე უცნობ დეტალებზე, პასუხს სცემენ მნიშვნელოვან კითხვას – თუ რამ გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა. ამ მხრივ, საინტერესოა ისტორიკოსთა ნაშრომებზე თანდართული დოკუმენტები. მათ შორის აღსანიშნავია პროფესორ ლევან თოიძის [თოიძე, 1991] დაგ. ჟვანიას [ჟვანია, 1992]

ნაშრომები, ასევე, დოკუმენტების კრებულები [ „Окупация и фактическая анексия Грузии (Документы и материалы)“, Тб., 1990; „Документы внешней политики СССР“, т. III, М., 1959; დამფუძნებელი კრების ანგარიში 2006].

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგებზე, საზღვარგარეთ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლაზე ქართული სახელმწიფოებრიობის აღდენისათვის, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივი, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ, ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული. ლევილისდა ჰარვარდის დოკუმენტებიდან გამოვლენილი ფონდების (სულ გამოვლენილია 27 ფონდი, აქედან 18 პირადი ხასიათისაა, ხოლო 9 მმართველობითი ხასიათის ფონდია, დასამუშავებელია 2 ფონდი: ზაქარია ჩიჩუას პირადი ფონდი #2135; ალექსანდრე შათირიშვილის პირადი ფონდი #2136) მასალები. მნიშვნელოვანი მასალები გამოვიყენეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოს ფონდებიდან. გამოყენებული საარქივო ფონდების სია ასეთია: 1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფონდი 1864, აღწერა 2; 2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობა, ფონდი 1861, აღწერა 3; 3) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, ფონდი 1891, აღწერა 4; 4) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის – აკაკი ჩხენკელის პირადი ფონდი 1831; 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო, ფონდი 1969, აღწერა 4; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, აღწერა 3; 7) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიას პირადიფონდი 2113; 8) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის – კონსტანტინე გვარჯალაძისპირადი ფონდი# 2114; 9) საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის – ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის პირადი ფონდი #2115; 10) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო ფონდი #2117;

11) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის - სიმონ მდივნის პირადი ფონდი #2118; 12) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის პირადი ფონდი#2121; 13) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის პირადი ფონდი #2122; 14) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის ვლასამ გელაძის პირადი ფონდი #2123; 15) გაზეთ „ბრძოლის" რედაქტორის, დამფუძნებელი კრების წევრის დავით შარაშიძის პირადი ფონდი #2124; 16) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის მინისტრის, ლევილის მამულის გამგის – გიორგი ერაძის პირადი ფონდი #2125; 17) ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი დოკუმენტების კოლექცია ფონდი #2128; 18) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარის – ნოე რამიშვილის პირადი ფონდი #2130; 19) სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს მუდმივი მდივნის სანდრო მენაღარაშვილის პირადი ფონდი #2131. ფონდი 2113 - ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას პირადი ფონდი. (სულ 342 საქმე). ფონდებიდან გამოყენებულ ყველა დოკუმენტს სათანადო ადგილზე ვასახელებთ.

1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების შესახებ ობიექტურ ისტორიას გადმოსცემენ შემდეგი ავტორები: გურამ შარაძე [ შარაძე, 1991; შარაძე, 2001-2005], აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე [სურგულაძე, 1991], ალექსანდრე ბენდიანიშვილი [ბენდიანიშვილი, 2001], ავთანდილ მენთეშაშვილი [მენთეშაშვილი, 1990], ექვთიმე თაყაიშვილი [თაყაიშვილი, 1991], მიხეილ სვანიძე [სვანიძე, 2003], მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი [ნათმელაძე, დაუშვილი, 2004] ; ალექსანდრე დაუშვილი [დაუშვილი, 2009]; ნ. დარსანია [დარსანია, 1998]; ლ. სარალიძე [სარალიძე, 2005]; შოთა ვადაჭკორია [ვადაჭკორია, 2004; 1998; 1992] , მერაბ ვაჩნაძე [ვაჩნაძე, 2001], ჯემალ გამახარია [გამახარია, 1991], გურამ ყორანაშვილი [ყორანაშვილი, 1996], დოდო ჭუმბურიძე [ჭუმბურიძე, 1999, 2003, 2012], ოთარ ჯანელიძე [ჯანელიძე, 2009, 2011, 2012], ავთანდილ სონღულაშვილი [სონღულაშვილი, 1999, 2010], მ. მაცაბერიძე [ მაცაბერიძე, 1991], ნ. კირთაძე [კირთაძე,

1996], ფ. ლომაშვილი [ლომაშვილი, 1997], ბენიძე [ბენიძე, 1999], ფ. ლომაშვილი [ლომაშვილი, 1997], ტ. ჭიღვარია [ჭიღვარია, 1999, 2000], ლ. კერესელიძე [კერესელიძე, 2008], გ. გელაშვილი [გელაშვილი, 2009], რ. ცუხიშვილი [ცუხიშვილი, 1996], ც. ჩხარტიშვილი [ჩხარტიშვილი, 2008], ი. მანველიძე [მანველიძე, 2006, 2007], ე. მესხია [მესხია, 2003, 2004], ნ. კახიძე [კახიძე, 2008, 2009], ნ. ზოსიძე [ზოსიძე, 2005] და სხვები.

გურამ შარაძის „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ მრავალ ტომეული დაწვრილებით განიხილავს ემიგრანტულ პრესის ორგანოებსა და მათ ფურცლებზე დაბეჭდილ ქართველ პუბლიცისტთა ნააზრევს. მაშინ, როდესაც თავსუფალი სიტყვა საბჭოთა საქართველოში იდევნებოდა, საზღვარგარეთ გამოცემული ქართული პრესის ორგანოები დაუფარავად ამხელდნენ საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს, ტოტალიტარულ მეთოდებს სახელმწიფო მართვის სისტემაში, ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ რეჟიმის ძალადობას. გამოცემის I ტომი [შარაძე, 2001] განიხილავს, როგორც 1918 წლამდე გამოცემულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებს ( გაზეთები: „დროშა“, „საქართველო“, „ქართული გაზეთი“, ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“), ასევე 1921-1939 წლების გამოცემებს: ჟურნალებს - „თავსუფალი საქართველო“, „სამშობლოსათვის“, „ბრძოლა“, „სახალხო საქმე“, „საქართველოს მოამბე“, გაზეთებს - „ახალი საქართველო“ და „თეთრი გიორგი“. ამ პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მრავალი სტატია ჩვენი საკვლევი პრობლემის შესახებ საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს. მაგალითისათვის გამოდგება სპირიდონ კედიას მოწინავე წერილები მისი რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალში „სამშობლოსათვის“, სადაც ის აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას სტატიას - „რა მოხდა“, სადაც 1924 წლის მოვლენებია შეფასებული. ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ის დიამეტრულად დაპირისპირებული შეხედულებებია, რასაც ერთი მხრივ ჟორდანია, მეორე მხრივ კი სპირდონ კედია და მისი თანამოაზრე დათა ნაპარტიელი, ალექსანდრე ასათიანი აყალიბებენ. წერილში სპირდონ კედია გმობდა აჯანყებულებისადმი ჟორდანიას წამქეზებლურ ტონს და შეცდომად მიაჩნდა 1924 წლის მოვლენები. მისი აზრით, ისეთ დესპოტურ მანქანას, როგორიც ბოლშევიკებს ჰქონდათ, ქართველი ხალხი ვერას დააკლებდა და უაზრო ომში გაიწირებოდა.

სტატიაში - „აჯანყების გასამართლება“ [„სამშობლოსათვის“ #5, 1925] სპირდონ კედია ჟორდანიას პოზიციის გამოწერდა, რომ ამგვარი დამოკიდებულებით: „ბატონმა ჟორდანიამ დატოვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფრონტი და დაუბრუნდა პარტიულ ფრონტს, რომ იგი საბოლოოთ დაადგა თავის პარტიის ჰეგემონიისა და სოციალისტური იდეოლოგიის პოლიტიკას... ეს იყო დაბრუნება კლასთა ბრძოლის ქადაგებისკენდა, მაშასადამე, შინაური ფრონტების გაჩაღება, მტრის საქმის კეთებად არომამისუფლება არ ჰქონდა ბ-ნჟორდანიას, თუ იგი იყო საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე“ [შარაძე, 2001: 271].

გარდა ჟორდანიას პოზიციის გაკრიტიკებისა, კედია უცხოელი მკითხველისა და ქართველი ემიგრანტებისთვის მძაფრად წარმოაჩენდა 1924 წლის აჯანყების მოვლენებს, საბჭოთა ხელისუფლების აგრესიას უდანაშაულო ადამიანებისადმი. ეს თვალსაზრისია გადმოცემული ამავე ჟურნალის მე-6 ნომერში დაბეჭდილ სტატიაში _ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ პროცესი“ [შარაძე, 2001: 275]. წერილები საინტერესოა, რადგან ჟორდანიასგან განსხვავებით, კედია შეცდომად მიიჩნევდა 1924 წლის აჯანყების მოწყობის ცდას და ის ქართველი ხალხის მტრების მიერ ინსპირირებულად მიაჩნდა. ეს თვალსაზრისი საინტერესოა და არა უდავოდ მისაღები. მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის მოვლენები ბევრი ქართველი პატრიოტის აზრი თან მიუღებელია, თან მისაღები, ვფიქრობთ ორივე მხარის არგუმენტები მნიშვნელოვანია, თუმცა, ქართველი ხალხი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ყოველთვის უთანასწორო ბრძოლებში ებმებოდა და ეს ბრძოლა წინასწარ დასამარცხებლად განწირულს ჰგავდა, რადგან უზარმაზარი იმპერიების წინააღმდეგ ერთი მუჭა ხალხის გამოსვლა იყო. მაგრამ რამდენჯერ მოხდა სასწაული და მცირემ სძლია მრავალს, რამდენჯერ აღივსო იმედით და დაუმორჩილებლობის წყურვილით ერი, რამდენჯერ გადაარჩინა საკუთარმა თავგანწირვამ და გაღებულმა მსხვერპლმა!.

1926-1939 წლებში ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსების სტატიები გამოქვეყნებულია გურამ შარაძის „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ II ტომში განხილულ ჟურნალ-გაზეთებში. ესენია, გაზეთები: „მამულიშვილი“, „დამოუკიდებელი საქართველო“და „საქართველო“, ჟურნალები: „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“, „ახალი ივერია“. „მამულიშვილის“ სხვადასხვა

რუბრიკაში ნაჩვენებია ის წინააღმდეგობანი, რაც ცალკეულ პარტიასა და პოლიტიკურ ჯგუფში მიმდინარეობდა, გაანალიზებულია ისტორიული ქრონიკები, საქართველოს უახლესი ისტორიის ფურცლები, წამოყენებულია ეროვნული ერთობის იდეა. ეს მასალები ჩვენი საკვლევი პრობლემისათვის ბევრ საინტერესო დოკუმენტს შეიცავს და იძლევა საკუთარი არგუმენტების შემუშავებისა და გამყარების შესაძლებლობას. განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში" დაბეჭდილი სტატიები: „აფხაზეთის პრობლემა" (გვ. 165-200), „ახალი მასალები 1924 წლის აჯანყების ისტორიისათვის" (გვ. 200-242), ჟურნალ „ახალი ივერიის "სტატიები: „ახალი ივერიელები და ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (გვ.600-605), „საქართველოს ფედერალური მოწყობისა და ტერიტორიული საზღვრების დაცვის საკითხი" (გვ. 605-619), „შიდა პარტიული პოლემიკა" (გვ. 619-621). „მიმდინარე მსოფლიო-პოლიტიკური პრობლემები" (გვ. 622-633). ყველაფერი ეს განხილულია ქართული ეროვნული ინტერესების კონტექსტში და, ამდენად, ძალზე საინტერესოა დღესაც, ვინაიდან წერილის ავტორები ამ მოვლენებს უკვე გარედან ხედავდნენ, მსოფლიოს ისტორიულ-კულტურული პრობლემების პრიზმაში გაიაზრებდნენ.

საკვლევი თემის წყაროთმცოდნეობით ბაზას ავსებს ჟურნალ „კავკასიონის" მასალები, რომელსაც ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის III ტომი ეთმობა. გამოცემის რვა ტომეულის თითქმის ყველა ტომი საინტერესოა. ამ ჟურნალ-გაზეთების ცალკეული კომპლექტები დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციულ მუზეუმში.

საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებულ საისტორიოგრაფიო ნარკვევებიდან გამოვარჩევთ ნესტან კირთაძის ნაშრომებს. ჩვენს მიერ შესწავლილ ავტორთა შრომებიდან გამოირჩევა მისი ნაშრომი - ,,1924 წლის აჯანყება საქართველოში", რომელიც მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 1996 წელს [ კირთაძე, 1996].

ნ. კირთაძეს ჩვენი საკვლევის პრობლემის ცალკეულ საკითხებზე თხუთმეტამდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს, მათგან დავასახელებთ დოკუმენტების კრებულებს - ,,კაენ, სად არის ძმა შენი?!" და ,,რა მოხდა?" მათში თავმოყრილია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკი), (ამჟამად შინაგან

საქმეთა სამინისტრო) არქივში დაცული უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა.

მნიშვნელოვანია სოლომონ ზალდასტანიშვილის ნაშრომი _ „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“ [ზალდასტანიშვილი, 1989], გიორგი ციციშვილის [ციციშვილი, 2004], ი.მანველის [მანველი, 2001], ო. ჯანელიძის [ჯანელიძე, 2000] ნაშრომები 1921-1924 წლისეროვნულ-განმათავისუფლებელ გამოსვლებზე საქართველოში.

როგორც გურამ შარაძე ზალდასტანიშვილის წიგნის დამატებაში წერს, „სოლომონ ზალდასტანიშვილი 1924 წლის აჯანყების შესახებ დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, სანდო, და რაც მთავარია, გვერდაუვლელი შრომის ავტორია“. ის ამ დიდი ისტორიული აქტის მონაწილე და თვითმხილველი იყო. მის პირუთვნელად აღწერილ დამოწოდებულ ფაქტებს პირველ წყაროს მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის ამ მეტად მძიმე და ძნელი პერიოდის მიუდგომელი ინტერპრეტაციისათვის.

მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტებითა და წყაროებით ამდიდრებს თავის გამოკვლევებს უახლესი ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი ლევან თოიძე. მან დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღიარა საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო კონიუნქტურისა და იდეურიკლიშეების გამოყენების ფაქტები საკუთარ სამეცნიერო შრომებში, გადააფასა ბევრი მის მიერ ადრე შეფასებული მოვლენა და სრულიად ახალი, ობიექტური დასკვნები შემოიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1923 წლების მოვლენებზე [თოიძე, 1999]. ასეთივე მაღალი მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევა მისი ნაშრომი - „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც“ [თოიძე, 1991]. 20-30-იანი წლების ისტორიას ავსებენ. ნარიმანიძის [ნარიმანიძე, 2000], კ. წენგუაშვილის [წენგუაშვილი, 2005]. გ. ციციშვილის [ციციშვილი, 2003], ს. ვარდოსანიძის [ვარდოსანიძე, 2001], ვ. ბენიძის [ბენიძე, 1991] დამ. ბურდიაშვილის [ბურდიაშვილი, 2014] ნაშრომები.

ისტორიული მოვლენების შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გენერლების _ გიორგიკ კვინიტაძისა [კვინიტაძე, 1999] და შალვა მაღლაკელიძის მოგონებებს [მაღლაკელიძე, 1991].

XX საუკუნის 20-90-იანი წლების პრობლემებს ეხება პროფ. ე. მამუკელაშვილის ნაშრომები: „უახლესი ისტორია (1918-2010)“[მამუკელაშვილი, 2010, 2011,2013]. მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა 2013 წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა მიერ - ა. ფარსადანიშვილი, თ. ვახტანგიშვილი, მ. თვალიაშვილი, ვ. ელანიძე, ელ. მამუკელაშვილი, _ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში“. ნაშრომში განხილულია საკითხები: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაპირობები; პირველი ანტისაბჭოთა გამოსვლა. სვანეთის 1921-1922 წლების აჯანყება; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნები და ამოცანები XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში; XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დისკრედიტაციის მცდელობა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ; დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების („სხივლები“) დამოკიდებულება მენშევიკური პარტიის პოლიტიკისადმი; ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის მცდელობა. ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის XX ს-ის 20-30-იან წლებში (კ. გვარჯალაძის ნაშრომის „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში“ მიხედვით); ქართველ სამხედრო-პოლიტიკურ ემიგრანტთა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

2014 წელს სამეცნიერო პროექტის საფუძველზე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა გამოსცა სტატიათა კრებული - ბიულეტენი #2. კრებული მიეძღვნა საქართველოში „სამხედრო ცენტრის“ წევრებისა და მათი თანამდგომების 1923 წლის 21 მაისს დახვრეტილთა 90-ე წლისთავს. გამოცემაში გაშუქებულია საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ორგანოს „სამხედრო ცენტრის“ შექმნის, შემადგენლობის, მიზნების, მოქმედების ისტორია, რომელიც ემყარება საარქივო ფონდებში ახლად მიკვლეული მასალების კრიტიკული შესწავლის შედეგებს:

1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებებს კარგად ავლენს ჟურნალი „მხედარი“, სადაც იკვეთება ის ძირითადი წინააღმდეგობრივი თვალსაზრისები, რაც ქართველ პოლიტიკოსებს ჰქონდათ

ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის შეფასებისას. „მხედარი" იყო ქართველი უნკერთა ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1929-1937 წლებში. ინტერესს იწვევს ის მასალები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ბრძოლას საქართველოში დამყარებული ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ 1921-1924 წლებში. ავტორები მიმდინარე მოვლენების თვითმხილველნი იყვნენ და, ამდენად, ეს მასალა პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს. ამ მხრივ საინტერესოა სამხედრო პირების - გიორგი კვინიტაძის, ალექსანდრე ჩხეიძის, დიმიტრი შალიკაშვილის, იმერეთის ბატალიონის უფროსის აკაკი კვიტაიშვილის, პოლკოვნიკების - ირაკლი ცაგურიას, ვიქტორ ცხაკაიას, ლეო კერესელიძის, ლეიტენანტნ. მათიკაშვილის და სხვათა მოგონებები[ ჭუმბურიძე, 2012: 402-413].

ჟურნალი „მხედარი" სხვადასხვაგვარად აფასებდა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და 1924 წლის აჯანყებას, ავტორთა დიდი ნაწილი, მთავრობის თავმჯდომარესა და მინისტრებთან ერთად ადანაშაულებდა გენერალ გიორგი კვინიტაძეს მოგებული ომის შემდეგ თბილისის დატოვებაში. სხვების განგანსხვავებით, გენერალ კვინიტაძის გადაწყვეტილებას ამართლებდა და სწორ სტრატეგიად მიიჩნევდა იუნკერთა სკოლის ყოფილი დირექტორი, კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების მონაწილე ალექსანდრე ჩხეიძე.  პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია 1921 წლის ომის წაგების სამ მიზეზს ასახელებდა: ახალი მთავარსარდლის არჩევას (აკრიტიკებდა ოდიშელიძეს),  ჯარის უდროოდ და არასწორად მობილიზაციას და ცხენოსანი ჯარის არყოლას. სხვა ავტორები აკრიტიკებდნენ თავად ცაგურიას, რომელსაც ვაზიანის რუსული სამხედრო ბაზის აღება ჰქონდა დავალებული, ბრალს დებენ ინერტულობისათვის და მის ქმედებას ქვეყნის ღალატად მიიჩნევენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართული ემიგრაციის მუზეუმში დაცულ ჟურნალ „მხედარის" ჩვენთვის საინტერესო სტატიებიდან შეგვიძლია დავასახელოთ: ჟურნალის რედაქტორის _ პროკოფი აბულაძის მოწინავე სტატია - „ტფილისის დატოვების შესახებ" [ჟ. „მხედარი, 1930, #4]; ნ. მათიკაშვილი, „1921 წლის ქართულ-ბოლშევიკური ომი" [ჟ. „მხედარი, 1933, #14];ი. ცაგურია - „ჩვენი კატასტროფის შესახებ" [ჟ. „მხედარი, 1933, ##13-14];ა. კვიტაიშვილი, „ზოგი რამ

ისტორიულ ფაქტებზე" [ჟ. „მხედარი, 1933, #14];ვ, ცხაკაია, „ცოტარამღენ. ჩხეიძის მოგონებებზე" [ჟ. „მხედარი, 1933, #14]; ამგვარი რადიკალურად საპირისპირო აზრების შესწავლა და მიუდგომელი ანალიზი მოვლენათა არსში უფრო ღრმად ჩაწვდომისა და ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა.

ამავე საკითხებს აღრმავებს ისტორიკოსი მიხეილ ბახტაძე კრებულში - „ქართული ემიგრაცია" 2015 წელს გამოქვეყნებულ წერილში - „პოლკოვნი კი ირაკლი ცაგურია", მაია ვარსიმაშვილ-რაფაელის პუბლიკაცია - „ირაკლი ცაგურიას „საქართველო გოლგოთის გზაზე", ლალი ცომაიას პუბლიკაცია - „რეზო გაბაშვილის წერილები შალვა ამირეჯიბს", ოთარ ჯანელიძის „ქართული ემიგრაციის თურქული ფურცლები" [„ქართული ემიგრაცია" 2015: 3(6)].

1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ვალიკო ჯუღელის უცნობი დღური, რომელიც პაატა ნაცვლიშვილმა გამოაქვეყნა კრებულში „ქართული ემიგრაცია"[„ქართული ემიგრაცია" 2014:2].

დოკუმენტი ეხება 1924 წლის აჯანყებას, ვალიკო ჯუღელისა და სხვა ქართველი ემიგრანტების ჩამოსვლას საქართველოში აჯანყების ორგანიზებისათვის. მასში აღწერილია 9-29 თებერვლის მგზავრობა პარიზიდან სტამბულამდე, ქართველ ემისართა განწყობილებები მომავალი აჯანყებისადმი, რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მათეული შეფასებები. დღიური მას სტამბულში, საქართველოს წარმომადგენლობაში დაუტოვებია კონსტანტინე გვარჯალაძისა ან სიმონ მდივნისთვის, რის გამოც გადარჩა და მოხვდა პარიზში, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წევრებმა - მამია ბერიშვილმა და კარლო ინასარიძემ პარტიის არქივში შეინახეს. იგი ტიერბერიშვილმა გადმოსცა საქართველოს.

ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული ბევრი წერილი მიუთითებს იმ თავისებურებებზე, რაც საქართველოში მიმდინარე ანტირეჟიმულ მოძრაობას ჰქონდა. პარიზში გამომავალი გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს" ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები ადასტურებენ ბევრ საინტერესო შეხედულებას, მათ შორის: შალვა ამირეჯიბის წერილი ნიკო ნიკოლაძეზე მიუთითებს, თუ როგორ

ეწინააღმდეგებოდა ნიკოლაძე ანტირუსულ გამოსვლებს [„დამოუკიდებელი საქართველო“ 1928: #28]; ქართველ პატრიოტთა ნაწილი (ნიკო ნიკოლაძე) მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელებას, ქართველი ერის განათლების, მორალურ-ეთიკური და ისტორიული ტრადიციების შენახვას იმ დროისათვის, როდესაც თავად დაინგრეოდა რუსეთის საბჭოთა იმპერია [ჟ. „ივერია“, 1975:#17];

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ არსებული საბჭოური და პოსტსაბჭოური ლიტერატურა საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული მკვლევარ კობა წენგუაშვილს თავის მონოგრაფიაში - ,,საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია”, [გამომცემლობა ,,მემატიანე”, თბილისი, 2005]. მასში ერთი პარაგრაფი სპეციალურად ეთმობა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და მის შეფასებას ქართულ ისტორიოგრაფიაში [წენგუაშვილი, 2005].

1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განხილულია დოდო ჭუმბურიძის ნარკვევში, რომელიც გამოქვეყნებულია „საქართველოს სამხედრო ისტორიის“ II ტომში [ჭუმბურიძე, 2013: 134-149]

20-იანი წლების შუახანებიდან ხელისუფლებამ მიმართა ოპოზიციურად განწყობილი სოციალური ძალების მოშორებას. მოისპო მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეთა კლასი. ფიზიკურად განადგურდა, ან ემიგრაციაში წავიდა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები, არაბოლშევიკური პარტიების წარმომადგენლები, ეროვნული ჯარის ოფიცრები. მასიურად იდევნებოდნენ ეკლესიის მსახურნი. რეპრესიების მიზანი სოციალურ ძალთა დაბალანსება იყო, რასაც თან სდევდა საზოგადოების სხვადასხვა წრის ერთმანეთთან დაპირისპირება, მათ შორის მტრობის ჩამოგდება. ცხადი გახდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები კრიზისს განიცდიდა. ხელისუფლებამ შეიმუშავა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალი გეგმა, რომელიც უპირისპირდებოდა კაპიტალისტურ სისტემას და სოციალიზმის ტრადიციულ გაგებასაც ეწინააღმდეგებოდა. ამ გეგმის ავტორი იოსებ სტალინი იყო. ქვეყნის განვითარების სტალინურ გეგმას პრინციპული

წინააღმდეგობა გაუწია, როგორც ძველ რევოლუციონერთა კადრების ნაწილმა, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებმაც. თვალსაზრისთა შეუთანხმებლობის გამო, 30-იანი წლების შუა ხანებში, საბჭოთა კავშირში წარმოუდგენელი მასშტაბის რეპრესიები გატარდა. ამჯერად, კლასობრივთან ერთად, პოლიტიკური, ანუ სტალინის კურსის მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება მოხდა. 30-იან წლებში ახალი სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას ბევრი არ უჭერდა მხარს. 1934 წლის 1 დეკემბერს, ახალგაზრდა თანაპარტიელის - ლეონიდ ნიკოლაევის მიერ სერგეი კიროვის მკვლელობა სტალინმა პოლიტიკური ოპონენტების მოსაშორებლად და ქვეყანაში ფართო მასშტაბიანი სადამსჯელო ოპერაციის გასატარებლად გამოიყენა. მან მიიღო დადგენილება საბჭოთა ხელისუფლების მტრების შესახებ, რაც პოლიტიკურად იდეოლოგიურ რეპრესიებს აკანონებდა. 1934-1938 წლებში დახვრიტეს, ციხეებსა და გადასახლებებში გაგზავნეს უამრავი ადამიანი. წმენდა ჩატარდა ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და პარტიულ ორგანოებში, ასევე უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში [ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016:349] .

საბჭოთა კავშირის ცენტრში შემუშავებული კურსის მიხედვით, პოლიტიკურმა რეპრესიებმა საქართველოშიც მასიური ხასიათი შეიძინა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი ლავრენტ იბერია, მოსკოვის მითითებით მოქმედებდა. განადგურდა ძველი რევოლუციონერების ბირთვი და მის ნაცვლად ახალი კურსის მომხრე კადრები დაინიშნა. 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი ბევრი უდანაშაულო ადამიანი გახდა, რომელთაც პოლიტიკასთან არაფერი აკავშირებდათ და, უბრალოდ, ინტრიგებს შეეწირნენ. დახვრეტები ხშირად გამოძიების გარეშე, გაუსამართლებლად, გაყალბებული მასალების საფუძველზე ხდებოდა. უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილით დასჯისთვის კანონიერი სახის მისაცემად, ადამიანებს აიძულებდნენ ყალბ ჩვენებებზე ხელისმოწერას, აწამებდნენ და ისე ართმევდნენ აღიარებას. დახვრეტებს, რომელიც განსაკუთრებულად სასტიკი ფორმებით სრულდებოდა, სამეულები ანხორციელებდნენ. შეიქმნა გულაგი - სპეციალური შრომა-გასწორების ბანაკები, სადაც გადასახლებული პატიმრები იხდიდნენ უმკაცრეს სასჯელს.

რეპრესიები გამორჩეული სისასტიკით შეეხო ინტელიგენციას, რომელიც საოკუპაციო რეჟიმს ვერ შეეგუა. ბოლშევიკური იდეოლოგიისა და ტოტალიტარული რეჟიმის კრიტიკას ყველაზე მეტად მწერლები ბედავდნენ. ამიტომ, მწერალთა რეპრესიები საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის განხორციელებისთანავე დაიწყო. ხელისუფლებისთვის ისინი, თავიანთ შემოქმედებასთან ერთად, მიუღებელნი აღმოჩნდნენ. 1917 წელს შექმნილი ეროვნულ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის - კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო მაყაშვილი რუსი ოკუპანტების პირველი მსხვერპლი იყო. ის ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიღუპა. პოეტი კოტე მაყაშვილი დაუფარავად აღნიშნავდა, რომ ერთდროულად სამშობლოსა და შვილის დაღუპვა სტიროდა. პოეტები წერდნენ რუსული რეჟიმის სისასტიკეზე. კონსტანტინე გამსახურდიამ ლენინისადმი გაგზავნილ წერილში გააკრიტიკა რუსული საოკუპაციო რეჟიმის დამოკიდებულება ქართველი ერისადმი [გამსახურდია, 1921]. მოგვიანებით ის ამის გამო სოლოვკაზე გადაასახლეს. ეროვნული კულტურის ბედი დამაფიქრებელი გახდა. ხელისუფლების მხარდასაჭერად ჩამოყალიბდა პროლეტარული მწერლების ასოციაცია, რომელიც რეჟიმის დაკვეთას ასრულებდა. ამ მოვლენების გასაშუქებლად გამოვიყენეთ სამეცნიერო გამოცემები. ესენია: „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, დიდი ტერორიკავკასიის პატარა რესპუბლიკაში“, I, II ტომი [ბოლშევიკური წესრიგი 2015]; რევაზ კვერენჩხილაძის [კვერენჩხილაძე, 1983, 2005], დ. რონდელის [რონდელი, 1931], როსტომ ჩხეიძის [ჩხეიძე, 1992, 1994], ვასილ კიკნაძის [კიკნაძე, 1992], აკაკი ბაქრაძის [ბაქრაძე, 2008], ირაკლი გამრეკელის [გამრეკელი, 1982], გიორგი ციციშვილის [ციციშვილი, 1998], რომან მიმინოშვილის [მიმინოშვილი, 1990], მალხაზ კობიაშვილის, თამარ ციციშვილისა და ირინა მოდებაძის _ „ქართული ლიტერატურის ისტორიის თავგადასავალი კომუნისტურ ეპოქაში“ [კობიაშვილი 1992], შოთა ჭინჭარაულის [ჭინჭარაული, 1991] და სხვათა ნაშრომები. ქართველი ინტელიგენციის ანტისაბჭოთა საქმიანობასა და მათ განმათავისუფლებელ ბრძოლას ასახავენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდებში [ფონდი 6] დაცული საარქივო საქმეების დოკუმენტები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „სამანელების“ორგანიზაციის შესახებ გამოვიყენეთ გიორგი ცოცანიძის [ცოცანიძე, 2004], ამირან არაბულის [არაბული 2010], მაყვალა ნათლმელაძისა და ალექსანდრე დაუშვილის [ნათმელაძე, დაუშვილი 2004], ჟურნალ „საარქივო მოამბის“ სტატიები, საარქივო დოკუმენტები და პრესის მასალები, რომელთაც შესაბამის ადგილებზე ვუთითებთ.

XX საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობით გამოიხატა, რასაც ხელი შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამაც შეუწყო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უძრაობის პერიოდში გამოიკვეთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის პასიური ცხოვრების ტენდენციები. თუმცა, ამ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ნელდებოდა ეროვნული თვითშეგნება, პატრიოტული სულისკვეთება. ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ძალები კარგად იცნობიერებდნენ შექმნილ ვითარებას და ობიექტურად აფასებდნენ მდგომარეობას, მაგრამ მასებამდე მათი მიტანა ადვილი არ იყო. ობიექტური შეფასებები და კრიტიკა ანტისაბჭოურ პროპაგანდად ითვლებოდა, სასტიკად იდევნებოდა და ნაციონალიზმად ინათლებოდა. ცნება „ნაციონალიზმი“ არასწორად განიმარტებოდა. ამავე დროს ინერგებოდა ეროვნული ერთიანობის იდეა, ხდებოდა ერის კონსოლიდაცია. მიმდინარეობდა დემოგრაფიული პროცესების დარეგულირება ქართული მოსახლეობით ნაკლებად ჭარბმხარეებსა და რაიონებში. ეროვნული კონსოლიდაცია იწვევდა ქართველი ერის თვითშეგნების ზრდას, ეროვნული ცნობიერების გაფართოებას, თვით გამორკვევის ტენდენციების დამკვიდრებას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას. საზოგადოებაში მწიფდებოდა საბჭოთა კავშირის კონგლომერატული გაერთიანების დაშლის აუცილებლობა. საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც გაჩნდა პატრიოტული მიმართულების არალეგალური ორგანიზაციები, გააქტიურდა დისიდენტური მოძრაობა.

ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში საეტაპო გახდა 70-იანი წლების მოვლენები: 1976 წელს საქართველოში, ზვიად გამსახურდიას და მერაბ

კოსტავას თაოსნობით, „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი“ შეიქმნა.

იმავე წელს ოფიციალურად დაარსდა „ჰელსინკის ჯგუფი“. იგი პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია იყო საქართველოში. მასში შევიდნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვები. შემდგომში ჯგუფს „ჰელსინკის კავშირი ეწოდა“. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელისმოწერის შემდეგ, საბჭოთა კავშირს უნდა შეეწყვიტა საქართველოს ანექსია და საოკუპაციო ჯარები უნდა გაეყვანა ქვეყნიდან. ამ ორგანიზაციის დაარსებამ, ასევე იმ კონსპირაციულმა ლიტერატურამ, რომელსაც ამ ჯგუფის წევრები ავრცელებდნენ, ხელი შეუწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას 80-იან წლებში. ამ ჯგუფის საქმიანობაზე, გარდა სარქივო მასალების და დოკუმენტთა კრებულებისა, საინტერესოა მერაბ კოსტავას წერილი, რომელიც ეხება ჯგუფის დაარსების ისტორიასა და მისი ამოცანების საზოგადოებისათვის გაცნობას. წერილი 1990 წელს გაზეთ„საქართველოში“დაიბეჭდა [კოსტავა, 1990].

70-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საერთაშორისო ორგანიზაცების როლის შესახებ ნაშრომში გამოვიყენეთ: ავტორთა ჯგუფის: ალ. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილის, მ. სამსონაძის, ხ. ქოქრაშვილის, დ. ჭუმბურიძისა და ო. ჯანელიძის [ალბენდიანიშვილი, 2008], ლ. სარალიძის [სარალიძე, 2015], მ. ბასილაძის ბასილაძე 2010], ვ. ძაბირაძის[ ძაბირაძე, 2007], ლ. კერესელიძის, [კერესელიძე, 2010] ნ. ყიფშიძის[ყიფშიძე, 2012] და სხვათა სამეცნიერო გამოკვლევები.

ჩვენ მიერ შესასწავლი პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს ეტაპი შეცვალა მეორე ეტაპმა_1985-1991 წლების ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანამ. 80-იანი წლების შუა ხანებიდან, ე. წ. „პერესტროიკის“ პოლიტიკამ შეარბილა რეჟიმის დამოკიდებულება ეროვნული პრობლემებისადმი, რამაც განმათავასუფლებელი მოძრაობის ლიდერებს მეტი სითამამე მისცა. უაღრესად კონსპირაციული პირობებიდან და იატაკქვეშეთიდან განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ნელ-ნელა გადაინაცვლა მასებში, შეიჭრა სახელმწიფო პოლიტიკაში და

დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაში განხორციელდა.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ მეტი ყურადღება დაუთმო XX საუკუნის 80-90-იანი წლების მოვლენებს.

1994 წელს გამოვიდა უჩა ბლუაშვილის ნაშრომი - „პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წ.წ.“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდა თაობისა და ინტელიგენციის ურთიერთობაზე, ეროვნულ მოძრაობაში მათ როლსა და პრეტენზიებზე. ბლუაშვილის აზრით, ეროვნული მოძრაობის ლიდერები გამოირჩეოდნენ თავიანთი რადიკალიზმით, რაც ინტელიგენციამ არ გაიზიარა, ეს გახდა შემდეგში მათ შორის დაპირისპირების მიზეზი. ავტორი რადიკალიზმს მოძრაობის ლიდერთა მთავარ ნაკლად მიიჩნევს და თვლის, რომ ამან ზიანი მიაყენა არამარტო ეროვნულ მოძრაობას, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობასაც შეუქმნა საფრთხე. ნაშრომის ნაკლად შეიძლება ჩავთვალოთ ერთგვარი „თვითმხილველის სინდრომი“, რაც იმაში გამოიხატება, რომ პირადი სიმპათია-ანტიპათიით ხდება მოვლენებისა და პიროვნებების შეფასება. მაგალითად, ბლუაშვილი ეროვნული კონგრესიის საქმიანობას დადებითად აფასებს, ეროვნული ხელისუფლების მომხრეებს კი – უარყოფითად. ტენდენციურობა ხელს უშლის ავტორს ეროვნული ხელისუფლების შეცდომებსა და არასწორი პოლიტიკის გვერდით თანაბრად დაენახა მისი ოპონენტების შეცდომა-დანაშაულიც [ბლუაშვილი, 1994].

საინტერესოა და 80-90-იანი წლების ისტორიის თითქმის ქრონიკული სიზუსტით განხილვას ემსახურება 1999 წელს ქუთაისში გამოცემული წიგნი _„ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)“. წიგნის ავტორია ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი მჭედლიძე. ბლუაშვილისა განგანსხვავებით, აღნიშნული ნაშრომი უფრო ობიექტურია მოვლენების შეფასებაში, უფრო თანმიმდევრულად გადმოგვცემს საქართველოს მესამე რესპუბლიკის შექმნის ისტორიას, ახდენს განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპის სრულყოფილ ფაქტოლოგიურ გაშუქებას. ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს. მიუხედავად

კვლევის აკადემიური ფორმისა, ნაშრომის ავტორის მიერ შემოტანილი ზოგიერთი სამეცნიერო დასკვნა და კონცეფცია, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება საკვლევი პერიოდის მოვლენათა ობიექტურ არსს, შეიცავს ზოგიერთ ტენდენციურ მოსაზრებას [მჭედლიძე, 1999].

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესახებ კონცეპტუალურად საინტერესო დებულებები წამოაყენა მალხაზ მაცაბერიძემ სტატიაში -„1991-1992 წლების მოვლენების შეფასების საკითხისათვის" [მაცაბერიძე, 1999].

ავტორის აზრით, ამ პერიოდის შეფასებები ძირითადად პოლიტიკურია და, შესაბამისად, ტენდენციური, ამიტომ აუცილებელია მისი შესწავლა ისტორიულ-პოლიტოლოგიური თვალსაზრისით. ის მიიჩნევს, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები უნდა განიხილებოდეს სხვა საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე მოვლენების ფონზე, უნდა მოხდეს შედარებითი ანალიზი, პოლიტიკური რადიკალიზმის, რომანტიზმისა და რეალიზმის თანაფარდობის შესწავლა და მათ შორის არსებული დაპირისპირების კვლევა.

ჩვენი გამოკვლევისათვის დაგვეხმარა პროფესორ იგორ კვესელავას ნაშრომები, განსაკუთრებით მისი განმაზოგადებელი მონოგრაფია, სადაც თანმიმდევრულად არის განხილული და გაანალიზებული 1970-1990 წლების მოვლენები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის დეტალები.

2007 წელს მან გამოსცა განმაზოგადებელი მონოგრაფია - „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები, II. ზვიად გამსახურდია: დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე". ნაშრომი ობიქტურად აფასებს საქართველოში დისიდენტური მოძრაობის 70-80-იან წლებს, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვა დისიდენტთა საქმიანობას. ამასთან, განხილული და შეფასებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული ეტაპები, მათ შორის ზვიად გამსახურდიას მომხრე ფრთის საქმიანობა. ავტორი დაწვრილებით აანალიზებს დისიდენტური მოძრაობის ხასიათს, ეროვნული ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებს, წინააღმდეგობებს, ოპოზიციასთან დაპირისპირებას, ხელისუფლების დამოკიდებულებას კრემლთან, დასავლეთთან და ასე შემდეგ. თუმცა ავტორი არ

მალავს ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ ზოგადად მას, ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, დადებითად აფასებს [კვესელავა, 2007].

90-იანი წლების მოვლენების შეფასებასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებებზე პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დიმიტრი შველიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992)", რომელიც 2008 წელს გამოვიდა. ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერული სიღრმით მოვლენების კვლევის მაგალითს, მასში თითქმის სიზუსტით არის შესწავლილი და შეფასებული 1987-1992 წლის მოვლენები. სუბიექტური ფაქტორი აქ თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი და საქართველოს ისტორიის უახლესი მოვლენები, რომელთა შეფასება მრავალგვარია და ჯერაც არ არის სავსებით ობიექტური, წიგნში მეცნიერული ზნეობითა და პირდაპირობით არის წარმოდგენილი. ამის შესახებ ავტორი თავად გვაფრთხილებს: „საისტორიო მეცნიერებამ უნდა გაითვალისწინოს მომხდარი პოლიტიკური მოვლენების მონაწილეთა ინფორმაცია თუ პოზიცია, მაგრამ მათი მრავალრიცხოვნებისა თუ სუბიექტურობის გამო , შეუძლებელია მათი უკრიტიკო გაზიარება. ჩვენთვის ამოსავალია ოფიციალური დოკუმენტი, საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი ან ისტორიული წყაროს მნიშვნელობის მქონე მყარი მასალა" [შველიძე, 2008].

ბოლო წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა XX საუკუნის 20-90-იანი წლების ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ჩვენი დიდი დაინტერესება გამოიწვია ავტორთა კოლექტივის - მაყვალა ნათმელაძის, ალექსანდრე დაუშვილის, მაია ჯაფარიძის, კობა წენგუაშვილის სქელტანიანმა გამოკვლევამ - ,,საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში" [თბ. 2008]. ნაშრომში თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის, უცნობი საარქივო მასალების, პერიოდული პრესისა და ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე კომპლექსურად შესწავლილია საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება-განმტკიცების თავისებურებანი, საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის _ ინტელიგენციის,

ბურჟუაზიის, მუშების, გლეხობის, ახალგაზრდობის ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეჟიმისადმი დამოკიდებულების ხასიათი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აფხაზეთისა და ე,წ, სამხრეთ ოსეთის საკითხის გაშუქებისას, ამ რეგიონებში რუსეთის მიერ ინსპირირებული კონფლიქტების შესასწავლად გამოვიყენეთ: რ. თოფჩიშვილის [თოფჩიშვილი, 1997], მ. ლორთქფანიძის [ლორთქიფანიძე, 1990], ლ. მარშანიას [მარშანია, 1995], ვ. მგელაძის [მგელაძე, 1991], ა. მენთეშაშვილს [მენთეშაშვილი, 1990], თ. მიბჩუანის [მიბჩუანი, 1994], გ. ოდიშარიას [ოდიშარია, 1995], მ. ცოტნიაშვილის [ცოტნიაშვილი, 1998], ს. ჩერვონაიას [ჩერვონაია, 1994], ოთარ ჩხეიძის [ჩხეიძე, 1994], როსტომ ჩხეიძის [ჩხეიძე, 1998] და სხვათა ნაშრომები.

ტენდენციური და ცალმხრივია გრიგოლ ჟვანიას [ჟვანია, 1999], გიორგი წიქარიშვილის [წიქარიშვილი, 2003] და სხვათა ნაშრომები და საგაზეთო პუბლიკაციები. ეს ნაშრომები უფრო ემოციური დატვირთვით არის დაწერილი, ვიდრე ობიექტური მეცნიერული კვლევის სურვილით. მათში არ არის შესწავლილი ისტორიული პრობლემები, არ არის განხილული ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხები.

საკითხის სრულყოფილად გაცნობასა და კვლევაში დაგვეხმარა საქართველოს პარლამენტის მიერ შედგენილი და გამოცემული საკანონმდებლო აქტების კრებულები, უზენაესი საბჭოს სესიის სხდომათა სტენოგრაფიული ჩანაწერები, საქართველოს პარლამენტის არქივის მასალები. ასევე ქართული და საქართველოს რუსულ ენოვანი პრესა, სადაც პერიოდულად ქვეყნდებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა (ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გიორგი ჭანტურიას, თამარ ჩხეიძის, ირაკლი წერეთელის, ნოდარ ნათაძის, ვახტანგ ძაბირაძის, გრიგოლ რცხილაძის, თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის და სხვათა) წერილები და კორესპონდენციები. კერძოდ, გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ახალი საქართველო“, „კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „7 დღე“, „ივერია“, „ქართული ფილმი“, „სახალხო განათლება“,„ქართული ქრონიკა“, „ზარი ავოსტოკა“, „მოლოდიო გრუზიი“, „სვობოდნაია გრუზია“და სხვ.

ოკუპაციის პირველ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო და პოლიტიკური პარტიების გაზეთების გამოცემა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ფაქტიურად შეწყდა. ჯერ კიდევ გამოიცემოდა გაზეთები; „კომუნისტი“, „კავკასიის კომუნა“, „სოციალ-ფედერალისტი“, „ბათუმის ცხოვრება“, „ბრძოლა“, „უწყებები“ და სხვა, თუმცა აღნიშნული გაზეთები მწირ ინფორმაციას შეიცავენ იმ დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ.

მას შემდეგ, რაც გაიხსნა საიდუმლო არქივები და მანამდე აკრძალული დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართათვის, საინტერესო დოკუმენტური მასალა გამოქვეყნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალში: „საარქივო მოამბე“, საინტერესო საარქივო დოკუმენტებზეა დაფუძნებული, 1984-2004 წლებში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოს თანამშრომლის – გელა სულაძის წიგნი: „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.)“, გამომცემლობა: „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2010;

საინტერესო ნაშრომია:**Timothy Blauvelt and Jeremy Smith (Eds.) – Georgia after Stalin: Nationalism and Soviet Power, 2015.**

წიგნში გადმოცემულია, 1953 წლის მარტში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ წლებში, საქართველოში განვითარებული მოვლენები, განსაკუთრებით 1956 წლის მარტის დემონსტრაციები და ხელისუფლების მხრიდან, მათი სასტიკი ჩახშობა. წიგნში ხაზგასმულია საქართველოში დაძაბულობა სტალინის, როგორც ქართველის ხსოვნის და მის მიერ შექმნილ საბჭოთა სისტემისთან დაკავშირებულ პატივისცემასა და მზარდ ნაციონალიზმს შორის. წიგნი ასახავს, თუ როგორი იყო არა მხოლოდ სტალინი, არამედ ქართველების ფართო წრე, საბჭოთა სისტემის შუაგულში. აღწერს, თუ რამდენად თაყვანს სცემდნენ, სტალინს საქართველოში, აგრეთვე, ხრუშჩოვის აღზევებასა და მის მიერ სტალინის დაგმობას. წიგნში გადმოცემულია მზარდი ქართული ნაციონალისტური მოძრაობების განსხვავებული სახეობები და მიმოხილულია დემონსტრანტების წინააღმდეგ მიღებული რეპრესიული ქმედებები. გაკეთებულია დასკვნები, თუ როგორ შეცვალა რეპრესიებმა მდგომარეობა, სადაც ქართული ნაციონალიზმი, სტალინის მეხსიერების თაყვანისცემა და საბჭოთა

სისტემა ერთად განლაგდა სიტუაციაში, რომელშიც მზარდი ეროვნული მოძრაობა მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირს [სულაძე, 2010].

ასევე, პრობლემის კვლევისთვის საინტერესოა ნ. ჯავახიშვილის [ჯავახიშვილი, 1998], ე. კუპატაძის [კუპატაძე, 2011], მ. გოგიტიძის [გოგიტიძე, 2007, 2015], შ. მურუსიძის [მურუსიძე, 2008], მ. ქებაძის [ქებაძე, 2008], ელ. მამუკელაშვილის [მამუკელაშვილი, 2009] და სხვა მკვლევართა დასკვნები მათი მონოგრაფიებიდან და სტატიებიდან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XX-XXI საუკუნეების ზღურბლზე საქართველოში გამომავალი პერიოდული გამოცემები, სადაც მოცემულია სხვადასხვა თაობის პუბლიცისტთა საინტერესო გამოკვლევები, ნარკვევები, დოკუმენტები, შეხედულებები. ესენია გაზეთები: ,,ლიტერატურული საქართველო", ,,მამული", ,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,რესპუბლიკა", ,,ქართული ფილმი", ,,სახალხო განათლება", ,,ერი", ,,თბილისი", ,,ერთობა", ,,ახალგაზრდა ივერიელი", და სხვა, ჟურნალები: ,,პოლიტიკა", ,,საისტორიო ფურცლები", ,,განთიადი", ,,მნათობი", ,,ცისკარი", ,,საქართველოს კომუნისტი", ,,მხედარი" და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების რეალურ პოლიტიკაზე და ნაკლოვანებებზე თავისუფლად იწერებოდა უცხოეთში გამოცემულ ნაშრომებში, რასაც საბჭოთა მთავრობა კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა, საბჭოთა ხელისუფლება მათ გავრცელებას სასტიკად კრძალავდა და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიად ნათლავდა. საბჭოთა რეჟიმს აკრიტიკებს თავის სამეცნიერო ნაშრომებში ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი რიჩარდ ფაიფსი. ასევე მნიშვნელოვანია საბჭოთა იდეოლოგიისა და მისი მოწინააღმდეგეების შესაფასებლად სხვა უცხოელი ავტორების ნაშრომები. ზემოთ ჩამოთვლილი წყაროთმცოდნეობით, ისტორიოგრაფიულ და პრესის მასალებს გარდა ჩვენ ვიყენებთ სხვა წყაროებსა და ლიტერატურასაც, რასაც სათანადო ადგილებზე დავიმოწმებთ.

## თავი I

## ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1921-1924 წლებში და მისი თავისებურებანი

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის (1921-1924 წ.წ.) აჯანყებათა სერია საქართველოში ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა, რომელსაც ქართველი ხალხი თავისი არსებობის მანძილზე აწარმოებდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამჯერად ეს აჯანყებანი მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლო მოუღო ქართველი ხალხის დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. მართალია, პოლიტიკურ პარტიებად და დასებად დაყოფილ ქვეყანაში ურთიერთშეუთანხმებლობა და კამათიც არ იყო უცხო, მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ ყველა ერთსულოვნად იბრძოდა. ამდროინდელ მრავალ პარტიულ სპექტრში აღმოჩნდა ერთი პარტია, განსაკუთრებით რეაქციული, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი შეურიგებელი, ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამორჩეული ბოლშევიკური პარტია, რომლის იდეოლოგიაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ იდეალებს.

სწორედ, ქართველი ბოლშევიკები გამოიყენა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ხელახლა დასაპყრობად.

ევროპის ქვეყნები მარტო მორალურად აღმოჩნდნენ საქართველოს გვერდით: მათ 1920 წლის იანვარში „დე-ფაქტოდ"აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ერთი წლის შემდეგ კი - „დე-იურედ", მისი ისტორიული საზღვრებიც დაადგინეს, საქართველო თავისი ჯარით ამ საზღვრებს რეალურადაც აკონტროლებდა, მაგრამ მცირე ძალებით არ შეეძლო იმ მტრული გარემოცვის გარღვევა, რაც მას შეუქმნეს მეზობლებმა: რუსეთმა და თურქეთმა. ომგადატანილი ევროპა არ აპირებდა საქართველოსთვის ახალ ომში ჩაბმას, რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ უთხრეს უარი ქართველ პოლიტიკოსებს ერთა ლიგაში ჩვენი ქვეყნის მიღებაზე.

საბჭოთა რუსეთმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღიარა იმ საზღვრებში, რომელიც მას რეალურად ეჭირა 1920 წლის 7 მაისს, როდესაც

მოსკოვში გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

რუსეთმა დაარღვია საქართველოს თანდადებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სცნობდა მის დამოუკიდებლობას, არ შეასრულა ბევრი დაპირება, მათ შორის ისიც, რომელიც გამორიცხავდა ქართველ ხალხთან იარაღით დაპირისპირებას.

1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, რასაც რუსეთი არ აღიარებდა, ამ ომს ის საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ ადგილობრივ აჯანყებად აცხადებდა და ამტკიცებდა, თითქოს რუსეთის ნაწილები ეხმარებოდნენ „აჯანყებულ მშრომელებს“. ეს იყო სიცრუე, სინამდვილეში რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება და მისი ლიდერები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი გამოცხადებისთანავე გამოვიდნენ და მათ გეგმაში შედიოდა მეფის რუსული იმპერიის საბჭოთა იმპერიად გარდაქმნა. ამ იმპერიის საზღვრებში კავკასია და საქართველო აუცილებლად მოიაზრებოდა.

რუსეთის მე-11 არმიამ, რომლის იდეური ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე იყო, 1921 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა. ქართველი ხალხისთვის მძიმე იყო ეს დარტყმა, ძნელად შესაგუებელი. კოჯორ-ტაბახმელასთან დაღუპული ბიჭები მაგალითად იქცნენ უამრავი ადამიანისათვის, მათ პირნათლად მოიხადეს თავიანთი მოვალეობა სამშობლო სწინაშე. ვინც გადარჩა, მათაც თავიანთი მოვალეობა ჰქონდათ: ან უნდა შერიგებოდნენ მონობას, ან ებრძოლათ წითელი არმიის წინააღმდეგ. ერის მამაცმა ნაწილმა ბრძოლა აირჩია.

## $ 1. საბჭოთა რუსეთის ომი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ

1920 წლის 7 მაისს, საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დეიურე“ აღიარების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის საქართველოს დაპყრობა კვლავ გეოსტრატეგიულ ამოცანად რჩებოდა. ამ მხრივ, როგორც იმ დროინდელი ბოლშევიკების მიმოწერებიდან ჩანს, რუს კომუნისტ ლიდერებზე მეტად, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებაში მყოფი

ქართველი ბოლშევიკები აქტიურობდნენ. საქართველოს გასაბჭოების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, შემდგომში „ხალხთა ბელადად“ წოდებული სტალინი იყო, რომელსაც რუსეთის მთავრობაში _ სახალხო კომისართა საბჭოში, ეროვნებათა საქმეების კომისრის თანამდებობა ეკავა. საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, სტალინის ბრძანებების მთავარ შემსრულებლად გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე ითვლებოდა. საქართველოს დაპყრობა, ორივე მათგანს, რუსეთის ხელისუფალთა წინაშე ავტორიტეტს გაუზრდიდა და ამიტომაც აქტიურობდნენ. სერგო ორჯონიკიძე, რომელიც რუსეთის XI არმიის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო, დირექტივებს პირადად ლენინისგან იღებდა. 1920 წლის 17 აპრილს, ორჯონიკიძემ ლენინისგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „ლენინი - ორჯონიკიძეს. ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ. ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ... იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ“[ შსს არქივი, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 311, ფურც 1.] .

დეპეშის მიღებიდან 11 დღეში აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. XI არმიის ნაწილებმა, 1920 წლის 28 აპრილს, ბაქოთი თქმის უბრძოლველად დაიკავეს. აზერბაიჯანში მიღწეული წარმატების შემდეგ, ბოლშევიკებმა საქართველოს სასწრაფო გასაბჭოება სცადეს. საქართველოში შეჭრისთვის საჭირო იყო რაიმე საბაბის მოძებნა. ასეთ საბაბად იქცა 1920 წლის 1-2 მაისს, ღამით ქართველი ბოლშევიკების მიერ, თბილისში, იუნკერთა სამხედრო სასწავლებელზე მოწყობილი შეიარაღებული თავდასხმა. 2 მაისს, აზერბაიჯანში დაბანაკებულმა რუსეთის წითელმა არმიამ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი გადმოლახა და თბილისისკენ დაიძრა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროდა XI წითელი არმიის სარდლობა თბილისის აღებას 12 მაისისთვის ვარაუდობდნენ. კავბიუროს თავმჯდომარემ – სერგო ორჯონიკიძემ, 4 მაისს, მოსკოვში ოფიციალური დეპეშა გაგზავნა, რომლის შინაარსი ასეთი იყო: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს. ბაქო, 1920 წ. 4 მაისი. ამბები ისე დატრიალდა, რომ იმედი მაქვს თორმეტს მაინც თბილისს ვიქნებით. საამისოდ ყველაფერი გაკეთებულია. ბრწყინვალედ გამოვა. საკითხის სხვაგვარად

გადაწყვეტა აჯანყებულთა საშინელ ხოცვა-ჟლეტვას გამოიწვევს. ორჯონიკიძე“ [Борьба 1958; ჟვანია, 1992].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მთავრობას ოფიციალური ნოტა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის XI წითელი არმიის 287-ედა 288-ეპოლკები მოქმედებდნენ [ჯანელიძე, 2000:47]. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია. 1920 წლის 5 მაისს, ლენინისა და სტალინის სახელით, სერგო ორჯონიკიძემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შემდეგი განკარგულება მიიღო: „ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისგან. თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ, ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის“ [თოიძე,1991].

1920 წლის 6 მაისს, ს. ორჯონიკიძეს მოსკოვიდან სტალინი დაუკავშირდა და გადასცა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პირადად ლენინის მოთხოვნა, რომ გაეთვალისწინებინა საერთაშორისო ვითარება და ხელი აეღო საქართველოს წინააღმდეგ რაიმე შეტევით მოქმედებაზე. ს. ორჯონიკიძე იძულებული გახდა უკან დაეხია და საქართველოს გასაბჭოებაზე დროებით უარი ეთქვა. მან კრემლის ბელადებს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ორჯონიკიძე, კიროვი _ ლენინს, სტალინს, ჩიჩერინს. სრულიად საიდუმლოდ. თქვენს ბრძანებას ზუსტად შევასრულებთ. წინამოსაზრების გარდა მოგვყავს შემდეგიც: 1. თუ საქართველოს არ დავეუფლეთ, თითქმის შეუძლებელი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთის იყოს. საქართველო უკვე ახლა აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ აზერბაიჯანში კონტრ რევოლუცია ასაზრდოოს, აგრეთვე, ინტრიგებს ეწევა მთიელთა შორის, მილიონებს ყრის იქ, აქეზებს მთიელებს დამოუკიდებლობისთვის. იმავდროულად, საქართველო ზოგიერთ აგრესიულ ზომებს იღებს საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ; 2. საქართველო სამხრეთში კონტრ რევოლუციურ კერად იქცა, უთუოდ განუწყვეტლივ ასაზრდოებს კონტრ რევოლუციას ჩრდილო კავკასიაში. ამ მხრივ, საქართველოს არავითარი ხელშეკრულების, არავითარი განცხადების ნდობა არ შეიძლება; 3. საქართველოში

არის ფართლეულობა, რომლითაც შეგვიძლია მოვამარაგოთ ყუბანი, სტავროპოლი და გამოვიტანოთ პური, რომელიც თერგს, დაღესტანს, აზერბაიჯანს სჭირდება; 4. თუ საქართველოს დავეუფლებით, ინგლისელებს გავაპანღურებთ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან და გზას გავხსნით თურქეთისაკენ; 5. საქართველოს მებრძოლ ძალთა მდგომარეობა ერთობ ხელსაყრელია ჩვენი ჩარევისთვის. აქ შესაძლებელია მცირედი ცვლილებებით იგივე განმეორდეს, რაც აზერბაიჯანში მოხდა. მეამბოხეთა რაიონებია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია. თუ ჩვენ საზღვრისკენ დავიძარით, აღნიშნულ რაიონებში აჯანყება გარდაუვალია. რას გვიბრძანებთ, მხარი დავუჭიროთ  მას თუ არა?! ჩვენი აზრით, საქართველოსთან დასადები ზავის პირობებში აუცილებლად უნდა იყოს მოთხოვნა: საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საქართველოში. ჩვენი ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მენშევიკები მზად არიან ამისთვის, ოღონდ ძალიან ივაჭრებენ. 7 მაისი. 1920 წ" [სუიცსა, 1863:107]. იმავე დღეს, ორჯონიკიძემ მოსკოვიდან დაშიფრული დეპეშა მიიღო, სადაც სტალინი კავბიუროს ხელმძღვანელს საქართველოს გასაბჭოების ოპერაციის გადადების მიზეზებს უხსნიდა.

ამრიგად, ფაქტობრივად რუსეთის აგრესია საქართველოსთან 1920 წლის 2 მაისს დაიწყო. ეს აგრესია, საქართველო-რუსეთის ფართო მასშტაბიან ომში ამ დროს იმიტომ არ გადაიზარდა, რომ მოსკოვში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა.  თანაც, რუსეთის ხელისუფლებას ომი ჰქონდა პოლონეთთან და ორფრონტზე ბრძოლა მისთვის რთული იყო. რუსეთის წინააღმდეგ პოლონელი ხალხის ბრძოლა მიუზუფ პილსუდსკის მეთაურობით, იმჟამად ხელი შეუწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის გახანგრძლივებას [სარალიძე, 2010:57].

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა საქართველოს დაპყრობის საკითხიც გარკვეული ხნით გადაედო. რუსეთთან ხელშეკრულების დადების მიზნით, იმ დროს მოსკოვში მყოფმა გ.ურატაძემ, რომელმაც საქართველოში რუსული ჯარის თავდასხმაზე ინფორმაცია კერძო პირისგან მიიღო, ვ. ი. ლენინს პროტესტით მიმართა. იგი წერს: „მაშინვე მივმართე ლენინს და განვუცხადე, რომ თუ

არ მოახდენდა განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ, გავანებებდი თავს სამშვიდობო მოლაპარაკებას“ [ურატაძე, 1958:78].

რუსული მხარე დაბეჯითებით არწმუნებდა ქართველ დესპანს, რომ არანაირი ომი არ წარმოებდა და ქართულ-რუსული მოლაპარაკებისთვის ჭორებს ხელი არ უნდა შეეშალა. რსფსრ-სსრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სერგეი კიროვი დაინიშნა. იგი თბილისში 1920 წლის 20 ივნისს დიდი ამალით ჩამოვიდა. სულ მალე რუსეთის წარმომადგენლობაში თანამშრომელთა რიცხვმა ისევ მოიმატა. ყველა ისინი რუსეთის სახელმწიფოს ჯაშუშები იყვნენ. ბოლშევიკური რუსეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საქართველოში დესტაბილიზაციისთვის ყოველ ღონეს მიმართავდნენ. ს. კიროვის მითითებით, ბოლშევიკურ-კომუნისტური საქმიანობის გაძლიერების მიზნით, სოხუმში საგანგებო კომისია შეიქმნა, რომლის მიზანი იყო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად, აფხაზეთში შესაბამისი ატმოსფერო შეექმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა საქართველოში რსფსრ-ს დიპლომატიური წარმომადგენლობის სამხედრო ატაშე, გენერალი სიტინი. მან რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბს, არა ერთი საიდუმლო მოხსენება წარუდგინა, რომლებშიც საქართველოს დაშლა-დანაწევრების პროექტები იყო გადმოცემული.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების X მუხლის ძალით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წელს, ციხეებიდან 900 კომუნისტი გაათავისუფლა [მანველიშვილი, 1984:275].

მანველიშვილისგან განსხვავებული ინფორმაცია დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დოკუმენტში [ფონდი 6, საქმე 46144]. აქ აღნიშნულია, რომ ციხეებიდან განთავისუფლდა 608 კომუნისტი. საბჭოთა რუსეთის მთავრობა ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას გეგმაზომიერად ახორციელებდა. საქართველოში ანტი სახელმწიფოებრივი გამოსვლები, ე.წ. გლეხთა აჯანყებები, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, სწორედ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული.

1920 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ს. კიროვი უკან გაიწვია, როგორც საბჭოთა დელეგაციის მეთაური და რიგაში მიავლინა პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად. მის შემცვლელად საქართველოში არონშეინმანი დაინიშნა. მან დიპლომატიური ომი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად გააგრძელა. მიუხედავად ამისა, თბილისში მოქმედების მას ისე ეშინოდა, რომ რეზიდენციის ადგილად აირჩია ბაქო, საიდანაც ხელმძღვანელობდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

1920 წლის 13 დეკემბერს, რსფსრ-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი, გერასიმე მახარაძე ვ.ი. ლენინს შეხვდა. ელჩს სურდა, უშუალოდ ბოლშევიკების ბელადისგან მიეღო განმარტებები, რათა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რუსეთის სამშვიდობო განცხადებების გულწრფელობაში დაერწმუნებინა. გ. მახარაძის აზრით, თუ საქართველოს თავისუფალი განვითარების საშუალება მიეცემოდა, ქართველ ხალხში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილება აღარ იქნებოდა, რაც ორივე მხარის მუშაობას სასიკეთოდ წაადგებოდა. ამასთან დაკავშირებით, ვ. ლენინმა ქართველ ელჩს განუცხადა: „საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა, ცალკეული პიროვნებების ზრახვებსა და მოქმედებებზეა რაა აგებული, იგი მსოფლიოს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას ეფუძნება. ჩვენ ზავის მომხრე ვართ, ანტანტა – ომისა. ამიტომ იგი დემაგოგიისა და პროვოკაციის საშუალებით ცდილობს მთელ მსოფლიოში ჭორები გაავრცელოს ჩვენ შესახებ, შექმნას ყალბი წარმოდგენა, თითქოს ჩვენ ომი გვსურდეს... თუმცა, პატარა ერები გამოფხიზლდნენ, დაინახეს, რომ რუსეთმა ერთა თვით გამორკვევის საკითხი პირველმა დააყენა და დამოუკიდებელი პატარა ქვეყნებიც ცნო" [საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1864, 59].

1920 წლის 15 დეკემბერს, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გაფართოებულმა თათბირმა მიიღო დადგენილება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაუყოვნებლივ დამყარების შესახებ [საქართველოს ისტორია, 1984: 186].

1920 წლის მიწურულს, სამოქალაქო ომების შედეგად განადგურებული რუსეთის ხელისუფლების მთავარ ამოცანას ევროპასთან და პირველ რიგში,

ანტანტის ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარება წარმოადგენდა. რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევას ცდილობდა. კატასტროფული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, მოსკოვისთვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა. ვითარების გარკვევამდე, საქართველოსთან ომი რუსეთის გეგმაში ჯერჯერობით არ შედიოდა. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება, ამიერკავკასიას საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილავდა, მაგრამ იძულებული იყო ამ რეგიონში ევროპისა და ოსმალეთის ინტერესებიც გაეთვალისწინებინა.

აზერბაიჯანის და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლების წინაშე, თავისთავად საქართველოს ოკუპაციის საკითხი დაისვა. რუსებს არც ევროპის და არც ოსმალეთის შიში არ ჰქონდათ, უფრო მეტიც, ოსმალეთის ხელისუფლება თვით რუსეთისგან მოელოდა შველას [ჩაჩხიანი, 2015:105].

1920 წლის ბოლოს, ბოლშევიკური რუსეთი კომუნისტური დროშის ქვეშ ძველი იმპერიის აღდგენას შეუდგა. აზერბაიჯანის დაკავება მისთვის სამხრეთ კავკასიაში საკმარისი არ იყო. ბაქოს ნავთის ევროპაში გასატანად საჭირო გახდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის დაუფლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა-გასაბჭოება ბოლშევიკური რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა [ ნოზაძე, 1928].

რუსეთში კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა ქვეყნის დამოუკიდებლობის მომხრე იყო და თავგანწირულად დაიცავდა მას. ორჯონიკიძე ლენინს ქართველი ხალხის შესაძლო აჯანყებასა და მთავრობის დამხობის გარდაუალობაში არწმუნებდა. სინამდვილეში ამგვარი აჯანყება საქართველოში მოსალოდნელი არ იყო. აქ მხოლოდ რუსეთის დაქირავებული წითელი ჯარის კაცები იბრძოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ჩამოსაგდებად და კომუნისტური ხელისუფლების დასამყარებლად.

1921 წელს, ორჯონიკიძე კიდევ უფრო გააქტიურდა. 2 იანვარს მან ცეკას წევრების სახელზე სპეციალური მოხსენება გაგზავნა, სადაც საქართველოს დაუყოვნებლივ გასაბჭოების საჭიროებას ასაბუთებდა [ ირემაძე, 1984].

რუსეთის ხელისუფლება საქართველოში შემოჭრის საბაბს ეძებდა, რაც რეალურად არ არსებობდა. იანვრის ბოლოს, ბოლშევიკებმა ფაქტობრივად დაასრულეს დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკება, რომელსაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში მჭიდრო ურთიერთობის დამყარება უნდა მოჰყოლოდა. ამ თანამშრომლობის სანაცვლოდ, რუსეთი ცენტრალურ აზიაში დიდი ბრიტანეთის ინტერესებს უპირობოდ ცნობდა. თავის მხრივ, ინგლისის ხელისუფლება აღიარებდა, რომ კავკასია რუსეთის შიდა პოლიტიკის საქმეს წარმოადგენდა. რუსეთმა ფარულ შეთანხმებას ოსმალეთთანაც მიაღწია. ათათურქის მთავრობა, საქართველოს ისტორიულ კუთხეს – ტაო-კლარჯეთს ითხოვდა. 1921 წლის იანვრის ბოლოს, საბოლოოდ გაირკვა, რომ თუ ოსმალეთი არდაგანის, არ თვინის და ოლთისის ოლქებს მიიღებდა, სანაცვლოდ, ოსმალეთის ხელისუფლება საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოების წინააღმდეგი არ იქნებოდა.

ვითარების გარკვევის შემდეგ, რუსეთმა აქტიური მოქმედება დაიწყო. ბოლშევიკების საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის საჭირო საბაბი, ლენინის მისამართით, 20 იანვარს გაგზავნილ წერილში ასახა: „ჩიჩერინი – ლენინს. საქართველო ისე გავიდა თავს, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ დაგავასაბჭოოთ იგი. თქვენი ცით მოვლენათა თანამიმდევრობა: საქართველომ უარი თქვა მთლიანად შეესრულებინა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული შეთანხმება, რომელიც მის ნავსადგურში შესული ჩვენი გემების დაბრუნებას გულისხმობს. გარდა ამისა, დააპატიმრა ჩვენი თანამშრომლები, მასობრივ რეპრესიებს მიმართა კომუნისტთა წინააღმდეგ და უარი თქვა შეესრულებინა ამ საკითხზე ჩვენთან დადებული შეთანხმება“ [ შინაგან საქმეთა სამინისტრო სარქივი, ფონდი 12].

26 იანვარს, რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ, საქართველოს ოკუპაცია საბოლოოდ გადაწყვიტა. საქართველოს გასაბჭოებისთვის მოსკოვმა კავბიუროს მწვანე შუქი 1921 წლის 26 იანვარს აუნთო [ლენინი, 1972: 288, 289].

ცეკას გადაწყვეტილების შესახებ, კავბიუროს ხელმძღვანელმა სტალინისგან შეიტყო. ორჯონიკიძემ ბაქოში დაშიფრული დეპეშა მიიღო, რომელსაც ხელს სტალინი აწერდა.

6 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების ოპერაცია საბოლოოდ დამტკიცდა.

აჯანყების პროვოცირება მოხდა ლორეში, 1921 წლის 11 თებერვალს. დივერსიულმა ჯგუფებმა, ბორჩალოში დისლოცირებულ ქართულ ნაწილებზე იერიში მიიტანეს, რასაც მალე საქართველოში XI არმიის რეგულარული ნაწილების რუსეთისხელისუფლებამ XI არმიას შესაბამისი დირექტივა 14 თებერვალს მისცა. საქართველოში XI არმიის შეჭრის ბრძანებას ხელს თავად ლენინი აწერდა.

15 თებერვალს ორჯონიკიძემ, მოსკოვისგან ოფიციალურად მოითხოვა XI არმიის საქართველოში შეყვანაზე თანხმობა და კონკრეტული ოპერაციის დადასტურება. ორჯონიკიძემ უკვე კრემლის ხელისუფალთა ოფიციალური დადასტურება მიიღო, ბოლშევიკური მთავრობა უცხო ქვეყანაში შეიარაღებული ძალების შეჭრას, აჯანყებულთა დაცვის მოტივით ამართლებდა: პირველსავე სხდომაზე, რომელიც 16 თებერვალს, შულავერში გაიმართა, რევკომმა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურს ვლადიმერ ლენინს დახმარების შესახებ თხოვნა გაუგზავნა [ Актысоветской дипломатии 1928].

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს მოწინააღმდგემ შეტევა განახორციელა ვორონცოვკის, ჯალალ-ოღლისა და სანაინის მიმართულებით. სანაინის მიმართულებით ჯარის რულიად მოუმზადებელი იყო შემოტევისთვის და მტერმა თითქმის სადახლომდე  დაიკავა ბამბაკის ხეობა. მე-5 და მე-8 ათასეულები თითქმის მთლიანად განადგურდა (დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა). ი. გედევანიშვილის მხრიდან დაშვებულმა ტაქტიკურმა შეცდომებმა, ჯარის მცირე რაზმებად დაშლამ, განცდილმა მარცხმა, შემდგომში უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა თბილისის თავდაცვითი ბრძოლების გაგრძელებაზე. 1921 წლის 14 თებერვალს, მდინარე ხრამსა და სადახლოს მიდამოებში ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.  15 თებერვალს ლენინმა ოფიციალურად მისცა მითითება ჰეკერს, რათა მე-11 არმიას საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაეწყო.

ამავე დღეს 24 საათზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, მთავარ სარდალი, გენერალი ილია ოდიშელიძე, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, გვარდიის შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი, შინაგან

საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვები. შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მოხსენება გააკეთეს გენერლებმა ოდიშელიძემ და ზაქარიაძემ. მათი ინფორმაცია საკმაოდ ზოგადი იყო. არ იცოდნენ არც შენაერთების ზუსტი ადგილსამყოფელი და არც მათი მდგომარეობა. თათბირის დროს მრავალ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა. სხდომაზე კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, რომ ე.წ. „ფოილოს ჯგუფის" უფროსად გენერალი გ. კვინიტაძე დაენიშნათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შინაგან საქმეთა მინისტრის - ნოე რამიშვილის გეგმის წინააღმდეგი იყო.

16 თებერვალს დღის პირველ ნახევარში ილია ოდიშელიძე გადააყენეს და მთავარსარდლად გენერალი კვინიტაძე დანიშნეს. ახალმა მთავარსარდალმა თბილისში გამოიძახა არმიის მე-4 და მე-10 ათასეულები და გვარდიის გორისა და ხაშურის ბატალიონები. ცოტა მოგვიანებით იქნა გამოძახებული ახალქალაქიდან და არდაგანიდან არმიის მე-11 და მე-12 ათასეულები.

16 თებერვალს, წითელი დაფოილოს ხიდების მიმართულებით შეტევა დაიწყეს მე-11 არმიის ნაწილებმა. წითელხიდთან მდგომმა მცირერიცხოვანმა ქართულმა არმიამ, რომელთა ნაწილი ბრძოლაში განადგურდა, უკან დაიხია და წითელი ხიდი დატოვა. წითელი ხიდის დაკარგვამ უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო მდინარე ხრამის მარცხენა ნაპირზე გამაგრებული სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას ნაწილები. მტერი მათ მარცხენა ფლანგსა და ზურგში მოექცა. გენერალმა სოსო გედევანიშვილმა ნაწილები მიატოვა, სარდლობა გენერალ სუმბათაშვილს გადააბარა, თავად თბილისში წამოვიდა. მდ. ხრამზე მდგომი ნაწილები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ სარდარასაკენ. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოილოს სარკინიგზო ხიდს. რუსებიც დილობდნენ, ხიდი დაეკავებინათ და ქართველებისთვის მისია ფეთქების საშუალება არ მიეცათ. ხიდის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა მე-11 არმიის ხუთი ჯავშან მატარებელი ( #7, 94, 5, 77, 61). რუსებმა ორჯერ სცადეს სოფელ კრაგესმანთანფონის გადმოლახვა, მაგრამ ორივე ჯერ უკუქცეულ იქნენ. ასევე ვერ შეძლო მათმა კავალერიამ სოფელში ხალოდან ფონზე გადასვლა და შეტევის განხორციელება. აქ მათ ზუგდიდის

ბატალიონმა გადაუკეტა გზა. მთელი დღის მანძილზე რუსების მცდელობას, მდინარე გადმოელახათ წარმატება არ მოჰყოლია (ფოილოს ხიდთან ბრძოლაში მონაწილეობდა მე-9 დივიზიის 74-ეპოლკის მე-2 ბატალიონის პოლიტკომინიკიტა ხრუშჩოვი). 22 საათზე ფოილოს ხიდთან მდგომმა ნაწილებმა, თბილისისაკენ უკან დახევის შესახებ მთავარსარდლის ბრძანება მიიღეს და პოზიციები დატოვეს. 16 თებერვალსვე დაიწყო შემოტევა ზაქათალის მხრიდან. კახეთში დისლოცირებული მე-6 ათასეულის შენაერთები პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი, ამიტომ მათ მტერს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ეკატერინე ნფელდს მიაღწიეს მდ. ძორაგეტიდან. აქ არ დახვდათ არც ბრძანება და არანაირი სახის ინფორმაცია. რადგან მათ კვალდაკვალ წითელი კავალერია მოსდევდათ, გადაწყდა ნაწილებს სარდარას მიმართულებით დაეხიათ უკან. მხოლოდ ნაწილმა გადაწყვიტა, ტაბახმელასკენ წასვლა. იმნაძესა და ჩხეიძის ქვედანაყოფებს ფაქტობრივად ალყის გარღვევა მოუხდათ, რათა აღნიშნული მიმართულებებით უკან დაეხიათ. დემორალიზებულმა ქართულმა ნაწილებმა დაკარგეს ერთი ბატარეა. 17 თებერვალს, ჩხეიძისა და იმნაძის შენაერთებმა სანდარას მიაღწიეს, სადაც ჯერ კიდევ იდგა სადახლოდან უკან დახეული ჯარის (გენერალ სუმბათაშვილის დაჯგუფება) ნარჩენები და მათთან ერთად თბილისისკენ დაიხეს.

1921 წლის 16 თებერვალს, მთავრობის წარმომადგენლები _ გრიგოლ ლორთქიფანიძე და გრიგოლ რცხილაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. პირველი სიტყვით ახალგაზრდებს გრიგოლ ლორთქიფანიძემ მიმართა და მათ წმინდათა წმინდა მოვალეობის _ სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა. ყველაზე დიდი გავლენა სტუდენტებზე უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის გამოსვლამ მოახდინა.

1921 წლის 17 თებერვალს, ს. ორჯონიკიძე, ი. სტალინს, პირდაპირი მავთულით გადაცემული ინფორმაციით ატყობინებდა: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ, საქართველოს ტერიტორიაზე, აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია განთავისუფლებულ ქართველ გლეხთა შორის. გლეხები თავიანთ მხსნელებს პურ-მარილით ხვდებოდნენ, ბევრნი სიხარულისგან ტიროდნენ“ [შსს არქივი, საქმე 836]. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

1921 წლის 17 თებერვალს, დილის 5 საათზე, ქართული სამხედრო სკოლის ხელმძღვანელობამ მიიღო სპეციალური ბრძანება, სამხედრო სკოლა საჩქაროდ უნდა გასულიყო ტაბახმელას პოზიციებზე [ჩხეიძე, 1933:13].

სამხედრო სკოლის იუნკრები, მეთაურებთან ერთად, გამოვიდნენ სკოლის ეზოდან და რუსთაველის გამზირისკენ გაემართნენ. გამზირზე შეკრებილი საზოგადოება მათ ოვაციებითა და შეძახილებით ამხნევებდა. ახალგაზრდა იუნკრების გვერდით თავგანწირულად იბრძოდნენ ფრონტზე მოხალისედ წასული სტუდენტები. ისინი პირველები გამოეხმაურნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწოდებას და იმ თავითვე ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. ქართული სამხედრო სკოლის იუნკრებს და მათ ხელმძღვანელს, ქართული არმიის პოლკოვნიკს ალექსანდრე ჩხეიძე, ნაბრძანები ჰქონდათ დაეკავებინათ ძველი დანგრეული სანგრები კოჯრიდან ტაბახმელას გავლით. 20 თებერვალს კოჯრის რაიონში, წითელი არმიის ნაწილებმა კვლავ მარცხი განიცადეს, რუსმა ჯარისკაცებმა ტყვია მფრქვევები და საბრძოლო ტექნიკა ბრძოლის ველზე მიატოვეს.

1921 წლის 21 თებერვალს, ბათუმში, დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნ. ჟორდანიამ ისაუბრა ომის ხასიათსა და მიმდინარეობაზე, ქართული ჯარის საომარი ორგანიზაციის გამოსწორებასა და საუკეთესო  პოზიციების დაკავებაზე, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დიდი ხნიდან მომზადებული აგრესიის მიზნებზე" [„ერთობა" 1921].

როგორც გენერალი ზაქარიაძე იგონებს, ჟორდანიას მიეცა უფლება, შეედგინა კოალიციური მთავრობა საზღვარგარეთ გასაგზავნად, სადაც მისი წევრები იბრძოლებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღსადგენად ევროპის დახმარებით. ჟორდანიას უფლება მიეცა თვითონ დაენიშნა თავისი მოადგილე და თან წაეყვანა მუშაობისთვის აუცილებელი სპეციალისტები და პიროვნებები [ზაქარიაძე, 1994:49-69].

1921 წლის 22 თებერვალს ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთხელ მიმართა ლენინს და ტროცკის საომარი მოქმედებების შეჩერების მოთხოვნით, თუმცა პასუხი არ მიუღია. ბრძოლა უთანასწორო იყო. 1921 წლის 24 თებერვალს, დილით, თბილისზე

მყისიერი თავდასხმის განსახორციელებლად, XI არმიამ, რუსეთის საბჭოთა მეთაურებისგან ახალი ბრძანება მიიღო.

1921 წლის 24 თებერვალს საქართველო-რუსეთის ომის ფრონტის ხაზი კახეთიდან მანგლისამდე 90 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. რეზერვის სიმცირის გამო, ფრონტის დაცვა შეუძლებელი გახდა. ზოგიერთ რაიონში თბილისის მისადგომები საერთოდ დაუცველი იყო. რუსეთის არმიამ ისარგებლა ამ ვითარებით და სოფელ დიღომის გავლით, ქართული ჯარის ზურგში შეიჭრა. შეიქმნა რეალური საფრთხე, რომ მტერი ავჭალაში შეიჭრებოდა და ქართულ ჯარს უკან დასახევ გზას მოუჭრიდა. ასეთ ვითარებაში 24 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგა გენერალი გიორგი ოდიშელიძე, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარემ _ ნოე ჟორდანიამ მხარი გენერალ გიორგი კვინიტაძეს დაუჭირა [საქართველო-რუსეთი 2016: 180,181].

25 თებერვალს თბილისში რუსეთის XI წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ. სერგო ორჯონიკიძემ ვ.ი. ლენინს და ი.ბ. სტალინს, კრემლში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ [Орджоникидзе 1936:39].

საბჭოთა და თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია საერთოდ არ ცნობს რუსეთ-საქართველოს ომს და 1921 წლის თებერვალ-მარტის სამხედრო დაპირისპირებას, რუსეთის სამოქალაქო ომის ჭრილში განიხილავს. 25 თებერვალს თბილისის დატოვებასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „25 თებერვლის წინა ღამეს საქართველოს სარდლობამ, აღარ ჰქონდა რა იმედი შეენარჩუნებინა მათ მიერ მტკიცედ გამაგრებული უბანი ქალაქ თბილისის რაიონში, თავისი ჯარები გაიყვანა ქალაქიდან და დაახევინა ბათუმის მიმართულებით. ამრიგად, წითელ დაზვერვას, რომელიც დილითვე გაიგზავნა თბილისის მიმართულებით, მოუხდა დაედგინა მოწინააღმდეგის მიერ ქალაქის დატოვების ფაქტი. იქ დაუყოვნებლივ დაიწყო წითელი ნაწილების შეყვანა. ქალაქი თბილისი აღებულ იქნა გასროლის გარეშე. წითელი ჯარების შესვლას ქალაქში მხურვალედ მიესალმა მოსახლეობა...“[ Траскунов

1958:225]. სინამდვილეში, ქართველ ხალხს რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, არც საქართველოში, და შემდგომ, არც ემიგრაციაში შეუწყვეტია.

თბილისის დაცემის შემდეგ, 13 მარტამდე ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა შიდა ქართლში, აფხაზეთსა და იმერეთში. მათ შორის იყო 5-6 მარტის სურამის ბრძოლა, რომელშიც ქართული ჯარი ბოლშევიკების შეჩერებას ლიხის ქედზე ცდილობდა. ხაშურის აღმოსავლეთით, ოსიაურთან გამართული ბრძოლა 6 მარტს ქართველთა მარცხით დამთავრდა [ სილაქაძე, 2011: 239-255].

ქართული სარდლობა, უკანასკნელი თავდაცვითი ხაზის შექმნას ცდილობდა, მაგრამ ამ პერიოდში აჭარაში ოსმალები შემოიჭრნენ და ეს გეგმა ვერ განხორციელდა. უკან დახევის დროს, იუნკრებმა ბათუმამდე მთელი გზა ბრძოლით გაიარეს. 9 მარტს, ბოლშევიკების ჯარმა აიღო ზუგდიდი, 10 მარტს ქუთაისი, 14 მარტს _ ფოთი. ქართული ჯარის წინააღმდეგობას ართულებდა მამისონის უღელტეხილიდან რიონის ხეობით ქუთაისისაკენ მომავალი, ასევე, აფხაზეთში სოხუმის მიმართულებით შეტევაზე გადასული რუსული არმიის ნაწილები. მოვლენათა განვითარებამ უჩვენა, რომ გამართლდა გენერალი ლია ოდიშელიძის შიში. დედაქალაქის დატოვებამ ჯარისა და ხალხის საბრძოლო სულისკვეთება დასცა. უმრავლესობამ გამარჯვების იმედი დაკარგა. თბილისის დატოვება აღიქვეს, როგორც საბოლოო მარცხი.

ბრძოლის გაგრძელებას ქემალისტური ოსმალეთის მთავრობის ანტიქართული პოლიტიკაც აძნელებდა. ოსმალეთის ჯარმა არტაანი და ართვინი დაიკავა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა. აშკარა გახდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა ქემალისტური ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის საერთო მიზანს წარმოადგენდა [თოიძე, 2009: 13]. ბოლშევიკებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თანამშრომლობა შესთავაზეს. მათ წარმომადგენლებს რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანდნენ, თუ სოციალ-დემოკრატები და სხვა პოლიტიკური პარტიები ოფიციალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, რაზეც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მტკიცე უარი მიიღეს.

საქართველოს ხელისუფლებას უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, რუსეთის წინაშე კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. ნოე ჟორდანიას საქართველოში დარჩენა დაკომუნისტებთან თანამშრომლობა, უშუალოდ, სერგო ქავთარაძემ შესთავაზა. ეროვნული მთავრობა მხოლოდ ბათუმის საკითხზე დაელაპარაკა ბოლშევიკებს, იმ მოტივით, რომ იგი ოსმალეთის ჯარს არ დაეკავებინა. საქართველოს ეროვნული მთავრობა უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან მას არ შეეძლო ერთსა და იმავე დროს ორ ფრონტზე ბრძოლა. არტაანის და ართვინის დაკავების შემდეგ, ოსმალეთის მთავრობამ, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელს განუცხადა, რომ ოსმალეთისთვის მეტი სადავო ტერიტორია აღარ არსებობდა და ისინი ქართველებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ომში დაეხმარებოდნენ. სინამდვილეში, ეს ოსმალების მორიგი ხრიკი იყო, რადგან მათი ჯარი ბათუმის დაკავებას აქტიურად განაგრძობდა. ცხადი გახდა, რომ ოსმალეთის მთავრობას პრეტენზიები ჰქონდა არამარტო არტაანის და ართვინის ოლქზე, არამედ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებზეც, ასევე ბათუმსა და მთელ ბათუმის ოლქზე [ნოზაძე, 1989:103-104].

საქართველოსაც დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ბათუმიდან გრიგოლ ლორთქიფანიძე ქუთაისში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის რწმუნებულთან _ მამია ორახელაშვილთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა. შეხვედრა 1921 წლის 17-18 მარტს, ქუთაისში, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის _ აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

ის ფაქტი, თუ რატომ დათანხმდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ოკუპანტ ძალებთან მოლაპარაკებას, ახსნილი იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის სპეციალურ განცხადებაში. არსებულ პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობის დეტალებთან ერთად, მაშინდელი სამხედრო მინისტრი ასე ხსნიდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ამ ნაბიჯს: „საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებაში ხელმძღვანელობს იმ აზრით და მისწრაფებით, რომ ყოველგვარი ღონე და ზომა იხმაროს საქართველოს მთლიანობის დასაცავად, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შინაგანი წყობილება იქნება დღეს ან ახლო მომავალში საქართველოში. ამავე დროს, საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ ეს შეთანხმება სრულიად არ სჭრის ამათუ იმ ხელისუფლების ცნობის საკითხს. საქართველოს კანონიერ მთავრობად ის თვლის თავის თავს, სადაც და რა პირობებშიც უნდა დარჩეს, ვიდრე მთელი ქართველი ხალხის უმრავლესობის თავისუფლად გამოთქმული ნება არ იტყვის ამის წინააღმდეგს“ [ჭუმბურიძე, 2012:39].

ამ მიღწეული შეთანხმების თანახმად, საომარი ოპერაციები შეწყდა. მოლაპარაკების თანახმად, ბოლშევიკების ჯარს საშუალება მიეცა ბათუმი ოსმალების შემოსევისგან დაეცვა. რუსეთ-საქართველოს გაერთიანებულმა ძალებმა, ოსმალები ბათუმიდან განდევნეს. ნ. ჟორდანიას მთავრობამ სრული უნდობლობა გამოუცხადა რუს ოკუპანტებს, საქართველოს ტერიტორია დატოვადა 17 მარტს ემიგრაციაშიგაემგზავრა, რათა იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ქართულმა საჯარისო ნაწილებმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, ბათუმისთვის გამართულ ბრძოლაში ოსმალების დამარცხება მოახერხეს. 1921 წლის 20 მარტის 12 საათისათვის, ბათუმსა და მის ოლქში მტრის არცერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ იყო [ჯანელიძე, 2011: 138].

1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს მიეკუთვნა, ართვინი და არტაანი ყარსის ოლქთან ერთად კი ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ემიგრანტი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი წერს: „... 16 მარტს, 1921 წელს, მოსკოვში, თურქებმა და რუსებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მეორე მუხლით, თურქეთი უთმობს საქართველოს თავის სუვერენულ უფლებებს ბათუმზე. აქედან ირკვევა რომ ეს „სუვერენობა“ მას უკვე გამოცხადებული ჰქონდა 16 მარტის თუნდაც ერთი დღის წინ, სხვანაირად როგორ დაუთმობდა იმას, რაც მას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე, ამ დროს თურქების მიერ ბათუმის დაკავება იყო მხოლოდ დიპლომატიური მანევრი. თუმცა მისი პრეტენზია მუდამ ჰქონდათ, მაგრამ ისიც იცოდნენ რომ რუსები ბათუმისთვის მოდიოდნენ და მას თურქებს როგორ დაუთმობდნენ! ეტყობა, არც საქართველოს მთავრობას, არც სარდლობას და არც

ადგილობრივ კომუნისტებს 17 მარტს ეს არ სცოდნიათ, თორემ ღია კარების მტვრევა არ დასჭირდებოდათ... თურქები, თანახმად ხელშეკრულებისა, უნდა წასულიყვნენ და თურქულ საბუთებშიც დამარცხებაზე არ ლაპარაკობენ, არამედ ბათუმის დაცლაზე“ [ მანველიშვილი, 1985: 301-302]. ბათუმში შექმნილ სიტუაციას და ოსმალეთის პოლიტიკას ასე აფასებს თედო ღლონტი: „ქემალის გაბედული მოქმედება მესხეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში აგებული იყო იმ რწმენაზე, რომ საქართველოს აღარა ჰყავს პატრონი, რომ რევკომში სამშობლოს სიყვარული ყელს ზევით გამოთქმული დეკლარაციაა, რომ საკმაოა საზღვრებში ცერემონიალური სეირნობა, რომელიმე ჯარებისა და ეს ტერიტორიაც იმის მფლობელობაში შევა, ვინც შეძლებს ასეთს ცერემონიალს...“ [ღლონტი, 1921:3].

რუსეთ-საქართველოს ომი, 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობით და საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით დასრულდა. რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ომის შედეგები მეტად მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის. საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო შეთანხმება, განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი აგრესია _ შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, მოახდინა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია-ოკუპაცია და ძალდატანებითი გასაბჭოება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ევროპული საგარეო ორიენტაციის კურსი ჩაიშალა. ქართველი ხალხი 70 წლის მანძილზე კომუნისტური რეჟიმის მარწუხებში აღმოჩნდა, რომელიც დანარჩენი მსოფლიოსგან „რკინის ფარდით იყო გამიჯნული“.

## $ 2. ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს გადასარჩენად 1921-1924 წლებში

დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის დაცემა, საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია ქართული საზოგადოების

მოწინავე ნაწილისთვის, ყველა საღად მოაზროვნე პატრიოტისთვის ნამდვილი სულიერი ტრამვა იყო. დაიწყო ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოს გადასარჩენად. აღმოსავლეთ საქართველოში ბრძოლის ლიდერად იქცა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

იგი პირდაპირი ჩამომავალია კახეთის 1659 წლის „ბახტრიონის აჯანყების“ მთავარი გმირის _ ბიძინა ჩოლოყაშვილისა. მას მხარი დაუჭირა დავით ჭავჭავაძემ, რუსეთში ქართველ ცხენოსანთა ათასეულის პირველმა ჩამომყალიბებელმა, რომელიც შემდგომში ქაქუცა ჩოლოყაშვილის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი გახდა.

როდესაც რუსებმა შემოტევა დაიწყეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი დავით ჭავჭავაძე საქართველოს მთავრობის მიერ სამეგრელოში იყვნენ გაგზავნილნი, ამ რეგიონში ცხენოსანი ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. მათ რამდენიმე ოფიცერიც ახლდათ, მათ იქ ასიოდე ცხენოსნის შეგროვებაც ვერ მოასწრეს, რომ 1921 თებერვალში საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს. მთავრობამ თბილისი დატოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. საჯავახოს (სამტრედიის რ-ნი) სადგურზე შეხვდნენ ერთმანეთს უკან დახეული ქართული ჯარის ნაწილები და დავით ჭავჭავაძე, ქაქუცასთან და თავის ცხენოსნებთან ერთად. იგი სადგურზე მასთან მისულა ლექსანდრე სულხანიშვილს მომავალ გეგმებზე ესაუბრა.

რუსეთის ხელმძღვანელობასა და თურქეთის ბელადის - მუსტაფა ქემალ-ფაშას (ათა-თურქი) შორის საიდუმლო პოლიტიკური გარიგება მოხდა. რუსეთი არ აპირებდა მისთვის კავკასიის დათმობას, ამიტომ აჭარაში მათი ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა. ქართველმა პატრიოტებმა, რომელთა შორისაც იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დაივიწყეს ის დიდი ზიზღი, რაც მათ ბოლშევიკებისადმი ჰქონდათ, უარყვეს ყველა გრძნობა, პოლიტიკური ანგარიში და ბათუმში ბოლშევიკ-მეთაურებთან დაიწყეს მოლაპარაკება აჭარის თურქებისაგან ერთობლივად გათავისუფლების შესახებ. სწორედ მისი წყალობით არ განუიარაღებიათ ქართული ცხენოსანი დივიზია. ჟლობამ (რუსთა სარდალი) თავისი ცხენოსანი რაზმები ქართულთან შეაერთა და ამ ჯარის მეთაურობა ქაქუცას შესთავაზა, როგორც ძველ ნაცნობსა და ნიჭიერ მეომარს. მაგრამ ქაქუცამ უარი თქვა. მეთაურად, მისი

მითითებით, გენერალი ფრიდონ წულუკიძე დაინიშნა, თანაშემწედ კი ქაქუცა. ის, რომ ქაქუცა ფაქტიურად ამ ცხენოსან არმიაში შევიდა და თანამდებობაც მიიღო, არ ნიშნავდა მის შერიგებას შემოსეულ მტერთან. იგი სამხედრო იყო და ვითარება იმგვარად წარიმართა, რომ ბათუმშივე ვერ გამოხატავდა თავის უარყოფით შეხედულებას, ამ დროისთვის ერთად ერთ ცხენოსან სამხედრო შენაერთში შესვლასთან დაკავშირებით. დავით ჭავჭავაძის ყველა ყოფილი კავალერისტი ამარმიაში შევიდა, მაგრამ არცერთ მათგანს არ უფიქრია ბოლშევიკურ რეჟიმთან შერიგება. მათი მიზანი იყო, ყველანაირი საშუალებით მოემზადებინათ ნიადაგი სახალხო აჯანყებისათვის. ჩოლოყაშვილი ცხენოსან დივიზიასთან ერთად ბათუმიდან ქუთაისში დაბრუნდა, იქიდან თბილისში, ჯარით გაჩერდა ნავთლუღის ყაზარმებში, საიდანაც მოკლე ხანში გადავიდა ბორჩალოში - ეკატერინოფელდში. აქ გაუმჟღავნა მან თავის თანამებრძოლებს გადაწყვეტილება პარტიზანული ბრძოლების დაწყების შესახებ, რაშიც მაშინვე აუბეს მხარი საქართველოს ბედით შეწუხებულმა ქართველებმა.

ის ჩუმად შეხვდა გენერალ კოტე აბხაზს, ილია ჭავჭავაძის უმცროსი დის, ნინოს ვაჟიშვილს, რომელიც დამოუკიდებლობამდე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მარშალი იყო, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა ე.წ. პარიტეტულ კომიტეტს. პარტიზანული მოძრაობის გააქტიურებას ხელი შეუწყო იმ საშინელმა რეპრესიებმა, რომელიც საქართველოში გაჩაღდა რუსეთის მიერ.

ქაქუცა მოელაპარაკა კოტე აბხაზს მომავალი ბრძოლების თაობაზე. გადაწყდა პარტიზანული ბრძოლების გამართვა მთელს საქართველოში, რომელიც ბოლოს რუსების წინააღმდეგ ერთიანი ქართული აჯანყებით უნდა დასრულებულიყო.

1921 წლის ივლისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი თანამოაზრეებთან ერთად კახეთში გადავიდა, საიდანაც პარტიზანული მოძრაობა უნდა დაწყებულიყო. კახეთიდან იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გზავნიდა სანდო პირებს და ქმნიდა ფარულ ორგანიზაციებს ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველად ასეთი ორგანიზაციები დუშეთსა და გორის მაზრაში შეიქმნა. მათი შექმნა ევალებოდა პატარა ბირთვს, რომელშიც სანდო პირები შედიოდნენ. ბირთვის

საქმიანობა და შემადგენლობა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მებრძოლებს ჰქონდათ იარაღი, რომლითაც მათ „პარიტეტული კომიტეტი“ ამარაგებდათ, ან რუსებზე თავდასხმის შემდეგ თვითონ შოულობდნენ.

ქაქუცა გადის ტყეში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებთან ერთად, თანაც, ცხენოსან ათასეულშიც ითვლება, რომელიც საბჭოთა საქართველოს ოფიციალური ნაწილია. საიდუმლო რაზმები და ორგანიზაციები მკაცრი კონსპირაციულობით დგებოდა. ჯარში მოღვაწეობდნენ ბოლშევიკთა მომხრე ოფიცრები, მაგრამ შინაგანად ქაქუცას მოძრაობის მხარეს იდგნენ. ისინი, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას ამჟღავნებდნენ თავიანთ სიმპათიას და ქაქუცას რაზმელებს ეხმარებოდნენ. ქაქუცას რაზმელებს ისტორია იცნობს „შეფიცულები“-ს სახელით.

**დამოუკიდებლობის კომიტეტი.** 1922 წელს დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი), რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფაღავა და სამხედრო ცენტრი გენერალ კოტე აბხაზის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, ვარდენ წულუკიძის, გიორგი ხიმშიაშვილის და როსტომ მუსხელიშვილის შემადგენლობით. ცენტრი ხელმძღვანელობდა მომავალ გამოსვლებს კახეთსა და ხევსურეთში.

მებრძოლი ბირთვის წევრები ხვდებოდნენ გავლენიან პირებს და ყოფილ მეომრებს, უზიარებდნენ მათ თავიანთ გეგმებს, ისინი კი ხალხს ამზადებდნენ. კახეთის სოფლებში მათ ბევრი ფარული ორგანიზაცია შექმნეს, ჩამოაყალიბეს საბრძოლო რაზმები, რომელთაც სათავეში სანდო და მამაცი მეთაურები ჩაუყენეს. დროდადრო ქაქუცა ხვდებოდა მათ რჩევა-დარიგებების მისაცემად. ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგეს თვითონ შოულობდნენ. როდესაც ხმა გავარდა, ქაქუცა პარტიზანულ რაზმებს აყალიბებსო, ჩოლოყაშვილის დასახმარებლად ერთ კვირაში დადგა კახეთი ფეხზე და რაც გააჩნდათ, ყველაფრით ეხმარებოდნენ გაფიცულებს. როდესაც ცხენოსანი ათასეული თბილისში გადმოიყვანეს, ქაქუცამ დატოვა ჯარი და ისევ კახეთში წავიდა. იგი მთლიანად პარტიზანულ მუშაობასა და არალეგალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე გადავიდა, იშვიათად ჩამოდიოდა თბილისში, უმეტესად, თელავის, სიღნაღისა და დუშეთის მაზრებში იყო. მასზე უკვე ეჭვი

ჰქონდათ აღებული და თბილისში ჩამოსვლასაც ამიტომ ერიდებოდა. იყო შემთხვევა, როდესაც ღამე ცნობილი ბოლშევიკის, საშა გეგეჭკორის ბინაზეც გაათია, როგორც მისმა მეგობარმა. რათქმა უნდა, მაშინ გეგეჭკორმა არაფერი იცოდა ქაქუცას საქმიანობის შესახებ. იქნებ ხვდებოდა კიდეც, რომ ქაქუცას ვერასდროს მიიმხრობდა მაშინდელი ბოლშევიკური ხელისუფლება, მაგრამ გეგეჭკორი არ ამჟღავნებდა ამას. ქაქუცასთვისაც ყველაზე უსაფრთხო მის ბინაზე ღამის გათევა იყო, ორივეს, - სტუმარსაც და მასპინძელსაც საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ და ამაში არც არაფერია გასაკვირი. იმ ურთულეს დროში საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება მძვინვარებდა. ერთმანეთთან ბრძოლაში ადამიანები ყველანაირ ხერხს იყენებდნენ მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად. ბოლშევიკ გეგეჭკორისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ზემოთ ნახსენები შეხვედრაც ამ ბრძოლაში გამოყენებული ტაქტიკის ნაწილი იყო.

ქვემოთ ჩვენ აუცილებლად შევეხებით იმ აზრთა სხვადასხვაობას, რაც 1923-1924 წლების მოვლენების შეფასებას ეხება, მთავარი, ჩვენი აზრით, ის ეროვნული მუხტი და დაუმორჩილებლობის გამოხატვაა, რაც ქართველმა ხალხმა გამოიჩინა 1921-1924 წლებში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ პერიოდის ძირითადი თავისებურება იყო მისი კონსპირაციულობა, არალეგალური სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, პარტიზანული ბრძოლების გაჩაღება რუსული საბჭოთა არმიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ.

1922-1923 წლების პარტიზანული მოძრაობა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით. პირველ იშეტაკება მთავრობის წითელ რაზმებთან ქაქუცასა და მის თანამებრძოლებს **სიღნაღთან** მოუხდათ, 1922 წლის ივნისში. ამის გამო ქაქუცა დააპატიმრეს. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც სიღნაღის რევკომში ჩეკას საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ მიღებული იმის თაობაზე, რომ თუკი იქ ჩოლოყაშვილი გამოჩნდებოდა, უნდა დაეტუსაღებინათ და თბილისში გადმოეგზავნათ. სიღნაღის რევკომში მუშაობდა ცხენოსანთა ათასეულის ყოფილი ოფიცერი, კაპიტანი დათა გომელაური, რომელიც თანაუგრძნობდა ჩოლოყაშვილს და მის მოძრაობას. მან გადამალა ბრძანება და ქაქუცას მეგობრებს სასწრაფოდ შეატყობინა მისი

დატუსაღების ამბავი. იმავე ღამეს რევკომს თავს დაესხა ექვსი კაცი. მათ იარაღი აჰყარეს მილიციონერებს და ქაქუცა გაათავისუფლეს. ქაქუცა, თავის შეფიცულებთან ერთად, ალვანის ტყეში დაბანაკდა. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყეს საიმედო ბაზის მოძებნა. საამისოდ პანკისის ხეობა აირჩიეს. ქისტები მათ დიდ მხარდაჭერას უცხადებდნენ. ადგილი დაცული იყო, აქედან გადადიოდა გზები კავკასიონის ქედისა და თუშების საზაფხულო იალაღებისაკენ. ჯერ ერთი, საფრთხის შემთხვევაში ჩეჩნეთში შეიძლებოდა გადასვლა, მეორეც, აქ ზაფხულობით ჩამოსულ თუშებს გამოიყენებდნენ. პანკისის ბაზაში ხალხი მოდიოდა ქაქუცას რაზმთან შესაერთებლად.

განსაკუთრებული იყო შემთხვევა **მატანის** მიდამოებში: ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმები მუდმივად მოძრაობდნენ. მათი ერთ ადგილზე გაჩერება არ შეიძლებოდა, რადგან კომუნისტური მილიცია ფეხდაფეხ დასდევდა. ერთი ღამე რაზმმა მატანში, ტყეში გაათია, საიდანაც მეორე ღამეს ახმეტის ბოლოს გავიდა. ამ ტყეში დარჩნენ ღამით, მეორე დღეს თელავ-სიღნაღის მაზრისაკენ აპირებდნენ წასვლას. შეფიცულები ფრთხილად ათვალიერებდნენ გზებს. მეჩხერი ტყით დაფარულ გორაკზე იმყოფებოდნენ და აქედან ხელისგულივით ჩანდა არემარე. უცებ შენიშნეს, როგორ არტყამდნენ ალყას, ერთი თეთრფორმიანი კი უთითებდა მილიციელებს, თუ რა პოზიცია დაეჭირათ. ქაქუცას ბრძანებით იგი მოკლული იქნა, დანარჩენები კი გაიქცნენ. ბოლშევიკებში ჩოლოყაშვილის თანამგრძნობი ადამიანებიც მუშაობდნენ, რომლებმაც შეატყობინეს, თუ ვისი გაცემული იყო მათი თავშესაფარი. ამიტომ მომხდარში გარკვევა არ გაჭირვებია. იძულებული გახდნენ გამცემი დაეხვრიტათ. ქაქუცა იშვიათად იჩენდა სისასტიკეს, ის ლმობიერი, ნამდვილად დიდი გულის ადამიანი იყო, მაგრამ კარგად იცოდა ბრძოლის დაუწერელი კანონები. ქისტი რომ გაეშვათ, მას მაინც მოკლავდნენ კომუნისტები.

1922 წელი მოუსავლიანი იყო საქართველოში. შიმშილობამ ქაქუცას პარტიზანულ რაზმშიც შეაღწია. ზოგიერთმა მათგანმა იცოდა საჭმელად ვარგისი ბალახების ცნობა და რამდენიმე კვირა ასე იკვებებოდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ ჩამქრალა პატრიოტული სულისკვეთება არა მარტო რაზმში, არამედ

მოსახლეობაშიც. ყველამ იცოდა, რა სიძნელეების გადატანა უხდებოდათ შეფიცულთა რაზმების წევრებს, მაგრამ მათ ხალხი ამხნევებდა.

**დედოფლის წყაროსთან** ბრძოლამ ქაქუცა ჩოლოყაშვილს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი. მთელმა საქართველომ იცოდა ქაქუცას მებრძოლების შესახებ, ყველგან ვრცელდებოდა ხმა: ჩოლოყაშვილმა რაზმი შეადგინა, რომელიც რუსებს ებრძვისო. მთავრობამ დაინახა, რომ ქართველი ხალხი მას კი არა, ტყეში გასულებს უჭერდა მხარს. ამიტომ ბოლშევიკები ქაქუცას წინააღმდეგ რაზმს რაზმზე აგზავნიდნენ, დიდ ჯილდოს ჰპირდებოდნენ მის მკვლელს, ან ცოცხლად შემპყრობელს.

მთავრობისაგან შედგენილი მილიციელებისა და კომუნისტი აქტივისტების რაზმი ერთი კვირა გამწარებული დასდევდა ჩოლოყაშვილის რაზმს. ერთ დილას ქაქუცამ დაინახა მდევარი რაზმი, რომელიც დედოფლისწყაროდან უკან ბრუნდებოდნენ. ორი გზა მოდიოდა, არავინ იცოდა, რომელი გზით წამოვიდოდნენ. ამ გზებს შორის ოთხ კილომეტრიანი ტყის მონაკვეთი იყო. ქაქუცამ ასე გადაწყვიტა: რაზმი ჩაესაფრებინა ორი გზის შუამონაკვეთში, რათა ორივეს გაკონტროლება შესძლებოდა. ორივე გზის მოთვალთვალედ თითო ცხენოსანი გაუშვა, რომელთაგანაც გაიგებდა მტრის მოძრაობის მიმართულებას. მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო მის შესაპყრობად შექმნილი რაზმი. უცებ მოვარდა ერთი მზირი (მოთვალთვალე), რომელმაც ამბავი მოიტანა, უზუნდარის ხეობის შარაგზით მოდიანო. სირბილით დაეშვნენ, რომ ხელიდან არ დასხლტომოდათ მტერი. მდევრები ცხენებით იყვნენ, რაზმელები კი ფეხით. თანაც გზის პირას სულ მეჩხერი ბუჩქნარი იყო, კაცი ვერ დაიმალებოდა, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა ქაქუცას რაზმს. ქაქუცას ოცდაორი მებრძოლი ახლდა, დანარჩენები საქმეზე იყვნენ გაგზავნილი. მეთაურმა რაზმის ამ ნაწილად გაჰყოდა ერთმანეთისაგან კარგა მოშორებით განალაგა. რაზმის წევრები ბუჩქებში ჩასხდნენ, ორი კაცი წინ გაგზავნეს, კარგა შორ მანძილზე, რათა, თუ ვინიცობაა, ვინმე გაექცეოდათ, იმათ დაეჭირათ, ან მოეკლათ. ერთი ჯგუფი შუაში იდგა და სანამ თავად ქაქუცა არ ისროდა, მანამდე სროლის უფლება არავის ჰქონდა. თითო ჯგუფი მარცხნივ და მარჯვნივ. ქაქუცას რაზმები დასამალად ბუჩქნარში გაწვა, სულხანიშვილი ნახევრად წამომდგარი ათვალიერებდა გზას, რათა მტრის

გამოჩენისთანავე ნიშანი მიეცა ქაქუცასათვის. როდესაც გამოჩნდნენ, ცოტა აცალეს, სასროლ მანძილზე მოაღწია თუ არა მათმა ნახევარმა, ქაქუცამ შესძახა, იარაღი დაჰყარეთო და თან წინ მომავალს ესროლა. ატყდა საშინელი სროლა. ზოგი ტყვიით, ზოგი შიშით თუ თავისი ნებით ცვიოდნენ ცხენებიდან, ზოგიერთები არხში ჩაწვნენ და გამაგრება მოინდომეს, მაგრამ მალე დანებდნენ ჩოლოყაშვილის რაზმელებს.

ასევე მნიშვნელოვანი იყო **მაღაროსკართან** მომხდარი შეტაკება. ქაქუცა ჩოლოყაშვილის საბრძოლო ისტორიაში გამორჩეულია 1922 წლის ზაფხულში ხევსურეთში მოწყობილი ანტისამთავრობო ამბოხება. ხევსურეთში ქაქუცას რაზმი დუშეთიდან ავიდა. შეთქმულება პირველ აგვისტომდე უნდა მომხდარიყო. ამბოხებამდე ერთი კვირით ადრე დაიძრნენ რაზმის წევრები ხევსურეთისაკენ. არაგვის ხეობაში მოსახლეობა არც იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, ამიტომ დღისით-მზისით მოძრაობდნენ. გზად პატარა სოფელი _ ორთვალი გაიარეს, სადაც ქართველ ჩეკისტებს გადააწყდნენ. პირველი ბრძოლაც მათთან გამართეს. ბრძოლაში ერთი ჩეკისტი მოკვდა, რამდენიმე დაიჭრა, ზოგიც გაექცათ. აქ აღარ გაჩერებულან და მაღაროსკარისაკენ გასწიეს. დაბინავდნენ ვაჟა-ფშაველას მიერ დაარსებულ სკოლაში. სკოლას ირგვლივ ტყე ერტყა, ქაქუცას ვაშლის ხისძირში ეძინა, ავად იყო, დროდადრო აციებდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ აძლევდა თავს მოდუნების უფლებას. აქ აკითხავდნენ ფშავლები და ეწერებოდნენ მის რაზმში. მებრძოლებმა უშიშარ ადგილად მიიჩნიეს ეს ბანაკი და გათამამდნენ, ხან ტყეში გადიოდნენ თხილისა და შინდის მოსაძებნად, ხანაც თავისუფლად ისვენებდნენ. მათ ფეხდაფეხ დადევნებულმა მილიციამ ერთი ფშაველი, მაღაროსკარელი ახალგაზრდა გამოტეხა. მდევარი სამი მხრიდან წამოვიდა მაღაროს კარისაკენ: ერთი პირდაპირი გზით, საიდანაც თავად რაზმი ამოვიდა, მეორემ ზურგიდან დაუარა, მესამემ კი - სკოლის გაღმიდან, საიდანაც ასევე ხელისგულივით ჩანდა შეფიცულების ბინა. რაზმელებს ერთი დარაჯი ჰყავდათ გამოყოფილი, მეტსახელად კურდღელა. თავდაპირველად მას მდევარი მგზავრი ჰგონებია, როდესაც გარკვეულა, გაქცეულა რაზმისაკენ და სროლა აუტეხავს, რადგან დაგვიანების შეშინებია. რაზმში ამ დროს, ადგილზე მხოლოდ თორმეტი კაცი იყო. ქაქუცა წამოხტა, რაზმელებიც უცებ ჩადგნენ საბრძოლო ფორმაში, მტერიც თავზე წამოადგათ. წამოშლისთანავე აუტეხეს სროლა

ქაქუცას რაზმს. ტაქტიკურად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ რაზმელები, რადგან სკოლის ღია ეზოში იდგნენ, მაშინ, როდესაც მდევარს ტყის საფარის გამოყენება შეეძლო. მოწინააღმდეგე სულ ახლოს მოვიდა, სკოლის ყორესთან, გზის პირას და სროლა დაიწყო. სანამ ტყეში მიმოფანტული რაზმელები გაიგონებდნენ სროლის ხმას, ბრძოლის სიმძიმე ქაქუცასა და მის თორმეტიოდე მებრძოლს დააწვა. ქაქუცა სკოლის გვერდზე მდებარე ეკლესიის ნანგრევებთან იდგა, რადგან რაზმელები იქით იყვნენ წასულები. ისინი უკვე გულის ხეთქვით ბრუნდებოდნენ და მეთაურიც მათ საჭირო ადგილებზე ანაწილებდა. ქაქუცამ იქვე ჩამომავალი ბილიკით ელიზბარ ვაჩნაძე გააგზავნა სამი კაცით. ამ ბილიკზე ჩამოდიოდა ავლაბრის კომისარი მილიციელთა რაზმით. შეფიცულები მათ შეებრძოლნენ, მოკლეს კომისარი და ორი მილიციონერი, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ქაქუცამ კიდევ სამი მებრძოლი მიაშველა ელიზბარს და ექვსი კაცით მანის სიმაღლე დაიკავა, რომელიც არაგვზე გადებულ ხიდს გაჰყურებდა. აქედან დაუწყეს სროლა უკან გაქცეულ მტერს და ბევრიც იმსხვერპლეს. ბრძოლა თანდათან გაძლიერდა, ყველა შეფიცული იბრძოდა. ქაქუცამ მტერი ალყაში მოიმწყვდია, ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ ჩაიგდეს. არაგვის ნაპირას გასულმა რაზმელებმა იქ კიდევ ექვსი მილიციონერი აიყვანეს. ქაქუცას 65 რაზმელი მონაწილეობდა ამ ბრძოლაში, ტყვეთა გადმოცემით, მოწინააღმდეგე 250 კაცამდე იქნებოდა. ესეიგი ქაქუცამ 3.5-ჯერ აღმატებული დაამარცხა.

**აჯანყება ხევსურეთში.** მაღაროს კარის ბრძოლის შემდეგ ქაქუცა დაუბრკოლებლად ავიდა ხევსურეთში და ბარისახოში დაბანაკდა. შეფიცულთა მთავარი მოკავშირეები იყვნენ გოგოთური დააპარიკა, კომუნისტებისა და რუსების მტრები. ორივე აკავშირებდა ქაქუცას ხევსურებთან, აყალიბებდნენ რაზმებს. ხევსურეთის აჯანყებას ჩოლოყაშვილი დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. შეფიცულთა მონაცემებით, სულ ათიათასამდე რუსი ჯარის კაცი იყო საქართველოში. ისინი ფიქრობდნენ, რომ ხევსურეთში უკან დაედევნებოდა ჯარი ამბოხებულებს, იქაური მიდამოების კარგად მცოდნენი მათ ადვილად ამოხოცავდნენ. ფშავ-ხევსურთა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ მეომართა გარდა, ხევსურეთში იბრძოლებდნენ ჩეჩნებიც. ქაქუცა აპირებდა მათთან მოლაპარაკებას,

თუმცა ეს გეგმა უფრო ადრე უნდა შეესრულებია. ქართულ არმიაში ქაქუცას თავისი ხალხიც ჰყავდა. იმედი ჰქონდა, რომ კრიტიკულ მომენტში ამ ჯარს გაანეიტრალებდა. კერძოდ, შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი მუსხელიშვილი, რომელიც ყოველთვის აწვდიდა სანდო ცნობებს შეფიცულების რაზმს. მდევრებმა რამდენიმე დღე სდიეს ქაქუცას ნაკვალევს, მაგრამ მოულოდნელად უკან დაიხიეს. შეფიცულებს იმედი ჰქონდათ, რომ მტერს ზურგიდან დაარტყამდნენ საქართველოს განმათავისუფლებელი ძალები. საქმე ის იყო, რომ პარტიული კინკლაობა, შეუთანხმებლობა ხშირად იჩენდა თავს და საქმეს აზარალებდა. ვერც პარიტეტული კომიტეტი და ვერც სამხედრო საბჭო ვერ ახერხებდნენ ეროვნული მოძრაობის უფრო გაბედულად აზვირთებას და ამ ტალღის სათავეში ჩადგომას. როდესაც ხევსურეთის აჯანყებაში მათ არ ითამაშეს გადამწყვეტი როლი, მთავრობამ უფრო თამამად შეუტია და ცალკეული გმირების თავგანწირვამ შედეგი ვერ მოიტანა.

ხევსურეთში შერჩენილი ჩოლოყაშვილის რაზმელები ფიქრობდნენ, რომ უკან დახევა მთავრობის შენაერთებმა დროებით გაითამაშეს და მალე ისინი ახალი ძალებით მიაწყდებოდნენ ხევსურეთში განლაგებულ ეროვნულ ძალებს. ქაქუცამ მიმართა ხევსურ მეთაურებს, ეკისრათ შუამავლობადა ჩეჩნებისათვის ეთხოვათ დახმარება. ხევსურებმა უარი თქვეს _ ჩვენ მტრობა გვაქვს ჩეჩნებთან, პირაქეთელებს არ დაგვეხმარებიანო. ასეთ ვითარებაში ძნელი იყო მოკავშირეებად ჩეჩნების დაგულება, მაგრამ ქაქუცამ არ დაიშალა, ის ხევსურებს შეპირდა, რომ გაატანდა თავის შეფიცულ რაზმელებს, სანდო კაცს გააყოლებდა, ჩეჩნებს მტრებად რომ არ მიეღოთ მისულები. უნდა დაერწმუნებინათ ჩეჩნები, დროებით გადაედოთ ერთმანეთის მტრობა, გაერთიანებულიყვნენ და დაემარცხებინათ რუსები, რომლებიც ხევსურეთის შემდეგ მათაც მიადგებოდნენ. გამყოლებად ქისტები და პირიქით ხევსურები უნდა აერჩიათ, რადგან ჩეჩნები მათთან მეგობრობდნენ. შატილიდან გადავიდნენ ქისტების სოფელ ჯარეგაში და შეხვდნენ იქაურ თავკაცებს, დაარწმუნეს ისინი ქაქუცას შემონათვლის სიმართლესა და ხევსურების გულწრფელობაში და დაითანხმეს.

ჩამოვიდნენ კიდეც შატილს, მაგრამ ვერ იბრძოლეს რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველებთან ერთად. ჩეჩნები უკან გაბრუნდნენ, ქართველები კი

აქედან გაიფანტნენ ზოგი სად და ზოგიც სად, რადგან აჯანყების გეგმა გაცემული იყო.

დასაჭერად დასდევდნენ ქაქუცასაც, რაც კარგად ჩანს სპეციალური გამოძიების მიერ შედგენილ საბჭოურ დოკუმენტებში. ეს დოკუმენტები იმავე წელს გამოაქვეყნა „ქართველ მხედართა კავშირის" დამფუძნებელმა საინიციატივო ჯგუფმა სტამბულში. მასში შეტანილია ის განაჩენიც, რაც „ძიების" შემდეგ დაიწერა და რომლის საფუძველზეც დახვრიტეს ქართველი პატრიოტი სამხედროები. კონსტანტინოპოლში მყოფი, სამშობლოდან დევნილი ქართული სარდლობა საზოგადოებას აუწყებდა, რომ რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით, ეს ადამიანები გაუსამართლებლად იქნენ დახვრეტილნი. 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს და 1923 წლის 19 მაისის კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილებითდახვრეტა მიუსაჯეს სამხედრო ცენტრის 15 წევრს. 1923 წლის 20 მაისისთვის დახვრეტილ ოფიცერთა და სახელმწიფო მოხელეთა შორის 4 გენერალი, 6 პოლკოვნიკი, 3 ლეიტენანტი, 7 როტმისტრი, კაპიტნები, უნტერ-ოფიცრები, ვახტმისტრებიდაიუნკრებიიყვნენ. ესენია: 1. გენერალი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი; 2. გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი; 3. გენერალი ვარდენ წულუკიძე;4. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი; 5. პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი; 6.პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი; 7. პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი; 8. ლეიტენანტი ლევან (ლელო) კლიმიაშვილი; 9. როტმისტრი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი; 10. პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილელი; 11. როტმისტრი ფარნაოზ ყარალაშვილი; 12. იასონ კერესელიძე (გენერალ ლეო კერესელიძის უმცროსი ძმა); 13. სიმონ ჭიაბრიშვილი; 14. ივანე ქუთათელაძე; 15. ნიკოლოზ ზანდუკელი.

კომისიის შემადგენლობაში, რომელმაც აღნიშნული განაჩენი გამოიტანა, შედიოდნენ: პანკრატოვი, აშუკინი, პეტროსიანი, ზონოვი, მახნოვსკი, მოგილევსკი, ეპიფანე კვნტალიანი, მიხეილ ორაგველიძე, შალვა ელიავა, ლავრენტი ბერია. ეროვნული მოძრაობის ამ მეთაურთა დახვრეტის შემზარავმა ამბავმა კიდევ უფრო გააძლიერა ქართველი ერის შეურიგებელი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. სიკვდილით დასაჯეს ადრე დაპატიმრებული პოლიტიკური მოღვაწეებიც. ამავე დროს

დახვრიტეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიძაშვილი, მატანში მცხოვრები 35 წლის ანეტა ჩოლოყაშვილი, რომელიც შეფიცულთა რაზმს წამლებითა და საკვებით ამარაგებდა.

დააპატიმრეს პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე.დამსჯელმა რაზმებმა ააოხრეს კახეთი, გურია და სხვა რეგიონები. გურიაში სამხედრო ექსპედიციის მეთაურმა გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი. ქართველმა პატრიოტებმა ყუმბარების აფეთქებით მოკლეს ბოლშევიკური სადამსჯელო რაზმის მეთაურები. ამის სანაცვლოდ, ხელისუფლებამ სისხლით მორწყა მთელი გურია. რეპრესიები მძვინვარებდა თბილისშიც. ერთ ღამეში მეტეხის ციხიდან ასამდე პატიმარი გამოიყვანეს და დახვრიტეს.რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებმა ნათლად აჩვენა, რომ ქართველი ხალხი არ აპირებდა დამპყრობლის წინაშე ქედის მოხრასა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არ უშინდებოდა.

ერთ ხევსურულ სოფელში შესული რუსთა მცირე რაზმი ამოხოცა ხევსურმა ქალმა, რომლის სახელი შემორჩა მხოლოდ, გვარი არ ვიცით. მას მზექალა ერქვა. მისი ძმა ქაქუცასთან იბრძოდა. ქალი სახლში მარტო ყოფილა, რუსები რომ შესულან სოფელში, მზექალას ძმის თოფით დაუხოცავს რუსები და ბოლოს მათი ტყვიით თავადაც განგმირულა.

პატრიოტების დახვრეტის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლის ჟინი კიდევ უფრო გაუცხოველდა, შესანიშნავ თანამებრძოლთა და მეგობართა სიკვდილმა მას კიდევ უფრო ნათლად დაანახა რეჟიმის სისასტიკე. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ხალხი - არა. თავად ქაქუცა ჩოლოყაშვილს არც უფიქრია, აქ დაესვა წერტილი, სამშობლოს ინტერესები მას ისევ ეძახდა.

ხევსურეთის აჯანყების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ისევ კახეთსა და ქართლში იბრძოდა. მას უფროსი ძმა, შაქრო მიუგზავნეს, რომელიც მანამდე დატუსაღებული ჰყავდათ, ასევე ახლო ნათესავი, ბიძინა მაყაშვილი. მთავრობა მათი პირით უთვლიდა: შენთვის რა დაგვიშავებია, რისთვის გვებრძვი, თუ არ მოგწონს ჩვენი პოლიტიკა, საზღვარგარეთ წადი, ფულს, რამდენსაც იტყვი, მოგცემთ, მძევალსაც გაგაყოლებთ საზღვრამდე, რომ გვენდოო. ქაქუცას ასეთი პასუხი გაუცია:

გადაეცით, რომ ჩვენ ფულზე არ ვიყიდებით, . . . ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მანამ, სანამ პირში სული გვიდგას.

ქაქუცას ავტორიტეტმა შეარიგა ხევსურები და ჩეჩნები, აღარ ხდებოდა ურთიერთ თავდასხმები, პირუტყვისა და ადამიანების გატაცებები. შეფიცულთა რაზმის თავგანწირულმა ბრძოლებმა ნაყოფი გამოიღო: შეიქმნა კავკასიის მთიელთა შეკავშირების შესაძლებლობა, რისიც ეშინოდათ კრემლის ხელისუფალთ. ამ მოწოდებას ჩეჩნები გამოეხმაურნენ. მათი ყველაზე დიდი ავტორიტეტები შეუდგნენ თავისიანთა მობილიზებას. მათ ანცვიფრებდათ და მოსწონდათ ქართველ შეფიცულთა თავგანწირული ბრძოლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალი მიტაევის და ათაბეის მხარდაჭერა, რომელთაც ქაქუცამ საჩუქრად მილიციისათვის წართმეული ოცდაათი ცხენი გაუგზავნა. მოსალაპარაკებლად და ბრძოლების ორგანიზებისათვის თვითონ ჩოლოყაშვილი გადავიდა ჩეჩნეთში და შეხვდა მათ. როცა რუსებმა გაიგეს, რომ ქართველები ჩეჩნებთან ამყარებდნენ კავშირს, ჯაშუშებია ამოქმედეს. დიდძალი ფული შესთავაზეს რამდენიმე ჩეჩენს, რომ ქართველი შეფიცულები და მათი ბელადი მოეკლათ. მაგრამ მათ არ უღალატიათ.

ქაქუცასა და ჩეჩნებს შორის ოფიციალური ხელშეკრულებაც გაფორმდა, სადაც დაწვრილებით იყო გაწერილი საერთო ქართულ-ჩეჩნური აჯანყების გეგმა. ალი მიტაევისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის გეგმას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს როგორც შორეულ, ასევე ახლო წარსულშიც. ძალაუნებურად გახსენდება ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევის მეგობრობა ანტირუსული, კავკასიური ბრძოლების ახალ ეტაპზე XX საუკუნის 90-იან წლებში.

ქაქუცასა და მიტაევს შორის დადებული ხელშეკრულებით, თბილისიდან ჩეჩნეთში უნდა გაგზავნილიყო მაშინდელი დამკომის თავმჯდომარე _ გიორგი წინამძღვრიშვილი, საქართველოდ ან საჭირო რაოდენობით უნდა გაეგზავნათ ოფიცრობა, რადგან ჩეჩნებს არ ჰყავდათ საკმარისი სამხედროები.

გეგმის მიხედვით, ანტირუსული ამბოხება ერთდროულად უნდა მომხდარიყო ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში, რუსეთიდან არ უნდა გამოეშვათ ჯარები, უნდა აეყარათ რკინიგზის ლიანდაგები, თავს დასხმოდნენ ჩრდილოეთში განლაგებულ რუსულ ნაწილებს. გროზნო 1918-1921 წლებში რუსეთისთვის

სამხედრო შტაბს წარმოადგენდა. ამ ზურგის მოშლას ცდილობდა ჩოლოყაშვილი, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. ის, რაც ჩვენებმა კარგად იცოდნენ, იცოდა მტერმაც და ყოველნაირად უშლიდა ხელს კავკასიელ ხალხთა გაერთიანებას. ამჯერადაც შეკრეს რუსმა კავკასიონზე გადასასვლელ-გადმოსასვლელი ბილიკები.

**საერთო აჯანყების სამზადისი და მისი მსვლელობა.** 1924 წლის აჯანყება საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებად იყო ჩაფიქრებული. ის უნდა გავრცელებულიყო არამარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. მასში უნდა ჩაბმულიყვნენ ჩეჩნეთი და აზერბაიჯანი. 1923 წლის ბოლოს პარიზიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდნენ გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი, სოციალ-დემოკრატი, თბილისის ყოფილი ქალაქისთავი, მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი აჭარასა და აფხაზეთში ბენია ჩხიკვიშვილი, ყოფილი მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი. აჯანყების მეთაურებს ისინი ამხნევებდნენ და საერთაშორისო მხარდაჭერის იმედს უნერგავდნენ. ასეთი მხარდაჭერა კი მაშინ არ არსებობდა, რის გამოც არც ნოე ჟორდანია, არც ირაკლი წერეთელი და ემიგრანტული მთავრობის სხვა წევრები აჯანყებას თავიდან არ უჭერდნენ მხარს. აჯანყების მომხრე იყო ნოე რამიშვილი. 1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში მოწვეული იქნა დამკომის გაფართოებული კრება. სამხედრო კომიტეტის მთავარსარდალმა _ სპირიდონ ჭავჭავაძემ ჩაიბარა ანგარიში საბრძოლო რაზმების მზადყოფნაზე, საკმარისად მიიჩნია არსებული სამხედრო ძალები და ჩატარებული ტექნიკური სამუშაოები, აჯანყების დასაწყებად დაინიშნა დრო - 17 აგვისტო. აჯანყების სარდლობა სპირიდონ ჭავჭავაძეს უნდა გაეწია.

გეგმის მიხედვით, პირველად თბილისი უნდა გამოსულიყო. ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავისი რაზმებით თბილისიდან 20 კილომეტრზე, სოფელ ნახშირგორასთან დაბანაკდა. იქ მოიყარეს თავი მიხეილ ლაშქარაშვილისა და ნაცვლიშვილის რაზმებმა, დუშეთისა და დიღმის რაზმებმა, კაპიტან ვაჩნაძის, ბორჩალოსა და მანგლისის რაზმებმა.

ამ დროს ვაზიანში დაბანაკებული იყო რუსული არტილერია. საჭირო იყო ამ ძალის ხელში ჩაგდება, რაც პოლკოვნიკი. ცაგურიას რაზმს უნდა მოეხდინა, რათა

რუსებისათვის ჩამორთმეული ზარბაზნებით მიდგომოდნენ თბილისს ნავთლუღის მხრიდან. აჯანყების დაწყება უნდა ეცნობებინათ ჩრდილო კავკასიელებისათვის.

ბოლშევიკებმა ყველაფერი გააკეთეს აჯანყების ჩაშლისა და კრახით დასრულებისათვის. მათ მიაგნეს შეთქმულების მეთაურთა კვალს და დააპატიმრეს გიორგი წინამძღვრიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი ფაღავა, გ. ჯინორია, ვალიკო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილი. საპატიმროდან წინამძღვრიშვილმა და ჯუღელმა მიწერეს დამკომს _ ხელი აეღოთ აჯანყებაზე. დაიწყო თბილისის გამაგრება, გზების შეკვრა, პატრულირების შემოღება ღამის საათებში, საეჭვო სამხედროების დაპატიმრება. ბათუმში დააპატიმრეს გენერალი ფურცელაძე, რომელსაც აჭარის ჩართვა ევალებოდა აჯანყებაში, გურიაში გენერალი ყურაშვილი აიყვანეს. ამან მთავარსარდალზე ცუდად იმოქმედა, მას გამარჯვების იმედი გაუქრა და დამკომს განუცხადა: „ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელიაო“. დამკომის თავმჯდომარე იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით ითხოვდა აჯანყებას, რომელიც მისი აზრით, დაწყებული იყო და ახლა შეჩერება მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. მან მოითხოვა მთავარსარდლის გადაყენება და სპირიდონ ჭავჭავაძის ადგილზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანიშვნა, რაზედაც თანხმობა ვერ მიიღო.

თბილისის ახლოს დაბანაკებული ჩოლოყაშვილის რაზმი ეცნობოდა მოწინააღმდეგის შენობას, მასზე თავდასხმის მოსამზადებლად. ერთ დღეს, ამ ადგილების თვალიერებისას, დაინახეს, რომ ეკლესიაში არავინ იყო, ილოცეს და მღვდელსაც დაალოცვინეს თავი. უნდა ითქვას, რომ ეკლესია იმთავითვე შეფიცულებს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს ედგა მხარში. განსაკუთრებით ეს ითქმის კათალიკოს ამბროსი ხელაიაზე. როგორც ალექსანდრე ასათიანი წერს, ის მზად იყო, წასულიყო კახეთში და ქაქუცას რაზმს კახეთ-მთიულეთიდან ჯვრითხელში გამოჰყოლოდა.

დამკომმა უარი თქვა აჯანყების ცენტრად თბილისის არჩევაზე, რადგან დედაქალაქი მთავრობის მიერ საიმედოდ იყო გამაგრებული. მისმა თავმჯდომარემ _ გიორგი ანდრონიკაშვილმა ჩრდილოკავკასიაში გაგზავნა ექიმი მიხეილ იშხნელი, რომელიც თავიდანვე აჯანყებას ემხრობოდა. იშხნელმა ინახულა ალი მიტაევი და მისგან გაიგო, რომ მთა მზად იყო აჯანყებისათვის. ამ ცნობით დაბრუნდა იშხნელი

თბილისში. კოტე ანდრონიკაშვილმა და იასონ ჯავახიშვილმა პირადად მოინახულეს პასუხისმგებელი ოფიცრები, ქალაქებიდან და მაზრებიდან მოწვეული რაზმების მეთაურები და გააფრთხილეს, მზად ყოფილიყვნენ აჯანყებისათვის. აზერბაიჯანთან კავშირის დამყარება ვეღარ მოხერხდა, რადგან ამ საქმეზე გამოყოფილი გ. ფაღავა დაიჭირეს. ამიტომ გეგმაში დარჩა საერთო აჯანყება საქართველო-ჩეჩნეთის მონაწილეობით. მაგრამ ჩეჩნეთთან მალე კავშირი გაწყდა. გაგზავნეს ვანო ავალიშვილი. მას ალი მიტაევი დაჭერილი დახვდა.

დამკომმა მთავარსარდლად ისევ სპირიდონ ჭავჭავაძე დატოვა, მაგრამ დამუშავებული გეგმა შეცვალა. აჯანყება გადაიდო 29 აგვისტოსათვის. ამ ამბის შესატყობინებლად ქაქუცასთან სოლომონ ზალდასტანიშვილი გაგზავნა და თან ინსტრუქცია მისცა, ისე წარემართა მოლაპარაკება, რომ ქაქუცასაც მხარი აგვისტოს ბოლოს გამოსვლის გეგმისთვის დაეჭირა. ქაქუცა თავდაპირველად უარზე იყო, რადგან ხალხი უკვე შეკრებილიყო, შორი მანძილიდან მოსულებისა და უკვე საბრძოლველად ანთებულთა დაშლა, უკან, სახლებში გაგზავნა და მერე ხელახლა შეკრება გაძნელდებოდა. ხოლო იმ ადგილებში, სადაც იმჟამად იმყოფებოდნენ, ქაქუცა ორი კვირა მებრძოლებს ვერ შეინახავდა. თუ გადადება აუცილებელი იყო, ქაქუცა თანახმა იყო აჯანყება ოქტომბრის მეორე ნახევარში მომხდარიყო, როდესაც გლეხები უფრო თავისუფალნი იყვნენ და შეკრებასაც მეტად შეძლებდნენ. დამკომი მის წინადადებას არ დაეთანხმა, აჯანყების თარიღად 29 აგვისტო საბოლოოდ გადაწყდა. ამასობაში, ცუდი ამბები ხდებოდა: საბრძოლველად მისულები იფანტებოდნენ, ჩოლოყაშვილს 600 კაციდან სამოციღა შემორჩა. პარტიებიც ვერ თანხმდებოდნენ, ზოგი აჯანყებას უჭერდა მხარს, ზოგი _ არა. 27 აგვისტოს ქაქუცას რაზმში მივიდა დამკომის მთელი შემადგენლობა ანდრონიკაშვილის მეთაურობით. ქაქუცამ მხოლოდ სპირიდონ ჭავჭავაძე და შალვა ამირეჯიბი დაიტოვა, დანარჩენები კი ქვათახევის მონასტერში მიიყვანა და იქაურ ბერებს ჩააბარა. მათ დაცვაში დატოვა ჯავახიშვილი და ჩრდილოკავკასიელი ჩეჩენი ელჩი.

29 აგვისტოს დილით ქაქუცას რაზმში მივიდა მაცნე, რომელმაც თავზარდამცემი ამბავი მოუტანა: ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს გამოსვლა მოხდა ჭიათურაში. ეს იყო ღალატი, რადგან გამოსვლა 29 აგვისტოს შუაღამის 2 საათზე

უნდა დაწყებულიყო. ქაქუცა აჯანყების დაწყებისათვის სხვა თარიღს ითხოვდა, მაგრამ არ დაუჯერეს. „დამკომის" პარტიული წარმომადგენლები ვერ თანხმდებოდნენ. ძველი კომიტეტის პარალელურად ახალი განყოფილება შეიქმნა, რაზედაც იასონ ჯავახიშვილს ზალდასტანიშვილმა და იმხნელმა პროტესტი განუცხადეს. ეს ყოველივე საქმეს ხელს უშლიდა. „დამკომის" ახლა დარჩეული თბილისის განყოფილება, მისი წევრები საქმის ვითარებას კარგად არ იცნობდნენ და მათი აჯანყებისადმი მიდგომა ზერელე იყო. არადა, ამ განყოფილებას დიდი საბრძოლო ამოცანა დაეკისრა, მას შემდეგი დავალებები უნდა შეესრულებინა: აეღო და დაეკავებინა მთავრობის, ფოსტა-ტელეგრაფის, ჯავშნოსანი ავტომობილების, კურსანტების, ჯავშნოსანი მატარებლებისა და საავიაციო ბაზის შენობები. ამ ამოცანების შესასრულებლად რაზმები მზად იყვნენ და განკარგულებას ელოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში გაიგზავნა შვიდი ოფიცერი მაიორ ბერიძის მეთაურობით. იქაც 29 აგვისტოს, შუაღამის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო გამოსვლა. ოფიცრობა აღარაფერს ერიდებოდა, ყველა ქაქუცასთან გაგზავნას ან რომელიმე რაზმში ჩაწერას ითხოვდა. 28-ში კი, ჭიათურის გამოსვლით, თითქოს ყველაფერი გაფუჭდა, ერთიანი აჯანყების გეგმა ჩაიფუშა. ინიციატივა კვლავ ბოლშევიკებმა აიღეს. გამაგრდა ყველა ის ადგილი, რომელიც უნდა აეღოთ. 29 აგვისტოს ღამით დაიჭირეს კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელები და დახვრიტეს. ერთი იმედიღა დარჩა: ქაქუცა თავისი რაზმით მანგლისის მხრით და პოლკოვნიკი ცაგურია ვაზიანის მხრით მოადგებოდნენ თბილისს და აქ მყოფი რაზმები მათ შეუერთდებოდნენ. მაგრამ თბილისში არავითარი ცნობა არ მოდიოდა. მხოლოდ 31 აგვისტოს გამოჩნდა პოლკოვნიკი ცაგურია, შემოიპარა თბილისში და შეხვდა „დამკომის" წევრებს, აუხსნა თავისი მდგომარეობა, როგორ ჩაეშალა ვაზიანზე შეტევა, რადგან მათთან არ გამოცხადდნენ მებრძოლები და სოფელ პატარძეულთან როგორ შეებრძოლა კომუნისტურ მილიციას.

არც ქაქუცა და მისი მებრძოლები იყვნენ ხასიათზე ჭიათურის ამბების გამო. მაგრამ მაინც გადაწყვიტეს მანგლისზე გალაშქრება, სადაც კურსანტების ყაზარმები იყო. სამოცდაათკაციანი რაზმით, ქაქუცამ ყაზარმებს შეუტია. ექვსი კაცი გამოყო, ალექსანდრე სულხანიშვილის მეთაურობით და დაავალა, რომ დაეტუსაღებინათ

როგორც ბატალიონის უფროსი, ასევე კურსანტების მეთაური, რომლებიც ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ქაქუცამ მათ მანგლისელი დიაკვანი გააყოლა, რომელიც იქაურობაში კარგად ერკვეოდა. შვიდეული დაატუსაღებდა ან დახოცავდა მეთაურებს, ამის შემდეგ კი რაზმი დაეცემოდა ყაზარმებს. ღამეში დიაკვანი დაიკარგა, ვერ გაიგეს, უღალატა რაზმელებს, თუ უბრალოდ შეშინდა ან ემძიმა ასეთი დავალება. ამასობაში ქაქუცას კაციც დაეწიათ, ის უკან დაბრუნებას თხოვდა. მისი აზრით, ძალების გაფანტვა ასეთ რთულ ადგილას და ისიც ბნელ ღამეში, ძნელი იქნებოდა.

მეთაურმა სამად გაანაწილა ძალები: მარჯვენა ფრთაზე სულხანიშვილი დააყენა 15 ბორჩალოელი თათრით, მარცხენა ფრთაზე ელიზბარ ვაჩნაძე გაგზავნა 20 კაცით, შუაში კი ჩააყენა მიშა ნაცვლიშვილი და რაფო ერისთავი, ორივეს რამდენიმე კაცი მისცა. ერთ-ერთ შეფიცულს ყაზარმაში ბომბი უნდა შეეგდო, რის შემდეგაც დაიწყებდნენ ბრძოლას. ბომბი არ გასკდა, არადა, ერთის მეტი არ ჰქონდათ. დაიწყო სროლა. კურსანტებმა ტყვიამფრქვევი გადმოდგეს ფანჯრიდან, მაგრამ გამოუცდელებმა, თავდამსხმელებს ვერ აჯობეს. ნახევარ საათში ბრძოლა შეწყდა. ქაქუცამ აჩვენა თავისი ძალა მანგლისში დამდგარ რუსის ჯარს და დუშეთის გზით წავიდა, პატიმრების გასათავისუფლებლად. მართლაც გაანთავისუფლეს ის ხალხი, რომელთაგან ბევრს დახვრეტა ელოდა. მანგლისის ბრძოლაში გამოჩნდა, რომ ხალხი არ იყო ორგანიზებული, მებრძოლები არ ემატებოდნენ აჯანყებულებს, ქაქუცა მარტო დარჩა და რამდენიმე ათეული კაცით. იგი მიხვდა, რომ აჯანყებას წარმატება აღარ ელოდა, და მისი რაზმელები ბოლო ბრძოლებს იხდიდნენ.

ჩოლოყაშვილის ამ პერიოდის ბრძოლებიდან აღსანიშნავია თავდასხმა **სვიმონიანთ ხევში** დაბანაკებულ ცხენოსანი ჯარის ნაწილზე. ეს სოფელი ვაკე ადგილზეა, ჩრდილოეთიდან აკრავს მხოლოდ მაღალი გორა. აღმოსავლეთით ჩაუდის ხევი პატარა მდინარით. შუაღამისას მიუახლოვდა ჩოლოყაშვილის რაზმი სოფელს. ქაქუცამ კვლავაც სამ ნაწილად გაჰყო თავისი რაზმები, როგორც ჩვეოდა და სხვადასხვა მხარეს გაგზავნა., თავად კი გორაკის დასაკავებლად წავიდა, თუ სხვებს გაუჭირდებოდათ, თავად იქიდან კარგად დაინახავდა და ადვილად დაეხმარებოდა. გარიჟრაჟამდე იბრძოდნენ მეომრები, ზოგი მოწინააღმდეგე ბრძოლაში დაიღუპა,

ზოგი შეფიცულებს ჩაუვარდათ ხელთ. მილიციის 160 ცხენი დარჩათ, აქვე გაიგეს პირველად დამკომის პროკლამაციის შესახებ, რომელმაც აჯანყება და მთავრებულად გამოაცხადა.

ასეთი მარცხის შემდეგ, ერთ-ერთი ჩეკისტი, გვარად მიასნიკოვი, თბილისში მოწყობილ საჯარო ლექციაზე ამბობდა, ჩოლოყაშვილი ისეთ პარტიზანულ ტაქტიკას მიმართვს, რომ მასთან რეგულარული ჯარის ბრძოლა უშედეგოაო.

აგვისტოს ერთიანი აჯანყების გეგმა, მართალია, ზოგადად ვერ განხორციელდა, მაგრამ ეროვნული ძალები წარმატებით იბრძოდნენ მთელ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს რაიონებში ამბოხებულებმა დაიკავეს სტრატეგიული პუნქტები, დაატუსაღეს ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ბრძოლის გაღრმავება ვეღარ მოახერხეს.

გურიაში აჯანყებულთა ხელში იყო ხიდისთავი, ნაგომარი, საჯავახო და სხვა სოფლები. გენერალ ყარალაშვილის დაჭერის შემდეგ ბრძოლებს მეთაურობდნენ: ს. მათითაშვილი, თ. მუხარაშვილი და პ. ჭანუყვაძე. 31 აგვისტოს გურულებმა ოზურგეთზე მიიტანეს იერიში. იგი გამაგრებული დახვდათ ბათუმიდან და სამტრედიიდან ჩამოსული რუსის ჯარით. უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულები იძულებული ხდებოდნენ, უკან დაეხიათ. 2 სექტემბერს ისინი მტრის ალყაში მოექცნენ. მეამბოხეებმა ალყა გაარღვიეს, ტყესა და მთებში გავიდნენ, ბევრი მათგანი თურქეთში გადავიდა, საიდანაც უცხოეთში გაიფანტნენ.

სამეგრელოში მოძრაობას გენერალ თოფურიას დაჭერის შემდეგ ასმეთაური დავით მხეიძე ჩაუდგა სათავეში. 29 აგვისტოს აჯანყებულებმა სენაკი დაიკავეს, იქაური „ჩეკა“ განაიარაღეს, ციხიდან პატიმრები გამოუშვეს და იარაღი დაურიგეს. მთავრობის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ რამდენიმე წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ როდესაც მეთაური ბრძოლაში დაიჭრა და ხელისუფლებამ დამატებითი ძალები გაგზავნა, მეომრებმა უკან დაიხიეს, ზოგი მთებში მიიმალა, ზოგი კი სვანეთის აჯანყებულებს შეუერთდა.

**სვანეთის აჯანყება.** სვანეთის აჯანყება განსაკუთრებით გამოირჩეოდა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი 1921 წლის თებერვლიდან მოყოლებული, არ დამორჩილებიან საოკუპაციო რეჟიმს. მათი გამოსვლა იყო ნაწილი

იმ პარტიზანული ომისა, რომელიც საქართველოში გაიშალა 1921-1924 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის.

მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი, რომელიც აჯანყებულმა სვანებმა წამოაყენეს, იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანა.

სვანეთისკენ დაიძრნენ რეგულარული წითელი არმიის ნაწილები, რამაც აქ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. დაიწყო მოსახლეობის მობილიზაცია და პარტიზანული რაზმების ფორმირება. სვანეთში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს მეთაურობდნენ: ეგნატე გაბლიანი, ბიძინა პირველი, პორფირ გვიშიანი, სამსონ ქალდანი, ივანე ბურჯალიანი და სხვ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა 250-მდე მებრძოლი გაგზავნა აჯანყებულ სვანთა მისაშველებლად. შეიარაღებულმა სვანეთის მოსახლეობამ გზა გადაუღობა წითელი არმიის ნაწილებს და სვანეთში არ შეუშვა. პირველი შეტაკება ჯარსა და მებრძოლებს შორის მოხდა 1922 წლის 28 ოქტომბერს. აჯანყებულებმა მტერი უკუაქციეს, დატყვევებულებს იარაღი აჰყარეს. აჯანყებულებმა დამხობილად გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. იბრძოდა 1600-ზე მეტი კაცი, მათ მხარეზე გადავიდა სვანეთის მილიციაც. აჯანყებულები შეიარაღებულნი იყვნენ რუსული, გერმანული, ავსტრიული და თურქული შაშხანებით, მათ განკარგულებაში იყო 2 ზარბაზანიც.

სვანეთის აჯანყების ხელმძღვანელობამ, ისევე როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მებრძოლებმა, კავშირი დაამყარა ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან. აჯანყება დაკავშირებული იყო მთელ ენგურის ხეობასთან, მათ დაიკავეს ქვემო სვანეთი, დააპირეს ლეჩხუმსა და იმერეთში გადასვლა. მართლაც, მათ გადალახეს უღელტეხილი და გადავიდნენ ქვემო სვანეთში, ერთდროულად დაეცნენ ლენტეხს, ჩოლურისა და ლაშხეთის საგუშაგოებს, განაიარაღეს და დაატყვევეს კომუნისტი წითელარმიელები, შემდეგ გააგრძელეს წინსვლა და შეუტიეს ცაგერს. ლეჩხუმში მოქმედებდა აჯანყებული პარტიზანული რაზმი რუბენ ყიფიანის ხელმძღვანელობით, თუმცა ვერ მოხერხდა ამ ორი ძალის შეერთება. ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გააგზავნა: 3 მსროლელი პოლკი, 135-კაციანი

შეიარაღებული განსაკუთრებული რაზმის ასეული, კავკასიის ცალკეული ბრიგადა, მექვემეხეთა რაზმი, 3 სამთო ზარბაზანი, დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი. ამ ექსპედიციას სარდლობდა პ. აღნიაშვილი. ბომბავდნენ მშვიდობიან სოფლებს, ატერორებდნენ მოსახლეობას.

ამჯერად ხელისუფლებამ შეძლო აჯანყებულთა წინააღმდეგობის გატეხა, მათი გაფანტვა, რასაც მოჰყვა მთავარი ძალების გადასვლა კვლავ ზემო სვანეთში და იქ გამაგრება. ეს აჯანყების დამარცხებას არ ნიშნავდა, ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო, ზამთარმა კი ის შეწყვიტა. ზემო სვანეთი მთლიანად აჯანყებულთა ხელში დარჩა და მთავრობაც იძულებული გახდა, ამ ფაქტს შერიგებოდა.

ეროვნულმა პარტიებმა აქ მთელი ზამთრის მანძილზე იმუშავეს, ჩამოაყალიბეს არალეგალური ორგანიზაციები და ხალხს მორალურად ამხნევებდნენ.

გაზაფხულზე ბოლშევიკებმა მთელი ძალით შეუტიეს ზემო სვანეთს. აქ გაიგზავნა მე-11 არმიის შენაერთები, ჩრდილოკავკასიიდან შემოვიდა მე-9 არმიის 210-კაციანი რაზმი, აჯანყებული სვანეთი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა სამთავრობო დელეგაცია. მათ ხალხს იარაღის დაყრა და ჩაბარება ურჩიეს. 1924 წლის 30 აგვისტოს აქედან დაძრულმა ხუთასმა მებრძოლმა ქუთაისს შეუტია, მაგრამ ქალაქი ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გამაგრებული და რაზმი იძულებული გახდა, ისევ უკან, სვანეთისაკენ დაეხია. სამი კვირის შემდეგ სვანეთი დანებდა.

ჩოლოყაშვილის ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და მან მტკივნეული გადაწყვეტილება მიიღო: დაეტოვებინა სამშობლო და საზღვარგარეთ წასულიყო შეფიცულებთან ერთად. 1930 წელს ის მძიმე და ავადმყოფი გარდაიცვალა საფრანგეთში.

ამრიგად: ამბოხების ჩაშლის მთავარი მიზეზი შეუთანხმებლობა, პარტიული დაქსაქსულობა და არაერთსულოვნება იყო. ბევრს აჯანყება ნაადრევად მიაჩნდა, ზოგი უკეთესი დროის დადგომას ელოდებოდა, ერთი პარტია მეორეს არ ეთანხმებოდა. იყვნენ გამცემებიც, რომლებიც საბჭოთა მილიციასა და უშიშროებას ატყობინებდნენ ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა საბრძოლო გეგმებს. ხევსურეთის ამბოხების გეგმა შტაბის უფროსთან იყო შეთანხმებული, ის

დამუშავებულ იქნა იმ საუკეთესო ქართველი გენერლების მიერ, რომლებიც კომუნისტების შემოსვლის შემდეგაც მუშაობდნენ ქართულ ჯარში, მაგრამ საოკუპაციო რეჟიმს ვერ ეგუებოდნენ, სასტიკად განიცდიდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას, ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების მხარეს იდგნენ.

აღსანიშნავია შეფიცულთა რაზმისა და დახვრეტილ სამხედრო მოსამსახურეთა ერთგულება საქართველოს ერთიანობისადმი, შელახული ღირსების აღდგენისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისადმი, რაც მათ მიერ ჩატარებულ ოპერაციებში გამოვლინდა. ბევრი მათგანი დაიღუპა უთანასწორო ბრძოლებში. ხევსურეთის ამბოხებაში ჩეჩნების ვაჟკაცობა ისევე დასაფასებელია, როგორც ქართველი შეფიცულების. XX საუკუნეში მართლაც ქაქუცა იყო პირველი ადამიანი, რომელმაც რუსეთთან ბრძოლაში თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენთა მოკავშირეობა აირჩია. შემდეგში, საუკუნის ბოლოს ამ ტრადიციის გაგრძელება ზვიად გამსახურდიამ სცადა.

1924 წლის აჯანყების უარყოფითი მხარეა: საბრძოლო ძალთა არაეფექტური კოორდინაცია; ვითარების არასათანადო შეფასება და გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება; აჯანყების დაწყების უკონტროლობა; სამხედრო საბჭოსა და პარტიების შეხედულებების სხვადასხვაობა; სააგიტაციო მუშაობის არაეფექტურად წარმართვა; ლოგისტიკური მომარაგების დაბალი დონე.

დადებითია: ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება ძალთა მანევრირებისათვის; საველე პირობებში საკვებად ფლორის გამოყენება; მართვის მოშლა მეთაურთა განადგურებით; ჩასაფრებებისა და რეიდების მოწყობა _ დედოფლისწყაროსთან; ალყიდან გამოსვლა _ მაღაროსკართან; სამხედრო ალიანსის ჩამოყალიბება _ ჩეჩნებთან მოლაპარაკებით; მაღალი საბრძოლო სულისკვეთება.

**1921-1924 წლის მოვლენების მთავარი შედეგი:** საქართველოს თითქმის ყველა მხარეში წითლებმა დევნა დაუწყეს დამოუკიდებლობის მომხრე საუკეთესო მამულიშვილებს, ბევრი გადაასახლეს, ბევრი დახვრიტეს, ქვეყანა ააწიოკეს, ეკლესია-მონასტრები დაარბიეს და შებილწეს. 1923 წლის 19 მაისს დაიხვრიტა „სამხედრო ცენტრის" მთლიანი შემადგენლობა, მათ შორის იყვნენ გენერლები: ალექსანდრე

ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე და კოტე აფხაზი; პოლკოვნიკები: როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი; ოფიცრები: ფარნაოზ ყარალაშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი; სახელმწიფო მოხელეები: მიხეილ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე, ლევან კლიმიაშვილი. ჭიათურაში აჯანყებულები ხელისუფლებამ სასტიკად დასაჯა. ისინი მატარებელში შეყარეს და დაბა ყვირილაში დახვრიტეს. ზემოაღნიშნულ ბრძოლას ჰყავდა ბევრი გმირი, ჰქონდა დიდი მორალური ზეგავლენა, რადგან ის იყო ქართველი ხალხის ეროვნული ბრძოლისა და სიმამაცის საუკეთესო მაგალითი მომავალი თაობებისთვის.

1921-1924 წლების პარტიზანული მოძრაობისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლების ისტორია გვასწავლის, რომ, პირველ რიგში, საჭიროა ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანება. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა უნდა გახდეს ქართველისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის უპირველესი. ის უნდა აღემატებოდეს პარტიულ, კუთხურ, წოდებრივ თუ სხვა ინტერესს.

## $ 3. 1921-1924 წლების მოვლენების თანადროული და შემდგომი შეფასებები საქართველოში და საზღვარგარეთ

**შეფასებები ევროპულ ემიგრაციაში.** 1924 წლის აჯანყების მზადებას ბევრი მოწინააღმდეგე და ბევრიც მომხრე ჰყავდა, მათ შორის ეროვნული ჯგუფებიდან: ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, პარლამენტის დეპუტატები და საზოგადოების მოწინავე წრეების წარმომადგენლები სხვადასხვანაირად აფასებდნენ ქართველი ხალხის უთანასწორო ბრძოლას რუსული ინტერვენციის წინააღმდეგ, ზოგი მას მხარს არ უჭერდა ამ ბრძოლის წინასწარ ცნობილი შედეგის გამო. ამას აჩვენებს საარქივო მასალები და მემუარული ლიტერატურა, რომელიც გამოვიდა საზღვარგარეთ საბჭოთა პერიოდში და საქართველოში პოსტსაბჭოთა ხანაში. სადისერტაციო ნაშრომი სამ ნაწილში

შევეცდებით მკითხველს წარმოვუდგინოთ მოწინააღმდეგეებისა თუ მომხრეების მთავარი კრიტერიუმები, ამასთან, ვაჩვენოთ თავად საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენელთა თვალსაზრისიც ქართველი ხალხის წინააღმდეგობრივ მოძრაობაზე, ამისთვის გამოვიყენებთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ორგანოს, _ გაზეთ „კომუნისტის“ იმდროინდელ პუბლიკაციებს.

აჯანყებას ემხრობოდა ნოე ჟორდანია, საქართველოს მთავრობის ყოფილი მეთაური. იგი დამარცხების შემდეგაც უდიდეს აქტად მიიჩნევდა ამ ბრძოლას დაწერდა: „ის (აჯანყება _ ი. გ.) ხასიათდება ერთი განსაკუთრებული თვისებით. ჩვეულებრივ საიდუმლო ორგანიზაციის საშუალებით შეუძლებელია ფართე მასის ამოძრავება და ბრძოლის ველზე გამოყვანა. ამიტომ, თითქმის ყველა ცნობილი აჯანყება იწყებოდა ერთ ალაგას, ერთ ცენტრში, დიდი-დიდი ორ ალაგას, ხოლო შემდეგ ან გავრცელდებოდა, ანდა იქვე მარცხდებოდა. საქართველოში კი ერთ და იმავე დროს აჯანყება იწყება მრავალ სხვადასხვა ალაგას, ერთი მეორისგან საკმაოთ დაშორებულ მაზრებსა და პუნქტებში, დანიშნულ დროს ფეხზე დადგა მრავალი ხალხი, მოძრაობაში ჩაება მასები. აი ეს მასიური აჯანყების საიდუმლოთ მოწყობა იშვიათია, ის არის ერთსა და იმავე დროს აჯანყებაცა და რევოლუციაც (ხაზი ჩვენია, _ ი. გ.).. აქ შეერთდა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერის სტიქია [ჟორდანია, 1925:4-5].

ნოე ჟორდანია აჯანყების დადებითად შეფასებისას ორ მხარეს გამოყოფდა: 1. ის, რომ აჯანყებამ აჩვენა არალეგალური ორგანიზაციების არაჩვეულებრივი ორგანიზებულობა, კონსპირაციულობა და დისციპლინა, ხალხის გულისთქმის გამოხატვის უნარი; 2. ქართველი ბოლშევიკების მოწყვეტა ხალხისგან და მათი მტრის ბანაკში ყოფნა. მისი აზრით, ქართველი ერი გაჰყვა დევნილ პარტიას მაშინ, როდესაც ქართველი კომუნისტები სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაქრობას ამტკიცებდნენ. ნოე ჟორდანია, დამარცხების მიუხედავად, 1924 წლის აჯანყებას ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სასახელო ფურცლად თვლიდა, ასახელებდა მსოფლიო ისტორიიდან დამარცხებული აჯანყებების მსგავს ფაქტებს, როდესაც მარცხი გამარჯვების ტოლფასი იყო. ის არც აჯანყების უარყოფით მხარეებს მალავდა და მას ტექნიკურად მოუმზადებელს უწოდებდა. საინტერესო იყო მთავრობის ყოფილი მეთაურის აზრი: **„ერის განთავისუფლება ხდება ვისიმე**

**დახმარებით, არც ერთი პატარა ერი საკუთარი ძალ-ღონით არ განთავსუფლებულა. მარტო საქართველო რუსეთს ვერ მოერევა, ეს უეჭველია. ეს კარგათ იცის ჩვენმა ხალხმა და ამიტომ მუდამ კითხულობს: ვინ გვეხმარებაო. პოლონეთი რამდენჯერმე აჯანყდა, ვერ განთავისუფლდა, მორჩილ პოლონეთს, რა თქმა უნდა, არავინ დაეხმარებოდა. აუჯანყებლათ, სისხლის დაუღვრელათ, უბრძოლველად პოლონეთის საკითხიც კი არ იქნებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში შეტანილი. ასეთივე ბრძოლით მიაღწიეს მიზანს ჩეხელებმა, ფინლანდიელებმა და სხვა პატარა ერებმ**ა."[ჟორდანია, 1925:23].

ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ქართველ ხალხს უნდა შეენარჩუნებინა „ანტიმოსკოვური პოზიცია", ამასთან, გაეგრძელებინა მუშაობა ევროპაში, რათა იქიდან მიეღო დახმარება. ის იმედოვნებდა თავად საბჭოთა ხელისუფლების კრახსაც, მოუწოდებდა ყველა ქართველს, რომ აჯანყებულთა მსხვერპლნი არ დაევიწყებინათ და ბრძოლა არ შეეწყვტათ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ.

1924 წლის ამბებთან დაკავშირებით საინტერესოა საარქივო დოკუმენტი _ ნოე ჟორდანიას წერილი აკაკი ჩხენკელისადმი, რომელიც გაგზავნილია 20. VII, 1924 წელს (წერილს 22 აწერია წითელი ფანქრით, ალბათ ადრესატმა ამ დღეს მიიღო). წერილიდან ჩანს, რომ ჟორდანია ეწინააღმდეგებოდა საქართველოში ემიგრაციიდან ყოფილი მთავრობის წარმომადგენელთა გამოგზავნას, მაგრამ მას არ დაუჯერეს. ერთ-ერთ მათგანს _ბენია ჩხიკვიშვილს მან წერილი გამოატანა დამოუკიდებლობის კომიტეტთან ქართველი ხალხისადმი მიმართვის სახით, რაც ჩეკამ ჩაიგდო ხელთ და რეპრესიების საფუძვლად აქცია. ამასთან, საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე აკრიტიკებდა აზერბაიჯანის ყოფილ ხელისუფლებას, ბოლშევიკები ამასაც იყენებდნენ მუსავატის პარტიასთან საქართველოს სოციალ-დემოკრატი ემიგრანტების დასაპირისპირებლად.

„აკაკი. გუშინწინ წერილი გამოგიგზავნე. გუშინ შენი წერილი მივიღე 18 ივლისის. ბენიამ ჩემი არ დაიჯერა. მაინც წავიდა. თავისი თავიც დაიღუპა და ჩემი წერილიც ჩააგდო. თქვენ ტყუილათ შეწუხებულხართ, ისეთი არაფერი დამიწერია, რომ საჯაროდ თქმა არ შეიძლებოდეს. მეზობლებზე რამდენიმე თუ გადავკრავ სრულათ საბუთიანათ. შეურაცმყოფელი აქ არაფერია. მაშ ის მერჩია ც.კ-სთვის , რომ

რაც მათ უთხრან მათ ეს ჭეშმარიტებათ მიიღონ. მე ვსწერ, რომ საქართველო მარტო ვერ გამოვა, გამოვა სხვებთან... ჯერ თქვენ გამოდით, მერე ჩვენო, - არ არის მისაღები (წერილის პირი აქ არ მაქვს). საინტერესოა ბატონებმა რა ადგილები დაბეჭდეს, შეიძლება კიდევაც გადაამახინჯეს. თქვენი წინადადება, რომ უარი ვთქვათ, არ მოგვიწერიაო, მიუღებელია. რაც მიწერილია, ჩემს წერილზე მე უარს არ ვამბობ. ეს არ არის ჩემი ჩვეულება. შინაურ მიწერ-მოწერაშიც თუ არ ვარ თავისუფალი, თუ ერთმანეთსაც მართალს ვერ ვეტყვით, მაშინ რა საჭიროა რამე ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა. დიპლომატია არ არის თავზე ხელის მოსმა, დაყვავების პოლიტიკის წარმოება. თუ დღეს მუსავატს არ მოსწონს მისი ისტორიის გახსენება, მისი ორგზის ღალატი, ეს მისი საქმეა. მაგრამ ისტორიას ხომ ვერ წაშლის და ვერც ჩვენ დავიფარებთ თავზე ხელებს. მათ ბაქოს კარები არ გაეღოთ - ჩვენ ახლა იქ ვიქნებოდით. სომხებს ამის მზგავსი ღალატი ჩვენთან არ ჩაუდენიათ, არც შეეძლოთ ჩაედინათ. აი ამ დიდ ფაქტს ვახსენებ მე ც.კ.-ს და ვურჩევ ფრთხილათ იყვენ მათთან და რომ ჩემი ეჭვი მართალი გამოდგა, იქიდან სჩანს, რომ მათ მერე მოიწერეს აზერბეიჯანში პროვოკაციების ქსელში კინაღამ გავეხვიეთო. თქვენ ნამეტან მნიშვნელობას აძლევთ პარიჟის მეზობელთ. ძალა და გავლენა არა აქვთ არც კავკასიაში, არც სხვაგან. ეს საკმაოდ გამორკვეული ფაქტია. პირადი თავაზიანობისათვის პოლიტიკას ვერ გავამრუდებთ. რაც შეეხება თუმანიშვილს, მე იმ აზრის ვარ ახლაც, რაც წინეთ ვიყავი. ჩვენს წარმომადგენლათ ვერ დავნიშნავ, რატომ? გარანტია არ გვაქვს, რომ კრიტიკის დროს თავის ნაცნობ რუსის მონარქისტებთან ისევ კავშირს არ გააბამს და ჩვენს ნდობას თავის საქმეების მოსაგვარებლათ არ გამოიყენებს. პოლონეთს ალბათ ალმაცერად უყურებთ, როცა ასეთ კანდიდატებს ასახელებთ. რასაკვირველია, ყურულიშვილიც მიუღებელია. ის მხოლოთ პროპაგანდისტად უნდა გამოიყენოთ, წერა იცის და ლაპარაკი პოლონურათ. პოლონეთში მცხოვრებთა შორის მე მხოლოდ ზაქარიაძე მიმაჩნია სანდოთ, რომელიც ჩვენ დავალებებს შეასრულებს. ყოველ შემთხვევაში სირცხვილს არ გვაჭმევს. სალაყაიას ნებართვის მოხდა უჩემოდ არც კი ვიცოდი. ვინ გამოიწვია არ ვიცი. თუ ყველა მასე დაამტკიცა თავისი პოსტი, არავითარი საქმე არ გაკეთდება. მე მირჩევნია წარმომადგენელი არ გვყავდეს პოლონეთში, ვინემ ისეთი, რომელსაც ვერ

ვენდობი სავსებით. რენოდელის წერილი კარგათ დაწერილია, არა მგონია ამის შემდეგ ერიომ ჩვენ დაგვივიწყოს. „კომუნისტი" არ მიმიღია, გამომიგზავნე

იყავი გამარჯვებით ნ. ჟორდანია.

[სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 114, ფ.4-6].

აჯანყების წინ ჟორდანია ჩხენკელთან წერილში ისევ უბრუნდება მთავარ პრობლემებს. 24, VII, 1924 წლის ნოე ჟორდანიას წერილში საუბარია ერიოზე, მის აქტზე, რომელსაც ჟორდანია მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობის აქტად არ თვლის. ახსენებს სვანიძეს, სტალინის ცოლის ძმას, რომელიც რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ ევროპაში გაგზავნა ქართველ ემიგრანტებთან მოსალაპარაკებლად. რუსეთი ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისთვის ემზადებოდა და საქართველოს ემიგრანტული ხელისუფლების ანტისაბჭოთა აგიტაცია ამაში ხელს უშლიდა, რისთვისაც მიმართა მასთან დიპლომატიური მოლაპარაკების ხერხს და სვანიძე გაგზავნა ბერლინში, იქაური წარმომადგენლობის ხელმძღვანელ - ვლადიმერ ახმეტელთან მოსალაპარაკებლად, რომელსაც უნდა ეშუამდგომლა ჟორდანიასა და მისი მთავრობის სხვა წევრებთან. .„რაც სათქმელი ჰქონდა სვანიძეს, ყველაფერი ნათქვამი აქვს, - წერდა ჟორდანია ჩხენკელს. - ისიც იცის, რომ ახმეტელი ჩვენ გვაცნობებდა, ჩემი დასკვნა ამ ცნობიდან ასეთია: თუ არ ავჩქარდებით და მომენტებს ხელიდან არ გავუშვებთ - საქმეს მოვიგებთ. საჭიროა მხოლოდ რომელიმე გავლენიანი წრეები დავაინტერესოთ ჩვენი საქმით. ბ. ბ. (ბატონი ბოლშევიკები - ი.გ.) ფულისათვის, ე. ი. მათი ბატონობის გახანგრძლივებისათვის ბევრ რამეს დათმობენ. თუ მაკდონალდმა ვერაფერი მისცა და იქ, მოსკოვში მართლა ეშინიათ ინგლისის, შეიძლება საფრანგეთში გააწყონ რამე. მაგრამ ასეთი დიდი კამპანიისათვის ერიო არ გამოდგება. მხოლოდ ბრიანს შეუძლია ასეთი ფართო და გამსვლელი პოლიტიკა აწარმოვოს. ინგლისში სავაჭრო ხელშეკრულება შეუკრავთ. შიგ არაფერი არ არის, როგორც სჩანს არც ინგლისისათვის არც ამ ბ.-სათვის. აქ ალბათ მსხვილ დიდი კომბინაციაზეა ლაპარაკი და ეს უნდა გავიგოთ რამენაირათ. მივიღე „კომუნისტი" (საუბარია საქართველოს კომუნისტური პარტიის მთავარ ორგანოზე, გაზეთ „კომუნისტზე"). ჩემს წერილს იყენებენ რეპრესიებისათვის, ეს ყველაზე უფრო სამწუხაროა. ამის შესახებ მე ვსწერ ნოეს (იგულისხმება საქართველოში

გამოგზავნილი ხომერიკი). ძალიან აჩქარებულათ მოხდა იმ ხალხის გაგზავნა და იმდენი ფულის დახარჯვა. მაზნიაშვილის წერილი გადავეცი კოწიას (უნდა იგულისხმებოდეს ინგლისში მყოფი კონსტანტინე საბახტარაშვილი, - ი.გ.) მთავრობისათვის. მე რომ მწერს აქ, იქ მთავრობა ვერ მიაგნო? ადრესი მე გამოვგზავნე შენდა მთავრობისათვის.

ნ. ჟორდანია [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 422, ფ.7].

ეკონომიკური კრიზისით დამძიმებულ, ომის შემდგომ ევროპაში კავკასია ინტერეს იწვევდა ნავთობისა და სხვა ნედლეულის გამო. კავკასიით ყველაზე მეტად ინგლისი იყო დაინტერესებული, ამიტომ ივიწყებდა რუსულ თემას და საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გამოსწორებისთვის ზრუნავდა. ამის გამო მას აღარ სურდა საქართველოს ემიგრაციული ხელისუფლებისთვის მხარდაჭერა. თავის მხრივ, ემიგრაციული მთავრობა იბრძოდა ინგლისის მისამხრობად, ცდილობდა რუსეთ-ინგლისს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადებაში ხელის შეშლას, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას საერთაშორისო ძალების დახმარებით.

„ყელს ვიჭრით და არას ამბობენ. უნდა ვიყვიროთ, რომ ყველამ გაიგოს, რომ არც ასე სულელები ვართ, არ გვესმოდეს რა ძალებია. ირაკლი წინააღმდეგი იქნება, ვაცალოთო, აცალე ყელის გამოჭრა! პარტიამ იქიდან, საქართველოდან ამოიღო ხმა და ეს ხმა აცნობა მათ, .. ჩვენ კი აქ გავჩუმებულვართ. ლოიდ ჯორჯის გამო მივსწერეთ მათ, თვითონ კი უარესს სჩადიან, ერთი სიტყვით, წერილით მივმართოთ პარტიას და ამწერილს კაციც გაყვეს. ამასთანავე, შენ როგორც ელჩი, დაამზადე ქაღალდი, რომლითაც უნდა ვამცნოთ მთავრობას, რომ ბ.ბ-ისათვის მიცემულ სესხს საქართველო არასოდეს არ გადაიხდის და არც მის ტერიტორიაზე მიღებულ კონცესიებს იცნობს. კარგი იქნება სხვებიც, მეზობლები მისცემდნენ ასეთ ქაღალდს. მოილაპარაკეთ. ბ.ბ-ბი ყოველთვის დათმობენ ფულისათვის. ეს მათთვის არსებობის საკითხია.  მართალი თქვა სვანიძემ. კონცესიას გასცემენ ნავთზე, მაგრამ წარმოებას ხომ შესაფერი იურიდიული პირობები ეჭირვება. ამასაც შესცვლიან: აი აქ არის მთავარი საკითხი. მაკდონალდს რომ მოეხდინა კავკასიის იჯარით გაცემა და აქ

საბჭოთა წყობილების მოსპობა - ეს იქნებოდა საკმაო გარანტია ბანკებისათვის და ჩვენი საქმისთვისაც...“- წერდა ჟორდანია.

ემიგრაციული მთავრობა გზავნიდა დელეგატებს იქაც, სადაც არავინ იწვევდათ, ახვედრებდა მსოფლიოს ცნობილ პოლიტიკოსებს მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ერთი სიტყვით, ევროპაში საქართველოს საკითხის დასასმელად და მისთვის დახმარების მოსაპოვებლად ემიგრირებული მთავრობა ბევრს აკეთებდა. თავად საქართველოდანაც მიდიოდათ არამარტო ცნობები აქაური ვითარების შესახებ, არამედ აქაური ინტელიგენციის სხვადასხვა წრეებიდან მიმართვები, რომელთა გადაცემასაც თხოვდნენ ევროპული ორგანიზაციებისათვის. მაგალითად მოვიტანთ საარქივო დოკუმენტს, - 1922 წლის 21 აპრილს გენუაში მყოფ აკაკი ჩხენკელისადმი საქართველოს ლეგაციის მდივნის - სოსიპატრე ასათიანის მიმართვას, სადაც ერთი ასეთი ცნობაა: „მოვიდა მასწავლებელთა კავშირიდან დიდი მიმართვა ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი გადასაცემად, ამ მიმართვას გიგზავნიან თქვენ და გთხოვენ ის გადასცეთ ყველა ორგანიზაციას ევროპისას, თავმჯდომარემ განკარგულება გასცა გადაითარგმნოს. აქვე გიგზავნით უკანასკნელ ტელეგრამას სვანეთის შესახებ“ [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62].

თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა მთავრობის წევრთა მიერ საქართველოს საკითხის პროპაგანდას ევროპაში, ჩანს 2 მაისს იგივე ასათიანისგან გენუაში გაგზავნილი დეპეშიდან: „პირველ მაისს გარეშე საქმეთა მინისტრთან ერთად ვინახულეთ ბ. პერეტტი - დელაროკა. ჩვენი ამბების შესახებ, როგორც წინათ გწერდი, მათ არავითარი ცნობები არ აქვთ, არც კერძო და არც ოფიციალური. ჩვენ გავაცანით უკანასკნელი ტელეგრამის შინაარსი და განუმარტეთ, რომ მოთმინებიდან გამოსული ხალხი მოუწოდებლად აღდგა და იარაღით ებრძვის დამპყრობლებს, რაოდენივე პროვინციები უკვე თავისუფალია და სხვ. ჩვენს შეკითხვაზე - შეიძლება თუ არა ჩვენს ხალხს რაიმე დახმარება ექნეს ალიანსიდან-თქო, მან ვერაფერი ვერ გვითხრა გარდა იმისა, რომ სიმპატიები აქვთ ჩვენი. ინსტრუქციები და მემუარი, როგორც შეგპირებიათ თქვენ, გაუგზავნია დელეგაციისათვის, დღესაც გაუგზავნი ტელეგრამას ბართუს, რომ მან აუცილებლად ინახულოს ბ. ჩხენკელიო, - დასძინა. ბ. გარეშე საქმეთა მინისტრმა საკმაოთ განუმარტა თუ რამდენათ განსაცდელშია დღეს ჩვენი

საკითხი და რომ თანახმად კანის რეზოლუციისა, მომენტიც არის ჩვენს საკითხსაც შეეხონო, მან აღგვითქვა, რომ ყველა ნალაპარაკევს გადასცემდა მთავრობის თავმჯდომარეს და ბართუსაც შესაფერ ცნობებს მიაწვდიდა. მასვე გადავეცით თქვენი სურვილი შესახებ იმისა, რომ გქონოდათ შესაძლებლობა დელეგაციის მოხელეებთან თავისუფლათ მისვლის და ლაპარაკის. ესეც აღნიშნა თავის „კარიე"-ში. ამ დღეებში გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულებს ზ. პუანკარეს. შედეგს უმალვე მოგწერთ" [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფ.2].

ასათიანის ყველა მიმართვაში ბოლშევიკებთან ბრძოლები „მეუმრავლესეების" შემოსევად არის დეფინიცირებული („გიგზავნით 4 ცალს მეუმრავლესეების შემოსევის შესახებ, მემუარისას").

მომდევნო ვრცელ დეპეშაში ასათიანი კვლავ უმეორებდა ჩხენკელს პერეტი დელაროკასთან შეხვედრას და მის ინფორმირებულობას საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

საქართველოს ემიგრირებული პოლიტიკოსები ცდილობდნენ მიტოვებულ სამშობლოს როგორმე დახმარებოდნენ იმ ბრძოლაში, რაც იქ მიმდინარეობდა. ისინი, გარდა მორალური მხარდაჭერისა, ითხოვდნენ ევროპის ქვეყნებისგან ფულსა და იარაღს. ეს კარგად ჩანს მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტიდან, პირადი მიმოწერიდან. „პუანკარე ხვალ მიგვიღებს ( ოთხშაბათს 6 საათზე, 10 მაისს), - წერდას. ასათიანი. თქვენი უკანასკნელი წერილით ვისარგებლებთ, ეხლაც ალბათ დიპლომატიური პასუხით გამოგვისტუმრებს, საუბედუროთ მდგომარეობაც ისეთია მათთვის, რომ ეხლა გარკვეულს ვერაფერს გვეტყვიან. მაგენი რომ რომაელების ფსიხოლოგიით არ იყვნენ მოწამლული და ჩვენ რომ რამეთ გვაგდებდენ, განა მათ ჩვენზე უფრო ვინმე გამოადგებათ რუსეთის საქმეებში?.."

1922 წლის დასაწყისში ნოე ხომერიკი, როგორც ვიცით, საქართველოში (სვანეთში) დაწყებული ანტირუსული გამოსვლების გამო, წამოვიდა პარიზიდან, რათა ეხელმძღვანელა ამ პროცესებისათვის. თავდაპირველად ის კონსტანტინოპოლში დარჩა და იქ მოღვაწეობდა იქაურ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად საქართველოში მიმდინარე მოვლენების მხარდასაჭერად და

გასაღრმავებლად, დასავლეთის ყურადღების მისაქცევად. აქ მისი სტატუსი იყო - პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე.

1922 წლის29 აპრილს ნოე ხომერი კი პარიზში წერილით აკაკი ჩხეკელსა და ევგენი გეგეჭკორს ატყობინებდა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ჩხენკელი ამ დროს იტალიაში, კერძოდ, გენუაში იმყოფებოდა და დელეგაციამ მას დეპეშა ფრანგულ ენაზე და ქვემოთ მოტანილი წერილი იქ გადაუგზავნა.

წერილი მოკლე და ნახევრად დაშიფრული იყო. მასში ჩანს, რომ ჩხენკელი და გეგეჭკორი ამ აჯანყებისათვის ევროპიდან ვინმეს მხარდაჭერას არ ვარაუდობდნენ და ამას ატყობინებდნენ კონსტანტინოპოლის პოლიტიკურ კომისიას, რათა მათ ამის შესახებ რაიმე ილუზიები არ მიეცათ აჯანყებულებისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიებისათვის [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფურც. 9-10].

თავის მხრივ, ნოე ხომერი კი წერდა ჩხენკელსა და გეგეჭკორს:

„ძმაო აკაკი და ევგენი!

დღეს თქვენი დეპეშა მივიღეთ. ცნობების შესახებ დროზე რომ შეგეტყობინებიათ, რასაკვირველია, უკეთესი იყო. თავის დროზე თადარიგს დავიჭერდით. საერთო ინფორმაცია რომ ეგზავნება, ძველი მას მოსთხოვეთ, ხოლო ახალი, რაც მექნება, ამიერიდან თქვენც გადმოგიგზავნით. საერთო ინფორმაციის გარდა, ჩვენ გვაქვს სამხედრო. გვგონია მაგასაც გამოიყენებთ. დღეს გიგზავნი თერთ წყაროს. რაც შეეხება დეპეშებს, თუ დარჩა ასეთი რამ, ამიერიდან არც ამას მოგაკლებთ.

საქართველოში ხალხი ძალიან მაგრათ არის.

თქვენი დეპეშის ერთი ადგილი ვერ გავშიფრეთ. იქ ნათქვამია, მტრები ცდილობენ დაუშვან - და ამას მოსდევს სიტყვა „მიაღწევენ“. ნუთუ ჩვენი საქმე აქამდი მივიდა?

გისურვებთ კარგად ყოფნას“

ნოე ხომერიკი [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე111, ფურც.2].

კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად და დამოუკიდებლობის აღსადგენად. სათავეში ამ მოძრაობას ედგა საქართველოს

წარმომადგენლობა თურქეთში კონსტანტინე გვარჯალაძის მეთაურობით. ის ცდილობდა ყველა ძალა მოესინჯა და ჩაერთო თავის მუშაობაში, ხვდებოდა თურქეთის მაშინდელ მოწინავე სამხედრო და პოლიტიკურ პირებს. ამას მოწმობს მისი 1922 წლის ჩანაწერები.

კონსტანტინე გვარჯალაძე აქტიურად იყო ჩაბმული 1924 წლის აჯანყების მომზადებაში და ღრმად სწამდა ამ ნაბიჯის სისწორე. 1922 წლის 16 ნოემბერს ის შეხვდა საქართველოს ნაციონალური მთავრობისა და სტამბოლის ქართული კოლონიის სახელით ცნობილ თურქ პოლიტიკოსს რეფეტ-ფაშას და ესაუბრა საქართველო-თურქეთის ურთიერთობის პრობლემებზე.

საინტერესოა მისი წერილი თურქეთში მცხოვრებ აჭარელ ქართველებსა და აფხაზებზე, მათ დამოკიდებულებაზე საქართველოს მოვლენების მიმართ. ერთ-ერთ წერილში ის წერს ჩხენკელს: „ამ სამი თვის წინად ჩვენ გავიცანით აქ ერთი ქართველი (ბათუმელი) ხოჯა, რომელსაც ხოჯების მასწავლებლის ადგილი უჭირავს სტამბულის ერთ უდიდეს ჯამეში. მან ჩვენზე თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართული კარგად იცის, თავი ქართველად მიაჩნია და ჩვენი საქმისადმი დიდ ინტერესს იჩენს. ნელ-ნელა ჩამოვითრიეთ მუშაობაში. მას ჰყავს მეგობარი, მილეთის ჯარის პოლკოვნიკი, ტომით აფხაზი, აფხაზეთის და საქართველოს დიდი პატრიოტი. როცა ანგორის ჯარები ზღვას მიადგა და თურქების გენერალიტეტი ბრუსაში იმყოფებოდა, ხოჯამ და პოლკოვნიკმა წინადადება მოგვცეს თურქეთის გენერალური შტაბის უფროსთან ფევზი-ფაშასთან გავაბამთ კავშირს ჩვენი საქმის გამოო. ფევზი ფაშა თურმე აფხაზი პოლკოვნიკის სკოლის ამხანაგი ყოფილა. ერთად შევიმუშავეთ წერილის შინაარსი. აფხაზი აგონებდა წინანდელ ბაასს, რომელიც მას ჰქონია ფევზი-ფაშასთან კავკასიის შესახებ. სწერდა მოკლედ აფხაზეთის და აჭარის ახლანდელ მდგომარეობას, მიუთითებდა ანგორის გამარჯვების მნიშვნელობას კავკასიისათვის, და სთხოვდა თავისი და ხოჯას სახელით დახმარებას კავკასიის საკითხის წამოყენებისათვის ანგორის მმართველ წრეებში. გავიდა ორი-სამი კვირა. ამასობაში რეფეტ-ფაშა აქ სამოქალაქო მმართველობას დაეპატრონა. ერთ მშვენიერ დღეს პოლკოვნიკი და ხოჯა დაიბარა რეფეტ-ფაშას ადიუტანტმა და აცნობა: ფაშას უნდა თქვენთან ლაპარაკი იმის შესახებ, რაც ფევზისათვის მიგიწერიათო. ფევზი ფაშას

გადმოეგზავნა აზხაზის წერილი რეფეტისათვის და ეთხოვნა დაებარებინა და მოლაპარაკებოდა ხოჯას. უკანასკნელი რეფეტ ფაშამ ძლიერ კარგად მიიღო. ხოჯამ უამბო აჭარის აუტანელი მდგომარეობა რუსის ბატონობის ქვეშ და წარუდგინა ვექილობა ქედის რაიონის მცხოვრებლებისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ 1919 წელში (ინგლისელების დროს) მიუნდვიათ მისთვის თავიანთი ინტერესების დაცვა, აღნიშნა ქართველი ხალხის და აჭარლების საერთო ბრძოლა რუსების წინააღმდეგ და სთხოვა შეძლებისდაგვარად დახმარება. ისიც უთხრა, რომ აქ იმყოფებიან ქართველი მოღვაწეები, რომელთაც თავის ქვეყანასთან აქვთ კავშირი და უნდათ მუშაობის განგრძობა მომავალშიც. რეფეტმა, ხოჯას გადმოცემით, შემდეგი უპასუხა: ჩვენ ქართველი ხალხის თავისუფლებას იმთავითვე დიდის თანაგრძნობით ვეკიდებოდით. გაიხსენეთ ომის დროს ლეგიონის დაარსება.

გაიხსენეთ, რომ ჩვენ პირველმა ვიცანით საქართველო. ამ ბოლო დროსაც ჩვენ ინტერესით ვუყურებთ ქართველი ხალხის მომავალს, რუსებთან ჩვენი კავშირი დროებითია..“ [სცსსა 1831, საქმე 110, ფ. 1-7].

იმ სინამდვილეს, რაც ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ხდებოდა, კარგად გადმოსცემს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის 1923 წლის 25 მაისის მიმართვა ხალხთა ლიგისადმი [ ტექსტის დედანი დაწერილია ჩხენკელის ხელით, გადაბეჭდილია საბეჭდ მანქანაზე, ნათქვამია, რომ ასლი დაეგზავნა ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, მთავრობებს, ამსტერდამის ინტერნაციონალს]. მიმართვაში ეწერა:

„ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის გარშემო შემოკრებილია დღეს მრავალტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას და მისი საშუალებით მთელს განათლებულ კაცობრიობას და აუწყებს მათ ქართველი ერის დღევანდელ უბედურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ აღწერილი სურათი ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობისა იქნება მკრთალი, რადგან შეუძლებელია სიტყვიერათ გადმოცემა იმ ვაებისა, იმ წამების, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო. ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში ჰქონია თავისი სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება, თავისი მმართველობა და გმირულად იცავდა თავის სამშობლოს. ასოცი წლის წინათ

რუსეთმა ფეხქვეშ გასთელა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და შეუდგა ქართველი ერისა და მისი კულტურის განადგურებას. მაგრამ ქართველ ერს ისეთი ძლიერი კულტურა აღმოაჩნდა, რომ ველიკორუსული ნაციონალიზმი მასთან ვერას გახდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ წართმეული დამოუკიდებლობა და სუვერენობა აღიდგინა. მან შექმნა ეროვნული კრება, მთავრობა, ადმინისტრაცია, ჯარი, სასამართლო და სხვ.  ევროპის სახელმწიფოებმა ჯერ ფაქტიურად და შემდეგ იურიდიულად იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. 1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია პატარა საქართველოს, ქართველმა ერმა შემოსეულთა წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოლა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ის დაეცა, რუსეთმა ის კვლავ დაიჭირა. დღეს საქართველო რუსეთის ოკუპაციის ქვეშ არის, ეს ოკუპაცია არ შეედრება ისტორიაში დღემდე ცნობილ არცერთ ძალდატანებას.

რუსეთმა ფაქტიურად მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა, განათლებული კაცობრიობის თვალის ასახვევად მან შექმნა ოთხსართულიანი „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“, რომელიც უდიდესი სიცრუეა ბოლშევიკური სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა. ნამდვილად საქართველოს განაგებს რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, ფული, ჯარი და სხვა არ არსებობს, ყოველივე ეს წაშალა მოსკოვმა და კომუნისტურმა ოლიგარქიამ, ხოლო საქართველოში გაამეფა უსაშინლესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები, დღეს საქართველო სასაკლაოთ არის გადაქცეული. რუსეთის ჩეკა, რომელიც საქართველოში მძვინვარებს, ეს უსაშინლესი სირცხვილი და ლაქაა XX ს-ში. ამ დაწესებულებებში განუკითხავათ, გაუსამართლებლათ, დაუკითხავათ იხვრიტება ქართველი ერის საუკეთესო შვილები, ინტელიგენცია, მხედრობა, მუშები, გლეხები და კოოპერატორები. მსხვერპლს ჯერ შიმშილით ასუსტებენ, შემდეგ თავში ჩაქუჩის ჩარტყმით აყრუებენ, ხელფეხშეკრულთ საბარგო მანქანებზე ყრიანდა ქალაქგარეთ ხვრეტენ. ამ გზით ქართველმა ერმა დაკარგა არაერთი და ორი ასეული საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი. გმირებს ნაჩქარევათ ზერელეთ მოთხრილ ორმოებში ყრიან და მათ ლეშებს ძაღლები ათრევენ სასაფლაოზე. მშობლებს, ნათესავებს, ამხანაგებს

არა აქვთ საშუალება დაასაფლავონ დახვრეტილ-ნაწამებნი. რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი და გურია. ამ ორი თვის წინათ, გურია - ეს საქართველოს საუკეთესო და კულტურული ნაწილი სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურა. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურებათ ყოფილი ყაჩაღი, რომელმაც გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დასწვეს ახალგაზრდა 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ღამით, 13 თებერვალს, 1923 წელს, 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს. გურიაში დახვრეტილია რამდენიმე ასეული კაცი. ზოგიერთი ოჯახები სულ ამოწყვიტეს, ზოგი დასწვეს და დაანგრიეს. ასეთივე მდგომარეობაშია კახეთი-თიანეთის და თელავის მაზრები. ოკუპანტები ანადგურებენ ყველა კულტურულ ძალებს. ამ წლის 20 მაისს რუსეთის ცეკამ გაუსამართლებლათ დახვრიტა 15 მხედარი, ქართველი მხედრობის ხელმძღვანელნი, გენერლები და შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი.

გარდა ამ ფიზიკური განადგურებისა, რუსეთი სპობს ერის კულტურას: ისპობა და ნიავდება საუკუნოებით შექმნილი კულტურული ნაშთები, სააქართველოში არ გაისმის არათუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც აღარ შეუძლია; ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია ეკლესია-მონასტრები და მორწმუნე ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. განუკითხავათ არიან ჩაყრილნი სარდაფებში სარწმუნოების საუკეთესო წარმომადგენელნი. ხალხის სიმდიდრეს იტაცებენ და ითვისებენ უცხო ელემენტები. ყველა წრისა და პროფესიის ადამიანები ავაზაკურათ იცარცვება, ხალხის ნაოფლარით ოკუპანტები განცხრომაში ცხოვრობენ. არც ერთმშრომელს, არც ერთ მწარმოებელს აღარ ეკუთვნის არც სიცოცხლე და არც მისი ოფლით შეძენილი დოვლათი. ყველაფერს ოკუპანტების ხიშტებით იტაცებენ. ქალაქის მცხოვრებლები იმდენად დაბეგრილნი არიან, რომ უკანასკნელ საოჯახო ნივთებს ყიდიან, რომ გადასახადები გაასწორონ. ასეთივე დღეშია გლეხობა, მთელი მისი ავლადიდება ოკუპანტების განკარგულებაშია და ის სულს ღაფავს გაჭირვებისაგან. გლეხს, რომელიც არ არის მომხრე ბოლშევიკების, ყველაფერი

წართმეული აქვს, სახლიც და სამუშაო ინვენტარიც. წართმეულს ურიგებენ თავის მომხრეებს, ასეთივე უღლის ქვეშ გმინავენ ქართველი მუშები. საქართველოს ციხეები მუშებით არის სავსე, ეს არ იკმარეს და რუსეთის ცივ მხარეებში ერეკებიან ასობით ადამიანს სამშობლოდან. აძევებენ ყველას, ვინც თავისი ქვეყნის მოღალატე არ არის და მოძლადეთა მომხრე არ არის. ოკუპანტები საშინელ წამებას აყენებენ მუშებს და გლეხებს, რომ მათ ხელიდან გამოგლიჯონ მათი რეჟიმის მოწონება და მხარდაჭერა. ზოგნი ვერ უძლებენ ამ მეოცე საუკუნის ინკვიზიციას და უწერენ ხელს ჩეკაში შედგენილ საშინელ ცილისწამებებზე ქართველ ერზე. ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის თავდამსხმელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას. ერთა ლიგისადმი მომართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი. განათლებული საზოგადოების წარმომადგენლობავ, ისმინეთ ხმა კულტურული პატარა ერისა, ეს ერი იჟლიტება ფიზიკურად ,ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი ეროვნული კერა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა, ეს სამართლიანობის უაღრესი ორგანო აღიმაღლებს თავის ავტორიტეტულ ხმას ამ მიმართვაში აღწერილს საშინელ დანაშაულობათა წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიან რუსეთის დღევანდელი ბატონები ქართველი ერის მიმართ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. 25 მაისი, 1923 წელი [ შენიშვნა: საქართველოდან ამ მიმართვის შესახებ გვწერენ, რომ ის ნაჩქარევათ არის შედგენილი და შეასწორ-შეალამაზეთო, სტამბოლმა მისი შესწორება არ იკისრა და საჭიროა ეს იკისრონ პარიზში მყოფებმა. [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 114, ფ.1-7].

იმას, თუ როგორი განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წევრებს, მოწმობს პოლემიკური წერილები ჩხენკელსა და სტამბულის ემიგრაციის წევრ _ კონსტანტინე გვარჯალაძეს შორის. გვარჯალაძე აქტიურობდა აჯანყების მხარდასაჭერად, ჩხენკელს კი ეს ზედმეტად, ქართველი ხალხის საზიანოდ მიაჩნდა. ამას მოწმობს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის - კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი სტამბოლიდან პარიზში აკაკი ჩხენკელისადმი აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

„საქართველოს წარმომადგენელს პარიზში

დიდი ხანია მივიღე თქვენი წერილი (15, XI, 24). დღემდე ვერ გიპასუხეთ. არ მქონდა მოცალეება. ისედაც თქვენი წერილი საქმეს არ შეეხებოდა, ის უფრო პირადული ხასიათისა იყო და ამიტომ მასზე პასუხის გაცემა არც ისე საშური იყო. თან ვერ გავიგე კარგათ, რათ დაგჭირდათ თქვენ ჩვენი კერძო მიწერ-მოწერის გადმოტანა ოფიციალური წერილების ფურცლებზე. არ მგონია, რომ ეს მიზანშეწონილი იყოს. მაგრამ რომ მართლაც ბოლო მოეღოს ასეთი წერილების წერას, საჭიროთ მიმაჩნია მოგცეთ ზოგიერთი კონტრგანმარტებანი. თქვენ ალბათ გეხსომებათ, რომ ჩემი 11 სექტემბრის წერილით ქვენდამი იყო პასუხი თქვენი 5 სექტემბრის წერილისა ჟენევიდან. 2 სექტემბერს საზღვრიდგან, პუნქტში მყოფ ჩვენი კაცისაგან მივიღეთ დეპეშა: „საქართველო და აზერბაიჯანი ხუთი დღეა რაც აჯანყებულია, საქართველოს ნახევარი ტერიტორია აჯანყებულთა ხელშია. სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. ბრძოლაა ბათომის ქუჩებში, რკინისგზის და ტელეგრაფის მუშაობა შეწყვეტილია“. კიდევ ამის წინეთ, 31 აგვისტოს, საზღვრიდგან მივიღე მოკლე დეპეშა: „29 ამ თვეს დაიწყო აჯანყება საქართველოში და აზერბაიჯანში“. 31 აგვისტოსვე მთელ ევროპაში ყველგან „როსტის“ საშუალებით გავრცელდა ცნობა, რომ საქართველოს ერთ პატარა ქალაქში _ ჭიათურაში მენშევიკების ბანდებმა მოაწყვეს ავანტიურა, მაგრამ რამდენიმე საათში ყველაფერი ჩავაქრეთო. მაგრამ იმავე დეპეშიდან ნათლად სჩანდა, რომ ბოლშევიკები რაღაცას მალავდნენ და მდგომარეობა სერიოზული იყო. ცხადი იყო აგრეთვე, რომ ბოლშევიკებს მიღებული ქონდათ ყოველნაირი ზომა, რომ საქართველოდან არავითარი ცნობა არ გამოსულიყო ევროპისკენ და ჩვენი ერის მოძრაობა კი მათ სისხლში ჩაეხშოთ. რამდენად შესაძლებელი იყო ჩვენს პირობებში მომუშავეთათვის, ჩვენ აქ შევამოწმეთ 2 სექტემბრის დეპეშა, ჩვენზე მეტი ცნობა აქ არავის ქონდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თურქულ პრესას, ევროპის და ამერიკის კორესპონდენტების გაზვიადებულ ცნობებს. სტამბოლში მომუშავე პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირმა დაადგინა, სენსაციებს არ ავყოლოდით და მიგვეწოდებინა ჩვენებისათვის ევროპაში და აგრეთვე ამერიკისა და ევროპის პრესისათვის ის ცნობები, რომელნიც ჩვენს საზღვრიდან მოგვდიოდა. ჩვენ ვიყავით დაინტერესებული მხარე და როცა ყველას თავდაჭერილათ მოვაჩვენებდით თავს,

გაცილებით მეტ ნდობას მოვიპოვებდით მათ თვალში. ასეც მოხდა. საინფორმაციოთ ყველა ჩვენთან მოდიოდა და ყველას ჩვენი განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა. მომენტის სრული შეგნებით იყო, რომ 2 სექტემბრის დეპეშა გამოგეგზავნათ თქვენ ჟენევაში. ჟენევაში ამ დროს იყო ნაციათა ლიგის სხდომა. იქ იყვნენ ზოგი ჩემი კარგი პირადი ნაცნობები, როგორც მაკდონალდი, დებრუკერი და ბრანტინგი. აქ გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს პირებიც მიიღებდნენ ჩვენში მომხდარ ამბებზე ცნობას პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან. ამის შემდეგ მე მათაც გავუგზავნე იგივე დეპეშა. როგორ შეხვდით თქვენ ჩვენ დეპეშას? 5 სექტემბრის თქვენ წერილში მწერდით: „ თქვენ დეპეშაში მოყვანილი ცნობები ერთობ გაზედულათ მოგვეჩვენა: ნახევარი საქართველო თავისუფალია და სხვ. მე არ ვიცი, რა წყაროს ემყარებოდი შენ. დიდი შეცდომა იყო დებრიუკერისათვის დეპეშის გამოგზავნა, ჯერ ჩვენთვისაც არ უნდა გამოგეგზავნა მსგავსი, თუ წყარო სრულათ სანდო არ იყო. დებრიუკერმა პირდაპირ განაცხადა, არ მჯერაო, ვისაც ვაჩვენე, იმათაც არ დაიჯერესო, ქართველებმა ასე იციანო“. ამაზე მე თქვენ შემდეგი გიპასუხეთ: თავიდათავი ის არის, რომ შენ ცნობას არ დაუჯერე. წყაროს ჩვენება დეპეშით არ შეიძლებოდა, ეს არც იყო საჭირო, შენ უნდა გცოდნოდა, რომ მე გადამეტება და ფანტაზიები არ მიყვარს და ისეთ ცნობებს და ისეთ წყაროდან მოგაწოდებდი, რაც საჭირო და აუცილებელი იყო. როდის ნახე შენ, რომ კაცმა ომის დროს აბსოლუტურად სწორი ცნობები მოითხოვოს? ჩვენთვის არ უნდა გამოგეგზავნა ეს ცნობა, თუ წყარო სრულათ სანდო არ იყოო. საკვირველი რამ არის! ვიმეორებ, აბსოლუტურათ სანდო წყარო ომის დროს არ არსებობს! რამდენადაც კი შეიძლებოდა ჩვენ პირობებში მომუშავეთათვის, ეს ცნობა სარწმუნო წყაროდან იყო. დებრიუკერს რატომ გაუგზავნეო. მიტომ რომ ჩვენში დიდი ამბები ხდება და მე მინდოდა, რომ დებრიუკერს, მაკდონალდს და სხვებს პირდაპირ სტამბოლიდან ქონებოდათ ეს ცნობები, მეტ გავლენას მოახდენდა მათზე. შენ თვითონ არ გჯერა მომხდარი ამბები ჩვენში და რათ გიკვირს, თუ ასე ნაკლებად სჯერათ ის დებრიუკერს და სხვებს. იმის მაგივრათ, რომ მთელს ქვეყანას მიახტეთ და იყვიროთ, ასეთ ამბებს აქვს ადგილი ჩვენში და დაარწმუნოთ ყველანი, თქვენ გეშინიათ ამ ამბებზე ლაპარაკი. ამ დროს კი ბოლშევიკებმა ცრუ და გაიძვერა დოკუმენტებით ევროპის გაზეთები გაავსეს. ვთქვათ, თუ გინდა, ჩვენს ხელში

ნახევარი საქართველო არ ყოფილიყო, განა უსათუოთ ხელში მეტრით უნდა ზომო, ჩვენ გვიკავია მეტი ტერიტორია თუ ბოლშევიკებს? ეხლა საკმაო დროა გასული, რომ ასე თუ ისე ერთნაირი შეფასება მოხდეს. ფაქტია ის, რომ ჩვენი ცნობები, თუმცა ყოველი მხრივ არ იყო სწორი, ეს, როგორც ზემოთ ვამბობდი, შეუძლებელიც იყო, სხვების გაბერილ-გაზვიადებულ ცნობებთან შედარებით, სინამდვილესთან უფრო ახლოს იყო. ფაქტია ისიც, სტამბოლში მოღვაწე პოლიტიკურ მოღვაწეთ რომ თქვენი ფსიხოლოგია ჰქონებოდათ და ჩვენში მომხდარი ამბებისადმი თქვენებრ უნდობლობა გამოეჩინათ, მაშინ ჩვენ ევროპას ორ-სამ ცნობასაც კი ვერ მივაწვდიდით. ამის შედეგი იქნებოდა ის, რომ ჩვენი მთავრობა ვერ გააკეთებდა იმის მეათედსაც კი, რისი გაკეთებაც მან შესძლო. 5 სექტემბრის წერილში თქვენ იმ აზრს გამოთქვამდით, რომ ამ უკანასკნელ დროისკენ ჩვენ ტაქტიკას თქვენ ვითომ კარგად არ იცნობდით, ვიღაცეები თქვენს ზურგს უკან რაღაცეებს აკეთებდნენ, ამაში ვითომ მეც ვერიე და დაასკვნიდით, რომ ამ გზით ქვეყნის შველა არ შეიძლებაო. ამაზემეთქვენ 11 სექტემბერს გიპასუხეთ: „ რაც შეეხება იმას, რომ თქვენს ზურგსუკან კეთდებოდა რაღაცეები და შენც ერიე ამაშიო, ამაზე ლაპარაკის დრო არ არის ეხლა, გაცილებით უფრო სერიოზული საქმეები გვაქვს გასაკეთებელი, ვიდრე ამაების ჩხრეკას გამოვუდგეთ და სტრატეგიულ უკან დახევებს შევეცადოთ. ოღონდ აქედანვე და ეხლავე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ შენი ასეთი ჩემდამი დაუმსახურებელი გამოლაშქრების წინააღმდეგ. თავის დროზე შენ მიიღებ შესაფერ პასუხს!“ თქვენი 15 ნოემბრის წერილში კი ჩემდა გაანსაცვიფრებლად შემდეგს მწერთ: „ჩემი კერძო წერილი ჟენევიდან უასლო იყო, ამიტომ ვერ გავიხსენებ მის სიტყა-სიტყვით შინაარსს, ერთი კი გადაჭრით შეიძლება ითქვას: თქვენ ცდებით, როცა იწერებით, რომ „უკანასკნელ ამბების მიზეზად სხვებთან ერთად მეც მასახელებდით“. მიზეზად თქვენ არ დამისახელებიხართ, ეს ხომ მეტი ტვირთი იქნებოდა თქვენთვის..“! უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ თავზე არასდროს დიდი წარმოდგენის არ ვყოფილვარ და არასდროს არ განმიცხადებია პრეტენზიები, რომ უთუოთ დიდი ტვირთი უნდა ვატარო-თქო. საკმარისი და თავმოსაბეზრებელია ისიც, რომ ასეთი გადაჭარბებული წარმოდგენა თავის თავზე და ამოდენა პრეტენზიები სხვებს აქვს. შემდეგ თქვენ ამბობთ თქვენ წერილში: „საზოგადოთ უფრო პასუხისმგებლებსაც არ ვასახელებდი

მე ამ ამბების მიზეზათ“. ესეიგი თქვენ არც მე და არც სხვებს არ ასახელებდით ამ ამბების მიზეზათ. 5 სექტემბრის წერილში კი თქვენ შემდეგს მწერთ: „მე არ ვეხები ჩვენს ტაქტიკას ამ უკანასკნელათ, არ ვიცი იგი ხეირიანათ, ჩვენს ზურგს უკან კეთდებოდა რაღაცეები, შენც ერიე ამაში სამწუხაროთ... მაგრამ ეს ერთობ მძიმე ჭრილობაა, არ ვახლებ ხელს. ერთი კია, ასე ქვეყნის შველა არ შეიძლება!“ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცეები თქვენს ზურგს უკან მუშაობდნენ, უკანასკნელ დროის ჩვენს ტაქტიკასაც არ გაცნობდნენ, ამ ვიღაცეებში, თქვენდა სამწუხაროდ, მეც ვერიე, როგორც ამას თქვენ ამბობთ და თქვენის აზრით კი, ასე ქვეყნის შველა არ შეიძლება. როგორც თქვენ ძლიერ კარგად მოგეხსენებათ, „ჩვენს ტაქტიკას“ ჩვენში ყოველთვის თქვენზე და განსაკუთრებით ჩემზე უფრო პასუხისმგებელნი აწარმოებდნენ. და თუ ეს ასეა, მაშინ ვერ ამიხსნია, რათ დაგჭირდათ თქვენ 5 სექტემბრის წერილში მოგეწერათ ერთი, ხოლო 15 ნოემბრის წერილში უკან დაგეხიათ და ის, რასაც 5 სექტ. წერილში (ეს წერილი მე მეხება სხვათა შორის) იწერებოდით, უარგეყოთ. „თქვენ მე უმეტეს შემთხვევაში არ მწერდით თქვენს მუშაობაზე და მოქმედებაზე“, _ იწერებით თქვენ. ეს არ არის მართალი. მთავრობას აქ, უცხოეთში არ ქონდა სათანადოთ კარგად მოწყობილი აპარატი. ამავე დროს საელჩო კი არსებობდა პარიზში საკმაო პერსონალით, ამიტომ, ტეხნიკურათ რომ საქმე გაადვილებულიყო, მე, როგორც ბერლინში, ვარშავაში თუ სხვაგან მყოფ მთავრობის წარმომადგენლებს, გვქონდა მთავრობასთან კავშირი თქვენი შემწეობით, ჩვენ დიპლომატიურ ნაბიჯებზე თქვენთვის უნდა მოგვეწერა, თქვენ მერმე და მას მთავრობას მოახსენებდით და მისგან ჩვენდა გადმოსაგზავნათ შესაფერ ინსტრუქციებს მაცნობებდით. ამ სამი წლინახევრის განმავლობაში თვითეულ ჩემს დიპლომატიურ ნაბიჯზე მთავრობისათვის მოსახსენებლათ თქვენ გწერდით და თქვენ ამიტომ ყველაფერი იცოდით. მაგრამ, გარდა დიპლომატიური მუშაობისა, მე მქონდა მთავრობისაგან მინდობილი აგრეთვე წმინდა პოლიტიკური ხასიათის დავალება - საქართველოსთან კავშირი. ამის შესახებ კი მე პირდაპირ მთავრობასა და მის თავმჯდომარესთან მქონდა მიწერ-მოწერა. ეს თქვენ პირდაპირ არ შეგეხებოდათ და ამიტომ არ გწერდით ამის შესახებ, თქვენ კი ყველაფრის გაგება მთავრობისაგან შეგეძლოთ. „ზურგს უკან“ სამოქმედო მე არაფერი მქონდა და არც გახლავართ ამას ჩვეული. „მე არ ვარ

დარწმუნებული, რომ ჩემი წერილის ხვადასხვა დროს სწვდებოდა სამშობლოს, განსაკუთრებით გაფრთხილებამ ილუზიის წინააღმდეგ“, - განაგრძობთ თქვენ. თქვენ ამ სამი წლის განმავლობაში ორი თუ სამი კორესპონდენცია გამოგზავნეთ საქართველოსთვის. თქვენ იცით, რომ ეს თქვენი კორესპონდენციები ყველა დაიბეჭდა იქაურ გაზეთებში. თქვენ მწერდით აგრეთვე წერილებს, სადაც მაწვდიდით ინფორმაციებს თქვენი დიპლომატიური მუშაობის შესახებ. ასეთ ინფორმაციებს ვიღებდი მე ბერლინის და ვარშავის ჩვენი წარმომადგენლებისგანაც. საჭირო ცნობებს ყველა ამ წერილებიდან ჩვენ აქ ვკრებდით და საქართველოს ვაწოდებდით. ჩემთან ინფორმაციის საქმეზე მუშაობდა დამფუძნებელი კრების წევრი დ. შარაშიძე და მანაც იცის ყველაფერი. რაც შეეხება საქართველოში გადასაგზავნ სხვადასხვა სახის გაფრთხილებებს და ინსტრუქციებს, ეს არ შეადგენდა არც თქვენ და არც ჩემს, თუ რომელიმე სხვა წარმომადგენლის კომპეტენციას. ეს იყო მთავრობის საქმე და ასეთ რამეებს ის გზავნიდა საქართველოში. „მე ვშიშობდი, ვაითუ სტამბოლიდან არ მიაწვდინეთ სრულიათ კატეგორიული გაფრთხილება, რომ იმედი დახმარებისა გარედან არ იყო. ჩვენი ხალხი არ გამოვიდოდა მარტო, თუ ასეთი იმედი არ ჰქონდა!“ _ ამბობთ თქვენ თქვენს 15 ნოემბრის წერილში. ესეიგი თქვენ გინდათ სთქვათ, რომ სტამბოლიდან იყო მიწოდებული ცნობა, რომ გარედან იქნება დახმარება და მიტომ გამოვიდა მარტო ჩვენი ხალხიო. ვიმეორებ, რომ მე არ მქონია ჩვეულებათ თქვენი, მეტადრე ჩემი პირადი აზრები მეგზავნა ინსტრუქციებათ საქართველოში. ოფიციალურ სახელმძღვანელო აზრათ საქართველოში მიდიოდა მხოლოდ მთავრობის აზრი. ხოლო მთავრობის აზრათ არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ხალხის ილუზიებით კვება და უთანასწორო ბრძოლაში მისი მარტოთ ჩაბმა. ყველაფერი, რაც აქედან თუ პარიზიდან იწერებოდა საქართველოში, ჩვენ აქ გვენახება. მთელი არქივი აქ არის. ყველა წერილები, საქართველოდან მოსული და საქართველოში გაგზავნილი, გაიშიფრებოდა, თუ დაიშიფრებოდა ყოველთვის ხოლმე დამფუძნებელი კრების წევრის _ ვასო წულაძის მიერ, რომელსაც ეხმარებოდა დ. შარაშიძე. ყველა ჩვენს საქმეში ახლოს არის ჩახედული ასევე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი _ სიმონ მდივანი. ჩვენ აქ სრულიად კოლეგიალურათ ვმუშაობდით და „ზურგსუკან სამოქმედო“ არაფერი გვქონდა.

თქვენი 15 ნოემბრის წერილი ახდენს შემდეგ შთაბეჭდილებას: თქვენ ცდილობთ ოფიციალურ წერილში ფიქსაცია უყოთ იმ შეხედულებას, რომ თქვენ ვითომ ყველას ყველაფერში აფრთხილებდით, ილუზიების წინააღმდეგი იყავით, ჩვენ ხალხს ამაზე სწერდით, მაგრამ ვერ მიაწვდინეთ თქვენი ხმა, რადგან ამაში ხელს გიშლიდნენ. მისწერეს კი წინააღმდეგი და ჩვენი ხალხი საბრძოლველათ მარტო გამოიყვანეს. „თქვენს ზურგს“ უკან ვიღაცეები ვითომ რაღაცეებს აკეთებდნენ, თქვენ კი არაფერში ბრალი არ გიდევსთ. არ მგონია, რომ ვინმეს ამან ასიამოვნოს, ან საზოგადოებრივი ინტერესების მხრივ ასეთი რამ მიზანშეწონილი იყოს.

მე გწერდით თქვენ ჩემ კერძო წერილში, რომ თქვენმა წერილმა გამოიწვია საერთო უკმაყოფილება და აღშფოთება იმ ვიწრო წრეში, რომელიც ჩემს ირგვლივ მუშაობს აქ-თქო. თქვენ მიპასუხებთ, რომ მე თავიდან ბოლომდე ვცდები. მე კიდევ ერთხელ გიმეორებთ თქვენ, რომ თქვენმა 5 სექტემბრის წერილმა ყველაზე მეტათ არასასიამოვნოთ იმოქმედა. რაც შეეხება თქვენი 15 ნოემბრის წერილს, მან კი ყველაზე უაღრესათ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა.

არ იყო სასურველი, რომ ჩვენი კერძო მიწერ-მოწერა ოფიციალური წერილების ფურცლებზე გადმოტანილ იყო. მაგრამ თქვენ ესინებეთ. მე ძლიერ ვსწუხვარ, რომ იძულებული გავხდი თქვენთვის მეპასუხნა.

კ. გვარჯალაძე [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 125, ფურც. 1-7].

წერილიდან ცხადი ხდება, თუ როგორი ვნებათაღელვა და აზრთა სხვაობა იყო საქართველოს ეროვნულ მოღვაწეთა წრეებში.

1924 წლის მოვლენებთან დაკავშირებული ბევრი საინტერესო ცნობაა აკაკი ჩხენკელის წერილებში, რომელიც მანჟენევიდან და ლონდონიდან პარიზში საქართველოს მთავრობას გადაუგზავნა _ ეროვნებათა საბჭოში საქართველოს საკითხის დაყენებისა და ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 126, ფ. 1].

საქართველოს დელეგაცია იარაღსა, ფულს და პოლიტიკურ მხარდაჭერას ითხოვდა. მის ინტერესებს განსაკუთრებულ მხარდაჭერას პოლონეთისა და ბალტიისპირეთის პოლიტიკური წრეები უცხადებდნენ. ამის მაგალითია ჩხენკელის

მრავალთაგან ერთი წერილი პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობისადმი. „ეს არის საუზმედ მყავდა ლუკაშევიჩი და წავიდა. გავაცანი ვითარება დაწვრიელბით და დავუყენე კითხვა (დიდი საიდუმლოა) იარაღზე და ფულზე. მან ვერ მომცა პასუხი, რა თქმა უნდა, მოელაპარაკება მინისტრს, მაგრამ ამის გადაწყვეტა მხოლოდ ვარშავაში შეიძლებაო. ის არ გვირჩევს კაცის გაგზავნას იქ ჯერ-ჯერობით და იღებს თავისთავზე კითხვის გამორკვევას. მან თქვა შეიძლება ამ დღეებში წავიდე ვარშავაში, გამოვარკვევ ყველაფერს და დავბრუნდებიო. თუ ვერ წავედი, მაშინვე ცდები წერილობით გავიგოვო. იარაღის საქმე მას საეჭვოთ მიაჩნია. მე დავუსახელე ორი გზა: რუმინიაან დანცინგი, ბულგარიასთან არა აქვთ სპეციალ. დამოკიდებულება. გვაფრთხილებს: როცა რუმინიასანს ხვას ელაპარაკებით, ჩვენ არ დაგვასახელოთო. რაც შეეხება ფულს, მე გადავუშალე მას დიდი და პატარა პროგრამა, შესაძლებელია ლაპარაკი მხოლოდ პატარაზე: კავშირი საქართველოსთან, კავშირი კავკასიის სხვა ხალხებთან, აგენტურა მტრის ორგანოებში, დახმარება გამოქცეულებს _ აი, მიზნები, რომლისთვის საშუალება გვეჭირვება-მეთქი. მან ვერ დამპირდა, მაგრამ ეს კითხვა უფრო ადვილათ მოსაგვარებელი, ვინემ პირველი. ჩემი შთაბეჭდილებით, უნდა დავუცადოთ ცოტა ხანს კიდევ, ვნახავთ, თუარადა... ა. ჩხენკელი“ [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 126, ფ. 12].

მეორე დოკუმენტში ბალტიისპირეთის (ესტონეთის) და ბულგარეთის შესამლო დახმარებაზეა საუბარი. „მქონდა ხანგრძლივი ლაპარაკი პუსტისთან, ესტონიის გარეშე საქმეთა მინისტრთან. ვუთხარი, რა გვჭირდება როგორც დიდი, ისე პატარა მასშტაბით. ის თვლის დასაშვებად მხოლოდ ფინანსურ დახმარებაზე ლაპარაკს და ჩვენ სწორედ აქედან მივუდექით. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ბევრი არ შეგვიძლია, რამდენს მოითხოვთ ჩვენგანო. მე არ დავასახელე, ჩვენ გვჭირია კაი ძალი-მეთქი, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ცოტასაც უნდა დავჯერდეთ-მეთქი. მან იკითხა საელჩოს ბიუჯეტი და იქიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეში აქვს შეიძლება რამდენიმე ათეულიათასი. ყოველ შემთხვევაში პუსტი არ გვპირდება გადაჭრით, ჩაგვიდოს ხელში, ვითათბირებ ზოგიერთებთან და გაცნობებთო. ვთხოვე სიჩქარე, რადგან ყველაფერი ამჟამად მოძრაობის გახანგრძლივებას უნდა შეეწიროს-მეთქი. აღმითქვა.

მქონდა დარბაზობა ბულგარიის საგარეო საქმეთა მინისტრ კალფოვთან. ძალიან აინტერესებს, რათქმა უნდა, ჩვენი საქმეები. გვარწმუნებს მისი მთავრობის სიმპათიაში და დასძენს: ჩვენ ერთი და იგივე მტერი გვყავსო და სხ. როცა ჩამოვუგდე ლაპარაკი, შესაძლებელია თუ არა ბულგარიის გზით რამის მიწოდება ჩვენი ხალხისათვის, ის დაფიქრდა: ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, მეზობლები იჭვით გვიცქერიან, ევროპაც, რუსეთიც აყვირდება, ჩვენ განიარაღებული ვართ, არა გვაქვს მოგცეთ დასხ. კალფოვი განსაკუთრებით უფრთხოდა იმას, რომ ჩვენ არ გვეგულა მისი ქვეყანა ბაზად. ფულზე არ ჩამომიგდია ლაპარაკი. ჩემის შთაბეჭდილებით, მათ ელჩთან მაინც შეიძლება პარიზში ლაპარაკის განგრძობა.

ამდენი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ცნობები კავკასიიდან ხელს გვიშლის მუშაობაში: გვარჯალაძე თითქოს უიმედოა და მხოლოდ რეპრესიებზე ჩივის. სხვისი წყაროები მოძრაობის გაფართოებას გვამცნობს. რომელ ერთს დავუჯეროთ? კარგი იქნებოდა, თუ თქვენგან მივიღებდი რამე ცნობებს სარწმუნოდ.

აკ. ჩხენკელი [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 126, ფ. 14].

1921-1924 წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ხელისუფლების დამოკიდებულება კარგად ჩანს საარქივოდოკუმენტებში. მოვიტანთ ორ დოკუმენტს, სადაც გამოკვეთილია ევროპის ქვეყნების პოლიტიკოსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების პოლიტიკური პოზიცია.

„პარიზი. 1.X.24

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში,

თქვენ უკვე გამოგეგზავნათ სტენოგრ. ანგარიში ხალხთა ლიგის საზ. სხდომისა ჩვენ საკითხზე. ეს ანგარიში წინასწარია და შეუსწორებელი, შეცდომებიც არის დასტებში, საბოლოო გამოგეგზავნებათ, როცა მივიღებთ. აქვე გიგზავნით თვით დადგენილებას: ამის შემდეგ ჩვენ გადავეცით ახალი ნოტა საბჭოს და ვთხოვეთ კიდევ ამ სესიაში შედგომოდენ ჩვენს საკითხს და მიეღოთ დაუყონებლივ ზომები სისხლისღვრის შესაჩერებლათ და თვით რუსულ-ქართულ კონფლიქტის მოსაწესრიგებლათ. ძალიან ცოტა იმედი იყო, რომ საბჭო შეიწყნარებდა ჩვენს

თხოვნას. ნოტის ასლი ხელთ არ მაქვს, გამოგეგზავნებათ. დადგენილებაში ერთი ახალი მომენტია: საბჭოს შეუძლია მიმართოს სახელმწიფოთ-ლიგის წევრთ დახმარებისთვის. მხედველობაში ყავდათ მხოლოდ ორი: ინგლისი და საფრანგეთი, მაგრამ სხვებს რომ საწყენად არ დარჩენოდათ, არ გაუსვეს ამას ხაზი. პარიზში ცდილობდენ, რომე რიოს პირდაპირი ნაბიჯი გადაედგა ჩვენს საკითხზე მოსკოვის წინაშე, ჟენევაში მწერდენ, თითქოს მან აღგვითქვა ეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ იყო, კიდევ ვცდილობთ. ჟენევაში ჰენდერსონს მივაწერინე მაკდონალდისთვის იმავე საგანზე, მხოლოდ შედეგი ჯერ არ ვიცი. ირ. წერეთელი ლონდონშია და ცდილობს ამ მიმართულებით. მე წავალ იქ ალბათ ამ ორ დღეში.

ჟენევაში სამი საფეხური განვიცადეთ: სკეპტიციზმი მოძრაობისადმი ჩვენში, იმედები მოძრაობის გაძლიერება –გაგანიერებისა, დამარცხება მოძრაობის და იმედების გაცრუება. მე ვამბობ დელეგაციების სულისკვეთებაზე. ამისდა მიხედვით თვით ჩვენმა საქმემ განიცადა სამი სხვადასხვა მოპყრობა ლიგის მიერ. პირველ ხანებში ხელოვნურად თვლიდენ მთელს გამოსვლას, ჩვენ გვაბრუნებდენ და ამიტომ ლიგის მიერ ხმის ამოღებას შეუძლებლად სახავდენ. ასეთი იყო თვით მეგობრების აზრიც. ჩვენ გვქონდა სპეციალური შეხვედრა დელეგატ-სოციალისტებთან და ერთგვარათ მივაღწიეთ მათ დარწმუნებას იმაში, რომ მოძრაობა სტიქიურია, სისხლი იღვრის, მრავალია მსხვერპლი, ეს მოძრაობა პირველი არ არის და სხ. იმ დროსთვის მაკდონალდმა და ერიომ შეთანხმდნენ თავმჯდომარის (ნ. ჟ.) დეპეშის გამო და მიანდვეს თავიანთ დელეგაციებს რამე გაეკეთებიათ. ამასობაში ცნობები მოძრაობის შესახებ მოედო მთელს ქვეყანას, სხვისი ცნობები გაცილებით უფრო ადარმისტული იყო, ვინემ ჩვენი, ეხლა უკვე ლაპარაკობდენ მთელს კავკასიაზე. თვით სომხეთშიც ელანდებოდათ აფეთქება, ჩვენ ვაძლევდით „Дни“-სტომებს პრესაში და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც რუსებისგან გამოსულათ. (სხ. შ. ესგაზეთი, ჩვენის ცნობით, რუსეთიდან იღებდა ცნობებს, ხშირათ ისეთს, რომელიც მოსკოვს მისდიოდა კავკასიიდან დამალავდა). ყველა ქვეყნის და ენის პრესა დიდად ხმაურობდა. იყო მრავალი წერილებიც, ყველა სიმპატიური ჩვენთვის, გარდა კომუნისტურისა, რათქმა უნდა. შვეიცარიისათვის ეს ხომ იყო მთელი ???. სწერდენ ყოველდღე, ერთ კვირა დღეს ილოცეს ყველა ეკლესიებში საქართველოსთვის.

ჩვენც ვისარგებლეთ ამ მომენტით, მაგრამ სიძნელენიც გადაგვეღობა. ლორდ პარმურმა მითხრა, რომ კითხვას საბჭოში აღძრავდა და მისამართი დამატოვებია, ვინცობაა საბჭოში დაგიბაროს და პირადი ახსნა მოგთხოვოსო. ეს უკანასკნელი მოსაზრება ხელსაყრელი იყო ჩვენთვის. მაგრამ პირველი მიუღებელი, რადგან ეს ნიშნავდა კითხვის საზ. სხდომაზე არ გამოტანას. მივიღეთ ზომები ამის წინააღმდეეგ და მივაღწიეთ მიზანს: პოლბონკურმა დააჯერა პარმური, რომ კითხვა დასმულიყო საზოგადო სხდომაზე, ასეც მოხდა. მან თვითონ წარმოსთქვა სიტყვა, სადაც გაატარა ის აზრი, რომ ომია ორ სახელმწიფოს შორის და ლიგის ჩარევა აუცილებელიაო: წინადადება კი ზომიერი გამოდგა – განმეორება 1922 წ. რეზოლუციისა. პარმური, განსაკუთრებით მისი სპეციალისტები ვერ დაარწმუნეს იმაში, რომ დაემატებიათ რამე არსებითი. მეორეს მხრით, თუ ჩვენ პირველ ნოტაში ზოგადათ მოვითხოვდით ჩარევას, ეხლა ვიყენებდით კითხვა პაკეტის მე-17-ე პარაგრაფის მომარჯვებას, რომლის თანახმათ მეომარ არაწევრ სახელმწიფოთა მიმართ ლიგა ვალდებულია იგივე ნაბიჯები გადადგას, რაც სახელმწ. წევრთა მიმართ, კონფლიქტის მშვიდობიან, არბიტრაჟის თუ სხვა გზით ჩასაქრობათ. არ მოხერხდა ეს კომისიაში; ინგლისელნი წინააღმდეგი იყვნენ. ბანკურს არ ეცალა, არ იყო იქ, ჰენდერსონს არ ქონდა მაკდონალდისგან ჩვენი საქმე მინდობილი, დებრუკერი რამე არ გაუშვა იქ ჰიმანსმა და სხ. პარმურმა თვითონ არ წავიდა, გაგზავნა ჯილბერტ მიურე (პროფ. დელეგატი), ამ უკანასკნელმა კი არაფერი იცოდა. შეხვედრის დროს განმიცხადა: ჩვენ ვიცანით მოსკოვის „კავშირი", ხელი შეკრული გვაქვს, საფრანგეთი თავისუფალია, არ ღირს მთელი რეზოლუციის გამეორება.... მიურეს, სჩანდა, არაფერი სცოდნია ჩვენზე, გავაცანი, მისთვის ახალი ამბავი იყო, რომ მაკდონალდმა ერთგვარი რეზერვი გააკეთა მოსკოვის ცნობის ნოტაში, ვაჩვენე პონსონბისოფიც. წერილიც, რომ ამ ცნებით ჩვენი მდგომარეობა არ იცვლება. მან არ დამალა ეთქვა, რომ ჩემი მტკიცება საფუძვლიანია, და უნდა ითქვას, შემდეგის უფრო აქტიური და ლოიალური იყო. კომისიაში მისი ინტერპრეტაცია მაკდონალდის მიერ მოსკოვის ცნობისა ფრიად საყურადღებო იყო, მაგრამ, სამწუხაროთ, ოქმში მხოლოდ ორიოდე სიტყვა აღმოჩნდა (სტენოგრამა არაა კომისიებში). იყვენ დელეგატები, ვინც გულისწყრომას გამოთქვამდენ იმის შესახებ, რომ საბჭოს არაფერი გაუკეთებია ორი წლის განმავლობაში. დებრუკერი

მომზადებული იყო, სამჯერ აიღო სიტყვა და ყოველი განმარტება მისცა. ოქმი გამოგეგზავნებათ.

კომისიის წინადადება ცუფერული გამოდგა, გარდა ორი მომენტისა: მდგომარეობის „ტრაღიკულად“ ჩათვლა და სხვა სახელმწიფოების დახმარების მოთხოვნა. მაგრამ ამის შემდეგ კიდევ გართულდა საქმე. და ეს იყო სწორეთ მესამე საფეხური: დამარცხების ცნობები, მოძრაობის ბოლშევიკების პროვოკაციად გამოცხადება, იტალიის კონსულის დეპეშა ტფილისიდან, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარაო... კომისიის წევრებმა განაცხადეს, წინადადება უნდა ჩატარდეს საზ. სხდომაზე უდებატოდო. ამ შემთხვევაში, ყველაზე ჯიუტი ბანკური გამოდგა: დებატები საქმეს გაგვიფუჭებსო, იტალიელნი რეზერვს გააკეთებენ. წინადადება არ გავაო. არ მოახდინა შთაბეჭდილება მასზე არც იმან, რომ იტალიელებმა კატეგორიულად აღმითქვეს არ იქმენ ასეთ რამეს, არც იმან, რომ ინგლისელი ილაპარაკებდა (ჰენდერსონმა აღმითქვა ლაპარაკი, მაგრამ უკანასკნელათ უხერხულად დაინახა თავათ კომისიის წევრ– მიურესთვის წაერთვა სიტყვა საზ. სხდომას და კომისიებს მხოლოდ ერთხმათ შეუძლიათ დადგენილების მიღება). შედეგი იცით, იყო დებატები და არც არაფერი წამხდარა, იმ განსხვავებით, რომ დებრუკერს ჰქონდა მომზადებული მშვენიერი პრინციპიალური სიტყვა, და იმის მაგიერ მოკლეთ თქვა ორიოდე ზოგადი სიტყვა: მასზე ალბათ იმოქმედა ბონკურის შიშმა და უმთავრესათ ჰამანსის ჩაგონებამ. საზოგადოთ ეს უკანასკნელი იმის წინააღმდეგიც იყო, რომ წინადადებას ბელგიის სახელიც მიმატებოდა, მაგრამ ეს მოხდა მის და თვით დებრუკერის მოულოდნელათ: ბონკურმა შეუკითხავათ დაასახელა ინგლისთან და საფრანგეთთან ბელგიაც, მერმე კი უკან წაღება შეუძლებელი იყო.

აი მოკლეთ ჟენევის ამბები. განზრახვა გვაქვს ცალკე წიგნაკად გამოვცეთ ანგარიშები, ოქმები და ჩვენი დეპეშები და ნოტები. მოძრაობამ უეჭველათ გამოაცოცხლა ჩვენი კითხვა, ინგლისში იგი უფრო აქტუალური გახდა, აქაც შეიძლება ერიომ ვერ შესძლოს ისე ადვილათ ჩვენი წაშლა. ამერიკაში, უეჭველათ, რაღაც განსაკუთრებული მოსაზრებით ბერავდენ მოძრაობას, თცჰიცა გოთრიბუნე-ის გაზვიადებული ცნობები უსარჩულოთ არ მომხდარა ალბათ. მოსკოვს ძლიერ ეშინია,

ჩვენმა საკითხმა ხელი არ შეუშალოს, როგორც ერთ–ერთ საბუთმა, ანგლო–რუსული ხელშეკრულების რატიფიკაციას. მგონი, არა უსაფუძვლოთ. სრულიად უეჭველია, ინგლისის მთავრობის სათავეში მაკდონალდი არ ყოფილიყო, უფრო არსებითს შედეგებს მივაღწევდით, არა იმდენათ ლიგის საშუალებით, რამდენათ უშუალოთ, ლონდონის მიერ. პირდაპირ სამარცხვინოა, გაუგონარი, რომ სოციალისტების მხრით არაფერი ისეთი არ მომხდარა, რაც შთაბეჭდილებას მოახდენდა მოსკოვზე. მათი რეზოლუციები მკვდარ სიტყვად იქცა. არ ვიცი, რას მიაღწევს ირ. წერეთელი ინტერნაციონალის ეგზეკუტივში, მეშინია – კიდევ ერთ რეზოლუციას, რომელსაც არ შეასრულებს მაკდონალდი, პირველ რიგზე.

მე წავიკითხე თქვენი უკანასკნელი წერილი თავმჯდომარისადმი, გუშინ მოვიდა. მტრებმა რომ ყველაფერი იცოდენ, ეს წინათაც ცხადი იყო: მოისურვეს სისხლში ჩახრჩობა. და კიდეც მიაღწიეს. სურათი არა გვაქვს, რა თქმა უნდა, მთლიანი, ეს კი აუცილებელია: მე არ ვამბობ ისტორიაზე; ეს უეჭველათ ვრცელი იქნება და უმთავრესად მომავლის საქმეა. დღეს-დღეობით გვეჭივრება შემოწმებული ფაქტები, მხოლოდ ფაქტები, რომ შესძლოთ მათი დალაგება და გამოქვეყნება სრულად პრაქტიკული მიზნისთვის – სამუშაოთ. საჭიროა ეხლავე შეუდგეთ სხვებთან ერთად ამ საქმეს და გამოგზავნოთ საჩქაროთ ფაქტების ნუსხა. აქაც შეუდგებიან უეჭველათ.

აკ. ჩხენკელი."[სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 390, ფ. 92-94]

ლონდონი. 11. X. 24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ამასთანავე გიგზავნით თემთა პალატის სტენოგრამებიდან ამონაწერებს 2 და 8 ამ თვის სხდომებისა. ჩვენს და აგრეთვე აზერბეიჯანისა და სომხეთის შესახებ, როგორც ხედავთ, მუშათა პარტიის მთავრობამ სავსებით აგვიღო ხელთ და წაშალა, რამდენათ მისგან არის დამოკიდებული ჩვენი საერთაშორისო სტატუტი. საყურადღებოა, პონსონბის გამოსვლა მოხდა მეორე დღეს მას შემდეგ, რაც ინტერნაციონალის ეგზეკუტივმა განსაკუთრებული რეზოლიუცია მიიღო, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობა მის, ინტერნაციონალის, პატივმოყვარეობის კითხვად არის აღიარებული და მის მიერ გამოქვეყნებულ მანიფესტში, იხრის რა ქედს ჩვენი ახლათ წამებულ და დახოცილ სოციალისტების წინაშე, ამბობს, რომ, თუ

პირველ ინტერნაციონალს თავის დროშაზე ეწერა პოლონეთის თავისუფლება, დღევანდელს უნდა ეწეროს საქართველოს თავისუფლებაო!

ამას მიაღწია ირაკლი წერეთელმა თავისი მოხერხებული ტაქტიკით და მანვე შეეცადა პონსონბის სიტყვების გამოკეთებას. მუშათა ეგზეკუტივმა, ხუთი მინისტრის თანდასწრებით, მოისმინა ირაკლი, რომელმაც წამოაყენა ორი მოთხოვნილება: ა)მთავრობამ გამოაკეთოს თემთა პალატაშივე პონსონბის სიტყვები და ბ) იმავე მთავრობამ იკისროს შუამავლობა რუსეთსა და საქართველოს შორის მათ მოსარიგებლათ. ეგზეკუტივმა ერთხმათ დაადგინა მოეთხოვოს მთავრობას ორივე ამ მუხლის დაკმაყოფილება. მოსწერა კიდეც პრემიერ მაკდონალდს. მანამდის, ორი დღის წინ, ირაკლი მოისმინა პალატის სოც. ფრაქციამ და თან კომისიაც გამოყო კითხვის შესასწავლათ, კომისიამ საქმე ეგზეკუტივს გადასცა.

ვინაიდან ამავე დროს პოლიტ. კრიზისი მოხდა და მაკდონალდის კაბინეტი თავის ბოლოს უახლოვდებოდა, ძალიან ცოტა იმედი იყო, რომ რამე გაკეთდებოდა. მაგრამ, დახეთ შემთხვევას, მაკდონალდს მისცეს შეკითხვა დაცემის ორიოდე საათის წინ და მას შეეძლო გამოეკეთებია საქმე ნამდვილათ კი დაადასტურა პონსონბის სიტყვები, თუმცა ბუნდოვნათ, როგორც მას სჩვევია, ან სიტყვა ბანზე ააგდო. ამრიგათ, მან მოიქცა ისე, როგორც არცერთი „ბურჟუაზიული“ პრემიერი არ მოიქცეოდა. გვარწმუნებდენ სიტყვიერათ და წერილობით, რომ გააკეთეს რეზერვი რუსეთის ცნობის ნოტაში, გვირჩევდენ არ გვეხმაურა, პონსონბის წერილი ირაკლისადმი არ გამოგვეყენებია და სხ. და ამავე დროს ჩუმათ, უხმაუროთ წაგვშალეს. საჭიროთ ვთვლი გაგაფრთხილოთ, რომ ეს ჩვენი უკმაყოფილება და აღშფოთება არ გაგვაქვს გარეთ, ამაზე კამათიც იყო ცოტა თავმჯდომარესა და ირაკლის შორის. მთავარი მოტივი ისაა, რომ მუშ. პარტიის აშკარა გადამტერება მავნე იქნებოდა ჩვენთვის. სხვა პარტიები აქ სარგებლობენ ჩვენი შემთხვევით მუშ. პარტიის და მის მთავრობის წინააღმდეგ, პალატაში საკუთარის თაოსნობით აკეთებენ შეკითხვებს, სწერენ პრესაში. ამიტომ გთხოვთ არ გახმაურდეს, ასე ვთქვათ, ირაკლის საიდუმლო ნაბიჯები და მასალები, თურმე ცვლილება მოხდა ამ მხრივ, მოგწერენ პარიზიდან. კონსერ. დალიბერ. პარტიები ეხლა სარგებლობენ ხალხთა ლიგაში ბრიტანეთის დელეგატების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციით, რეზერვის არსებობის შესახებ.

აკ. ჩხენკელი“[სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 390, ფ. 95].

ამრიგად: დამოწმებული ლიტერატურა და საარქივო დოკუმენტები ნათელყოფენ, რომ საქართველოს ყოფილ მთავრობაში არ იყო ერთნაირი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი. გამორჩეულია ჟორდანიას და რამიშვილის აზრი ჩხენკელისა და გეგეჭკორის შეხედულებისაგან, რომელთაც ეს აჯანყება ტყუილუბრალო სისხლისღვრად მიაჩნდათ და არ ჰქონდათ იმედი ევროპის მხარდაჭერისა. თუმცა, ისინიც ცდას არ აკლებდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ბოლშევიკურ რეჟიმთან მათ ბრძოლაში ევროპის მხარდაჭერა მოეპოვებინათ.

სამწუხაროდ, დემოკრატიული მეთოდებით პოლიტიკურმა ბრძოლამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ტოტალიტარულმა ბოლშევიკურმა მანქანამ საბოლოოდ დაამარცხა ქართველი ხალხის სამართლიანი სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისაკენ.

## $4. საქართველოს ეკლესიის როლი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში საბჭოთა რეჟიმის პირობებში

1921 წლის თებერვლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია განახორციელა, ქართველი ხალხის და ეკლესიის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ანტირელიგიურმა ისტერიამ არნახული მასშტაბი მიიღო. სწორედ ამ უმძიმეს პერიოდს ემთხვევა კათოლიკოს-პატრიარქად ამბროსი ხელაიას აღსაყდრება.

1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათის ტაძარში შედგა საქართველოს ეკლესიის მესამე საეკლესიო კრება. კრებამ კათოლიკოსად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი, რომელიც 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში აიყვანეს საკათოლიკოსო ტახტზე.

1921 წლის 15 აპრილს, ბოლშევიკებმა და საქართველოს ახალმა მმართველმა „რევოლუციურმა კომიტეტმა“ გამოსცეს დადგენილება: „სახელმწიფოსგან ეკლესიის და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. ამავე დროს საეკლესიო საკუთრება „სახალხო საკუთრებად“ გამოცხადდა. ამ დადგენილებამ ხელი გაუხსნა ყველა

ავანტიურისტს დაუსჯელად ეძარცვა ეკლესია-მონასტრები. პარალელურად დაიწყო სამღვდელოების დარბევა-აწიოკება და ეკლესიების დახურვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში საქართველოს ჩამოაჭრეს მისი ისტორიული რეგიონები: ლორე, საინგილო, ტაო-კლარჯეთი და ისტორიული მესხეთის სამხრეთ დასავლეთ ნაწილი, სოჭის ოლქი და ა.შ. თვით საქართველოში შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკები და ერთი ოლქი. დაიწყო აგრეთვე ქართული ენის შევიწროვება და სახელმწიფო დაწესებულებიდან მისი სისტემატური გამოდევნა.

ამ საშინელი ანტიქართული პროცესების შესაჩერებლად კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1922 წ. 7 თებერვალს გენუის საერთაშორისო კონფერენციას მემორანდუმით* მიმართა. მისი მხრიდან, ეს ნაბიჯი დიდი გაბედულების მაჩვენებელი იყო, რადგან ბოლშევიკური „სახალხო მთავრობა" ყოველ დაუმორჩილებლობას ან უკონტროლო ქმედებას არნახული სისასტიკით სჯიდა. აღშფოთებული კათოლიკოსი მსოფლიო თანამეგობრობას განუმარტავდა რომ რუსეთმა არც XIX საუკუნეში შეასრულა მის მიერ აღებული ვალდებულებანი და 1921 წელს კი: "... დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს უსწორო ბრძოლაში, სისხლისგან დაცლილ პატარა საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი, მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში". კათოლიკოსი ევროპის და მსოფლიოს გასაგონად აცხადებდა: „ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ... ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უზღუდავენ წმიდათა-წმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება". მოწოდების ბოლოს კათოლიკოსი ორ მთავარ საკითხს აყენებდა: „1) დაუყოვნებლივ გაყვანილი ქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი ქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისაგან... 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა;

შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება“.

ამ მიმართვას კათოლიკოსის და საკათოლიკოსო საბჭოს წევრების მიმართ რეპრესიები მოყვა. ამასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო სასულიერო წრეებში აქტიური მუშაობა, ეკლესიის დაქსაქსვისა და მისი დემორალიზაციისთვის. რუსეთის ეკლესიაში ამ დროს გაჩნდა ე.წ. ეკლესიის რეფორმატორთა ჯგუფი ანუ „ცოცხალი ეკლესია", რომელიც უპირისპირდებოდნენ რუსეთის საპატრიარქო ეკლესიას და მოითხოვდნენ კარდინალურ რეფორმებს: ეპისკოპოსთათვის ბერ-მონაზვნობის აუცილებლობის უარყოფას, მღვდლებისთვის მეორედ ქორწინებაზე ნებართვას, წვერის გაპარსვის დაშვებას, ქუჩაში ანაფორის გარეშე სიარულს, საეკლესიო წესების უკიდურეს გამარტივებას, ახალი სტილის კალენდარზე გადასვლას და ა.შ. ამ ჯგუფს, მხარი აშკარად დაუჭირა ხელისუფლებამაც. მისი მიზანი იყო „ცოცხალი ეკლესიის" ჯგუფის ანუ „განმაახლებელთა" იდეები საქართველოს ეკლესიაშიც დანერგილიყო. ფიქრობდნენ, რომ ამას პოლიტიკური გაერთიანების ანალოგიურად შედეგად მოჰყვებოდა საქართველოს ეკლესიის შეერთება რუსეთის ეკლესიასთან.

1923 წლის 12 იანვარს კათოლიკოსი ამბროსი საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა. მასთან ერთად დააკავეს დეკანოზები: კალისტრატე ცინცაძე, იოსებ მირიანაშვილი, მოგვიანებით მარკოზ ტყემალაძე, მიტროპოლიტი ნაზარ ლეჟავა, არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე და ა.შ.

ამ მოვლენამდე ერთი დღით ადრე, გაითვალისწინა რა, მოსალოდნელი საფრთხე, კათოლიკოსმა შექმნა ეკლესიის დროებითი მმართველობა, ურბნელი ეპისკოპოს ქრისტეფორე ციცქიშვილის მეთაურობით. მმართველობაში შევიდნენ: ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, მღვდლები სიმონ ჭელიძე, ნესტორ ყუბანეიშვილი, საერო პირები პართენ გოთუა, იპოლიტე ვართაგავა, ივანე რატიშვილი.

ისარგებლა რა კათალიკოსის პატიმრობით, ხელისუფლებამ დიდი ზეწოლის შემდეგ თავის მხარეს გადაიყვანა ადრე თავდადებული ავტოკეფალისტი ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, ასევე ეპისკოპოსი ქრისტეფორე ციცქიშვილი და სხვები.

საქართველოს ეკლესიაში ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერ და მის მოწინააღმდეგეთა დაჯგუფებანი, რომლებსაც ხელისუფლების

წარმომადგენლები შესაბამისად „პროგრესისტებისა“ და „რეაქციონერების“ სახელით იხსენიებდნენ. ხელისუფლების აშკარა მითითებით, 1923 წლის 2-5 სექტემბერს ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ ქუთაისში მოიწვია ე.წ. „კრება“, რომელზედაც მცირერიცხოვანმა სამღვდელოებამ მიიღო შემდეგი სახის დადგენილება: „დღეს საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება არის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება და ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი... ვაცხადებთ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის გამოსვლას შემცდარად და არაკანონიერად. საჭიროდ მიგვაჩნია იგი გადაყენებულ იქნეს კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობიდან“. თუმცა ამ ჯგუფმა, კათოლიკოსის ძალისმიერად გადაყენება ვერ გაბედა და დაადგინა, რომ ეს პროცედურა თხოვნის საფუძველზე მომხდარიყო. პატიმრობაში მყოფმა კათოლიკოსმა ამუტიფარ შეთავაზებას უარით უპასუხა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიანად ქართველი ხალხის და განსაკუთრებით ეკლესიის მიმართ მანამდე არნახულ რეპრესიებს მიმართა. ადამიანთა სიცოცხლე, რწმენა, საკუთრებას რულიად გაუფასურდა. საბჭოთა სისტემა ადამიანებს ერთად ერთ ალტერნატივას უტოვებდა: ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად სრული მორალური განადგურება, აბსოლუტური მონური მორჩილება და არსებული წყობის შესხმა-დიდება. ამ წნეხს, ბევრმა ეკლესიის მსახურმაც ვერ გაუძლო და იძულებული გახდა ანტიადამიანური რეჟიმის სამსახურში ჩამდგარიყო.

1924 წლის მარტში კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და მისი მომხრეები გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თვით კათოლიკოსს 7 წლის პატიმრობა მიესაჯა, სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით. მართალია, 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ კათოლიკოსი გაანთავისუფლეს, მაგრამ 1926 წელს ეკლესიის მმართველობას ფაქტობრივად ჩამოაშორეს. ამ დროისათვის დაკეტილი იყო ათასამდე ეკლესია: გრძელდებოდა სამღვდელო პირების დევნა და ფიზიკური განადგურებაც. დაიწყო ასევე ე.წ. ანტირელიგიური კამპანია, როდესაც ანგრევდნენ ეკლესიებს, ანადგურებდნენ ფრესკებს, ხატებს და სხვა საეკლესიო ნივთებს, შეურაცხყოფდნენ წმინდანთა ნაშთებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა დაექსაქსა ძალებით ვით ეკლესიის შიგნით.

ეკლესიაში აშკარად გამოიკვეთა ორი ბანაკი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის და მიტროპოლიტ (1923 წლიდან) ქრისტეფორე ციცქიშვილის მომხრეების სახით.

1924 წელს ქართველი ხალხის ეროვნული ამბოხების სისხლში ჩახშობის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის „დროებითმა მმართველობამ“ მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციცქიშვილის სახით კვლავ განაცხადა: „ვაღიარებ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობს ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიკურ და ეროვნულ აღორძინებას, ვგმობ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურას“.

ამის საპასუხოდ 1925 წლის 2 იანვარს შედგა რელიგიური საზოგადოების კრება. კრება საერო პირებისგან შედგებოდა მაგრამ მას ესწრებოდა ეპისკოპოსი (შემდეგში კათოლიკოს-პატრიარქი) მელქისედეკი (ფხალაძე). კრებამ დაადგინა, რომ მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ თვითნებურად მიითვისა კათოლიკოს-პატრიარქის „მოსაყდრის“ წოდება და თვითონ შეადგინა საკათალიკოსო საბჭო. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, მიტროპოლიტი ქრისტეფორე თბილისიდან გაეშვა რაიონში, კერძოდ, ურბნისში.

საპყრობილედან გამოშვებულმა კათოლიკოსმა ამბროსიმ 1925 წლის ივნისში დაადასტურა ეს გადაწყვეტილება. იმავე წლის 31 ოქტომბერს, მანვე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე აკურთხა ნინო წმინდელ ეპისკოპოსად, მიანიჭა მიტროპოლიტის წოდება და თავის მოსაყდრედ ამოირჩია.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო კონტრზომები, კერძოდ, მან დაიწყო ეპისკოპოს დავით კაჭახიძის ყოველმხრივი მხარდაჭერა. ეპისკოპოს დავითის ნეიტრალიზების მიზნით, კათოლიკოსმა ის ქუთაისიდან აწყურში გადაიყვანა.

იმისთვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებინათ საქართველოს ეკლესია და „შეწყალებული“ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, 1926 წლის 24-25 დეკემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ ქუთაისში მოიწვია „საეკლესიო ყრილობა“. ის რომ ყრილობა საბჭოთა ხელისუფლების მოწვეული იყო, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ხელისუფლების მომხრე საეკლესიო პირებთან ერთად (მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ეპისკოპოსები დავითი, ნესტორი, იოანე და სხვა) კრების ორგანიზებაში მონაწილეობდა ძველი ბოლშევიკი, პროფესიონალი რევოლუციონერი ვალია (ვალერიან) ბახტაძე და ქუთაისის პარტორგანიზაცია (!) იმისთვის რომ ამ ფარსისთვის* მეტი დამაჯერებლობა

მიენიჭებინათ, „ყრილობაში“ მონაწილეობა მიაღებინეს ცნობილ მეცნიერებს: კორნელი კეკელიძეს, სერგი გორგაძეს, აკაკი შანიძეს და სხვებს (სულ მონაწილეობდა 77 კაცი). კრებამ მიიღო დადგენილება: „სრულიად საქართველოს მორწმუნეთა მიმართ“, დოკუმენტში დაგმობილი იყო კათოლიკოს-პატრიარქის გარემოცვა, მისი საკათოლიკოსო საბჭო კი დათხოვნილად ცხადდებოდა; ამავე დროს კრებამ ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), კვლავ ქუთაისში მიიწვია, და მიტროპოლიტის ხარისხშია ამაღლა. ეკლესიის სამართავად „ყრილობამ“ შექმნა დროებითი მმართველობა, რომელსაც ევალებოდა მოეწვია ახალი, მეოთხე საეკლესიო კრება.

ამ არაკანონიკური წესით მოწვეული კრების მიერ დაარსებულმა ეკლესიის „დროებითმა მმართველობამ“, მიტროპოლიტების: ქრისტეფორესა და დავითის მეთაურობით 1927 წლის 4 იანვარს, საბჭოთა მილიციის დახმარებით, დალუქა კათოლიკოსის კანცელარია, იქ არსებული საბუთები კი თვითონ „ჩაიბარეს“. იმავე წლის 22 მარტს, „დროებითმა მმართველობამ“ კათოლიკოს-პატრიარქი „გაათავისუფლა საქმის წარმოებისაგან“. იმავე წლის 23 მარტს, როდესაც ეს დადგენილება ავადმყოფ კათოლიკოსს გადასცეს, მას დამბლა დაეცადა 29 მარტს გარდაიცვალა.

აი, ასეთი „თავისუფლება“, „აყვავება“, „თანასწორობა“ მოუტანა რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოს!

1927 წ. 21 ივნისს გაიმართა საქართველოს ეკლესიის მეოთხე კრება. მას 65 დელეგატი ესწრებოდა, როგორც სასულიერო, ისე საერო პირები. კრება სიონის ტაძარში ჩატარდა. კრებამ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ ჩათვალა მისალმებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და მის აღმასრულებელ კომიტეტს. მისალმებაში ერთხელ კიდევ იყო დაგმობილი გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმი. ასევე, გამოთქმული იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი სრული ლოიალობა. ეკლესია აღუთქვამდა ბოლშევიკურ მთავრობას პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაურევლობას. თუმცა, სინამდვილეში, ეს ნიშნავდა ეროვნული ინტერესების დაცვაში ჩაურევლობას და საბჭოთა რეჟიმის სრულ მხარდაჭერას. ამას მიანიშნებდა თუნდაც კრების ასეთი დასკვნა: „მე-4 საეკლესიო კრება ადასტურებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება ნაციონალურ ნიადაგზე ვითარდება წარმატებით, ვიდრე მის წინამორბედ რეჟიმებში“.

ყრილობამ აირჩია ახალი კათოლიკოს-პატრიარქი. კათოლიკოსად აღასაყდრეს ქრისტეფორე (ციცქიშვილი). კრების დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დელეგატთა ნაწილმა ამ არჩევანს მხარი არ დაუჭირა, მიტროპოლიტ ქრისტეფორეს „მოღალატე“ უწოდა და კრება დემონსტრაციულად დატოვა. კრება მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლებას ეს „რეაქციული“ სამღვდელოება დაეპატიმრებინა.

XX საუკუნის 30-იან წლებში ანტირელიგიურმა პროპაგანდამ ზენიტს მიაღწია. მასობრივად იქმნებოდა ე.წ. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირები“, რომელთა წევრები იდეოლოგიურ კამპანიასთან ერთად ხშირად ფიზიკურად უსწორდებოდნენ სამღვდელო პირებს. ანტირელიგიურ კამპანიაში და ლექცია-სემინარებში იძულებით ჩართეს ცნობილი მეცნიერები (კ. კეკელიძე, ს. საჯაია, გ. ნიორაძე და სხვები). ამავე დროს, ეკლესიებში საბჭოთა ორგანოები თავის ჯაშუშებს აგზავნიდნენ, რომლებიც ცდილობდნენ მოსახლეობისა და მღვდელ მსახურების დაპირისპირებას, წარმოშობილი კონფლიქტი მაშინვე პრესაში შუქდებოდა და კრებებზე განხილვის საგანი ხდებოდა.

იდგმებოდა ანტირელიგიური, უტიფარი წარმოდგენები, ქვეყნდებოდა სამღვდელო პირთა კარიკატურები და ა.შ. ხდებოდა ეკლესიის შენობების გადაკეთება კლუბებად, საწყობებად და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ მიღწევად თვლიდა იმას, თუ სამღვდელო პირი დაგმობდა ეკლესიას, ღმერთს და უარს იტყოდა საეკლესიო მღვდელმსახურებაზე. 1940 წელს მაგალითად, წყალტუბოს რაიონში მღვდელი მგალობლიშვილი დაესწრო ათეისტურ ლექციას: „ცხოვრობდა თუ არა ქრისტე“: ლექციის შემდეგ მან მკრეხელურად განაცხადა, რომ მას არც არასდროს სჯეროდა ქრისტეს არსებობა. შემდეგ კი საჯაროდ გაიხადა ანაფორა და მღვდლობაზე უარი თქვა.

1932 წელს გარდაიცვალა კათოლიკოსი ქრისტეფორე III. იმავე წლის ივნისში, მეექვსე საეკლესიო კრებამ ახალ კათოლიკოს-პატრიარქად აღასაყდრა მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე). მისი ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში (1932-1952), საქართველოს ეკლესია ცდილობდა მაქსიმალურად ჩამდგარიყო სახელმწიფოს სამსახურში და ამით შეენარჩუნებინა ეკლესიის თვითმყოფადობის მინიმუმი მაინც.

ამრიგად, XX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის ბოლშევიკურმა, საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოში ქართული ეკლესიის მიმართ მიზანმიმართული

აგრესიული პოლიტიკა გაატარა, დაანგრია ეკლესიები, გაანადგურა საეკლესიო ქონება და საბოლოოდ ჩასცა მახვილი ქართველი ხალხის რელიგიურ გრძნობებს.

## $5. გაზეთი „კომუნისტი" 1921-1924 წლებში საქართველოში მიმდინარე ანტიბოლშევიკურ გამოსვლებზე.

სამთავრობო იდეოლოგიასა და ეროვნული პრობლემებისადმი დამოკიდებულებას საუკეთესოდ გადმოსცემს მთავარი სამთავრობო პრესის ორგანო, გაზეთი „კომუნისტი", რომელიც 1920 წელს დააარსეს ქართველმა ბოლშევიკებმა.

1921 წლიდან, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოკუპაციისთანავე, გააქტიურებული საქართველოს საგანგებო კომიტეტი (ჩეკა) ყველაფერს აკეთებდა ქართველ ხალხში ეროვნული სულის ჩასაკლავად. გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა ცალკეული განცხადებები ყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისა, რომლებიც უარს ამბობდნენ პარტიულ ბილეთზე და ბოლევიკურ-კომუნისტურ პარტიაში გადადიოდნენ. ასევე ქვეყნდებოდა მთელი სიები ამგვარი „მონანიე" პარტიელებისა. ეს გადაბარგება ხშირად არ ყოფილა მათი სურვილით მომხდარი აქტი, ზეწოლით, ძალადობით, დაშინებითა და შანტაჟით აიძულებდნენ ამ ადამიანებს პოზიციის შეცვლას. ამ პარტიას მენშევიკური ოფიციალურად 1918 წლიდან აღარ ეწოდებოდა, მაგრამ საქართველოს ჩეკა სპეციალურად მხოლოდ ამ ტერმინს უყენებდა პარტიასა და მის წევრებს. მათ უნდა მოენანიებინათ მენშევიკობა და, ამასთან, უნდა შესულიყვნენ კომუნისტების რიგებში. თუ დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს კომუნისტურ-ბოლშევიკური პარტია მცირერიცხოვანი იყო სოციალ-დემოკრატიულთან შედარებით, ამჯერად ეს ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ძალადობის გარდა, დიდი იყო კოლაბორაციონიზმის, მორალური ხრწნისა და ეროვნული ნიჰილიზმის განცდაც.

თუ როგორ ხსნიდნენ თავანთ შეცვლილ პოზიციას ყოფილი სოც. დეკები, კარგად ჩანს 1923 წლის 30 მარტის „კომუნისტის" ნომრიდან. მასში რამდენიმე ასეთი

პიროვნების განცხადებას ვკითხულობთ რუბრიკაში _ „წერილები რედაქციის მიმართ“.

„ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ჩემს სახელად გულწრფელ განცხადებას.

მე გრიგოლ ნიკოლოზის ძე აბრამიას 1917 წ. რევოლუციის პირველ დღეებში ძლიერ დიდი წყურვილი მქონდა გავცნობოდი მარქსის თეორიას და ამ მიზნით ახალგაზრდა მარქსისტთა წრეში შევსულიყავი დავფიქრობდი იქ ჩემს წყურვილს დავიკმაყოფილებდი, მაგრამ როგორც შემდეგ დავრწმუნდი, სასტიკად მოვტყუვდი ანგარიშში. რა ვიხილე მე ამ წრეში? მარქსიზმი სწორათ გაგების მაგიერ იქ მახინჯდებოდა წარმოუდგენელ სისულელემდე ისე, რომ ბოლოს და ბოლოს მარქსიზმის მაგიერ რჩებოდა კონტრევოლუციური იდეა. ამის შემდეგ ამ წრეში ყოფნა დიდ შეცდომად ჩავთვალე და 1918 წელს მივატოვე იგი. თუმცა მე არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ, მაგრამ დავიწყე შეგნებული ცხოვრება.

თვითშეგნების გზით მე მივედი დასკვნამდე, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც მიდის სწორი გზით დაიცავს პროლეტარიატის ინტერესებს, არის კომუნისტური პარტია, რომელსაც მე თანაგრძნობა გულწრფელად გამოუცხადე. სურვილი მაქვს შევიდე ამ პარტიაში. მაგრამ რადგანაც ვიცი, თუ როგორი მკაცრია ის ახალი წევრების მიღების საკითხში, ამიტომ ვმუშაობ მის გარეშე, რომ დავიმსახურო ამ პარტიის წევრობის უფლება. ამის შესახებ მე ვერ მოვახერხე თავის დროზე გამეცხადებია და ეხლა ვაცხადებ.

გრიგოლ აბრამია [ „კომუნისტი“, 1923, 30.III]

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია მსგავსი განცხადებები, რომელთაც ხელს აწერენ: ნიგოითის თემის მცხოვრებნი: თეოფილე წილოსანი, ვალიკო კეჭახმაძე, ივლიანე არჩევანის ძე ფირცხალაშვილი, ნ. გალოგრე, ასევე ფოთის მოქალაქე კ.ჟღენტი. ამ უკანასკნელის განცხადება უფრო ემოციურია, ვიდრე დანარჩენების. აი ისიც: „პატ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთ „კომუნისტის“ უახლეს ნომერში დაუთმოთ ალაგი შემდეგს: 1903 წლიდან მე ვიყავი სოც. დემოკრ. პარტიის წევრი, მხოლოდ როდესაც ჩვენში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, იმ დღიდანვე დავანებე თავი პარტიის და საზოგადო ყოველივე პოლიტიკურ ბრძოლას. მე ასე

გადავწყვიტე: თუ რომ პროლეტარიატს და მის მთავრობას _საბჭოთა ხელისუფლებას აქტიურ დახმარებას ვერ გაუწევ, ქე მაინც ხელს აღარ შევუშლი იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს მუშათა კლასის ყველა მტრების წინააღმდეგ მეთქი და ეს ორი წელია ვდგავარ ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობის გარეშე. მარა ასე დიდხანს ყოფნა ჩემთვის ტანჯვაა და აი მეც ვუერთდები კ. გოგოლაძის და ფოთელი მოქალაქეების მოწოდებას და მასთან ერთათ მეც მოუწოდებ ამ იდეების მომხრეებს სიტყვა საქმეთ ვაქციოთ და გამოვნახოთ კომუნისტურ პარტიასთან საერთო ენა, რაც ჩემის აზრით სრულათ შესაძლებელია.

თუ ჩვენ გულწრფელი სოციალისტები ვართ, ჩვენ უნდა ვიყოთ მუშათა კლასთან იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიას იერიში იერიშზე მოაქვს მასზე. კ. ჟღენტი, 1923, 29 III. “

არ ვიცით რა მომავალი ჰქონდა ამ განცხადების ავტორს, მაგრამ ბევრი მისი მსგავსი რომ 20-30-იანი წლების ბოლშევიკურ რეპრესიებს ემსხვერპლა, ეს ცხადია. ამგვარ მოღალატეებს არც ახალ ბანაკში ენდობოდნენ და არა თუ პოლიტიკური არჩევანის, სიცოცხლის უფლებასაც კი არ უტოვებდნენ.

გაზეთ „კომუნისტის“ 1924 წლის 17 იანვრის ნომერში (#14) საქართველოს ჩეკა აქვეყნებდა საგანგებო განცხადებას, რომელიც, გარდა ადამიანებზე რეალური ზეწოლისა, გამოხატავს იმ რეპრესიების მასშტაბს, რომლითაც ეს ორგანო სასიკვდილოდ სდევნიდა ძველი მთავრობის წევრებსა და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებს, მათ აბრალებდნენ მუშებისა და გლეხების დახოცვას, ამას იყენებდნენ მათი დევნის საბაბად. გაზეთში გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი ამის მაჩვენებელია:

„საქართველოს საგანგებო კომისიისაგან

საბჭოთა ხელისუფლება თავის მფარველობის ქვეშ იყვანს ყველა მუშებსა და გლეხებს, რომლებიც სტოვებენ მოღალატე პარტიებს და დგებიან მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მენშევიკური პარტია თავისი გახრწნის უკანასკნელ ეტაპს განიცდის. მან დაკარგა თითქმის მთელი თავისი მუშურ-გლეხური შემადგენლობა.

ყველა საუკეთესო ელემენტებმა დასტოვეს ეს პარტია, რომელიც ყველა სხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან ერთად შეკავშირებული პარიტეტულ კომიტეტში სისტემატიურად აწყობდა შეიარაღებულ აჯანყებას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ, მოაწყო და ხელმძღვანელობდა ბანდიტურ მოძრაობას საქართველოში და ჩაიდინა მთელი რიგი სხვა დანაშაული საქართველოს მუშებისა და გლეხების წინაშე.

ათასობით მუშა და გლეხი, რომლებმაც დატოვეს მოღალატე პარტიები, მენშევიკების ცეკამ მოღალატეებათ და გამცემლებათ გამოაცხადა. მაგრამ ვერც მუქარამ და ვერც ლანძღვამ ვერ შეაჩერა პარტიის გახრწნის პროცესი და მისი ხელმძღვანელი ორგანოები მუშებთან და გლეხებთან ბრძოლის საქმეში უკანასკნელ ხანებში დაადგნენ გზას, რომელსაც არ შეუძლია პასუხი არ გასცეს საქართველოს საგანგებო კომისიამ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანომ, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მუშათა, გლეხთა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა ჭეშმარიტ მოქალაქეთა ინტერესები.

1923 წლის 23/12-ს მენშევიკური პარტიის ხელით მოკლული იქნა ძველი მუშა ილარიონ გორგაძე, მენშევიკების არალეგალურ ც.კ.-სთან არსებული პროფბიუროს თავმჯდომარე. 5 იანვარს მათვე მოკლეს პარტიის ძველი მუშაკი, გლეხი-კოოპერატორი ვანო ქაიხოსროშვილი.

საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაუშვებს, რომ მის ტერიტორიაზე მუშები და გლეხები ტერორის მსხვერპლი ხდებოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლება თავის მფარველობის ქვეშ იღებს ყველა მუშებს და გლეხებს, რომლებიც სტოვებენ მოღალატე პარტიას და სდგებიან მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ავანტიურისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც შეკავშირებული არიან პარიტეტულ კომიტეტში და პირველყოვლისა მენშევიკების პარტიას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს საბჭოთა ხელისუფლება მუშებისა და გლეხების მოკვლისათვის.

საქართველოს საგანგებო კომისია აცხადებს მძევლებათ შემდეგ პირებს: 1. ნოე ხომერიკს; 2. ალექსანდრე ლომთათიძეს; 3. ანანია სალუქვაძეს; 4. ისიდორე ივ.

რამიშვილს; 5. ალექსანდრე დგებუაძეს; 6. გრიგოლ სპ. ლორთქიფანიძეს; 7. ლეო რუხაძეს; 8. კალისტრატე გიგ. გოგუას; 9. ზაქარია გურულს; 10. ნიკოლოზ ქარცივაძეს; 11. ანდრია იაკ. ჭიაბრიშვილს; 12. ვლადიმერგ. ჯიბლაძეს; 13. სიმონგ. ახმეტელაშვილს; 14. პავლე ბერიშვილს; 15. ვიქტორ ჟორჟოლიანს; 16. სტეფანე ოტ. პარკოსაძეს; 17. გაბრიელ დ. ცისკარიშვილს; 18. ელისაბედ იას. ბოლქვაძეს; 19. ათანასე პ. ჭანტურიას;20. გერონტი მ. წილოსანს; 21. მიხეილ სამსონისძე ნაკაიძეს; 22. აპოლონ ნ. ორაგველიძეს; 23. რაფიელ ჩხაიძეს; 24. ალექსანდრე კინწურაშვილს; 25. მელიტონ კალანდაძეს; 26. ნიკოლოზ შახნაზაროვს; 27. გრიგოლ მენთეშაშვილს; 28. გიორგი ჯინორიას; 29. არკადი ხუნდაძეს;30. პეტრე მანჯგალაძეს; 31. ივანე ლორთქოფანიძეს; 32. კალენიკე ქავთარაძეს; 33. გიორგი ქუთათელაძეს; 34. შალვა კარგარეთელს; 35. ვლადიმერ ჭუბაბრიას; 36. ანდრო ანჯაფარიძეს; 37. ნოე გუბელიშვილს; 38. პეტრე კავკასიძეს.

საქართველოს საგანგებო კომისია ყველა მშრომელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ყოველ მოკლული მუშისა ან გლეხისათვის მომავალში დახვრეტილი იქნებიან ათეული მძევლები მთელი უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაციით.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია“ [„კომუნისტი“,1924, 17/01]“

ეს დოკუმენტიც ცხადყოფს საქართველოში მიმდინარე ტერორის სისასტიკეს, რაც იწვევდა ხალხის უკმაყოფილებასა და მისი ყველაზე გაბედული ნაწილის ჩაბმას ანტიბოლშევიკურ გამოსვლებში. რატომ მოკლავდნენ 1923 წელს მენშევიკური პარტიის ნებით (ხელით) მენშევიკების არალეგალურ ც.კ.-სთან არსებული პროფბიუროს თავმჯდომარეს იმიტომ, რომ ის მუშა იყო. ან გლეხ-კოოპერატორს. დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშათა და გლეხთა საბჭოები, რომლის თავმჯდომარე მთავრობის თავმჯდომარე იყო. კოოპერაციასა და კერძო მფლობელობას კი, ბოლშევიკებისგან განსხვავებით, სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა აღიარებდა და ყოველ მხრივ ეხმარებოდა. ამდენად, ეს ფაქტები ცილისწამებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას, ტერორისათვის საბაბად გამოგონილს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებად გაზეთი „კომუნისტი“ და, მაშასადამე, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება, ჩეკა და სხვა

დამსჯელი ორგანოები მიიჩნევდნენ მენშევიკებისა და ფედერალისტების პარტიებს, „უწმინდეს კონტრევოლუციად“ მოიხსენიებენ მათ და პარიტეტულ კომიტეტთან „დაუღლებულ“ წყვილს უწოდებდნენ. მათ წინააღმდეგ მრავალი პუბლიკაცია დაიბეჭდა 1923-1924 წლების გაზეთ „კომუნისტში“.

სტატიაში - „პარიტეტი და „უწმინდესი“ კონტრევოლუციის დაუღლება“ - მთავარ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად გაკრიტიკებული იყო ქართველი სამღვდელოება, პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომლის მიმართვა გენუის კონფერენციისადმი ახალი ხელისუფლებისთვის ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა. აი, რას წერდა გაზეთი: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე ყველა კონტრევოლუციონერი ძალები ამხედრდნენ მის წინააღმდეგ მენშევიკების მეთაურობით. სამღვდელოება ერთი რაზმთაგანი იყო ამ კონტრევოლუციის. რაც მენშევიკებს გადარჩათ გაუტანელი ხალხის სიმდიდრიდან, სულიერ მამამებმა სცადეს მისი ჩაჯიბება. ამასაც არ დასჯერდნენ და თავისი პატრიარქის პირით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს მიმართეს, საქართველო იხსენით ქართველი მუშებისა და გლეხებისგანო. ქართველი ხალხის გაძარცვა და მასთან ღალატი რომელიც უცხოეთის რეაქციისადმი მიმართვაში გამოიხატა, - ამაში სდებს დღეს ბრალს უწმინდურ „მამებს“ საქართველოს მუშა და გლეხი [„კომუნისტი“, 1924. #59].“ წერილში საუბარია ისევ ორ პარტიაზე, რომლებიც თითქოს უცხოეთს ეპატიჟებოდნენ საქართველოში ქართველი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. დასახელებულია ზოგიერთი მოწინააღმდეგეც „რევოლუციისა და ქართველი მუშა-გლეხებისა“: ნინიძე, გელაზაროვი, დადიანი, ზარათაშვილი და სხვები. ყველა, ვის წინააღმდეგაც ხალხის რისხვას მიმართავდა ხელისუფლება, იყვნენ პარლამენტის, ან ძველი მთავრობის წევრები. კლასობრივი და სოციალური შურისძიების მოწოდებები, თითქოს „მშრომელი ხალხის სახელით“ აღძრული სასამართლოები და გამოტანილი განაჩენები, _ აი, ის მთავარი ნიშანი, რაც ხალხის წინააღმდეგობით გაბოროტებულ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს _ ქართველ თუ არაქართველ ბოლშევიკებს ჰქონდათ.

**მოვლენები აჭარაში და მთავრობის პოზიცია.** 1924 წლის აჯანყება საქართველოს რამდენიმე ქალაქსა და სოფელში ერთდროულად უნდა

დაწყებულიყო. ეს გეგმა ჩეკისტების კარგად გათვლილი ოპერაციით წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა, საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლები მეტ-ნაკლები სიძლიერით მაინც განხორციელდა. შემდეგში ნოე ჟორდანიამ ეს აჯანყების დადებით მხარედ ჩათვალა, რადგან ყველა აჯანყება მხოლოდ ერთ ადგილზე იწყება და მთავრდება, საქართველოში კი მას უფრო დიდი გეოგრაფიული არეალი და სამხედრო-პოლიტიკური მასშტაბი ჰქონდა. ბათუმი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აჯანყებულთა გეგმაში, ამას მისი სამრეწველო თუ ადმინისტრაციული დანიშნულება განსაზღვრავდა. ბათუმში გაიგზავნენ პარიტეტული კომიტეტისა და აჯანყების მონაწილე პარტიების წევრები, თუმცა, ჩეკას მიერ იქაც ყველაფერი წინასწარ იყო მომზადებული, რათა არამარტო ჩაეხშოთ გამოსვლა, არამედ ეროვნული ძალების სრული დისკრედიტაცია მოეხდინათ. ბერიასა და მისი თანამოაზრეების კარგად გათვლილი გეგმით, რასაც ხელისუფლების მხრიდან ავანტიურა, ცილისწამება, კლასობრივი და სოციალური დაპირისპირება, ხალხის წაქეზება და ერთმანეთზე მისევა ემატებოდა, ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ეს ოკუპანტ მეთაურებს, საბჭოთა რუსეთის ერთგულ ლაქიებს აწყობდათ.

აჭარაში აჯანყების წინააღმდეგ მოქმედება ევალებოდა აჭარის ბოლშევიკური ხელისუფლების საგანგებო კომისიას, რომელსაც კილაძე მეთაურობდა. შემდეგში კილაძემ ხელისუფლებასა და ჩეკას მიაწოდა ცნობა 28-30 აგვისტოს მოვლენებზე ბათუმსა და აჭარაში. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ კილაძის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმაც“ დაბეჭდა: „საგანგებო კომისია თავს დაესხა შეთქმულებს სულ უკანასკნელ მომენტში გამოსვლების წინ, რის გამოც გულმოდგინეთ მომზადებული მოძრაობა ერთბაშად იქნა ჩაქრობილი. პარიტეტული კომიტეტის მიერ დანიშნულ ვადაზე ერთი დღით ადრე საგანგებო კომისიამ შესძლო მენშევიკური პარტიის ბათუმის არალეგალური კომიტეტის დაპატიმრება მთელი შემადგენლობით. დაპატიმრებული იქნა აგრეთვე ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის შტაბი მიხა საბაშვილის მეთაურობით, რომელიც იყო მენშევიკების ცეკას წევრი, ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელი, პარიტეტული კომიტეტის წევრი და უკანასკნელის რწმუნებული აჭარისტანში მოძრაობისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად. სხვათა შორის საბაშვილს საგანგებო კომისია ეძებდა 3 წლის

განმავლობაში. გარდა ამისა, დაპატიმრებული იქნა ცნობილი მენშევიკური მუშა კიგურიაში, ბათუმის კომიტეტის წევრი, აჭარისტანის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე ჩიტაიშვილი“ [„კომუნისტი“ 1924:201].

აჭარის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ყოფილი მეთაური აკაკი რამიშვილი, რომელიც იყო ბათუმის სამხედრო შტაბის წევრი. მასთან ერთად დაპატიმრებული იქნა პარიზიდან სპეციალურად აჯანყების ორგანიზებისათვის ჯუღელთან ერთად ჩამოსული ვიქტორ ცენტერაძე, – დამფუძნებელი კრების ყოფილი დეპუტატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი. ცენტერაძესთან ერთად ასევე აიყვანეს გენერალ-მაიორი ყარალაშვილი, რომელიც, „კომუნისტის“ ცნობით, „უკვე დანიშნული იყო მენშევიკების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარ სარდლად“.

იმავე 28 აგვისტოს, საგანგებო კომისიამ მიიღო ცნობა ბათუმში სოციალ-ფედერალისტების სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ადგილობრივ აჯანყების გეგმას ანხორციელებდა. ეს ორგანიზაცია, კილაძის აზრით, თავისი შტაბითურთ უნდა გადასულიყო ბათუმიდან ქობულეთში, „სადაც მათ შეუერთდებოდნენ ბანდები სადგურ ნატანებიდან, რისთვისაც მათთვის საჭირო იყო წინასწარ ამ სადგურის დაკავება. ამ რაზმს გაერთიანებული ძალებით უნდა დაეწყო სამხედრო მოქმედება და წასულიყო ბათომის მიმართულებით. ამ ცნობების მიღების შემდეგ საგანგებო კომისიამ გაგზავნა ქობულეთში ბათუმელი კომუნისტების რაზმი და წითელარმიელები, სულ 120 კაცი. “ამ რაზმს კილაძე მეთაურობდა, რომელიც თავს დაესხა სოციალისტ-ფედერალისტების შტაბს და ყველა დააპატიმრა. დაპატიმრებულებს შორის იყვნენ: შტაბის თავმჯდომარე, პარიტეტული კომიტეტის რწმუნებული, მასწავლებელი გიგო ჩიქოვანი, ქობულეთის სამხედრო უბნის სარდალი, გენერალ-მაიორი ფურცელაძე და შტაბის წევრი, ლეიტენანტი ვლადიმერ ახვლედიანი.

29 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, ბათუმის საგანგებო კომისიის რაზმმა კილაძის მეთაურობით მიიღო ცნობა ბათუმიდან, რომ რაზმები ახლო სოფლებიდან მიემართებოდა ნატანებისკენ. რაზმმა ქობულეთელების მეთვალყურეობის ქვეშ დატოვა დაპატიმრებული ხალხი და ნატანებისკენ წავიდა. კილაძის ცნობით, 200

კაცამდე „ბანდიტი“ მცირე შეტაკების შემდეგ დააპატიმრეს, მის რაზმს ეხმარებოდნენ სოფლებიდან მოსული ღარიბი გლეხები. მხოლოდ ერთი მენშევიკების მომხრე მოვკალით, რადგან სოფლელი კომუნისტის მკვლელი იყო, „ბანდიტები უკან დახევის დროს ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას“, _ ასეთი წინადადებით მთავრდებოდა ბოლშევიკ კილაძის ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობდა, ის მთლად დამშვიდებული ვერ იქნებოდა, ამას მოწმობს ბათუმში ფილიპე მახარაძის სასწრაფო ჩასვლა და მისი გამოსვლა ხალხის წინაშე. ეს ხალხი მათი ერთგული ბოლშევიკი მუშები, დაშინებული მოსახლეობა, ახლადგაბოლშევიკებული ძველი სოციალ-დემოკრატები, უშიშროების მუშაკები და რუსული ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლები იყვნენ. მახარაძემ და მანამდე კომუნისტების იდეოლოგიურმა დროშამ - გაზეთმა „კომუნისტმა“ აჯანყება მუშებისა და გლეხების განადგურების სურვილით ახსნა და თითქოს ამას აკეთებდა ქართველი თავადაზნაურობა საკუთარი სიმდიდრის შენარჩუნებისათვის. ერთი-ორი დღით დაიკავეს გამარჯვებულის ადგილი და წართმეული სახლები და მიწები დაიბრუნესო, - აცხადებდა გაზეთის მოწინავე. გამოდიოდა, რომ ჩოლოყაშვილი სიმდიდრისთვის იბრძოდა, მისი რაზმელები ყველა თავადი იყო, რაც სინამდვილეს ოდნავაც არ შეეფერებოდა, და გაზეთი იმასაც ივიწყებდა, რომ თავისი ქონება თავადაზნაურობამ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე თავისი სურვილით გადასცა ხალხს და ეს გამოაცხადა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის ნოემბერში. ამ ადამიანებს რომ არ სდომოდათ ქართველი ხალხისთვის ქონების გადაცემა, ამას არ გააკეთებდნენ და იმ დრომდე მაინც შეინარჩუნებდნენ მას, სანამ არავინ ჩამოართმევდა. ტყუილი და ძალადობა, - ბრძოლის იარაღი და რუსეთიდან გადმოღებული ბოლშევიკური ბრძოლის მეთოდი იყო უნიჭო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის. რა ხდებოდა რუსეთში, რა საშინელებას მიმართავდნენ ბოლშევიკები, ამაზე ჯერ კიდევ 1918-1919 წლებში წერდნენ არა მხოლოდ ქართული გაზეთები, არამედ რუსული პრესა, წერდნენ ცნობილი მწერლები და მოაზროვნეები. მათ შორის მაქსიმ გორკის ერთი შთამბეჭდავი წერილიც დაიბეჭდა გაზეთ

„ერთობაში“. რუსულ ბოლშევიკურ ტერორზე საუბრობდნენ საქართველოში გადმოხვეწილი რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

როგორც ცნობილია, ე.წ. „წითელი მეჯლისის“ მიერ 1921 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის ახალი მოწყობა ჩამოყალიბდა. მასში შედიოდა ერთი ქალაქი (ბათუმი) და ხუთი მაზრა ( ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, აჭარის წყალი, ბათუმისა და ქობულეთის მაზრები). უცვლელი დარჩა ცარიზმის დროინდელი სასოფლო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა [Сборник документов 1963 :293].

ამავე დროს ჩამოყალიბდა სასოფლო, სათემო, სამაზრო და საქალაქო საბჭოები. 1922 წლის 10 იანვარს გაიხსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების I ყრილობა. ის ძალზე პარადულ ხასიათს ატარებდა, რაც ზოგადად იყო დამახასიათებელი ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფლებისთვის.

აჭარის ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ვლადიმერ ლენინი, მიხეილ კალინინი და ფილიპე მახარაძე. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ლენინს, კომუნისტურ ინტერნაციონალს, საქართველოს რევკომს, მიხეილ ცხაკაიას. აი, რას ვკითხულობთ აჭარის ისტორიის ნარკვევების IV ტომში: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების I ყრილობა, როგორც კომუნისტების სხვა ფორუმები, მოჭარბებულად პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა და გათვლილი იყო მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ზემოქმედებისათვის. ხუთი დღის განმავლობაში კომუნისტი ხელმძღვანელი აქტივისტები ღვარძლიანად თავს ესხმოდნენ თავადაზნაურებს, კაპიტალისტებს, სასულიერო წოდებას, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და დემოკრატიული ხელისუფლების ხელმძღვანელობას. ამ კრიტიკის ამოცანა ის იყო, რომ აჭარის მოსახლეობის ცნობიერებიდან ამოეძირკვათ სიმპათია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი და განემტკიცებინათ კომუნისტური რეჟიმი“ [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები 2012:69].

მსგავსი სიტუაცია იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების II (1922 წ., 3-5 XII), III ( 1923 წ., 23-29 I) და IV (1925 წ.,23-28 III) ყრილობებზეც. იდეოლოგიური ბრძოლა, უსამართლო სოციალური შანტაჟი, მოწინააღმდეგეების მიმართ უკომპრომისობა, ბრძოლის აკრძალული ხერხების გამოყენება ჩვეულებრივი სტრატეგია გახდა ბოლშევიკი კომუნისტებისთვის. 1924 წლის მოვლენები ამ ფონზე მეტად მკაცრად და დაუნდობლად წარიმართა.

ბათუმში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ „საგანგებო ხუთეული" შექმნა აჯანყების სალიკვიდაციოდ. გაზეთმა „კომუნისტმა" ბათუმში განვითარებული მოვლენები თავისებურად, მისთვის ჩვეული ყალბი ინფორმაციით, დამცინავი ტონით, მოვლენათა ჰიპერბოლიზებული წარმოსახვით მიაწოდა მკითხველს. გაზეთს არც ეროვნულ ძალთა - მუშებისა და გლეხების, ანუ ნამდვილი ხალხის მტრებად გამოცხადება დაჰვიწყნია, არც მუშების გმირობა, რომლებმაც „მოღალატე მენშევიკებს" პასუხი მოსთხოვეს და ჩადენილი ღალატი არ აპატიეს. თითქოს საქართველოში მიმდინარე ეროვნული ძალების მიერ ორგანიზებული მოძრაობა მუშებისა და გლეხების დასასჯელად, („დასახვრეტად") მიმდინარეობდა და არა იმ საშინელი რეპრესიებისა და განუკითხაობის გამო, რასაც თავად ოკუპანტი ხელისუფლება ატარებდა მთელ ქვეყანაში. აი, როგორ სატირულად აღწერდა გაზეთი ამ მოვლენას: „29 აგვისტოს, თბილისის მუშების დახვრეტის დღეს, ბათომში მუშაობა შეწყდა. დილიდანვე ვიღაც ბნელმა პირებმა დაიწყეს პროვოკაციული ხმების გავრცელება „დიდი აჯანყების" შესახებ, რომელიც თითქოს მთელ საქართველოს მოედო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბათუმელი ჭორიკნები შეიკრიბენ ზღვისპირას და გაჰყურებდნენ ჰორიზონტს, ხომ არ გამოჩნდება იქიდან უცხოეთის ფლაგიო. შუა დღისთვის ქალაქის ქუჩებში გაკრული იყო ბრძანება #1, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მენშევიკების ბელადები შეეცადენ მოეწყოთ გამოსვლა და რომ ამ გამოსვლების ჩასაქრობად მოეწყო საგანგებო ხუთეული. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. განწყობილება ერთბაშად გამოირკვა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე არ მოსულა მატარებელი თბილისიდან, მუშები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული ამ ბანდების ლიკვიდაციაში.

30 აგვისტოს, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის გათავების შემდეგ თავი მოიყარა 500-მდი მუშამ, რომლებიც თავისი ინიციატივით, მწყობრი რიგებით გამოემართენ პროფსაბჭოს შენობისაკენ და საგანგებო ხუთეულს დელეგაცია გაუგზავნეს. დელეგაციამ განუცხადა, რომ მუშები ვერ დარჩებიან განზე პარტიისაგან იმ დროს, როცა მოღალატე მენშევიკები მუშური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს ამზადებენ. მუშების სახელით დელეგაციამ მოითხოვა მუშების შეიარაღება, რომ დაუყონებლივ წასულიყვნენ ბანდების სალიკვიდაციოდ [„კომუნისტი" 1924, #20]". ხუთეულმა მუშები შეაიარაღა, შეადგინა საბრძოლო რაზმები, „გაგზავნა ნავთის რეზერვუარების, ქალაქის საზოგადოებრივი ადგილების და დაწესებულებების დასაცავად". ნაშუადღევის სამ საათზე გაიმართა მუშების საერთო კრება, სადაც ერთხელ კიდევ დაემუქრენ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. გაზეთის ამ პუბლიკაციიდან ჩანს, თუ როგორ იყენებდა გულუბრყვილო, ზოგჯერ სრულიად გაუნათლებელ მუშათა რიგებს ხელისუფლება საკუთარი მიზნების შესასრულებლად. კიდეც რომ აღმოჩენილიყვნენ მათ შორის მოვლენების ნამდვილი შემფასებელნი, ისინი ამას ვერ გაბედავდნენ, ტოტალიტარულ ძალას ვერ დაუპირისპირდებოდნენ. „ერთბაშად მიღებულ, თვით მუშების მიერ წარმოდგენილ რეზოლუციებში - ვკითხულობთ ამავე სტატიაში, - კავშირის წევრები სასტიკ პროტესტს გამოსთქვამდენ გახრწნილი მენშევიზმის საზიზღარი ნაშთების ავანტიურის წინააღმდეგ და აცხადებდენ, რომ ისინი იმყოფებიან ხუთეულის სრულ განკარგულებაში".

ჩანს, როგორ დარაზმა ბათუმის რევკომმა მუშები და როგორ ჩააბა საკუთარ პოლიტიკურ ავანტიურაში. 2 სექტემბერს ამ ინიციატივიანი მუშათა ჯგუფის წინაშე სიტყვით გამოვიდა ბათუმში ჩასული ფილიპე მახარაძე. ეს სიტყვა საგულისხმოა და სრულად შეესაბამება იმ იდეოლოგიას, რაც ახალ ხელისუფლებას ჰქონდა და რაც მის პრესაში ხმიანდებოდა. ამ სიტყვით ნათელი ხდება ის ორი მხარე, რაც ახასიათებდა ერთი მხრივ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებს, მეორე მხრივ კი - იმ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესების დამცველი პატრიოტები.

წერილში ის აზრი დევს, რომ ფილიპე მახარაძე თითქოს შემთხვევით ჩავიდა ბათუმში, ეს გაიგეს იქაურმა მუშებმა და სთხოვეს მოხსენების გაკეთება მიმდინარე ამბების შესახებ. ისიც დათანხმდა, რადგან მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყო. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. ბათუმში წარმოთქმული ფილიპე მახარაძის სიტყვიდან მოკლე ნაწყვეტს მოვიტანთ: „თქვენ დღეს შეიკრიბენით განსაკუთრებულ პირობებში. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვინმე გაბედავ და თავს დასხმოდა მშრომელებს?

ჩვენ ჩავებით აღმშენებლობით მუშაობაში.

ჩვენ ძალიან ლმობიერად ვეპყრობოდით მენშევიკებს იმ რწმენით, რომ დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, როცა ჩვენთან ხელშეკრულებას სდებენ მტრულად განწყობილი ქვეყნებიც, არ მოინახებოდენ უგონო ადამიანები, რომლებიც შეეცდებოდენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მენშევიკებთან დავა ძველი დავაა, რომელიც 20 წლის განმავლობაში გრძელდება. იმათ გამოამჟღავნეს თავისი თავი, როგორც მუშათა მოწინააღმდეგეებმა, როგორც ბურჟუაზიასთან შემთანხმებლებმა, რომლებიც თებერვლის რევოლუციასაც კი ეწინააღმდეგებოდნენ.

აი, ამხანაგებო, ვისთან გვქონდა ჩვენ საქმე! ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის დროს, როდესაც ბურჟუაზიულმა ქვეყნებმაც კი უარი სთქვეს ჩვენს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე, იმათ მიმართეს ნაცად საშუალებას - პროვოკაციას. მე კი ვაცხადებ: საბჭოთა ხელისუფლებამ 3 წლის განმავლობაში ბევრი გააკეთა მუშებისა და გლეხებისათვის, მაგრამ ჩვენი მტრები ანგარიშს არ უწევდნენ ამას, სცდილობდენ შეესუსტებინათ ჩვენი ხელისუფლება და ყოველი წვრილმანებით მოქმედებდნენ შეუგნებელ მასებზე. ჩვენ დაუშვით ჩვენს წრეში ის ადამიანები, რომლებიც, გვეგონა ყოველგვარ ბოროტ ზრახვების გარეშე იმუშავებდნენ მშრომელთა სასარგებლოთ. ჩვენ არ ვუხდიდით მათ სამაგიეროს წარსულისათვის. ჩვენს ნდობაში მოტყუებული დავრჩით. ჩვენს დაწესებულებებში მოკალათების შემდეგ ისინი გამცემლები აღმოჩნდენ, უკანასკნელი მათი ავანტიურა მძიმე გავლენას მოახდენს მშრომელებზე. ჩვენ არ დაუშვებთ, რათა პროლეტარიატმა უდიდეს ტერიტორიაზე ხელში ჩაგდებული ძალაუფლება დაუთმოს ვისმეს. ყოფილმა თავადებმა და გენერლებმა

მენშევიკებთან გაერთიანების დროს იცოდნენ, რომ მათ რამდენიმე საათითაც არ შეუძლიათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ცხადია, აქ ადგილი ჰქონდა ავანტიურას, მათ მოატყუეს ხალხი, როდესაც უთხრეს, რომ ძალაუფლება ყველგან მათ ხელში გადავიდაო. თქვენ, მუშებო, უნდა იცოდეთ, რომ კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლების გარდა იმათ თქვენთვის არაფრის მოცემა არ შეუძლიათ. ეხლა ყველა პატიოსანმა მუშებმა და გლეხებმა ერთად უფრო მჭიდროთ უნდა შეკრან თავიანთი რიგები. მაშინ უფრო უზრუნველვყოფთ რა ჩვენს საერთო მუშაობას, შევასრულებთ მთავარ მორიგ ამოცანას - გავნთავისუფლდებით სიღატაკისაგან და გაერთიანებული ძალებით შევუდგებით კომუნისტური წეს-წყობილების დამყარებას. “

მახარაძის სიტყვის შემდეგ ბევრი ბათუმელი მუშა გამოვიდა სიტყვით. ესენი იყვნენ რკინიგზელები, მშენებლები, ნავსადგურის მუშები, კომუნალური მეურნეობის, კვების მეურნეობის მუშები და სხვ. როგორც „კომუნისტი“ წერდა, „მუშები აცხადებდენ მრისხანე პროტესტს მენშევიკების საზიზღარი ავანტიურის წინააღმდეგ“. გაზეთს მოაქვს ამონარიდი მტვირთავი მუშის _ გეგელაშვილის სიტყვიდან : „მენშევიკებს უნდოდათ ჩვენი მოტყუება, ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა, მაგრამ ეს იმათ ვერ მოახერხეს. ლენინიზმს ისინი ვერასოდეს ვერ მოსპობენ. ჩვენ, უპარტიო მუშები, აღშფოთებული ვართ და მოვითხოვთ მუშათა საქმის ვერაგი გამცემლების სასტიკათ დასჯას. აჭარისტანის საგანგებო კომისია სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც მათი მეთაურები გაგზავნა სადაც ჯერარს. ჩვენ ყოველთვის ვივლით ჩვენს წინამძღოლ კომპარტიასთან ხელიხელჩაკიდებულნი“. ამ სიტყვით დაასრულა გეგელაშვილმა გამოსვლა, მივიდა მახარაძესთან და ხელი ჩამოართვა.

კრების თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძეს მიმართა, რომ ძალიან ბევრი მუშა იყო აშღფოთებული, ითხოვდა სიტყვას, მაგრამ ამის საშუალება აღარ იყო, თუმცა, მათ საერთო სურვილს ის აბარებდა მახარაძეს საქართველოს რევკომისა და სხვა პარტიული ორგანოებისა და პირებისთვის გადასაცემად. ეს იყო ბათუმელ მუშათა მთავარი სურვილი: „ბანდიტების სასტიკად დასჯა“. ამ განცხადებას მხურვალე ტაში მოჰყვა, კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია, სადაც ეწერა: „ბათუმელი მუშები, აღნიშნავენ რა მენშევიკური ავანტიურის ბანდიტურ ხასიათს, რომელსაც შედეგად მოჰყვა გლეხური მეურნეობის ნგრევა და უდანაშაულო სისხლისღვრა, მოითხოვენ

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან ავანტიურის მეთაურებისა და ყველა აქტიური მონაწილეების სასტიკად დასჯას. რეზოლუცია წინადადებას იძლევა მხედველობაში იქნას მიღებული მომავალში ის გარემოება, რომ მენშევიკები არიან მშრომელთა მტრები, ამიტომ მათი ადგილი საბჭოთა დაწესებულებებში კი არა, სულ სხვაგან არის“.

კრება „ინტერნაციონალის“ სიმღერითა და ოვაციებით დასრულდა, მუშებმა ფილიპე მახარაძე ხელში აყვანილი მიაცილეს სამთავრობო მანქანასთან.

რა შეიძლება გამოვყოთ მახარაძის სიტყვიდან და ბათუმის კრების გამართვის ფაქტიდან: 1. ბათუმი იყო საპორტო-სამრეწველო ქალაქი, ამასთან ის სასაზღვრო პუნქტიც იყო, აქედან მყარდებოდა კავშრი და იგზავნებოდა საქართველოს მოვლენებზე ინფორმაციები როგორც სტამბულის, ასევე პარიზისა და ევროპის სხვა ქალაქებში მყოფ ქართულ ემიგრაციასთან. მთავრობა თვლიდა, რომ ბათუმში ყველაზე მკაცრი ღონსძიებები იყო საჭირო და იქ სპეციალურად გაიგზავნა ფილიპე მახარაძე; 2. 1921-1924 წლების მოძრაობა იყო ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დაწყებული მოძრაობა, სადაც გაერთიანდნენ იდეოლოგიურად სხვადასხვა თვალსაზრისის პარტიები და საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც ეროვნული ინტერესები ამოძრავებდათ და არა სოციალურ-კლასობრივი, ან რაიმე სხვა. ამიტომ ტყუოდა მახარაძე, როდესაც ანტისაბჭოთა გამოსვლის არსსა და მიზანს სოციალურ-კლასობრივი მოტივით ხსნიდა; 3. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება და მმართველი პარტია არასდროს არ თვლიდა თავს თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის დამცველად, ის ისევე აღიარებდა მუშურ-გლეხურ პარტიად თავს, როგორც ბოლშევიკები და მისი ერთ-ერთი ლიდერი _ ფილიპე მახარაძე; ავანტიურა იდო მის სიტყვაში, როდესაც ის მუშებს ამ საბაბით აქეზებდა მენშევიკების წინააღმდეგ; 4. ყოფილ ხელისუფლებასა და მმართველ პარტიასთან ლოიალური პოლიტიკა არასდროს გაუტარებია საბჭოთა რუსეთის ოკუპანტ ხელისუფლებასა და მის ქართველ თანამოაზრეებს. ამას მუშებზე ზეგავლენის გასაძლიერებლად აღნიშნავდა მომხსენებელი; 5. უდანაშაულო სისხლისღვრა და მეურნეობის ნგრევა გამოიწვია ბოლშევიკური არმიის ტერორმა, მათმა შურისძიების პოლიტიკამ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა მიმართ და არა იმ

ძალამ, რომელიც ამ ტერორის წინააღმდეგ იბრძოდა და მოუწოდებდა მსოფლიოს პროგრესულ ქვეყნებს ამ სამართლიან ბრძოლაში დასახმარებლად. სამწუხაროდ, „უცხოური ფლაგით“ დამხმარე ძალა არ გამოჩენილა და ეს ტრაგედია იყო მთელი ქართველი ხალხისა და მისი ეროვნული ინტერესების კრახის მომასწავებელი. მომდევნო 70-წლიანმა ტოტალირტარულმა სისტემამ ეს კრახი გარდუვალი გახადა; 6. კრების მიერ რეზოლუციის მიღება და ყოფილი ხელისუფლებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ მოწოდება იმ მეთოდებს ჰგავდა, რასაც მოგვიანებით ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაში ჰქონდა ადგილი;

სინამდვილეში იმას, რაც საქართველოში ხდებოდა, კარგად გადმოსცემს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის 1923 წლის 25 მაისის მიმართვა ხალხთა ლიგისადმი.

ორი სინამდვილე წარმოისახა ბათუმში წარმოთქმულ ფილიპე მახარაძის სიტყვასა და ერთა ლიგისადმი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვაში. რადგან სიმართლე ერთია, ის იმ ადამიანების მხარეზე იყო, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის უთანასწორო, საბედისწერო ბრძოლაში ჩაება და ბევრმა თავიც გასწირა ამ დიდი მიზნის მისაღწევად. ერის ისტორიული მეხსიერება სწორედ მათ სახელებს შეინახავს და არა მათი ჯალათებისას.

## თავი II

## ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კერები ევროპისა და აზიის ქართულ ემიგრაციასა და დიასპორებში

### $ 1. საერთაშორისო კონფერენციები და ქართველი ემიგრანტი მოღვაწეების ბრძოლა საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ებრძოდა ქართველი ემიგრანტების ყოველგვარ მცდელობას _ დაეცვათ საქართველოს ინტერესები უცხოეთში. საქართველოს მთავრობის წევრებმა, კონსტანტინოპოლში შეიტყვეს, რომ საოკუპაციო რეჟიმი ევროპაში ხმებს ავრცელებდა, თითქოს, „საქართველოში მომხდარ ამბებში რუსეთს არავითარი მონაწილეობა არმიუღია, რომ ეს იყო ქართველებს შორის დაპირისპირება: ქართველების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა მენშევიკებს, ხოლო მეორე ნაწილი ბოლშევიკებს. ამ ბრძოლაში მენშევიკები დამარცხდნენ და ბოლშევიკებმა აიღეს ძალაუფლება.“ ეს სიყალბე იყო. საქართველოში ბოლშევიკების რაოდენობა უმნიშვნელოც იყო და საზოგადოების სრულ მხარდაჭერას მოკლებული. ქართველი ბოლშევიკები რუსეთში მოღვაწეობდნენ, რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებდნენ და რუსული ჯარით შემოვიდნენ საქართველოს დასაპყრობად, ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. ისინი თავიანთი ლოზუნგებით სოციალურად დაბალი ფენების მცირე ნაწილს იმხრობდნენ. ერის უმრავლესობამ მართველი პარტიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეიყო. აუცილებელი იყო ევროპის საზოგადოებას ეს სიმართლე გაეგო. ამ მიზნით, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრებმა კონსტანტინოპოლშივე შეადგინეს ვრცელი მიმართვა ევროპის სოციალისტური და მუშათა პარტიებისადმი რუსულ და ფრანგულ ენებზე. მიმართვაში აღნიშნული იყო, თუ რა ვითარებაში მოუხდა საქართველოს მთავრობის წევრებს სამშობლოს დატოვება და ემიგრაციაში გამგზავრება. თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთის მთავრობა ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოებისათვის დაემტკიცებინა საკუთარი პოლიტიკის „სიმართლე“ და რუსული იარაღის ძალით საქართველოს დაპყრობა. რუსეთის ხელისუფლება ისწრაფვოდა, რათა საბჭოთა

რუსეთის სამართლებრივი აღიარება წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან დროულად მომხდარიყო. თავისმხრივ, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაებათილებინა რუსეთის ხელისუფალთა ცრუ განცხადებები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე.

საქართველოს და კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიელი ხალხის ერთიანობას. ეს კარგად ესმოდათ ქართველ ემიგრანტებს. ანტიბოლშევიკური ფრონტის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ემიგრაციაში არსებულმა საერთო კავკასიურმა ორგანიზაციებმა („კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, „ოთხთა საბჭო“, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და სხვა).

ბოლშევიკების მიერ საქართველოში განხორციელებული ქმედებები დაგმეს ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებმა. იმდროინდელ მსოფლიო პრესაში დაიწერა საპროტესტო წერილები. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა ცდილობდა საკუთარი სიმართლე მიეწვდინა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისათვის. 1922 წლის 6-12 იანვარს საფრანგეთის ქალაქ კანში, ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრი ქვეყნების შეკრება გაიმართა, სადაც ქ. გენუაში კონფერენციის მოწვევაზე იმსჯელეს. 1922 წლის 6 იანვარს, კონფერენციის გახსნის დღეს, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, უმაღლეს საბჭოს წარუდგინა ნოტა, რომელსაც ხელს აწერდა ნოე ჟორდანია. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ არსებობდა მჭიდრო კავშირი რუსეთის პოლიტიკურ საკითხსა და საქართველოს საკითხს შორის, რომლის ტერიტორია ოკუპირებული იყო წითელი არმიის მიერ. ნოტაში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „საქართველოს დაკავების შემდეგ, ბოლშევიკები მიერ დაყენებული „საბჭოთა საქართველოს მთავრობა“, ნამდვილად წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო ოკუპაციის მთავრობას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართველ ხალხთან დაემყარება მხოლოდ რუსეთის საბჭოთა ჯარების ხიშტებს. მან გააუქმა ერის წარმომადგენლობითი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობანი დამართავს ქვეყანას ტერორის და „ჩეკას“ (იგულისხმება საგანგებო კომისია) საშუალებით, ფართედ აწარმოებენ ტერორს, ატუსაღებენ ყველა კლასის და პარტიის წარმომადგენლებს, ათასობით მოქალაქეს აცხადებენ საშიშ პირებად და უცხოეთში

ასახლებენ; საზოგადოებრივი პროტესტის ყოველ გამოხატულებას, პოლიტიკურ გაფიცვებს, თუ ხალხის აჯანყებებს საშინელი ძალმომრეობით ახშობენ“ [„თავისუფალი საქართველო“ 1922:8].

თავის მხრივ, ევროპაში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა, კანის კონფერენციის ეკონომიკურ კომისიას წარუდგინა სპეციალური ნოტა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საქართველოს, როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღდგენის პირობები“ [„თავისუფალი საქართველო“ 1922:8].

აკაკი ჩხენკელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მომავალ გენუის კონფერეციის მუშაობაში მონაწილეობის  მისაღებად, ყველა იმ საკითხების განხილვისას, რომელიც უშუალოდ კავკასიის ეკონომიკურ ინტერესებს შეეხებოდა, საქართველოს, ასევე, კავკასიის სხვა რესპუბლიკების კანონიერი წარმომადგენლები მიეწვიათ. მისი აზრით, ევროპის ეკონომიკური აღდგენის საკითხის განხილვის დროს, საქართველოს საკითხი რუსეთის განგანცალკევებულად უნდა დასმულიყო. აკაკი ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობის თხოვნა გათვალისწინებული იქნებოდა კონფერენციის ეკონომიკური კომისიის მიერ, ამასთან იგი ევროპელ პოლიტიკოსებს მიუთითებდა, რომ საქართველოს და საერთოდ მთელ კავკასიას, საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრეების და მოხერხებული სატრანზიტო პირობების გამო, მომავალში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში. კანის კონფერენციის ევროპულმა თათბირმა მიიღო რეზოლუცია: „გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო პირობების შესახებ“, რომლის VI მუხლის თანახმად: „ეს სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ხელი აიღონ თავიანთი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ნაბიჯების გადადგმაზე“ [„თავისუფალი საქართველო“, 1921:8].

1922 წლის იანვარ-თებერვალში საქარველოს საკითხი **ვაშინგტონის** საერთაშორისო კონფერენციაზეც დაისვა. ამერიკის პრეზიდენტმა უორენ ჰარდინგმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი კონფერენციაზე არ დაუშვა.

საბჭოთა რუსეთი ცდილობდა თავისი ნაცადი დიპლომატიური ხერხებით ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა ევროპის სახელმწიფოები, დაეყოლიებინა საფრანგეთის ხელისუფლება საბჭოთა რუსეთთან კავშირზე, რისთვისაც მას ჰპირდებოდა ვალების ცნობას, კავკასიის და სპარსეთის ნავთის საბადოებში წილის მიღებას და ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე უარის თქმას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლშევიკური ხელისუფლება საფრანგეთს ვერსალის ზავის გადასინჯვით, ასევე გერმანიასთან ერთად მის წინააღმდეგ გაბედული ნაბიჯების გადადგმით ემუქრებოდა. რუსი პოლიტიკოსების აქტიური ჩარევის შედეგად, საფრანგეთმა, რომელიც თავიდან რუსეთის მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა, საქართველოს საკითხის მიმართ ინტერესი თანდათან შეასუსტა.

საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს საკითხი საერთაშორისო (გენუის, რაპალოს, ლოზანის) კონფერენციებზე. 1920-1921 წლებში დიდი სახელმწიფოები პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ამ გარემოებამ ანტანტის ქვეყნები აიძულა მოეწვიათ ევროპის კონფერენცია ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებზე. კონფერენცია შედგა გენუაში (იტალია), 1922 წლის აპრილ-მაისში. კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 34 სახელმწიფოს წარმომადგენელი, მიიწვიეს საბჭოთა რუსეთიც. მიუხედავად ქართველი ემიგრანტების მცდელობისა, ეროვნული მთავრობის წარმომადგენელი გენუის კონფერენციაზე არ მიიწვიეს იმ მიზეზით, რომ საქართველო აზიაში მდებარეობს. საბჭოთა რუსეთმა თავის დელეგაციაში ბუდუ მდივანი ჩართო. ამ ფაქტის გამო, ქართველმა ემიგრანტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მეთაურს გიორგი ჩიჩერინს საპროტესტო წერილი გაუგზავნა. გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამპ არიზიდან გაგზავნა არაოფიციალური დელეგაცია. მასში შედიოდნენ: აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, სიმონ მდივანი, გრიგოლ ვეშაპელი და ზურაბ ავალიშვილი. ემიგრაციაში მყოფი ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც არ დაუშვეს გენუის კონფერენციაზე, საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად კულისებიდან მუშაობდნენ. კონფერენციაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) მიერ გაგზავნილმა მემორანდუმმა

მონაწილე ქვეყნებს საქართველოში რუსული საოკუპაციო რეჟიმის სისასტიკე და უსამართლობა გააცნო.

გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხის წამოწევას გამოხმაურება მოჰყვა საფრანგეთის პოლიტიკური წრეების მხრიდან. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყველა ქართველს ერთიანობისკენ მოუწოდებდა. გენუის კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაციის დასწრების საკითხს მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი გამოეხმაურა, რომელმაც სპეციალური რეზოლუცია მიიღო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ინტერნაციონალის წარმომადგენლები საქართველოს ერთადერთ კანონიერ მთავრობად მიიჩნევდნენ ხელისუფლებაში მოსულ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და თვლიდნენ, რომ მოსკოვის საბჭოთა მთავრობისგან დანიშნულ წარმომადგენელს უფლება არ ჰქონდა გენუის კონფერენციაზე ქართველი ერის სახელით ელაპარაკა.

გენუის კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლის დაშვების საკითხი საფრანგეთის პარლამენტმაც განიხილა. 1922 წლის 1 აპრილს, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ, რაიმონდ პუანკარემ ვრცელი განცხადება გააკეთა, რომელშიც დაწვრილებით შეეხო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა მხარეებს. მან საფრანგეთის პარლამენტის წევრებს შეახსენა, თუ როგორ გადაწყდა საქართველოს და კავკასიის რესპუბლიკების საკითხი კანის კონფერენციაზე, ასევე, თუ როგორ უყურებდა საფრანგეთის მთავრობა გენუის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლის საკითხს. საკმაოდ სერიოზული მსჯელობა გაიმართა საქართველოს საკითხზეც. საფრანგეთის მმართველი პარტიის მეთაური, ედვარდ ერიო წინადადებით გამოვიდა, რომ საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი წარმოდგენილი ყოფილიყო გენუის კონფერენციაზე. მას დაეთანხმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არისტიდ ბრიანი, რომელმაც დეპუტატებს შეახსენა ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მთავრობამ თავის დროზე იურიდიულად ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს საკითხზე იმსჯელა, ასევე, საფრანგეთის სენატმა. სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ საქართველოსთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი

რეზოლუცია: 1) ამიერკავკასიის დეოკუპაცია უნდა გახდეს მოლაპარაკების დაწყების პირველ და მთავარ პირობად საფრანგეთსა და მის მოკავშირეთა შორის ; 2) როდესაც მოწვეული იქნება კონფერენცია ახლოაღმოსავლეთის საკითხის შესახებ, იქ აუცილებლად უნდა იქნეს განხილული საქართველოს და ამიერკავკასიის პრობლემა; 3) კონფერენციაზე უნდა იქნეს მოწვეული საბჭოთა რუსეთის და ანგორის (ოსმალეთის) წარმომადგენლებთან თანასწორიუფლებით, ევროპის მიერ კანონიერ მთავრობად ცნობილი ნოე ჟორდანიას მთავრობა.

იგივე შინაარსის რეზოლუცია დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამაც მიიღო. რეზოლუცია საფრანგეთის მთავრობის მეთაურს რაიმონდ პუანკარეს გადაეცა. საფრანგეთის მმართველ წრეებში საქართველოს საკითხზე განსხვავებული აზრი არსებობდა. ერთსულოვნება თვით ევროპის ქვეყნებს შორისაც არ იყო. **გენუის კონფერენციის მუშაობის პერიოდში, 16 აპრილს, ქ. რაპალოში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების შესახებ.** ამ ფაქტმა აღაშფოთა თვით გერმანიის პოლიტიკური წრეები. იმავე 1922 წლის ზაფხულში, მოკლეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ, რომელმაც ხელი მოაწერა რაპალოს ხელშეკრულებას. იგი საბჭოთა რესპუბლიკასთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის მომხრე იყო [Историяновейшеговремени 1989:77].

რაპალოს ხელშეკრულება, გენუის კონფერენციის დელეგატებისთვის მეხის გავარდნას ნიშნავდა. კომისიების მუშაობა შეჩერდა. ხელშეკრულებამ განსაკუთრებით საფრანგეთის ხელისუფლება აღაშფოთა. რაც შეეხება ლოიდ ჯორჯს, მას შესაძლოა ინფორმაცია, ხელშეკრულების დადების შესახებ, წინდაწინ ჰქონდა მიღებული. თავდაპირველად, მან აღშფოთება გამოთქვა ხელშეკრულების გამო, ხოლო როცა საფრანგეთის დელეგაციამ კატეგორიულად მოითხოვა მისი გაუქმება, ინგლისის დელეგაციამ, პოზიციები შეარბილა და გერმანიას მოსთხოვა ან რაპალოს ხელშეკრულების პირობების გაუქმება, ან რუსეთის კომისიიდან გასვლა. რუსეთის დელეგაცია, როგორც უპასუხისმგებლო წარმომადგენლობა, სასჯელს გადაურჩა. რაც შეეხება გერმანიას, მან რაპალოს ხელშეკრულებით მიაღწია ძველი, ომის დროინდელი ვალების გაუქმებას და რუსეთის ეკონომიკურ აღდგენაზე მიიღო

უფლება. ამის შემდეგ, გერმანიის წარმომადგენლებისთვის კომისიაში ყოფნა დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. ლოიდ ჯორჯის წყალობით, გერმანიის დელეგაციის მიმართ სასჯელმა უფრო მორალური ხასიათი შეიძინა. ევროპის ქვეყნების მესვეურებმა, უფლება დაიტოვეს რაპალოს ხელშეკრულებაზე უარი ეთქვათ, რადგან იგი ვერსალის ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა. გენუის კონფერენციაზე დაიბადა ერთგვარი ეჭვიც იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისი თავის მოკავშირე საფრანგეთს გვერდზე განუდგა. აღსანიშნავია, რომ რაპალოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ლოიდ ჯორჯი, წინასწარ მოეთათბირა, როგორც გერმანელებს, ასევე რუსებს. ცხადია, ლოიდ ჯორჯს ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის გაბატონება არ სურდა. მან ეს აზრი საფრანგეთის პრესისთვის მიცემულ განცხადებაში გააჟღერა, სადაც აღიარა, რომ „დასაშვებად არ მიაჩნდა ვინმეს ჰეგემონობა ევროპაში, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მშვიდობიანობის იდეას და რომ ინგლისი მოწოდებული იყო, ერთაშორის, მშვიდობიანობისთვის საჭირო თანამშრომლობა დაეცვა“[ „თავისუფალი საქართველო“ 1922:20].

გერმანია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში და ერთ-ერთმა პირველმა იცნო მისი იურიდიული დამოუკიდებლობა, სწორედ, მანვე უღალატა პირველმა, რუსეთთან რაპალოს ხელშეკრულების გაფორმებით. აღნიშნული ხელშეკრულების ავტორმა მალცანმა განაცხადა, რომ ჩიჩერინს ჯიბეში ედო საქართველოს მანდატი. მისი აზრით, საკმარისი იყო გერმანიას რუსეთთან გაეცვალა დიპლომატიური ნოტები და ფაქტიურად, საქართველო რუსეთის ფედერაციაში აღმოჩნდებოდა, რაც გერმანიას საშუალებას მისცემდა მომავალში თბილისში, ელჩის სანაცვლოდ გენერალური კონსული გაეგზავნა. რაპალოს ინციდენტის გამო, გენუის კონფერენციამ შემდგომი მუშაობა გერმანიის დელეგაციის გარეშე განაახლა.

გენუის კონფერენციაზე გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია რუსეთის საქმეებისთვის, რომელსაც თავმჯდომარეობდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი. კომისიის მუშაობაში, იტალიის გარდა, მონაწილეობას ღებულობდნენ ევროპის სხვა ქვეყნები. კომისიის წინაშე შვეციის პრემიერმა ბრანტინგმა წაიკითხა საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დეპეშა, რომლითაც იგი

მიმართავდა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს _ შეეჩერებინათ სისხლისღვრა სვანეთში და რეპრესიები დანარჩენ საქართველოში. შვეციის დელეგატმა დაიცვა დეპეშაში გამოთქმული აზრი, რასაც მხარი დაუჭირა შვეიცარიის დელეგატმა ჯუზეპე მოტამ. მართალია, საქართველოს ეროვნული მთავრობის არაოფიციალური დელეგაციის მუშაობამ გენუის კონფერენციაზე, ვერ შეძლო აეძულებინა რუსეთი გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, მაგრამ ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან საქართველოს საკითხის დასმა და მასზე მსჯელობა მაინც დიდი მიღწევა იყო ქართველი დიპლომატებისათვის.

ქართული ემიგრაციის დაქსაქსვა და პატრიოტი ემიგრანტების ლიკვიდაცია, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტებიდან, ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა მთავრობა აქტიურად ადევნებდა თვალ-ყურს ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების მოღვაწეობას. საბჭოთა ხელისუფლებისთვის მათი გადაადგილების თითოეული ნაბიჯი ცნობილი იყო [სარალიძე, 2014:1]. საბჭოთა მთავრობამ ემიგრანტებთან მოსარიგებლად, ცნობილი ქართველი ეროვნულ-დემოკრატის ნიკო ნიკოლაძის გამოყენება სცადა. ამ მიზნით, 1922 წელს, ნ. ნიკოლაძე ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას შეხვდა. ქართველი ემიგრანტები ბოლშევიკებთან მოლაპარაკების მთავარ პირობად - საქართველოს დეოკუპაციას, აყენებდნენ, რაზეც, მიუხედავად ნ. ნიკოლაძის აზრისა, თითქოს ისინი ამაზე წამოვიდოდნენ, რადგან ბოლშევიკებს ჯარი შიმშილით დაეხოცებოდათ, საბჭოთა მთავრობა, ბუნებრივია არ დათანხმდებოდა. ემიგრანტებთან საქმის მოსაგვარებლად, იოსებ სტალინმა თავისი ყოფილი ცოლის ძმა ალექსანდრე სვანიძე გერმანიაში გაგზავნა. 1924 წელს, ა. სვანიძე ბერლინში მყოფ, გერმანიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილ ელჩს - ვლადიმერ ახმეტელაშვილს შეხვდა. ა. სვანიძე არწმუნებდა ქართველ დიპლომატს, რომ მოსკოვის მთავრობა თითქოს თანახმა იყო, საქართველოს საკითხში გარკვეულ დათმობებზე წასულიყო [ სსცსა 1831:422; ჭუმბურიძე, 2015:107-123].

საფრანგეთში, რუსეთის ელჩის მოადგილე და საელჩოს პირველი რწმუნებული გ. ბესედოვსკი იყო. მან ამხილა საბჭოთა დაზვერვის მისწრაფება, რომელიც ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, განხეთქილების შეტანას ისახავდა მიზანად. იგი წერს: „... როდესაც მე ჩამოვედი პარიზში, 1927 წლის ოქტომბერში, კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ წარმომადგენლად, საბჭოთა კავშირის საელჩოსთან ირიცხებოდა ფირუმოვი. ამ უკანასკნელს ევალებოდა, როგორც თვალ-ყურის დევნება ემიგრაციისათვის, ისე ემიგრანტთა კოლონიების გასაბჭოებაზე ზრუნვა. თანახმად ფირუმოვის მიერ ნაამბობი სამის მუშაობას ცოტაოდენი წარმატება ემჩნეოდა, სანამ იგი სარგებლობდა ვეშაპელის და მისი თანამშრომლების – როგორც მაგალითად მიწიშვილი – სამსახურით. შესაძლებელი გახდა „გასაბჭოებული“ კოლონიის შექმნა. მოეწყო პროპაგანდა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით და სხვა; მაგრამ ვეშაპელის მოკვლის შემდეგ, როგორც ჩანდა ფირუმოვს გაუწყდა კავშირი ქართულ კოლონიასთან და გამოეცალა ყოველგვარი პერსპექტივა. ამის შემდეგ, ის მალე წავიდა პარიზიდან. საელჩომ შუამდგომლობა აღძრა მოსკოვის წინაშე, რომ დაენიშნა პარიზში ვინმე ქართველი. რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენელი მიხაილოვი ამას რაცხდა აუცილებლად, რათა სასურველად დასრულებულიყო ის მუშაობა, რომელსაც თითქოს იგი წარმატებით აწარმოებდა ქართულ პოლიტიკურ წრეებში. პასუხად მოსკოვმა აუწყა საელჩოს, ქართველი კომუნისტის ვაშაძის დანიშვნა ფირუმოვის ადგილას, მაგრამ ვაშაძე ჩამოსვლას აგვიანებდა... პირველ ხანებში, ვაშაძე ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმედი ჰქონდა, რომ ბევრს გააკეთებდა ქართული კოლონიის გასახრწნელად, მაგრამ საკმარისი დარჩა რამდენიმე ქართველ ემიგრანტთან შეხვედრა, რომ მისი ოპტიმიზმი გამქრალიყო. საქმე გათავდა ვაშაძის კატეგორიული განცხადებით, რომ მას არ შეუძლია პარიზში დარჩენა და მუშაობა. ვაშაძის წასვლის შემდეგ, საქართველოს თავისი წარმომადგენელი არ ჰყოლია საბჭოს საელჩოსთან. როდესაც მე პარიზში ჩამოვედი, როგორც საბჭოთა კავშირის რწმუნებული, ფირუმოვთან ერთად, მოხსენება გამიკეთა მიხაილოვმა, რომელიც ითვლებოდა „ოპერატიული ნაწილის“ გამგედ, ან უკეთ რომ ვთქვათ, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენლად. იგი ირწმუნებოდა, რომ ჰყავდა

ქართველებს შორის 5 აგენტი, რომელთა საშუალებით, იგი საუცხოოდ „ერკვეოდა“ ქართული ორგანიზაციების და კოლონიის მუშაობაში, იცოდა შინაური უთანხმოებანი, როგორც ყველა ჯგუფის, ისე კერძო პირებს შორის. კარგად იყო გარკვეული მათ ნივთიერ უსახსრობაში და სხვა...“ [ „დამოუკიდებელი საქართველო“ 1929 : #49].

თავის გამოსვლებში გ. ბესედოვსკი, ასევე, აკრიტიკებდა საქართველოს მიმართ რუსეთის დაუნდობელ პოლიტიკას. მისი აზრით: „საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრების ინიციატივა ეკუთვნოდა კავკასიელ ბოლშევიკებს, რომელსაც სათავეში ს. ორჯონიკიძე უდგას და რომელშიც შედიოდნენ ყველა ცნობილი ქართველი ბოლშევიკები. უკანასკნელთაგან მხოლოდ ფილიპე მახარაძე იყო საქართველოზე სამხედრო გალაშქრების წინააღმდეგი, ხოლო მთავარი როლი ამ საქმეში ითამაშა სტალინმა _ იმ დროს „ეროვნებათა კომისარმა“. სტალინმა დასვა კითხვა მოსკოვის პოლიტბიუროში და გამოვიდა მოხსენებით. მისი მოხსენების მთავარი მოსაზრებები იყო: 1) ბაქოს ნავთის დაპატრონება, თავისთავად სვამს ბათუმის ხელში ჩაგდების საკითხს, რის გარეშე საბჭოთა რუსეთი ვერ შეძლებს ბაქოს ნავთის სავსებით გამოყენებას; საქართველოს მენშევიკური მთავრობა, რომელიც უკვე არ გვაძლევს ცისტერნების საკმაო რიცხვს და არ უშვებს მატარებლებს, მომავალში ყოველნაირად შეუშლის ხელს ბათუმის გზით ნავთის და მისი პროდუქტების გადაზიდვას. საქართველოს მოსახლეობის ყველა წრე, განსაკუთრებით კი გლეხობა და ინტელიგენცია შეპყრობილნი არიან სიძულვილით მენშევიკური მთავრობის მიმართ“[ „ბრძოლის ხმა“1929:2]. გ. ბესედოვსკი, კრიტიკული გამოსვლების გამო, რუსეთიდან პარიზში ჩასულმა ჩეკისტმა – რეი ზენმანმა საფრანგეთში რუსეთის საელჩოს შენობაში დაატყვევა ცოლ-შვილთან ერთად. მან გაქცევით უშველა თავს და პარიზის პოლიციას მიმართა, რის შემდეგაც საფრანგეთის პოლიცია რუსეთის საელჩოში შევიდა და მისი ცოლ-შვილი ტყვეობიდან იხსნა, ხოლო გ. ბესედოვსკი მის მფარველობაში აიყვანა [„სამშობლო“ 1929:3,4].

ასეთ რთულ პირობებში უხდებოდათ მოღვაწობა, ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებს.

რუსეთის ხელისუფლება აქტიურად აგრძელებდა, ევროპელი პოლიტიკოსებისთვის თვალში ნაცრის შეყრას, თუმცა მრავალი მცდელობის მიუხედავად, თავიდან, მათთვის სიყალბის თავზე მოხვევა საკმაოდ გაუჭირდათ. ევროპაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრები, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა ევროპის ყველა ქვეყნის ხელისუფლებისთვის, საქართველოში არსებულ ბოლშევიკური რეჟიმის სისასტიკეზე, სიმართლე მიეწოდებინათ. თავის მხრივ, რუსეთის მთავრობაც დილობდა მოეპოვებინა ევროპელი დიპლომატების ნდობა, რათა საკუთარი ხელისუფლების იურიდიული ცნობისთვის მიეღწია. 1921 წლის დეკემბერში, რსფსრ მრეწველობის სახალხო კომისარს ლეონიდ კრასინს, ინგლისის მთავრობამ ნება დართო, ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისი) წაეკითხა მოხსენება, რომელიც რუსეთის ეკონომიკურ დახმარებას შეეხებოდა. კრასინი თავის გამოსვლაში ამტკიცებდა, რომ ევროპამ აუცილებლად უნდა მისცეს რუსეთს სესხი, ვინაიდან მას რუსეთის ხალხის მიერ შექმნილი მთავრობა უდგას სათავეში და თუ ეს არ მოხდებოდა, მისი აზრით, კერძო ხასიათის დახმარება დამშეულ რუსეთს ვერ უშველიდა. ოქსფორდის უნივერსიტეტში, კრასინის გამოსვლას გამოეხმაურა პარიზში გამომავალი გაზეთი „ლთემპს“ („დრო“). გაზეთში დაბეჭდილი წერილი, ადასტურებდა საქართველოს ეროვნული მთავრობის მტკიცებას, რომ რუსეთში ბატონობდა ხალხისთვის თავს მოხვეული ხელისუფლება. სტატიაში აღნიშნულია: „ჩვენ არ გამოუდგებით ბატონ კრასინის სიტყვის დაწვრილებით განხილვას, ხოლო აღვნიშნავთ, რომ თვით ნიადაგი, რომელზედაც კრასინი დგას არის ყალბი: ლენინისა და ტროცკის მთავრობა სრულებითაც არ არის რუსეთის ხალხის მიერ შექმნილი, როგორც ამას იგი ამტკიცებს, არამედ იგი ძალით მოახვიეს რუსეთის ხალხს, რომელსაც წინდაწინ აყარეს პირადი და პოლიტიკური უფლება. „ჩეკის“, ტერორისა და წითელი არმიის გარეშე ეს მთავრობა ვერ იარსებებს ვერც ერთ თვეს. ერის უმცირესობას, როგორიც არიან ბოლშევიკები, სჭირდება წითელი არმია და „ჩეკა“ თავისი ბატონობისთვის, ამიტომ იგი მას სწირავს მთელი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს“[„თავისუფალი საქართველო“ 1921:14].

რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ცდილობდა, თავისი ნაცადი დიპლომატიური ხრიკებით, ერთმანეთის წინააღმდეგ წაექეზებინა ევროპის

სახელმწიფოები. საფრანგეთს, რომელიც მაშინ რუსეთის მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა, რუსეთის მიმართ ორჭოფული პოზიცია ეკავა. თავის მხრივ, რუსეთი ცდილობდა დაეყოლიებინა საფრანგეთის ხელისუფლება, რისთვისაც მას ჰპირდებოდა ვალების ცნობას, ძველი მეგობრობის განახლებას, კავკასიის და სპარსეთის ნავთის საბადოებში წილის მიღებას და ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე დროებით გაჩუმებას. რუსეთის ხელისუფლება, წინააღმდეგობის შემთხვევაში, საფრანგეთს ემუქრებოდა კიდეც, ვერსალის ზავის გადასინჯვით, ასევე, გერმანიასთან ერთად მის წინააღმდეგ გაბედული ნაბიჯების გადადგმით. რუსეთის ხელისუფლების ბინძურ პოლიტიკას ასეთ შეფასებას აძლევდა ემიგრაციული გაზეთი „თავისუფალი საქართველო“: „...მთავარი ის არის, რომ სწორედ ის, რასაც მოსკოვის კომისრები სთავაზობენ ევროპის ხელისუფალთ პრობლემატურია, ხოლო რასაც ემუქრებიან უფრო მოსალოდნელი. ამით კი ცხადია მეგობრობა არ შეიძინება“[„თავისუფალი საქართველო“ 1922: 17].

1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის ივლისამდე მიმდინარეობდა **ლოზანის საერთაშორისო კონფერენცია.** სრუტეების საკითხის განხილვას საქართველო უნდა დასწრებოდა, როგორც შავი ზღვისპირა ქვეყანა. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა არც ლოზანის კონფერენციაზე მიიწვიეს. საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა რაიმონდ პუანკარემ წინადადებით მიმართა ინგლისისა და იტალიის მმართველებს, კონფერენციაზე მიეწვიათ საქართველოს ეროვნული მთავრობა, თუმცა მოკავშირეთაგან თანხმობა ვერ მიიღო. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი არ იყო საქართველოს მიწვევის წინააღმდეგი, მაგრამ მოითხოვდა ასევე რუსეთის მთავრობის დელეგატის დაშვებასაც. რადგან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, გადაწყდა კონფერენციაზე არ მოეწვიათ არც ეროვნული და არც რუსეთის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობა. კონფერენციაზე გამოიკვეთა ოსმალეთის სურვილი დაახლოვებოდა ინგლისს. ოსმალეთის დელეგატმა უარი თქვა რუსეთის პოზიციების მხარდაჭერაზე, რის გამოც რუსეთმა არამც თუ ვერ მოიპოვა ახალი პოზიციები ლოზანაში, არამედ ძველიც დაკარგა. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციით, შავი ზღვა გადაიქცა საერთაშორისო ზღვად, სადაც შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოებისათვის უზრუნველყოფილი იყო

როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემების მიმოსვლა. საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ წარგზავნილი არაოფიციალური დელეგაციის ძალისხმევით, საქართველო შეტანილი იქნა კონფერენციის ოქმებში. გარდა ამისა, კონფერენცი ამ სრუტეების კონვენციის XII მუხლში საქართველოს დაუტოვა ადგილი. აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომელსაც ევალებოდა თვალ-ყურის დევნება სრუტეების საკითხში ახალი წესების შესრულებაზე. იმავე მუხლის III აბზაცში, რომელსაც მეტსახელად „ქართველების აბზაცს" უწოდებდნენ, აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს - საქართველოს და უკრაინას, რომელთაც ოფიციალურად მონაწილეობა არ მიუღიათ ლოზანის კონფერენციაში, უფლება ჰქონდათ საკუთარი წარმომადგენელი გაეგზავნათ სრუტეების საკითხის შემსწავლელ საერთაშორისო კომისიაში. ლოზანის კონვენციამ განსაზღვრა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ადგილი სრუტეების კონვენციაში, რაც ემიგრაციული მთავრობის ძალისხმევის შედეგიც იყო.

ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები 30-იან წლებშიც აქტიურად იბრძოდნენ, საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს ინტერესების დასაცავად. 1936 წლის 20 ივნისიდან 21 ივლისამდე, შვეიცარიის ქალაქ მონტრეში, შავი ზღვისპირა სრუტეებში რეჟიმის თაობაზე, საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია მოწვეული იქნა თურქეთის ხელისუფლების წინადადებით და მიზნად ისახავდა 1923 წლის ლოზანის კონვენციის გადახედვას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრკ-ს, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, ავსტრალიის და იაპონიის დელეგაციები. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო და შესაბამისად, კონფერენციაზე მიწვეული არ ყოფილა. 1936 წლის 20 ივლისს, მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ახალ **მონტრეს კონვენციას,** რომლის ძალითაც სრუტეების საერთაშორისო კომისია გაუქმდა, აღდგა თურქეთის სრული სუვერენიტეტი აღნიშნულ ზონაზე. ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებს, სრუტეებში თავისუფალი გადაადგილების უფლება ეძლეოდათ, როგორც მშვიდობიან, ასევე, ომის დროსაც. კონფერენციაზე კამათი გაიმართა არა შავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების, სრუტეებში გატარების უფლების გარშემო. არა

შავიზღვისპირა სახელმწიფოთა უფლებები მკვეთრად შეიზღუდა. მშვიდობიან დროს მათ შეეძლოთ შეეყვანათ შავ ზღვაში მხოლოდ მსუბუქი წყალზე ვითა გემები, სამი კვირის ვადით. ამასთან არაშავიზღვისპირა ყველა სახელმწიფოს გემების საერთო ტონაჟის მოცულობამ კვეთრად იქნა განსაზღვრული.

ომის დროს, თურქეთის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში, მეომარი სახელმწიფოების სამხედრო გემებისთვის სრუტეები დახურული უნდა ყოფილიყო, ხოლო საომარ მოქმედებებში თურქეთის ჩაბმის შემთხვევაში, სახელმწიფოებს უფლება ეძლეოდა ემოქმედათ სრუტეების ზონაში საკუთარი შეხედულების მიხედვით. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები თურქეთის ტერიტორიულ წყლებში მდებარეობს, თუმცა მათზე თურქეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი მონტრეს კონვენციით დადგენილი პირობებით განისაზღვრება. აღნიშნულ კონვენციას ზოგიერთი ქვეყანა შესაძლოა უმნიშვნელო ხელშეკრულებად აღიქვამდა, თუმცა დღევანდელ პერიოდში, საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთთან შექმნილი დაძაბულობის ფონზე, მონტრეს კონვენციამ აქტუალური ხასიათი შეიძინა. აღნიშნული კონვენცია ხელმოწერილი და რატიფიცირებული იქნა თურქეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, გერმანიის, იუგოსლავიის და იაპონიის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ არ იყო მიერთებული აღნიშნულ კონვენციაზე, ისტორიულად ის ყოველთვის ეთანხმებოდა მის დებულებებს. კონვენცია დაიდო 20 წლის ვადით. 28-ე მუხლის თანახმად, კონვენციის გასაუქმებლად საჭიროა ერთ-ერთი ხელმომწერი ქვეყნის განაცხადი, რომელიც მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაკმაყოფილდება. 1945 წლის პოტს და მის კონფერენციაზე, სსრკ-ს ხელისუფლება მონტრეს კონვენციის გადასინჯვას შეეცადა, ითხოვდა რა სამხედრო-საზღვაო ბაზას დარდანელის სრუტეში და ხელსაყრელ რეჟიმს სრუტეებში გადაადგილებისთვის. იმავდროულად, სსრკ-ს მთავრობის მხრიდან, თურქეთის ხელისუფლებისადმი ტერიტორიული პრეტენზიები იქნა წაყენებული. ამ მოთხოვნებზე სსრკ-მ უარი თქვა 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ. 1936 წლის მონტრეს კონვენცია დღესაც ძალაშია. მონტრეს კონვენციის მიხედვით, თურქეთს არა აქვს უფლება ბოსფორის სრუტეში გაატაროს იმდენი სამხედრო გემი, რომელთა ჯამური წყალწვა 45 000 ტონას არ აღემატება, რაც

არცთუ ისე დიდი ციფრია სამხედრო გემებისათვის - ერთი ამერიკული ავიამზიდიც კი გადაფარავს ამ ლიმიტს. იმავე მონტრეს კონვენციით, უცხო ქვეყნის სამხედრო გემებს უფლება აქვთ, შავ ზღვაში იმყოფებოდნენ მხოლოდ 21 დღის განმავლობაში, შემდეგ კი ბოსფორის სრუტით უნდა დატოვონ ზღვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი იქ ყოფნა, შავი ზღვის სრუტეთა შესახებ, მონტრეს საერთაშორისო კონვენციის დარღვევად ჩაითვლება და რუსეთს მიანიჭებს უფლებას, საერთაშორისო სამართლის იგნორირებაში დაადანაშაულოს არა მხოლოდ ნატო, არამედ თურქეთიც. 2008 წლის აგვისტოში, ცხინვალის რეგიონში რუსეთის მხრიდან აგრესიის პერიოდში, საქართველოს დასახმარებლად შავ ზღვაში მნიშვნელოვანი წყალწვის მქონე ამერიკული სამხედრო ხომალდები შემოვიდა, რომელთაც მაშინ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსული აგრესიის შესაჩერებლად. მონტრეს კონვენციის თანახმად, ამერიკული მხარე იძულებული იყო ყოველ 21 დღეში შეეცვალა გემები ისეთნაირად, რომ ჯამში მათი საერთო წყალწვა 45 000 ტონაზე მეტი არ ყოფილიყო. ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების მცდელობის მიუხედავად, საქართველო უძლური აღმოჩნდა, თავის დროზე, სრუტეების კონვენციაში თავისი უფლებები დაეცვა, რასაც აქტიურად შეუშალეს ხელი რუსეთისა და თურქეთის მმართველებმა.

## $2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კერები ევროპის ქართულ ემიგრაციასა და დიასპორებში (XX ს.-ის 20-40-იანწლებში)

## ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები და პოლიტიკური გაერთიანებები საზღვარგარეთ; „თეთრი გიორგი“

1924 წელს ინგლისმა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება ოფიციალურად აღიარა, 1924 წლის ოქტომბერში იგივე ნაბიჯი საფრანგეთის მთავრობამაც გადადგა. ევროპის სახელმწიფოთა მეთაურების პოლიტიკით უკმაყოფილო ნოე ჟორდანია წერდა: „...აშკარა იყო ჩვენთვის, რომ ევროპის საზოგადოება დაღალულია, სხვისი სატკივარი მათ არ სტკივა, არც კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს _ იყოს თავისთვის წყნარათ, უდარდელათ... ჩემთვის მთავარი იყო ქართველი ხალხის

მებრძოლი სულისკვეთების შენახვა, მისთვის ხელის შეწყობა, იქაურ არალეგალურ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათი საშუალებით მუდმივი კონტაქტი ერთან. ეს იყო მთავარი, თუ ერი არ გატყდება, საერთაშორისო მდგომარეობა ოდესმე მის სასარგებლოთ შეიძლება შემობრუნდეს და ამით ისარგებლოს. მეორე მხრით, დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი პოლიტიკურ ემიგრაციის მთლიანობის შენახვას, მებრძოლი აპარატების შექმნას და მათ წინამძღვრობას...“[ჟორდანია, 1990: 129].

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის მიერ სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ქართველ პატრიოტებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. საკუთრივ საქართველოში ძლიერი იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელი იყო. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გააქტიურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საფრანგეთში საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის და მისი შეფიცულების (შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე და სხვები) ჩასვლამ. 1924 წლის სექტემბრის ბოლოს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული ფრთის ჯგუფმა შალვა ბერიძის თაოსნობით, პარიზში, ქართველი ახალგაზრდების პატრიოტული ორგანიზაცია „მომავალი“ დააფუძნა. იგი ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენაზე და კულტურულ-ისტორიული ტრადიციების განვითარებაზე იყო ორიენტირებული. 1924 წლის პირველი ნოემბრისთვის ორგანიზაციაში 10 წევრი ირიცხებოდა: შ. ბერიძე, მ. კედია, კ. სალია, ე. პატარიძე, კ. კობახიძე, დ. მხეიძე და სხვები [დაუშვილი, 2007:110].

1925 წლის 10 იანვარს გამოქვეყნებულ მის „10 მცნებას“, საფუძვლად მუსოლინის 10 მცნება დაედო. ორგანიზაცია, ერის პარტიული დაყოფის წინააღმდეგ, საქართველოს გათავისუფლების, მისი ტერიტორიული მთლიანობის და ერის ინტერესების დაცვის მოწოდებით გამოდიოდა.

1925 წლის 24 ოქტომბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები ერთ-ერთ სხდომაზე მიიწვიეს. ქაქუცამ საზოგადოებას გააცნო თავისი წინადადება ორგანიზაციისთვის „თეთრი გიორგი“ ეწოდებინათ, რადგან გველეშაპის განმგმირავი თეთრი გიორგი, ქედუხრელი მებრძოლი, საქართველოს სიმბოლო იყო. მართალია, ქაქუცა სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ერთგული მისი გადაწყვეტილების _ არ

ყოფილიყო რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, მაგრამ სიკვდილამდე იგი „თეთრი გიორგის“ ერთგული თანამდგომი და მისი წევრი იყო. ორგანიზაციის ლოზუნგი გახდა: „საქართველო, უწინარეს ყოვლისა!“. კალისტრატე სალიას გადმოცემით, ორგანიზაციის შექმნის იდეა და სახელწოდება, ჯერ კიდევ 1922 წელს, მეტეხის ციხეში ჩაისახა [„თეთრი გიორგი“ 1934:1]. ორგანიზაციას საკუთარი ბეჭდვითი ორგანო – გაზეთი „თეთრი გიორგი“ ჰქონდა, რომლის პირველი ნომერი პარიზში 1926 წლის 25 აგვისტოს გამოვიდა. გაზეთის გამოცემა 1939 წლის ივლისამდე გაგრძელდა (სულ 106 ნომერი დაიბეჭდა).

1925 წლის ნოემბერში ორგანიზაციის მეთაურად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე - ლეო კერესელიძე აირჩიეს. ერთ-ერთ ხელმძღვანელად მან გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ წერეთელი (1878-1965 წწ) მიიწვია. ორგანიზაციის წევრთა რიცხვი 40-ს აღწევდა] [ზერიძე, 1933:8]. იმავე პერიოდში ორგანიზაციამ მიიღო სახელწოდება: „ეროვნული ერთობის დარაზმულობა თეთრი გიორგი“. ორგანიზაციის იდეოლოგიას საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1905 წელს შემუშავებული ცნობილი ტრაქტატი: „საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა“. 1928 წელს ორგანიზაციის წევრად სვიმონ ციციშვილი (1886-1951 წწ) მიიწვიეს. იგი 1920 წლიდან პარიზში იმყოფებოდა და ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, საფრანგეთში განაგრძო მოღვაწეობა. ასევე, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ცნობილი მოღვაწეები იყვნენ კალისტრატე სალია და ალექსანდრე მანველიშვილი. 1933 წელს, ა. მანველიშვილი, რამდენიმე თანამზრახველთან ერთად, ორგანიზაციას გამოეყო, თუმცა იდეოლოგიურად ისინი ფაქტობრივად ერთად დარჩნენ და ახალი საკუთარი ორგანო – გაზეთი „მომავალი“ დააარსა. გაზეთის პირველი ნომერი პარიზში 1934 წლის თებერვალში, ხოლო ბოლო #13-14 კი 1938 წლის ნოემბერში გამოვიდა.

ქართველი ემიგრანტების ძალისხმევის მიუხედავად, 1932 წლის 29 ნოემბერს, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შემდეგ, 1933 წლის ივლისში, პარიზის ქართული ლეგაცია გაუქმდა [სარალიძე, 2001-2012: 380-385.]. მის ნაცვლად „ლტოლვილთა ოფისი“ შეიქმნა. შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიასა და სტამბოლში საელჩოები „ოფისის“ ფილიალებად გადაკეთდა,

რომლებიც იმ ქვეყნებში ქართველთა უფლებების დაცვასა და დასაქმებაზე ზრუნავდნენ.

1934 წლის 18 სექტემბერს, საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში მიიღეს, რითაც წამყვანმა სახელმწიფოებმა, რუსეთის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე თვალები დახუჭეს. რუსეთის ერთა ლიგაში მიღების დროს საპროტესტო სიტყვები წარმოთქვეს ჩეხოსლოვაკიის, პორტუგალიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ რუსეთის ერთა ლიგაში მიღება ეწინააღმდეგებოდა ლიგის ძირითად პრინციპებს. ჯერ კიდევ რუსეთ-საფრანგეთის პაქტის დადების დროს საერთაშორისო სამართლის ცნობილი პროფესორი ლეფური წერდა, რომ როდესაც რუსეთის ერთა ლიგაში მიღების საკითხი დაისმება: „მაშინ ძნელი იქნება ერთა ლიგისთვის, საქართველოს სასარგებლოდ მიღებული ამდენი რეზოლუციების შემდეგ, გვერდი აუქციოს მის დამოუკიდებლობას და არ წამოაყენოს ამის ცნობა რუსეთის მიერ, როგორც პირობა რუსეთის მიღებისა ერთა ლიგაში“.

სამწუხაროდ, მაშინდელი ევროპის სახელმწიფოები ვერ აღმოჩნდნენ თანამიმდევრულნი დემოკრატიული ღირებულებების დაცვის საქმეში. ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, მიხეილ მუსხელიშვილი ასე აფასებს რუს ხელისუფალთა დამოკიდებულებას ევროპული ღირებულებებისადმი: „საბჭოთა კავშირი, ისე როგორც მეფეთა რუსეთი, არ ეკუთვნის დასავლეთს არც პოლიტიკურად და არც სულიერად. მართალია, ის დღეს იმყოფება თვით ევროპის შუაგულში, მაგრამ ის მაინც არ იქცევა დასავლეთის ქვეყნად. მის აქ ყოფნას მძიმედ განიცდიან ევროპიელები და თავადაც უცხოდ გრძნობს თავს ამ უცხო მიწაზედ. არ არსებობს საერთო საზომი რუსსა და ევროპიელს შორის. ძირითადი განსხვავება მათ შორის, რომელიც შექმნა ისტორიამ, უცვლელი რჩება, მიუხედავად გაევროპიელების ზოგიერთი სპორადიული ცდისა; ის კიდევ მწვავდება და ღრმავდება ბოლშევიზმით: საბჭოთა ადამიანი ყოველდღე უფრო და უფრო სცილდება თავის მეზობელ ევროპიელს. გეოპოლიტიკა და ფსიქოლოგია ერთად მას ანიჭებენ ორიგინალურ ადგილს მსოფლიოში, რომელიც უფრო აზიურია, ვიდრე ევროპიული... მართალია, პეტრე დიდმა შეაღო დასავლეთის კარები, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ესარგებლა და გადმოეღო დასავლეთის ტექნიკისა და

იდეების მიღწევები რუსეთის სახელმწიფოს განვითარებისათვის. ევროპა, ამბობდა ის, ჩვენ გვჭირდება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, შემდეგ კი საჭიროა ზურგის შექცევა“ [მუსხელიშვილი, 1993:13,14].

საბჭოთა დაზვერვა აქტიურად მუშაობდა, რათა საზღვარგარეთ არსებულ ემიგრანტულ წრეებში განხეთქილება შეეტანა. თავის მხრივ, ემიგრანტები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ბოლშევიკური ხელისუფლების შესუსტებას, რათა საქართველო რუსეთის ჯარისგან გათავისუფლებულიყო. 1937 წელს ემიგრაციაში მოქმედ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციას ერთი ჯგუფი გამოეყო და ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა დააარსა. მათი მთავარი იდეალი საქართველოში ფაშისტური სამეფოს შექმნა იყო.

„საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“ 1939 წელს დაიშალა. მთავარი მიზეზი, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილი რიბენ ტროპ-მოლოტოვის თავდაუსხმელობის პაქტი იყო. მათ გერმანიის დახმარებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ  ბრძოლის იმედი დაკარგეს. ემიგრანტები იმედით შესცქეროდნენ ინგლის-საფრანგეთის კავშირს, მაგრამ 1941 წლის 22 ივნისს, დაწყებულმა ომმა, ქართველი ემიგრანტები, კვლავ გერმანიისკენ შემოატრიალა. ალექსანდრე მანველიშვილი აღნიშნავს; „გვეგონა, რომ გერმანიის მთავრობა ახლავე გადმოისვრის იდეას საბჭოთა ერების დამოუკიდებლობის შესახებ. მაგრამ ჰიტლერს რომ ასეთი ჭკუა გამოეჩინა, ის ჰიტლერი აღარ იქნებოდა!“[მანველიშვილი 1990:229].

„თეთრი გიორგის“ და „ქართული ფაშისტური დარაზმულობის“ წევრებმა, მეორე მსოფლიო ომში,  ინდივიდუალურად მიიღეს მონაწილეობა. ისინი ბრძოლაში გერმანიის მხარეს ჩაერთნენ, რაც საქართველოს გათავისუფლების სურვილით იყო გამოწვეული. „ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარია“. აღნიშნული პრინციპით, ქართველი ემიგრანტების ერთი ნაწილი მეორე მსოფლიო ომში უნებლიედ იქცა გერმანიის მოკავშირედ. „თეთრი გიორგის“ საქმიანობაში ჩაერთო, ქართველი პოლკოვნიკი „ქართველ გარიბალდად“ წოდებული - ლეო კერესელიძე (იგი 1943 წელს მოკავშირეთა მხრიდან ბერლინის დაბომბვისას გარდაიცვალა).  ორგანიზაციას მიემხრო მიხეილ კედია, საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შინაგან

საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმის ყოფილი უფროსის - მექი კედიას ვაჟი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, გაძლიერდა განხეთქილება ევროპაში მყოფ ჩრდილოკავკასიურ ემიგრაციაში. გერმანიის მხრიდან მოახლოვებულმა ომის საფრთხემ, თვით რუსული ემიგრაციის ბანაკებად დაყოფა გამოიწვია. ემიგრაციის რადიკალური წარმომადგენლები, მზად იყვნენ ეშმაკსაც კი შეკვროდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათი მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება იყო. ემიგრანტთა მეორე ნაწილი თვლიდა, რომ რუსეთი მათი სამშობლო იყო და საჭირო იყო მისი დაცვა. საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერი გენერალი ანტონ დენიკინი, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანელებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ გამოვიდა და მხარი საბჭოთა კავშირს დაუჭირა.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს საფრანგეთმა და ინგლისმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ემიგრაციაში, საფრანგეთში მყოფმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მეორე მსოფლიო ომის დროს, ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს, ხოლო საფრანგეთის ოკუპაციის დროს, მათ უარი თქვეს გერმანელებთან თანამშრომლობაზე. საქართველოს დევნილმა მთავრობამ, საფრანგეთის ხელისუფლებას ოფიციალურად გადასცა ნ. ჟორდანიას, ე. გეგეჭკორის და ა. ჩხენკელის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი, რომლითაც მათ მიმართ სრული მხარდაჭერა გამოხატეს. გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ, ქართველი ემიგრანტებისთვის, ანტისაბჭოთა საქმიანობის ცენტრად კვლავ საფრანგეთი რჩებოდა. 1940 წლის 10 მაისს, გერმანია თავს დაესხა საფრანგეთს. 1940 წლის 14 ივნისს, ვერმახტის მე-18 არმიამ პარიზი აიღო. 17 ივნისს, ახლად ჩამოყალიბებული პროფაშისტური მთავრობის მეთაურმა, პრემიერ-მინისტრმა ანრი ფილიპ პეტენმა საფრანგეთის კაპიტულაცია გამოაცხადა, რაც 1940 წლის 22 ივნისს, ოფიციალურად გაფორმდა [ИсторияФранции 1973:228,229]. საფრანგეთის ტერიტორიის ორი მესამედი - ჩრდილო ნაწილი, პარიზისა და მთელი ატლანტის სანაპიროს ჩათვლით, გერმანიის ჯარმა დაიკავა. საფრანგეთის სამხრეთ, არაოკუპირებულ ნაწილში პეტენის მარიონეტული მთავრობის სამხედრო-ფაშისტური რეჟიმი დამყარდა. პეტენმა რეზიდენციად სამხრეთ საფრანგეთში მდებარე საკურორტო ქალაქ ვიშში აირჩია.

საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ნ. ჟორდანია ოჯახთან ერთად საფრანგეთის არაოკუპირებულ ნაწილში გადავიდა. დევნილი მთავრობის წევრები ძირითადად ლევილში, საპატიმრო მდგომარეობაში, „გესტაპოს" მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ფრანგების დიდი ნაწილი დამარცხებას არ შეურიგდა. 1940 წლის 18 ივნისს, გენერალმა შარლ დეგოლმა, ინგლისის რადიოთი გამოსვლისას ფრანგ ხალხს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. 1940 წელს საფრანგეთში ეროვნული ფრონტი შეიქმნა. იატაკქვეშა წინააღმდეგობის ორგანიზაციაში ქართველი ემიგრანტებიც შევიდნენ. 1940 წელს ოფიციალური დეკლარაციით, ნ. ჟორდანიამ მხარი დაუჭირა, ფრანგი ხალხის ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. როდესაც გერმანელებმა პარიზიდან ებრაელთა დეპორტაცია დაიწყეს, ქართველმა ემიგრანტებმა ისინი ეთნიკურად ქართველებად გამოაცხადეს და ყალბი დოკუმენტებით, სიკვდილს გადაარჩინეს, როგორც ქართველი, ისე ევროპელი ებრაელი. მათ შორის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე – იოსებ ელიგულაშვილი. მათ გადარჩენაში დიდი იყო მიხეილ კედიას როლი. მ. კედიამ და ნ. ჟორდანიამ პარიზის დიდი რაბინის ვაისის და ებრაელთა საზოგადოების პრეზიდენტის მოსერისგან მადლობის წერილები მიიღეს [გაბლიანი, 2000:172].

საფრანგეთის ლეგიონში ირიცხებოდა გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის ვაჟიანი კოლოზ აფხაზი (1899-1987 წწ.). იგი 1930  წლის დამლევს, ოფიცრის წოდებით შევიდა სამხედრო სამსახურში, საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. II მსოფლიო ომის დროს გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა. საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ, გენერალ შარლ დეგოლის მეთაურობით გაშლილი „საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის" აქტიური წევრი გახდა. იგი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენით იყო დაჯილდოვებული. ნ. აფხაზი ტყვედ ჩავარდა და 1944 წელს გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკიდან ამერიკელებმა გაათავისუფლეს.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთი ნაწილი, მეორე მსოფლიო ომის დროს, ცდილობდა საკუთარი წვლილი შეეტანა ანტისაბჭოთა საქმიანობაში, რაც, მათი აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საწინდარი გახდებოდა. თავისი მძლავრი იდეოლოგიური აპარატის დახმარებით, საბჭოთა

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რათა მსოფლიოს თვალში საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობა, ასევე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან, ძმურ ოჯახად ცხოვრების მნიშვნელობა წარმოეჩინა. ეს, რასაკვირველია, უცხოეთში იძულებით გახიზნული, ემიგრანტების გაღიზიანებას იწვევდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მყოფი საქართველო უფრო ადვილად აღადგენდა დამოუკიდებლობას. მათთვის მთავარი იყო, ამ ომში ბოლშევიკური რუსეთის დამარცხება. ემიგრანტები ყველა შესაძლო შემთხვევას იყენებდნენ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობა აღედგინათ. ემიგრაციაში მოღვაწე, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი - რევაზ გაბაშვილი, 1968 წელს, რადიო თავისუფლების კორესპონდენტის – კარლო ინასარიძის შეკითხვას: რას უსურვებდა ქართველ ახალგაზრდობას, რომლებიც 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიას არ იცნობდნენ, ასე პასუხობს: „ჩემი ხანგრძლივი გამოცდილებით და მეტადრე ხუთი ათასი წლის ისტორიის შესწავლით, მეცნიერულად, არქეოლოგიურად და ენათმეცნიერების საშუალებით, მე დავრწმუნდი, რომ ყოველი პატარა ერი, რომელიც ებრძვის თავის მოძალადეს და მოწინააღმდეგეს, უფრო მეტს იგებს, ვიდრე როდესაც ის შეურიგდება და წაუწვება დამპყრობელს“ [კობახიძე, 2011: 32]..

მეორე მსოფლიო ომში, საბჭოთა კავშირის მხარეზე დაახლოებით, 700 ათასი ქართველი იბრძოდა, გერმანელების მხარეს კი 32 ათასი, მათ შორის 500 ემიგრანტი (უმრავლესობა ტყვედ ჩავარდნილი ქართველები იყვნენ). ქართველი ერის სუვერენობა, დემოკრატიისკენ სწრაფვა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს არის ძირითადი მიზეზები, რისთვისაც ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციებად გაყოფილი ემიგრანტი პოლიტიკოსები, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის მხარეს იბრძოდნენ. „ქართველი ერის თავისუფლება და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გახდა მსხვერპლი 1921 წელს იმ პოლიტიკურ მოვლენათა, რომელნიც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველასთვის ნათელი იქმნენ. კაცობრიობა ორ ბანაკად გაიყო: დასავლეთის დემოკრატია და ტოტალიტარული კომუნიზმი პირისპირ დადგნენ. ...ჩვენი ბრძოლის გზა და მიზანი, ოდითგანვე გარკვეული იყო - ჩვენი

ადგილი დასავლეთთან არის“[„ბედი ქართლისა“ 1952:13] – აცხადებდნენ ქართველი ემიგრანტები. გერმანიის მხარეს მყოფი გენერლის - შალვა მაღლაკელიძის შესახებ გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში, მწერალი და დისიდენტი ვიქტორ რცხილაძე სინანულით შენიშნავს: „...შეიძლება ითქვას, რომ „შეუგნებელი“ ქართველი მეომრები საბჭოთა დროშის ქვეშ მაინც ბოროტებას ებრძოდნენ. ასეთი არის ისტორიის ირონია და ქართველი ხალხის ტრაგედია, რომ სხვის ომებში, სატანური იმპერიების დროშის ქვეშ საქართველოს შვილები თავს სწირავდნენ და მათი ძვლებით მოფენილია უკიდეგანო რუსეთის, გერმანიის, ეგვიპტის, ავღანეთის და სხვა ქვეყნების მიწები“[მაღლაკელიძე, 2012:10].

გერმანიის მმართველთა გეგმებში კავკასიას, კერძოდ, საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. გერმანიის მთავრობა, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების მიერ, ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში არაპოპულარული იყო“. ადოლფ ჰიტლერი მხარს არ უჭერდა საქართველოს საკითხს, ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც გერმანიის მხარეს მებრძოლი ქართველი ემიგრანტებისთვის ცნობილი იყო. 1941 წლის 30 მარტს, ჰიტლერმა 250 გენერლის წინაშე მომავალი ომი „ორ მსოფლმხედველობას შორის ბრძოლად“, „გამანადგურებელ ომად“ გამოაცხადა. ის „ბოლშევიკური კომისრების და კომუნისტური ინტელიგენციის განადგურებას“ ითხოვდა, მაგრამ ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში კავკასია არ მოიაზრებოდა. იგი კავკასიას განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან საკოლონიზაციო ბაზას, რომლის მიხედვით არა არიელთა გადასახლებისა და გერმანელთა ჩასახლების შემდეგ, კავკასია, გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის დასაყრდენი გახდებოდა.

**„ბერგმანი“.** 1941 წლამდე ვერმახტი არაოფიციალურად ცდილობდა ემიგრანტების გადაბირებას, 1941 წლიდან კი ოფიციალურად დაუშვა საბჭოთა ტყვეებისგან შემდგარი ლეგიონების შექმნა. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ემიგრანტებმა ქართული ლეგიონები შექმნეს, რომელშიც ევროპაში მყოფ ქართველებთან ერთად ტყვედ ჩავარდნილი, საბჭოთა კავშირის მხარეს მებრძოლი ქართველებიც ერთიანდებოდნენ. 1942 წელს შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის

ლეგიონი. ჩამოყალიბდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლეგიონები. „ბერგმანი“ („მთისკაცი“), შერეული ლეგიონი იყო. მასში ქართველთა გარდა, სხვა კავკასიელებიც იყვნენ გაერთიანებული. „ბერგმანში“ მოღვაწეობდა ცნობილი გერმანელი პროფესორი _ ობერ ლენდერი [გაბლიანი, 1961:3]. მან ჩამოაყალიბა „ბერგმანი“ და მისი მეთაური იყო. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა კავკასიელებთან, მეგობრობდა გივი გაბლიანთან. ობერ ლენდერი აღნიშნავდა, რომ კავკასიის მიმართ პოლიტიკა უნდა შეეცვალათ და კავკასიელები მოკავშირეებად ჩაეთვალათ. 1942 წლის ზამთარში, როდესაც სტალინგრადთან ბრძოლაში გერმანელები დამარცხდნენ, ფაქტობრივად, კავკასიის ფრონტის მოწყვეტის საშიშროება შეიქმნა. „ბერგმანი“ ევროპაში ემიგრირებული ქართველების იმედად იქცა, რომელსაც საქართველო ევროპული კურსისკენ უნდა შემოეტრიალებინა. ბატალიონ „ბერგმანი – I-ის“ ასეულის, რომელიც მხოლოდ ქართველებისგან შედგებოდა, უფროსად დაინიშნა შალვა ოქროპირიძე; II ასეულს (ჩრდილოკავკასიურს) ბეკმურ ადლიანოვი ხელმძღვანელობდა; II ასეულს (აზერბაიჯანულს) - ქერიმ ალისკაროვი; IV ასეულს (ქართულს) - ცუცქირიძე, V ასეულს (სომხურს) - სარქის შახვერდიანი. ყველა ისინი საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. ბატალიონ „ბერგმანის“ წევრებმა მიიღეს ფიცი გერმანიის ერთგულებაზე. ქართველ ტყვეთა მონაწილეობით, 1942 წელს, ფრონტის სხვადასხვა ადგილზე ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცებისგან, კიდევ ერთი გერმანული დანაყოფი - „ბრანდერბურგის დივიზია“ ჩამოყალიბდა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დროს ტყვეთა რიცხვმა მკვეთრად იმატა. საბჭოთა კავშირს ხელი არ ჰქონდა მოწერილი 1929 წლის ტყვეთა დაცვის ჟენევის კონვენციაზე, ამიტომ ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცები საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაუცველნი აღმოჩნდნენ. თავის მხრივ, სსრკ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მას ტყვეები არ ჰყავს, რომ ყველა ტყვე სამშობლოს მოღალატეა (სტალინის ბრძანება 270). ქართველი ემიგრანტები, 1941 წლიდან აფრთხილებდნენ გერმანელებს, რომ ტყვეებს ყურადღებით მოპყრობოდნენ, რადგან ისინი ბანაკებში მასობრივად იხოცებოდნენ. გერმანელების მიერ ტყვედ აყვანილი ქართველებიდან, „გამყიდველები“, როგორც მათ საბჭოეთში ეძახდნენ, ბევრი მათგანი ანტისაბჭოთა

განწყობის იყო. ისინი გერმანელების მხარეს მებრძოლ ქართულ ლეგიონებში, ევროპაში ემიგრირებული ქართველი პატრიოტების მხარდამხარ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდნენ.

**„რუსული კომიტეტი“.** 1942 წლის ბოლოს, ბერლინში, გერმანიის დაზვერვის ეგიდით, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია - „რუსული კომიტეტი“ შეიქმნა, რომელსაც სათავეში ტყვედ ჩავარდნილი რუსი გენერალი ანდრეი ვლასოვი ჩაუდგა. კავკასიის კავშირის შტაბსა და ა. ვლასოვს შორის იმთავითვე უთანხმოება ჩამოყალიბდა. ყოფილი საბჭოთა გენერლისთვის, ცნება რუსეთი და საბჭოთა კავშირი ერთი და იგივე იყო. ა. ვლასოვი თვლიდა, რომ ი. სტალინის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, საბჭოთა კავშირს, იმავე საზღვრებში უნდა გაეგრძელებინა არსებობა [Г. Мамулия, 2003]. 1942 წლის 10 ოქტომბერს, ა. ვლასოვი უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მან სსრკ-ს პრობლემები შეუქმნა, საბჭოთა სპეცსამსახურებმა მისი ლიკვიდაციის გეგმა შეიმუშავეს. საბჭოთა სამხედრო შენაერთებმა ის შეიპყრეს და მოსკოვში გადაიყვანეს. 1946 წლის 30 ივლისს, სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ა. ვლასოვს და მის 11 თანამებრძოლს სამშობლოს ღალატისთვის, ასევე, ჯაშუშურ-დივერსიულ ისაქმიანობისთვის, სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილი ჩამოხრჩობით მიესაჯა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1946 წლის 1 აგვისტოს.

გერმანიის მხარეს მებრძოლ ქართული ლეგიონის წევრებს თავიანთი ფიცის ტექსტი ჰქონდათ. ისინი ფიცს დებდნენ რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს განთავისუფლებისთვის. შ. მაღლაკელიძე იგონებს: „...ქართულ ლეგიონს გამორჩეული ფიცის ტექსტი ჰქონდა, რადგანაც როგორც გითხარით, ჩვენ ძალზე ხელს გვიწყობდა ის გარემოება, რომ იურიდიულად აღიარებული ვიყავით სხვა სახელმწიფოთა მიერ და აგრეთვე ის გარემოება, რომ იმ დროს ერთა ლიგამაც დაადგინა, საქართველო ოკუპირებული იყო და არა გასაბჭოებული. ამგვარად, თვით თერგისა და ყუბანის კაზაკები ჩვენ გვეკედლებოდნენ და არა როსტოვის კაზაკებს. სხვები, ჩვენი მეზობლები - სომხები, აზერბაიჯანელები და კავკასიელები – არ უცვნიათ იურიდიულად თავის დროზე. ამიტომ ისინი ფიცს უშუალოდ ადოლფ ჰიტლერს აძლევდნენ. ე. ი. თავიანთი ფიცის ტექსტში ისინი უშუალოდ ჰიტლერის

სახელზე აძლევდნენ ფიცს და ჩვენ კი არა. მე ყველა ამ ლეგიონის „პატრონი" ვიყავი, მაგრამ ჩვენ, ქართველები ფიცს ვაძლევდით რუსი ოკუპანტებისაგან „განთავისუფლებულ ქართულ მიწას!" ასე მთავრდებოდა ჩვენი ფიცის ტექსტი. სხვათა შორის, ამან შემიწყო მე ხელი იმაში, რომ როდესაც აქ ჩამომიყვანეს და გავიგე, ჩვენს ლეგიონერებს 25-25 წელი აქვთ მისჯილი და საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებიან, მე მივწერე მაშინ ხრუშჩოვს, რომ აბა ნახეთ მაშინდელი დოკუმენტები თუ ქართველები ჰიტლერს აძლევდნენ ფიცს-მეთქი! დიახ, ქართველებისათვის ეს ფიცის ტექსტი შეადგინეს შულენბურგმა, კესტრინგმა და მე. შულენბურგმა დაწერა ეს გერმანულად. მერე თქვა: აუცილებელია მისი შეთანხმება თვითონ ჰიტლერთანო" [მაღლაკელიძე, 2012:221]. რეალურად, ორ ბოროტებას შორის, მეორე მსოფლიო ომში ქართველთა ორივე მხარე საქართველოსთვის იბრძოდა.

## $3. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლა საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. 1949 წლის 1 მარტს, გერმანიის ქ. მიუნხენში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მონაწილეობით კრება შედგა. კრებამ, მსოფლიოში შექმნილი ახალი საგარეო პირობები, ასევე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შექმნილი შინაური მდგომარეობა გაითვალისწინა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ევროპაში, კერძოდ ქ. მიუნხენში „ქართული პოლიტიკური კომიტეტი" დაეარსებინა [ სცსსა 2128:37].

კომიტეტი წმინდა პოლიტიკური ხასიათის იყო და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად. ორგანიზაციაში სამი უმთავრესი პოლიტიკური პარტია იყო წარმოდგენილი: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური. ორგანიზაცია რუსულ ემიგრაციასთან კავშირის მომხრე იყო,

რადგან თვლიდნენ, რომ ისინი უნდა აეძულებინათ, რათა ერთა თავისუფლება ეღიარებინათ.

მიუნხენში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების ერთმა ნაწილმა დააფუძნა ორგანიზაცია „ქართველ მხედართა დარაზმულობა“, რომლის დამფუძნებელი კრება, 1954 წლის 26 იანვარს, ქ. მიუნხენში, ჩატარდა. კრებას ესწრებოდნენ: შალვა მაღლაკელიძე, გაიოზ მაღლაკელიძე, გრიგოლ ავალიანი, ალექსანდრე ბაღათურია, რომან ფარძიანი, ანდრეას მოსიძე, დავით პეკურიძე და გიორგი ვეფხვაძე [მურუსიძე, 2009:2]. ორგანიზაცია აპოლიტიკური იყო და საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა ქართველი ჯარისკაცის გაერთიანებას, მათთვის მორალურ და მატერიალურ დახმარებას ისახავდა მიზნად. 1954 წელს „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ თავმჯდომარე შალვა მაღლაკელიძე, საბჭოთა კავშირის უშიშროებამ დასავლეთ ბერლინიდან აღმოსავლეთ ბერლინში, შემდეგ საქართველოში იძულებით ჩამოიყვანა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია ფუნქციონირებას მაინც განაგრძობდა.

მეორე მსოფლიო ომმა და ხანგრძლივმა იმედგაცრუებამ, ევროპაში მყოფ ძველ ქართულ ემიგრანტულ ბანაკს საგრძნობი ზიანი მიაყენა. შემცირდა მისი ძალები, მისი ერთი ნაწილი შორეულ ქვეყნებში გაიფანტა, მოიშალა პარტიული პოლიტიკურ-ორგანიზაციული სისტემა. ქართული ემიგრაციის დევნისა და გაფანტვა-დაშლისთვის აქტიურად იღწვოდნენ ბოლშევიკები, რომლებიც ომის დამთავრების შემდგომ, გამარჯვებულ მოკავშირეთა პასპორტით, ორი წელიწადი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იმყოფებოდნენ და სასტიკად დევნიდნენ თავიანთ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ემიგრანტებს. თუმცა მეორე მსოფლიო ომში, ბოლშევიკური რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოები, საბოლოოდ მიხვდნენ რუსეთის მზაკვრულ გეგმებს. დასავლეთის ქვეყნები იდეოლოგიურად და პოლიტიკურად დაირაზმნენ. მათი მთავარი ამოცანა კაცობრიობის უძველესი და სანატრელი უფლება _ ადამიანთა და ერთა თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრება იყო. რუსეთის წითელი არმიის მიერ ოკუპირებული საქართველოდან, უცხოეთში გადახვეწილმა ქართველმა პოლიტიკოსებმა შეჰფიცეს ქართველ ერს, რომ ყველგან და ყველა პირობებში საქართველოს ეროვნული თავისუფლების აღდგენისთვის იბრძოლებდნენ.

ქართველი ხალხის ბრძოლის ამბავმა, როგორც ოკუპირებულ საქართველოში, ისე ქართველი ემიგრანტების ძალისხმევით, შორეულ ამერიკამდეც მიაღწია. ამერიკის სენატი დაინტერესდა საქართველო-კავკასიის პრობლემებით და ჯერ კიდევ 1926 წელს, პარიზში მყოფ საქართველოს ემიგრაციულ მთავრობასთან თავისი წარმომადგენლის დანიშვნას აპირებდა. 1926 წლის 1-2 აპრილს, აშშ-ის კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტში შედგა საგანგებო მოსმენა თემაზე: „საქართველოს ეროვნული რესპუბლიკა“, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, იმხანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი აშშ-ში და აშშ-ის ქართული ასოციაციის თავმჯდომარე, ღირსეული მამულიშვილი და მოღვაწე ვასილ დუმბაძე იყო [სცსსა1864 : 862].

იმავე წელს, აშშ-ის მთავრობის საგამომცემლო სახლმა ვაშინგტონში გამოსცა აღნიშნული მოსმენის მასალების სრული, 360 გვერდიანი კრებული. 1929 წლის 23 აპრილს, საზოგადოების მხარდაჭერით, სენატორმა კოპლენდმა, აშშ-ის XVII კონგრესის პირველ სესიაზე განსახილველად კავკასიის სამი რესპუბლიკის საკითხიც შეიტანა.

1954 წლის 31 დეკემბერს, აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის 83-ეკონგრესმა თავის მეორეს ხდომაზე, კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიშის საფუძველზე, მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით: „კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია“. ეს 60 გვერდიანი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლის შექმნის და კონგრესის აღნიშნულ კომიტეტზე გატანის ინიციატორი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე, იმ დროს აშშ-ის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ლეო დუმბაძე იყო, 1955 წელს, ვაშინგტონში, აშშ-ის მთავრობის საგამომცემლო სახლმა გამოსცა. დოკუმენტის ქართული თარგმანი საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის ეგიდით, თბილისში, 2008 წელს გამოიცა [რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა II, 2016: 344].

ქართველი ემიგრანტები ასე აფასებდნენ ამერიკის როლს: „უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკული დემოკრატიის დიდი უმრავლესობა საბოლოოდ

დარწმუნდა, რომ მოსკოვური კომუნიზმი თავისი ბუნებით, აზრით და მოქმედებით არამც თუ განათლებული მსოფლიოს თანამგზავრი არ არის, არამედ მისი გაშმაგებული მოსისხლე მტერია. ამერიკელთა ყველა ცდები ბოლშევიკების მორჯულებისა „მგლის თავზედ სახარების კითხვის“ შედეგებით გათავდა. ამ ილუზიას თვით ამერიკელებმა ბოლო მოუღეს „ატლანტიკის პაქტით“, რომელმაც მაგრად კარი ჩაუკეტა მოსკოვის სწრაფვას დასავლეთისაკენ. აღმოსავლეთის ძველი აზიელი ერები დასავლეთელთა გავლენით და დახმარებით, ალბათ, ახლო მომავალში, ასევე, გადაეღობებიან მოსკოველთა ნაციონალური კომუნიზმის გაუმაძღარ იმპერიალისტურ მადას. უფრო ადრე, ვიდრე გვიან, განმარტოვებულ საბჭოთა სამფლობელოს არაადამიანურ წყობილებას, შეკრულს გაუგონარი ტერორით, შიშით და შიმშილით, მოელის აუცილებელი დაცემა და დანგრევა. ამას მოჰყვება მოსკოვის მიერ დამონებული ხალხების განთავისუფლება და მათი ეროვნული უფლებების აღდგენა და დამტკიცება არსებული საერთაშორისო კრებულის მიერ“ [ სცსსა 2128:37].

ქართველმა ემიგრანტებმა, შექმნილ რეალურ სიტუაციაში მიზნად დაისახეს, ამერიკაში მყოფი ემიგრანტული ძალების კონსოლიდაცია და ერთობლივი ბრძოლის გაჩაღება. საჭირო იყო ორად გახლეჩილი ემიგრაციის გამთლიანება, ძველი პარტიული დავების, პიროვნული ამბიციების დავიწყება.

1946 წელს სტალინის საჯარო განცხადების და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის ფულტონში გამოსვლის შემდეგ, მოკავშირეთა ურთიერთობა „ცივი ომის“ პოლიტიკით შეიცვალა. სსრკ-სა და დანარჩენ მსოფლიოს შორის რკინის ფარდა აღიმართა.

1947 წლის 24 აპრილს, მოსკოვის კონფერენციის წარუმატებლობამ, რომელიც გერმანულ საკითხებს ეხებოდა, დაარწმუნა დასავლეთი, რომ საბჭოთა კავშირი, ერთ-ერთი მოკავშირე ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სულ მალე დასავლეთის დემოკრატიისათვის საფრთხის წყარო გახდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სულ მალე წარმოიშვა - აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ახალი მსოფლიო ომის საშიშროება. 1949 წლის 4 აპრილს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ატლანტიკური პაქტის ხელმოწერით, დასავლეთე ვროპის ქვეყნებმა

საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ კოლექტიურ უსაფრთხოებას. 1950 წელს ნიუ-იორკში „ქართულ-ამერიკული ლიგა“ დაარსდა, რომლის თავმჯდომარე თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი, მოადგილე-პავლე კვარაცხელია, მდივანი-გივი კობახიძე იყო. ლიგის მიზანი სრული თავისუფლება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. ლიგის წევრებმა გაერო-ს მემორანდუმი გაუგზავნა და პრესკონფერენცია მოაწყო, რომელსაც ამერიკაში მოღვაწე ქართველები ესწრებოდნენ. ლიგამ არსებობა მალევე შეწყვიტა.

1951 წლის 8 თებერვალს, აშშ-ს დელავერის შტატში, ევგენი ლაიონსის ინიციატივით, „სსრკ ხალხების განმათავისუფლებელი ამერიკული კომიტეტი“ დაარსდა, რომლის მიზანი ჯერ რუსებთან, შემდეგ სხვა ერებთან დაახლოვება იყო [სცსსა 2121: 38]. „ამერიკული კომიტეტის“ საქმიანობას ევროპაში მისი აქტიური წევრი - ისააკ დონ-ლევინი წარმართავდა. დონ ლევინი, ამერიკული კომიტეტის სახელით გამოცხადდა ქართველ ემიგრანტებთან და წინადადება მისცა მათ სხვებთან ერთად, ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნაში მონაწილეობა მიეღოთ. ევგენი გეგეჭკორი განმარტავს: „...ეს არ იყო ურისკო ნაბიჯი; მაგრამ ეს უკანასკნელი არ იყო უანგარიშო. ჯერ ერთი, ჩვენ საქმე გვქონდა ამერიკულ წინადადებასთან. მართალია, მას არ ესვა ბეჭედი ამერიკის მთავრობის, მაგრამ ამაში ჩვენ არ ვხედავდით უარყოფით მხარეს“[იქვე, ფ 6].

სახელწოდება „რუს ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი“ ორგანიზაციის მიზნის მიღწევას აფერხებდა, რადგან საბჭოთა კავშირის არარუს ერთა ემიგრანტული ორგანიზაციები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამგვარი დასახელების გამო. გაერთიანებას 1953 წლიდან „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი“ ეწოდა [მურუსიძე, 2010: 171-180].

რაც შეეხება ამერიკულ კომიტეტს, ეს ორგანიზაცია რუსული პოლიტიკური ემიგრანტული ორგანიზაციების და ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტის და პოლიტოლოგის ისააკ დონ ლევინის თაოსნობით, ნიუ-იორკში დაფუძნდა და 1950-1960 წლებში მოქმედებდა, როგორც „ბოლშევიზმის განგათავისუფლების ამერიკული კომიტეტი“. ამერიკელი მოღვაწეებიდან მასში შედიოდნენ ცნობილი პოლიტოლოგები და პუბლიცისტები: ევგენი ლაიონსი (თავმჯდომარე), ისააკ

დონლევინი, სპენსერ უილიამსი, ჩემბერ ლენი, რობერტ კელი, ადმირალი კერკი, ადმირალი სტივენსი და სხვები. სოვეტოლოგებიდან, დონლევინი, იოსებ სტალინის პირველი ბიოგრაფი იყო. მისი წიგნი „სტალინი“ პირველად გერმანულ ენაზე 1931 წელს გამოიცა. რუსული პოლიტიკური ანტიბოლშევიკური ემიგრაციის მოღვაწეებიდან კომიტეტში შედიოდნენ: ა. კერენსკი, გენერალი ლ. ბიჩერახოვი, ე. რომანოვი, ს. მელგუნოვი, ბ. იაკოვლევ-ტროიცკი, ი. კურგანოვი, ი. ბუდანოვი, ბ. ნიკოლაევსკი და სხვები. მართალია, ისინი ბოლშევიზმის დაუძინებელი მტრები იყვნენ, მაგრამ, ყოველი მათგანი, რუსეთის „ერთიანი და განუყოფელი იმპერიის“ აღდგენისთვის იღვწოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ შორის იყო კერენსკი, ცხადია, რეალურად იგივე მიზნები ამოძრავებდა ამერიკულ კომიტეტსაც. ევგენი გეგეჭკორის აზრით, საჭირო იყო ნებისმიერ ძალასთან თანამშრომლობა, რათა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე მიეღწიათ. იგი წერდა: „რუსეთის ხალხთა განთავისუფლების ამერიკულმა კომიტეტმა“ სხვებთან ერთად მომართა ქართულ ემიგრაციას მიეღო მას მონაწილეობა საპროპაგანდო მიზნით, ანტიბოლშევიკური ბლოკის შექმნაში; ამავე დროს, თითოეული ეროვნული სექცია იტოვებდა სრულ თავისუფლებას ეწარმოებინა საკუთარი მუშაობა, როგორც ის ამას საჭიროდ დაინახავდა; ბლოკის კონსტრუქცია კი მასში შემავალ სექციათა შეთანხმებაზე უნდა ყოფილიყო აგებული. ...დღეს მთელი მოწინავე კაცობრიობა ამერიკის მეთაურობით, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ირაზმება, საზღვარგარეთელი ქართველობა ამ საქმის პიონერი; ათეული წლები უხმობდა ის დასავლეთს ამ ბრძოლისკენ, დიდხანს დარჩა მისი ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. როგორც იყო საერთაშორისო დემოკრატია იწყებს გამოღვიძებას ლეთარგიული ძილიდან და განა შეუძლია ქართველობას უღალატოს თავის მოწოდებას და გულგრილად შეხვდეს ამ გამოღვიძების, თუნდაც მცირე ნიშანს? მხოლოდ დაწყებულ პროცესში აქტიური ჩარევით შეუძლია მას დაიკავოს საჭირო პოზიცია და გაუკვლიოს გზა საქართველოს სუვერენობის აღდგენას და განმტკიცებას“ [სცსსა 2121: 35].

1960 წლის 8 იანვარს, აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის 86-ე კონგრესის გაერო-აშშ-ის თანამშრომლობის კომიტეტში შედგა VII სპეციალური მოსმენა თემაზე: „ხრუშჩოვის კრიმინალური მოღვაწეობა“. მთავარ მომხსენებლებს შორის იყვნენ

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: გივი ზალდასტანიშვილი და პროფესორი გიორგი ნაკაშიძე. მოსმენის მასალები 49 გვერდიანი ბროშურის სახით, იმავე წელს ვაშინგტონში გამოსცა აშშ-ის მთავრობის საგამომცემლო ოფისმა. ქართველმა ემიგრანტებმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს ნიკიტა ხრუშჩოვის კრიმინალურ საქმიანობაზე და სისხლიან წარსულზე, ასევე, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსია-ოკუპაციაზე, რასაც საქართველოში სასტიკი რეპრესიები მოჰყვა, ასევე, ქართული პოლიტიკური ანტისაბჭოთა ემიგრაციის მოღვაწეობაზე.

ემიგრაციული მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მრავალი ათეული წლის მანძილზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მსხვერპლად რჩებოდა. ქართველი ემიგრანტები, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, აქტიურად აგრძელებდნენ.

## $4. ქართული ემიგრაცია შორეულ აღმოსავლეთსა და მანჯურიაში და მისი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის

ეს საკითხი თითქმის შეუსწავლელია და მოითხოვს მონოგრაფიულ კვლევას. შევეცდებით შევეხოთ და გავაანალიზოთ იმ დოკუმენტების ნაწილი, რომლებიც დაცულია ეროვნული არქივის საისტორიო ფონდში, ასევე ემიგრანტ მოღვაწეთა მემუარებში, უცხოეთის პრესაში, ასევე შემოტანილია თანამედროვე ისტორიოგრაფიულ კვლევებში.

XX საუკუნის 10-იან წლებში შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში რამდენიმე ათასი სული ქართველი ცხოვრობდა. ამ ქართველების შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს მოხსენება წარუდგინა იქაურ მცხოვრებთა რწმუნებით საქართველოში ჩამოსულმა დელეგატებმა - ერმილე ხავთასმა და ემელიანე ნოდიამ [ჭუმბურიძე, 2003:266]. ამ ქართველებს ცარიზმის დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან, მაგრამ იმპერიის დაშლის შემდეგ ეს კავშირი მოისპო. ისინი მოწყდნენ საქართველოს, აქედან ან ცრუ ინფორმაციებს იღებდნენ, ან სულ ვერაფერს იტყობდნენ აქაურ მოვლენებზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მათ გადაწყვიტეს შეექმნათ ძლიერი ცენტრი ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ თანამემამულეებისაგან და დაკავშირებოდნენ დამოუკიდებელ საქართველოს. მათ სურდათ წვლილი შეეტანათ მის ეკონომიკურ გაძლიერებაში, სავაჭრო ქსელი გაებათ მასა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის, საქართველო დაეკავშირებინათ იაპონიის ბაზართან. ქართველ ემიგრანტთა მთავარი ცენტრი ქ. ხარბინი იყო.

ქ. ხარბინი რუსეთმა ააგო აღმოსავლეთ რკინიგზის მშენებლობისას. ხარბინში, ჩინელების გარდა, ცხოვრობდნენ რუსები, უკრაინელები, პოლონელები, სომხები, თათრები, ებრაელები. ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ მრავალრიცხოვანი ქართველები. ესენი იყვნენ 1898წ. რუსეთის რკინიგზის მომსახურე ადამიანები, 1905წ. რევოლუციის შემდეგ გადასახლებული, შემდეგ მათ დაემატათ 1921 წელს ქვეყნიდან წასულები. შექმნილი იყო ქართული კოლონია თავისი წესრიგით. ხარბინის ქართველთა კოლონია ერთ-ერთი ძლიერი გაერთიანება იყო მთელს ქართულ ემიგრანტულ ცხოვრებაში.

ხარბინში მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრების ნიკოლოზ წულუკიძისა და ივლიანე ხაინდრავას მიერ 1908 წელს შეიქმნა ,,ქართველ თანაციონალური საზოგადოება“, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ივლიანე ხაინდრავა (გარდაიცვალა 1938წ.)

1918 წელს ხარბინში ჩატარებულმა კონფერენციამ, რომელსაც 50 დელეგატი დაესწრო, აირჩია ორი დელეგატი საქართველოში გამოსაგზავნად. რუსეთში არსებული სამოქლაქო ომისა და ბოლშევიკური ტერორის გამო, დელეგატებს დიდი შემოვლითი გზის გავლამ მოუწიათ. ისინი იაპონია, შანხაი, სინგაპურის, ჰონკონგი-კონსტანტინოპოლის გზით ჩამოვიდნენ საქართველოში. ერთი მათგანი მთავრობის დავალებით უკანვე გაიგზავნა. ამ დროს შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები 6 ათასი ქართველიდან უმეტესობა ვაჭარ-მრეწველები იყვნენ. ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათეროვნულ-კულტურულ და ეკონომიკურ ნიადაგზე.

ციმბირის ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს ჰქონდათ ურთიერთდამხმარე საზოგადოებები, მათ საქმიანობას მეთვალყურეობდა ქართველთა მთავარი ორგანო _ ცენტრალური ბიურო ხარბინში. ბიუროს ჰყავდა თავისი პრეზიდენტი,

მოსამსახურეთა შტაბი - მწერლებიდან დაწებული, რწმუნებული ვექილებით დამთავრებული. უზრუნველყოფილი იყო საკამაო თანხით, რომელიც ერთდროულად იყო შეგროვილი მთელი ქართველობისაგან. გარდა ამისა, არსებობდა საწევრო გადასახდი. სათანადო მთავრობებიდან ნება ჰქონდათ გაემართათ საღამო-წვეულებები ალეგრით (ბალი) სადაც ქართველები არაფერს იშურებდნენ და დიდი თანხები გროვდებოდა, შემოსავლებს იძლეოდნენ დაწესებულებები.

ქართველები აქ მისდევდნენ მეთევზეობას, ჰქონდათ საკუთარი თევზის საჭერები ნიკოლაევში, ამურზე, სახალინსა და სხვაგან, ღირებულებათ თოეული საწარმოსი, ჯერ კიდევ 1918 წლამდე მილიონს უდრიდა. მსხვილი თევზის მრეწველებად ითვლებოდნენ ღლონტები, აბაშიძე, ხაინდრავა, ნაცვლიშვილი, კაპანაძე, თოიძე, ალექსი ხავთასი ძმებით და სხვ. ხაბაროვსკში წერეთელს ჰქონდა საუკეთესო ქვით ნაგები დიდი თეატრის საკუთარი შენობა.

ქ. ხარბინში ორჯონიკიძესა და მის ამხანაგობას ჰქონდა ელექტრო თეატრი საკუთარი შენობით და მოწყობილობით. ხარბინში ლუდისა და ლიმონათის ქარხნები ჰქონდათ ბარბაქაძესა და ფირჩხაიას. დიდი მაღაზიები ჰქონდათ და ამერიკა-ჩინეთიდან პირდაპირ იღებდნენ საქონელს, რომელსაც ბითუმად ჰყიდდნენ, ღლონტს, ურუშაძესა და სხვებს. მათ სპეციალური აგენტები ჰყავდათ იაპონიასა და ამერიკაში საქონლის შესაძენად. იქაურ ქართველთა სათვისტომოს ცნობით, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის მთელი ბიუჯეტი ქართველების ხელში იყო ხარბინში იგი ეკუთვნოდა აბაშიძეს, ჯალანტურში - ფირჩხაძეს, პოგრანიჩნაიაში - ღლონტს, ვლადივოსტოკში ჯაყელს, ნიკოლაევში ჩხატარაიშვილს, მანჯურიასა და ციმბირის მაგისტრალებზე ქართველები ფლობდნენ მთავარ ბუფეტებს. ხარბინსა და ვლადივოსტოკში სახლები ჰქონდათ ხაინდრავას, აბაშიძეს, ფირჩხაიას, რობაქიძეს, კაპანაძეს, ღლონტს, მახარაძეს და თითქმის ყველა ქართველ ვაჭარ-მრეწველს. ქართველებს შეძენილი სახლები ჰქონდათ ჩიტაში, ბლაგოვეშჩენსკში, ნიკოლაევსკში და სხვაგან. ხარბინში დიდი ფეხსაცმლის სახელოსნოები ჰქონდათ კობახიძეს, ჯაფარიძეს, გოთას და სხვ. ქართველებს შორის ბევრი საბუღალტრო კურსების მქონე, მეღვინე, მეპურე, სასტუმროების მფლობელი იყო.

ვლადივოსტოკსა და ხარბინში ჰქონდათ სპეციალურად აგებული ბიბლიოთეკები, თეატრის და კინოს შენობები, დარბაზები საერთო შეკრებებისათვის. ყველაზე დიდი სავაჭრო სახლი ბლაგოვეშჩენსკში ჰქონდათ ძმებ ქერქაძეებს, რომლებიც ბოლშევიკებმა მოკლეს, შემდეგ ეს ქალაქი იაპონელებმა დაიკავეს და მოკლული ძმების დიდი ქონება არავინ იცის ვის ჩაუვარდა ხელში.

აი ამ ძალისა და შეძლების მქონე ქართული დიასპორები შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში სთავაზობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩინური საქონლის შემოტანას, იაპონიიდან გემების იაფად შეძენას, საქართველოდან ღვინის, კონიაკის, თამბაქოს, ნიგვზის, თხილის, გამხმარი ხილის, ყველისა და სხვა პროდუქტების გატანას აღმოსავლეთის ბაზარზე. საქართველოს ხელისუფლება უნდა დახმარებოდა თანამემამულეებს იდენტობის შენარჩუნებაში, გაეგზავნათ იქაური ბავშვებისათვის ქართული წიგნები, პიესები და სხვ. „ერთი მთავარი საკითხთაგანია, - ამბობდნენ ისინი, - დაცვა იმ ადამიანების როგორც პოლიტიკურ-ეროვნული უფლებებისა, ასევე მათი პირადი და საზოგადოებრივი ქონებისა, ეს საკითხი ყველაზე მწვავე საკითხია, რადგან იქ ურთულესი პირობებია“ [ სცსსა 1864:59].

სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ გეგმის განხორციელება არ დასცალდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხარბინისა და მანჯურიის ქართველობა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ერთგულნი დარჩნენ, საქართველოს ლეგაციას პარიზში ეხმარებოდნენ ფულით, ცდილობდნენ მიეღოთ მათგან ინფორმაციები საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზე, თავად ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, თხოვდნენ ჟორდანიას ხელისუფლებას _ გაეგზავნათ ხარბინის საზოგადოებისათვის ევროპაში გამომავალი ქართული პრესა და წიგნები.

ხარბინიდან ქართველები გზავნიდნენ იაპონურ პრესას, სადაც ბოლშევიკური რუსეთის მძაფრი კრიტიკა იბეჭდებოდა. ხარბინელი ქართველები იმედოვნებდნენ, რომ იაპონია მოახერხებდა ბოლშევიკური რუსეთის იმედების დასამარებას ისევე, როგორც ეს 1905 წელში შესძლო [სცსსა 1831 416:2].

ხარბინს გარდა, ცალკე კონსული იყო ვლადივოსტოკში, იქ ამ მოვალეობას ფრანსუა თუმანოვი ასრულებდა.

საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცულია მასალები საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვლადივოსტოკსა და ხარბინში მცხოვრები ქართველების დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და წევრებთან აქაურ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარეების - ჯიშკარიანისა და ივლიანე ხაინდრავას მიმოწერის შესახებ. ირკვევა, რომ ემიგრაციულ მთავრობას ხარბინში სპეციალური საკონსულო შეუქმნია და კონსულად კირილე გელოვანი დაუნიშნავს [სცსსა 1864:513, 2, ფურც. 1-2].ეს ცნობა კონსულის დანიშვნის თარიღად 1922 წლის 10 აპრილს ასახელებს. ამავე ცნობაში ჩანს, რომ ქართველთა საზოგადოება ფულად დახმარებას უწევდა საქართველოში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებს. „ძვირფასო თანამემალულევ!- ვკითხულობთ 1921 წელს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელსაც პარიზში საქართველოს ლეგაციისმდივანი სოსიპატრე ასათიანი უგზავნიდა ხარბინის ქართველთა საზოგადოებას. - თანახმად თქვენი თხოვნისა, გეგზავნებათ ქაღალდი თქვენი საპატიო კონსულად დანიშვნის შესახებ, ხელმოწერილია საგარეო მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მიერ. მანდ ეხლა (ციმბირში - ავტ.) გადატრიალება მოხდა და არ ვიცით კარგათ ვისი ან როგორი მთავრობაა, ყოველ შემთხვევისათვის თუ რამე ქაღალდი დაგჭირდეთ შეგვატყობინეთ წერილით გინდ ტელეგრამით. თქვენი წერილი მივიღეთ სტოიანოვსკის ხელით. ვიჩქარით გიპასუხოთ. დაწესებულების სახელი იქნება საკონსულო და არა საელჩო. ასეთი უნდა იქნეს ბეჭედიც. თქვენი უმთავრესი მოვალეობა იქნება დაიცვათ ყოველმხრივად ინტერესები საქართველოს მოქალაქეებისდა საერთოდ ომოქმედოთ იმ ფარგლებში, რომლითაც განსაზღვრულია კონსულის მოქმედება საერთოდ. საქართველოს ვერაგულად შემოესია ოთხის მხრით ბოლშევიკების ჯარი და ერთის მხრით თათრის. ერთი თვის წარმოუდგენელი ვაჟკაცური ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნა მტრის სიმრავლის და რაოდენიმე ფრონტის გამო ბრძოლა შეეწყვიტა. ქართველი ხალხის გმირობა, , მიუხედავათ მისი დამარცხებისა, ერთხელ კიდევ იქნება აღბეჭდილი მის მრავალტანჯულ ცხოვრების ისტორიის ფურცლებზე.

მთავრობამ დატოვა საქართველო 1 მარტს(ომი დაიწყო 11 თებერვალს), მისი წევრების უმეტესობა პარიზშია (ჟორდანია, გეგეჭკორი, რამიშვილი და სხვ.), ნაწილი კი სტამბოლში დარჩა. მუშაობა გრძელდება. ევროპაში ყველგან დიდი სიმპატიით გვეპყრობიან  და მოითხოვენ, რომ საქართველოდან გაყვანილი იქნეს უცხო ჯარი და ოს აღდგენილი იქნეს თავის უფლებებში.

ამ კვირაში ნ. ჩხეიძე და ნ. რამიშვილი გაემგზავრებიან სკანდინავიასა და ბალტიის ქვეყნებში, ნ. ჟორდანია მიდის ლონდონსა და ბრიუსელში, გეგეჭკორი იტალიაში. პარიზში საქართველოს მინისტრად არის ჩხენკელი. ლეგაციები გვაქვს ლონდონში, რომში, ბერლინსა და სტამბოლში. აკაკი ჩხენკელი ითვლება მინისტრად ლონდონსა და რომშიდაც.ლონდონის ლეგაციას, როდესაც მინისტრი იქ არ არის, განაგებს პირველი მდივანი მიხეილ ალექს. სუმბათაშვილი ( თფილისის გუბერნიის ყოფილი მარშალი), რომისას პირველი მდივანი გ. მაჩაბელი, გერმანიაში არის ვლ. ახმეტელი ელჩი და სტამბოლში არისწარმომადგენლად კ. გვარჯალაძე.სტამბოლში გვყავს კონსულიც (ი. გოგოლაშვილი). მადლობა ღმერთს, რომ ცნობილი ვართ უფლებრივათ თითქმის ყველა განათლებული ქვეყნებიდან ( ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, იაპონია, რუმინია, პოლონეთი ლუქსემბურგი, მექსიკა, ჰაიტი, არგენტინა (ყველაზე უწინ გვიცნო), ლიბერია (აფრიკა). ეს ძალიან გვიწყობს ხელს სამოქმედოთ.

ჩვენში ბოლშევიკებისადმი დამოკიდებულება ზედმიწევნით უარყოფითია, ყველგან ჩვენ ვიმარჯვებთ არჩევნებში, სადაც კი ადგილი აქვს. ჩვენი ხალხი ბოლშევიზმს ვერასგზით ვერ შეურიგდება და ბრძოლა გაგრძელდება მანამდე, სანამ ასე თუ ისე თავს არ დავახწევთ. სამხედრო თუ სამოქალაქო უწყებიდან მათ, ვისაც ბოლშევიკებიდან კარგი არა მოელოდათ რა ყველანი სტამბოლში თუ აქ იმყოფებიან, მათ სარჩენად გვეხმარებოდა ამერიკის წითელი ჯვარი, ამ დღეებში შეგვატყიბინეს, რომ დახმარებას მოგვისპობენ. ძალიან კარგს იზამთ, რომ ჩვენს მოქალაქეებში, თუკი ვინმეს რამე შეუძლია, შეაგროვებდეთ ცოტა რამეს. ეს უდიდესი დახმარება იქნება და საუკეთესო ფორმაში ვალის გადახდა სამშობლოს წინაშე, როდესაც ის განიცდის ერთ უმწვავეს მომენტთაგანს თავის არსებობის ისტორიაში...

მოკითხვა დასალამი ყველა თანამემამულეებს მთავრობის წევრებიდან და ყოფილ ქართველ მოქალაქეებიდან.

ს.ასათიანი.“[სცსსა 1864, 513, 2:ფურც. 1-3]

დიდი იყო ციმბირის ქართველთა საზოგადოებების ხელმძღვანელთა წვლილი როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, რითაც ისინი სამშობლოდან გაჭირვების გამო გადახვეწილ ქართველობას ეხმარებოდნენ, არა მარტო ამ რეგიონში, არამედ ევროპის ქალაქებშიც. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს მინისტრის - აკაკი ჩხენკელის წერილები ხარბინის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის - ექიმ ჯიშკარიანისადმი. ერთ-ერთ წერილში ჩხენკელი სინანულით აღნიშნავდა იმ საშინელ დევნას, რასაც ქართველები განიცდიდნენ როგორც საქართველოში, ასევე ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, ყველგან, სადაც კი რუსული აგრესია მიწვდებოდათ.

„ჩვენ გულდასმით მოვისმინეთ თქვენს მიერ მოწოდებული ცნობები ქართველების და საზოგადოთ ჩვენი მოქალაქეების სვე-ბედის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში და ციმბირში, - წერდა ჩხენკელი. ვწუხვართ, რათქმა უნდა, რომ ბევრ მათგანს გაჭირვება გამოუვლია რუსეთში დატრიალებული ამბების გამო.

ახლა ხომ მთელი ჩვენი ერი, განურჩევლად მდგომარეობისა, განიცდის საშინელ დევნასა და დამცირებას იმავე რუსეთის ბარბაროსული ძალებისაგან, მაგრამ ის არ იტეხს გულს, პირიქით, შეუდრეკელი გულითა და გაათკეცებული ენრგიით იბრძვის უცხო უღლის გადასაგდებათ და დამოუკიდებლობის აღსადგენათ. ჩვენ გვაქვს მასთან მუდმივი და მჭიდრო კავშირი, მთელი საქართველო დასერილია ჩვენი ორგანიზაციებით, ეწყობა შეთანხმება ყველა იმ პარტიატა შორის, რომელნიც დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგანან, ხდება ერთგვარი მობილიზაცია ძალების, განსაკუთრებითი ყურადღება არის მიქცეული სამხედრო დარგისადმი, ერთი სიტყვით, არის დიდი სამზადისი. ხალხი მზადაა ყოველ წუთს აღსდგეს და მთელის ძალ-ღონით დაეტაკოს შემოსეულ მტერს. მაგრამ ჩვენ ვაჩერებთ მას, რომ მისი ძალები უმიზნოთ არ გავფლანგოთ და მით ავაცილოთ მას ფიზიკური განადგურება. ჩვენ ვუცდით შესაფერის მომენტს... რეპრესიები თანდათან ძლიერდება მომხდომთა მხრით, სატუსაღოები ვერ იტევს პოლიტიკურ პატიმართ, ხალხის ძარცვა-გლეჯა

აღწევს უმაღლეს ხარისხს. “ ჩხენკელი აღწერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მუშაობას ევროპაში, მისმიერ საქართველოს საკითხის დაყენებას საერთაშორისო წრეების წინაშე, იმ იმედებს, რაც მთავრობას ჰქონდა ევროპის დიდი ქვეყნების მხარდაჭერის სახით. ჩხენკელი დიდი მონაპოვრად თვლიდა ამიერკავკასიისა და მთიელთა რესპუბლიკების შეთანხმებას, მათი ერთიანი მიზნის დასახვას, რასაც მხარს უჭერდა მაშინდელი ევროპა. „რასაკვირველია, მთელ ამ მუშაობას სამშობლოსა და მის გადაღმა დიდი თანხები ეჭირვება, რაიც ჩვენ გვაკლია, სამწუხაროთ. აქ კიდევ ემიგრანტების შენახვა გვაწევს კისერზე, , ვისაც შინ დაბრუნება არ შეუძლია, გვყავს აგრეთვე თითქმის ორასამდე სტუდენტი, სხვადასხვა ცენტრებში, ნახევარი მთავრობის სტიპენდიანტია, ჩვენ გვინდა ეს ახალგაზრდობა აღვუზარდოთ სამშობლოს, სახსარი კი არ მოგვეპოვება. ამ გარემოებას ვაქცევთ ჩვენი ძმების ყურადღებას შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში, ვიმედოვნებთ, რომ ისინი სათანადო დასკვნას გამოიტანენ. ჩვენ, მართალია, გამოვიტანეთ საქართველოდან მონასტერ-ეკლესია-მუზეუმების განძეულება, რომ დაგვეფარა ის ბარბაროსთა მსუნაგობისაგან, მაგრამ მას ჩვენ ვინახავთ ხალხისათვის. ჩვენ ვფიქრობთ და ვიმედოვნებთ, რომ არა მარტო ქართველნი, არამედ არაქართველი ჩვენი მოქალაქენიც არდაიზარებენ ხელი შეგვიწყონ ნივთიერათ, წინასწარ გაცნობებთ, რომ ყოველი შემოსული სანტიმი სასტიკათ გატარებულია ანგარიშებში დამფუძნებელი კრების კოალიციური პრეზიდიუმის ზედამხედველობის ქვეშ.“ წერილში საუბარი საკონსულოების გახსნაზე ჩინეთსა და აპონიაში, რაც ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქართველთა საზოგადოებებს გაუადვილებდა სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობას ამ ქვეყნებთან, ჩხენკელი ამაზე თავშეკავებულად მსჯელობდა, ჩინეთსი საკონსულოს გახსნას ვერ შევძლებთ, რადგან მასარა აქვს ცნობილი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იაპონიაში კი საჭიროა ქართველებით მეტ-ნაკლებად დასახლებული რაიონები მოვძებნოთ, თუ არის ასეთი, ამასთან, საკონსულოების რჩდენა ჩვენს ნთავრობას გაუჭირდება, ეს თქვენმა საზოგადოებამ უნდა იკისროსო [სცსსა 1864, 513, 2:ფურც. 6-7].

1922 წლის 8 თებერვალსპარიზიდან ივლიანე ხაინდრავასადმი აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილით ირკვევა, რომ მთავრობას პარიზში

ხარბინიდან გადაგზავნია რუსულ-აზიური ბანკის მეშვეობით საკმაოდ დიდი თანხა - 6960 ფრანკი. „გთხოვთ მიიღოთ როგორც თქვენ პირადათ, ასევე სიაში აღნიშნულმა პირებმა გულითადი მადლობა ჩვენი მთავრობისა. თანხა ,ოხმარდება სამშობლოს განმათავისუფლებელ მუშაობას ევროპაში“, - წერდა აკაკი ჩხენკელი. აქვე ჩხენკელი მიუთითებდა იმ დაბრკოლებებზე, რაც ამ მუშაობას ხვდებოდა ევროპის მხრიდან, ომის შემდგომი ევროპა ცდილობდა რუსეთის ეკონომიკური აღორძინებისთვის მხარდაჭერას, რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მინისტრი მაინც იმედოვნებდა, რომ მდგომარეობა შეიცვლებოდა. „გვმართებს მხოლოდ დიდი მოთმინება და განუწყვეტელი მედგარი მუშაობა, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ნივთიერათ უზრუნველყოფილი ვიქნებით. ამიტომ ვაძლევთ ჩვენს თავს ნებას, მივმართოთ საქართველოს მოქალაქეთ, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, გაიჭირვონ, წელებზეფეხი დაიდგან და დახმარება გაგვიწიონ სისტემატიური. ბევრი დარგი მუშაობისა მიტოვებულია ან არაა სულაც დაწყებული უსახსრობის გამო. ჩვენ ვიმედოვნებთ, შორეული აღმოსავლეთის ქართველები იმდენს ეცდებიან, რომ ჩვენი საამაყო ეროვნული დროშა არ ჩამოგვახსნევინონ საელჩოებიდან. სამშობლოში დარჩენილნი ისე არიან გაცარცვულნი, რომ აქედან გვიხდება ციხე-საკნებში ჩამწყვდეული საუკეთესო მებრძოლების დახმარების გაწევა.“ მინისტრი პირად მადლობას მოახსენებდა ხაინდრავას და მომავალშიც იმედოვნებდა ციმბირის ქართველობისგან დახმარების მიღებას, ჰპირდებოდა მათ, რომ საინტერესო თუ რამე მოხდებოდა, სტამბოლის საკონსულოს საშუალებით აცნობებდა[**სცსსა 1864, 513, 2:ფურც. 8-9**].

1923 წლის აპრილის წერილიდან ირკვევა, რომ ხარბინის საზოგადოებას მეტი ფულადი დახმარება ვეღარ გაუწევია, რაზეც აკაკი ჩხენკელი ივლიანე ხაინდრავასადმი იწერილ წერილში ლაპარაკობს. ის აღუწერდა ადრესატს საქართველოში შექმნილ უაღრესად დაძაბულ მდგომარეობასა და საოკუპაციო რეჟიმის რეპრესიებს, იმ ანექსიის გამოვლინებას, რაც მისი რუსეთის ფედერაციაში შეყვანით დასრულდა. ამას ვერც მოღალატე ქართველმა ბოლშევიკებმა გაუძლეს და გააპროტესტეს, მაგრამ არავინ მოუსმინა, ისინი იდევნებიან და გაყრილნი არიან ხელისუფლებიდანო. ჩხენკელი კიდევ ერთხელ ითხოვდა ციმბირის ქართველების

დახმარებას, ფულის შემკრები ორგანიზაციების დაარსებას, განსაკუთრებულ იმედს ქართველ ქალებზე ამყარებდა, „მათ თავი უნდა გამოიდონ ლეჩაქახდილი ქართველი დედებისათვისო“, - წერდა ა. ჩხენკელი[**სცსსა 1864, 513, 2:ფურც. 12-14**].

1924 წელს ხარბინში ქართული საკონსულო დროებით დაიხურა. ეს იმ პოლიტიკურმა მოვლენებმა გამოიწვია, რაც ამ რეგიონში მოხდა. იმის გამო, რომ ამწელს (1924) მოხდასაბჭოთა რუსეთსა და ჩინეთს შორის შეთანხმება ჩინეთის აღმოსავლეთის რკინიგზის შესახებ, საბჭოთა რუსეთმა ხარბინში თავისი საკონსულო გახსნა, რომელმაც თავი გამოაცხადა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკათა წარმომადგენლად. კიდევ მეტი: ეს საკონსულო ცდილობდა სათანადო აგიტაცია-პროპაგანდა მიემართა ანტისაბჭოურად განწყობილი ემიგრანტებისადმი, მათ შორის ქართველებისადმი და მისთვის წაერთმია ეროვნული სახე. ჩინურ პასპორტებში, რომელიც სავალდებულო გახდა აქაური ქართველებისთვის, ისინი რუსეთის ემიგრანტებად იწერებოდნენ. მალე კვლავ მოხდა ჩინეთსადაკომუნისტურ რუსეთს შორის კონფლიქტი, რაც რუსეთის სრული გამარჯვებით დასრულდა. ემიგრანტების საქმე კიდევ უფრო გართულდა, როდესაც მანჯურიისკენ დაიძრნენ რუსი ბოლშევიკური წრეები, ჯარისკაცები, რომლებიც ემიგრანტებს კიდევ უფრო დაუპირისპირდნენ. მოვლენები დიდხანს არ რჩებოდა მყარი, მალე აქ იაპონიამ მოიპოვა უპირატესობა და შეასუსტა საბჭოთა რუსეთის გავლენა,1931 წელსხარბინიიაპონიამდაიკავა, ქართველთანაწილიქ. შანხაიშიგადავიდა (მას ჩან-ჩუნი დაარქვეს და მანჯურიის სატახტო ქალაქად გამოაცხადეს).

შეიქმნა მანჯურიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც იაპონიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იაპონია ვერ შეურიგდებოდა აქ საბჭოთა გავენას და კომუნისტური რეჟიმის გაძლიერებას, ამიტომ რუსეთის უფლებები ძალზე შეკვეცა. როგორც ნიკიფორე ჯაში წერდა, რუსები გარბოდნენ და რკინიგზით გაჰქონდათ თავიანთი ქონება. პრიმორიეში დატრიალებულ მოვლენებს - იქ რუსის ჯარების შეყვანას და იქიდან რუსეთში ყველაფერი საუკეთესოს გატანას აღნიშნავდნენ ქართველთა საზოგადოების მეთაურები თავიანთ მოხსენებებში საქართველოს დემოკრატიული მთავრობისადმი. ქართველებმა კვლავ მოინდომეს საკონსულოს გახსნა, რისთვისაც იაპონიის ელჩთან პარიზში მოისურვეს საქმის გარკვევა და ეს

თხოვეს საქართველოს ხელისუფლებას. მათ გააფართოვეს საზოგადოების წესდებაც.პარიზის ქართული ლეგაცია ყველაფრით ეხმარებოდა ციმბირსა და მანჯურიაში მცხოვრებ ქართველებს, მაგრამ მალე ეს ლეგაციაც ოფიციალურად გაუქმდა.

ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები ქართველების ეროვნულ-პატრიოტულ მისწრაფებებს, მათ მონაწილეობას ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კარგად გადმოსცემს საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივის 512-ე ფონდი. მასში ვლადივოსტოკსა და ხარბინში საქართველოს ელჩების - ფ. თუმანოვის, ნ. ჯიშკარიანის და შორეულ აღმოსავლეთში დაარსებული ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის _ ივლიანე ხაინდრავას წერილებია დაცული აკაკი ჩხენკელისადმი იქაურ ქართველთა ცხოვრებასა და საქმიანობაზე, ქართველი ემიგრანტებისათვის ფულადი დახმარების გაწევაზე.

ქართველთა საზოგადოების ხელმძღვანელობა ბოლომდე ერთგული დარჩა დამოუკიდებლობის იდეისადმი, ამასთან, ის ყოველთვის შეურიგებლობას იჩენდა ბოლშევიკური რეჟიმისა და მისი მომხრე პირებისადმი, მათ შორის თანამემამულეებისადმიც. ამას მოწმობს ივლიანე ხაინდრავას წერილი ჩხენკელისადმი გრიფით - „საიდუმლოდ“. მასში საუბარი იყო ილიკო სამსონის ძე მიქელაძეზე, რომელიც 1929 წლიდან გადავიდა ბოლშევიკების მხარეზე, რისთვისაც ადგილობრივ გაზეთში მასზე დიდი წერილი გამოქვეყნდა. ხაინდრავას ცნობით, მიქელაძე წავიდა რუსეთში, რადგან მისი ყოფნა აქ სახიფათო გახდა, რადგან, როგროც ცნობილია, ამ დროს შორეული აღმოსავლეთი რუსეთისგან დამოუკიდებლობას ცდილობდა. გავრცელებული ხმების თანახმად, მიქელაზეს ევროპაში დიდ თანამდებობაზე გაგზავნას უოირებდა მოსკოვის ხელისუფლება, რაზეც ხაინდრავა აფრთხილებდა პარიზის ქართულ ლეგაციას. ვინაიდან არ იცნობთ, შესაძლოა სიფრთხილე არ გამოიჩინოთ მის მიმართ, ამიტომ „ჩვენ ვალდებულად ვთვლით თავს გაცნობოთ ზემოაღნიშნული საიდუმლოთ, თქვენის მხრით, რასაკვირველია, თუსაჭიროდ ცნობთ, გააფრთხილებთ სხვა ქართულ ორგანიზაციებსაც ამის შესახებ“ [სცსსა, 1831, აღ.2, საქმე 285ფ.3-4].

მანჯურიაში შექმნილ მდგომარეობას, ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობასა და ინტერესების კონფლიქტს ამ რეგიონში კარგად ასახავს 1932 წლის 6 აპრილს პარიზში გაგზავნილი ნიკიფორე ჯიშკარიანისა და ივლიანე ხაინდრავას ვრცელი წერილი [სცსსა 1831, აღ.2,საქმე 285, ფ. 3-6].

გარდა ქართველთა სათვისტომო ეროვნული გაერთიანებისა, ხარბინში ჩამოყალიბდა ,,რუსეთის ემიგრანტთა საქმეების მთავარი ბიურო" სსრკ-ს წინააღმდეგ საბრძოლველად (1934). მას ჰქონდა ექვსი განყოფილება:

1. საერთო განყოფილება - ხელმძღვანელი სერგეი დოლოკი;
2. სამეურნეო განყოფილება - ხელმძღვანელობდა სერგეი კუდრიავცევი;
3. საქველმოქმედო განყოფილება - ხელმძღვანელობდა დემიშხანი;
4. პირველი განყოფილება - ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა ფაშისტური ორგანიზაციის რუს ფაშისტთა კავშირის თავმჯდომარე კონსტანტინე როდზაევსკი;
5. მეორე განყოფილება - სამხედრო მომსახურეთა აღწერა - ხელმძღვანელი კოსოვი;
6. მესამე განყოფილება - ემიგრანტთა აღრიცხვა და რეგისტრაცია; ხელმძღვანელობდა მიხეილ მატკოვსკი.

ეს ბიურო ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. გამოსცემდა გაზეთს ,,ემიგრანტთა ხმა", ჟურნალს ,,აზიის სხივი" და სხვა მასალებს.

საქართველოს ნაციონალური საზოგადოება შედიოდა აღნიშნული ბიუროს შემადგენლობაში. მისი აქტიური წევრები იყვნენ: პროკოფი ლეჟავა, შიო ღლონტი, გრიგოლ მასხულია, როსტევან კილოსანიძე.

ასე ჩამოყალიბდა ევროპული და აზიური ქართულ-რუსული ემიგრაცია ანტისტალინური, ანტისაბჭოური იდეოლოგიით.

მიუხედავად სიახლოვისა, ეს რუსული საზოგადოება ზღუდავდა ქართველების ეროვნული ინტერესების განხორციელებას, მათ ცდას, გაეჩაღებინათ უფრო მეტი მასშტაბით ეროვნული ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ქართული ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად. ამას მოქმობს აკაკი ჩხენკელისა და ნოე ჟორდანიასადმი აქაურ ქართველ ემიგრანტთა წერილები [სცსსა 1831, 285, 292; ფ. 1864, 512,513].

კიდევ ერთი თავისებურება ქართული ეროვნული მოძრაობის ასაზღვარგარეთ იყო ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება განუწყვეტლივ ცდილობდა მათ გადაბირებასთავის მხარეზე, ანდა სრულ დისკრედიტაციას. ი. სტალინის მიდგომა საერთოდ ანტისაბჭოთა ემიგრაციისადმი ითვალისწინებდა და ემყარებოდა საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში არსებული ვითარების მკვეთრ კრიტიკულ ანალიზს, იგი ცალკეული ემიგრანტული ჯგუფების შემადგენლობის მისწრაფებათა მიხედვით ანხორციელებდა შერიგების, ემიგრანტთა გადმობირების, მათთან თანამშრომლობის პრაქტიკას, ამასთან ევროპაში ფაშიზმის სამსახურში ჩამდგარი ემიგრანტული ნაწილისთვის მოითხოვდა ურთიერთობის მკაცრ გადაწყვეტას. ერთი ასეთი გამონათქვამი: - ,,ჩვენი ამოცანაა, ომის წინ უკრაინული ფაშიზმი უმეთაუროდ დავტოვოთ და ვაიძულოთ ეს ბანდიტები, ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, გაანადგურონ ერთმანეთი“.

ასეთი ვითარება დამახასიათებელი იყო საფრანგეთში ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციისთვისაც.

## თავი III

## ქართული ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობა და მისი თავისებურება XX საუკუნის 40-70-იანწლებში

### $ 1. მეორე მსოფლიო ომი და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ 1924 წლის აჯანყების ჩახშობამ, 1937 წლის რეპრესიებმა, რომელმაც ერის რჩეული შვილები შეიწირა, სისხლიანი ფურცლები ჩაწერა ქართულ მატიანეში. ამას მოჰყვა მეორე მსოფლიო ომი. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის (1939-1945 წწ) შედეგები, ძალზე მძიმე აღმოჩნდა ქვეყნისთვის. იმ დროს, საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირის მხარეზე დაახლოებით 700 ათასი ქართველი იბრძოდა, აქედან 300 ათასზე მეტი ომში დაიღუპა, ბევრი ჭრილობებისგან სამუდამოდ დაინვალიდდა. ომის წლებსა და მომდევნო პერიოდში, საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია, ქართველთა საზიანოდ შეიცვალა. საქართველოს მოსახლეობის კლება, ქართველების ხარჯზე მოხდა. გარდა ამისა, ქართველთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად, საქართველოში, არაქართული მოსახლეობის რიცხვი მატულობდა. ომის წლებში, საქართველოში, საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან გადმოყვანილი ლტოლვილების ნაწილი აქვე დარჩა მუდმივად საცხოვრებლად. ომის დამთავრების შემდეგ, საქართველოში, ასევე, მუდმივად საცხოვრებლად ჩამოვიდნენ, სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულები (ძირითადად რუსები და უკრაინელები). აღნიშნულმა პროცესებმა, ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაცია ძალიან დაამძიმა. ომში დაღუპულთა უმრავლესობა 18 წლიდან 45 წლის მამაკაცებზე მოდიოდა, რამაც ქორწინების ბუნებრივ ზრდაზე, უარყოფითი გავლენა მოახდინა. ომის წლებში, წარმოუდგენელი მასშტაბებით მიმდინარეობდა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის ექსპლოატაცია, რამაც ბუნებრივი მარაგების შემცირება გამოიწვია. საქართველოს ეკონომიკამ, გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. იმატა საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი

ქარხნებისა და საწარმოების რაოდენობამ. ასეთი საწარმოების რიცხვს განეკუთვნებოდა თბილისის საავიაციო ქარხანა. გერმანიასთან ომის გამოცდილებამ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ამიერკავკასიაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნის აუცილებლობაში დაარწმუნა. ასე გაჩნდა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაარსების იდეა. ყოველივე ამან საქართველოს ეკონომიკა, რუსეთის ეკონომიკაზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახადა. დაიწყო საქართველოს ეკონომიკის გადახლართვის პროცესის რულიად საკავშირო ეკონომიკასთან, რომლის მიზანი ურღვევი ეკონომიკური ღვედების შექმნა იყო [დაუშვილი, 2008: 450]..

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა განამტკიცა. მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ევაკუაცია. მსოფლიოს სამმა წამყვანმა ქვეყანამ (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი), მსოფლიოში გავლენის სფეროები გაინაწილეს. საბჭოთა კავშირის დახმარებით, კომუნისტური რეჟიმები დამყარდა: აღმოსავლეთ გერმანიაში (გდრ), პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში.

1949 წლის ოქტომბერში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა ჩინეთში, რამაც კომუნისტურ ბლოკს თითქმის მილიარდი მოსახლეობის მქონე სახელმწიფო შემატა. წარმატებული ომის შემდეგ, ი. სტალინი მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელების გულის მოგებას შეეცადა და დააყენა საკითხი, მოკავშირე რესპუბლიკების გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ. მოკავშირე რესპუბლიკებში დიდი ხნის წინათ გაუქმებული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) აღადგინეს. გაერო-ში, ომის შედეგად უაღრესად დაზარალებული, მხოლოდ ორი რესპუბლიკის – უკრაინის და ბელორუსიის გაწევრიანება მოხერხდა, ისინი აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების სატელიტების როლს ასრულებდნენ. ქართველი ხალხის გულის მოსაგებად, ომის შემდგომ პირველ წლებში, საბჭოთა მთავრობა, თურქეთის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული ქართული ტერიტორიების _ ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანის, ოლთისის დაბრუნებას შეეცადა, თუმცა იგი უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის

ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნ. ხრუშჩოვმა, ქართველი ხალხის ზურგს უკან, თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად, აღნიშნულ ქართულ ტერიტორიებზე ოფიციალურად უარი განაცხადა.

**ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „სამანი“.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთმა წევრმა, რომლებიც 1921 წლის შემდეგ ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, მეორე მსოფლიო ომის დროს მხარი გერმანელებს დაუჭირეს. ქართველ ემიგრანტ პოლიტიკოსებს იმედი ჰქონდათ, რომ ომში გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში დაეხმარებოდა. ქართველი ერის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, კომუნისტური დიქტატურის პირობებშიც კი არ შეწყვეტილა. 1942 წლის ზაფხულში, თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „სამანი“ („საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები“) შეიქმნა [ცოცანიძე, 2004:26].

ორგანიზაციის მიზანი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. სამანის ჩამოყალიბების იდეა, ჯერ კიდევ 1941 წელს, განჯის სამხედრო ნაწილში დაიბადა. ამ იდეას სათავეში გიორგი იმერლიშვილი და კოტე ხიმშიაშვილი ედგნენ, რომლებიც განჯის ნაწილში მსახურობდნენ. ორგანიზაციას თავისი სამოქმედო გეგმა ჰქონდა. ერთ-ერთი აქტიური წევრი, ზემო ალვანელი თუში გიორგი ქადაგიძე იყო, რომელიც იმ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი იყო. მისი მეშვეობით ანტისაბჭოთა ორგანიზაციასა და მ ბობღიაშვილი და მიხეილ იმედაძე დაუკავშირდნენ. 1941 წლის დეკემბერში, საბჭოთა მთავრობამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ შეიტყო და მისი წევრები დააპატიმრა. 1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის მარტამდე, 37 პიროვნება დააპატიმრეს, მათ შორის იყო გიორგი ქადაგიძე, რომელიც დახვრიტეს. მთავრობის მხრიდან, რეპრესიების გაძლიერების გამო, ადამ ბობღიაშვილმა და მიხეილ იმედაძემ თელავის რაიონის ტყეს შეაფარეს თავი. ორგანიზაციის ძირითადი ცენტრი ზემო ალვანში მდებარეობდა. 1942 წლის ოქტომბერში, სამანის მეთაურები: ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე, მიხეილ იმედაძე

თუშეთში გაემგზავრნენ, რათა იქედან ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოქმედ იდრის მაგომედოევის შეიარაღებულ ფორმირებას დაკავშირებოდნენ [არაბული 2010:23,25]. პარალელურად კახეთში, ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში მოქმედ ორგანიზაციის წევრების მიერ შეიარაღებული მოქმედებები დაგეგმეს. დაცხრილეს თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარის _ ციხისთავის მანქანა. თუმცა, თავად ციხისთავი თავდასხმას გადაურჩა. ორგანიზაციის წევრებს საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ცეკას მდივან ჩხუბიანაშვილზე თავდასხმის მცდელობაც ჰქონდათ. თუშეთში მეგზურობას მათ პლატო უშიძე უწევდა, რომლის მამა და ბიძები 1924 წლის აჯანყებულთა თანადგომისთვის გაასამართლეს და დახვრიტეს. 1942 წლის ზაფხულის პერიოდში, ფრონტზე მიმდინარე ამბები ორგანიზაციის წევრებს იმედს აძლევდა, რომ 1943 წლისათვის გერმანიის ჯარები კავკასიონის ქედს გადმოლახავდნენ და საქართველოს ბოლშევიკური მთავრობისგან გაათავისუფლებდნენ. სამანელებმა ორგანიზაციის შტაბად სოფელი **დოჭუ** აირჩიეს. ისინი ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ თბილისში დარჩენილ ორგანიზაციის წევრებთან. ამ მიზნით, ადამ ბობღიაშვილმა კახეთში ჯგუფი გაგზავნა სამი კაცის შემადგენლობით. ისინი თელავის ორგანიზაციის წევრს - კიმოთე ლაგაზიძეს უნდა დაკავშირებოდნენ, შემდეგში აღმოჩნდა, რომ კიმოთე უკვე სამი კვირის დაპატიმრებული იყო და მათ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. ორგანიზაციის წევრები აბსოლუტურ იზოლაციაში და ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. ისინი სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის დამარცხების შემდეგ, საქართველოში გერმანელები თუ არა, ინგლისელები მაინც მოვიდოდნენ.

ქართველი ხალხისთვის მთავარი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ დაეხმარებოდა ამ საქმეში. საბჭოთა მთავრობამ ორგანიზაციის წევრების დევნა გააძლიერა. თებერვლის ბოლოს, დაღესტნიდან თუშეთში, გამოცდილი მეთაურის, ალიოშა კვაშალის მეთაურობით, შინსახკომის ჯარი გაგზავნეს. მან მიზნად დაისახა ხელშეუხებლობის მიცემის გარანტიით, სამანის ბირთვისთვის ხალხი ჩამოეცილებინა. ორგანიზაციის წევრებმა კახეთში წასვლა განიზრახეს. სამანის ორგანიზაციის წევრები თანდათანობით ალიოშა კვაშალის

მხარეზე გადავიდნენ. ა. კვაშალმა ორგანიზაციის წევრების გასანადგურებლად 12 კაციანი რაზმი გაგზავნა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ადამ ბოზღიაშვილი შეტაკებისას დაიღუპა. შეიარაღებული წინააღმდეგობა ორგანიზაციის წევრების განადგურებით დამთავრდა. შეტაკების დროს, მხოლოდ გიგო ქაამე და პეტო კიზორჭაიძე გადარჩნენ, რომლებიც დაიჭრნენ. საბჭოთა მთავრობა ორგანიზაციის წევრებს სასტიკად გაუსწორდა. შეთქმულებს თავები მოჰკვეთეს და ხალხის დასაშინებლად, თუშთა საგანგებო კრებას წარუდგინეს. ორგანიზაციის ლიკვიდაციას, თუშეთში თან ახლდა მასობრივი დაპატიმრებები. ზოგი მათგანი, 10 და მეტი წლით, შუა აზიასა და ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც ცოტამ თუ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება. ორგანიზაციის წევრები: ადამ ბოზღიაშვილი, გიგო ქაამე, მიხეილ იმედამე, გოგალე ხოხიაიძე, არჩილ ქიტოშვილი და სხვები უზარმაზარ რუსეთის იმპერიას, ფაქტიურად, შიშველი ხელებით დაუპირისპირდნენ.

**იდეოლოგიური რეპრესიები საქართველოში.** საბჭოთა კავშირში მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის და საბჭოთა კავშირის პროკურატურის ერთობლივი დირექტივით, ციხეებიდან და კოლონიებიდან სასჯელმოხდილი პატიმრების გათავისუფლება შეწყდა. ისინი თავისუფლად დაქირავებულის სტატუსით, ომის დამთავრებამდე სხვადასხვა მშენებლობებზე მიამაგრეს. პატიმრები სამშობლოს ღალატის, ტერორის, შპიონაჟის, დივერსიების ბრალდებით, საკნებში დატოვეს. ციხეები და კოლონიები სამხედრო რეჟიმზე გადაიყვანეს. პატიმრებს ოჯახის წევრებთან და გარე სამყაროსთან ყველანაირი კავშირი აუკრძალეს. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ საბჭოთა მთავრობას რეპრესიები არ შეუწყვეტია. სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ომის შემდეგ, მასობრივი დაპატიმრებები შენელდა, თუმცა შემოქმედების ყველა სფეროში საბჭოთა რეჟიმმა თავისუფალ აზროვნებას უმკაცრესი ბრძოლა გამოუცხადა. სოციალიზმისათვის შეუფერებელ, მტრულ გამოვლინებად იქნა მიჩნეული მთელი რიგი მიღწევები არქიტექტურის, მუსიკის, მეცნიერების სფეროში. მხატვრებმა დ. კაკაბაძემ, ლ. გუდიაშვილმა, დასავლური ხელოვნებისადმი ქედის მოხრის ბრალდებით, მძიმე იდეური თავდასხმა განიცადეს. საბჭოთა იდეოლოგიის

ზეწოლა ქართველმა კომპოზიტორებმაც იწვნიეს. მათ შორის იყვნენ: ანდრია ბალანჩივაძე, შალვა მშვილდაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, იონა ტუსკია და სხვები. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება ომგამოვლილი გამარჯვებული ხალხის მიმართ ცინიკური იყო. სადამსჯელო ღონისძიებები ომის მონაწილეთა, ტყვედ ნამყოფთა და მათი ოჯახის წევრების მიმართაც განხორციელდა. გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში სასწაულით გადარჩენილი საბჭოთა ჯარისკაცები, 1945 წლის 18 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე, აიძულეს მკაცრი სახელმწიფო შემოწმება გაევლოთ. ყველა მათგანი, როგორც სამშობლოს მოღალატე ან სხვა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. ყოფილი ტყვეები ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე, 6 წლით საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონებში მძიმე სამუშაოზე გაგზავნეს, ან კიდევ მოქმედ სამხედრო ნაწილებში დააბრუნეს. მასობრივი რეპრესიები ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეულ პატიმრებსაც შეეხო, რომლებიც ევროპის წინააღმდეგობის რაზმებში მონაწილეობდნენ. სტალინის ბრძანებით ქართველ ტყვეთა ოჯახები შუა აზიაში გადაასახლეს. საქართველოდან შუა აზიაში გადაასახლეს,  1950 წელს – 1273 ოჯახი, 4716 სული, ხოლო 1951 წელს – 2581 ოჯახი, 11458 სული, სულ 16174 სული. ეს იყო ყოვლად უმართებულო და მიუტევებელი რეპრესიები, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა [ნათმელაძე, დაუშვილი, 2004:262].

**მეგრელთა საქმე.** საქართველოს დაშლა-დანაწევრების პოლიტიკა წლების განმავლობაში არა მხოლოდ ომით, არამედ იდეურადაც მიმდინარეობდა. სპეციალურად ინერგებოდა აზრი, თითქოს მეგრელები ქართველები არ იყვნენ. ცალკეული კუთხე საქართველოსგან დამოუკიდებლად განიხილებოდა. ყოველივე ეს კი შორს გამიზნული პოლიტიკა იყო და მხოლოდ ერთ მიზანს- „გათიშე და იბატონე"-ს პრინციპს ემსახურებოდა. სტალინის უშუალო ბრძანებით, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების და ინტელიგენციის განადგურების მიზნით, „მეგრელთა საქმე" შეითითხნა. თანამდებობაზე მყოფ მეგრელებს საბჭოთა კავშირისათვის საქართველოს ჩამოცილებასა და თურქეთთან შეერთების სურვილში დასდეს ბრალი. „მეგრელთა საქმე", სათავეს 1949 წლიდან იღებს. იმ პერიოდში საპასუხისმგებლო თანამდებობები მეგრელებს ეკავათ. შინაგან საქმეთა მინისტრი იყო კოტე ბზიავა,

რესპუბლიკის პროკურორი - ვლადიმერ შონია, იუსტიციის მინისტრი - ჭიჭიკო რაფავა, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი - მიხეილ ბარამია. ლავრენტი ბერია, 1931 წელს, საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ერთდროულად გახდა. შემდეგში, 1932 წელს ლ. ბერია საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნის პოსტზე დაწინაურდა. 1949 წლისათვის, იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. შინაგანი და საგარეო დაზვერვა უშუალოდ მას ემორჩილებოდა. 1951 წლის ბოლოს დაიწყო მეგრელთა საქმე. როგორც ირკვევა, იგი ლ. ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული. აღნიშნული საქმე კრემლის უმაღლეს ეშელონებში იოსებ სტალინის ინიციატივით და უშულო მონაწილეობით მომზადდა. მმართველობის ბოლო წლებში, ი. სტალინი, ლ. ბერიას ძალაუფლებისკენ სწრაფვას ეჭვის თვალით უყურებდა, რისთვისაც მისი ლიკვიდაცია გადაწყვიტა. ერთ-ერთი ვერსიით, „მეგრელთა საქმის“ ინიციატორები აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე და საქართველოს უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე იყვნენ. მათ გადაწყვიტეს სტალინისთვის მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ მოეხსენებიათ, რომელიც თითქოს ძირგამომთხრელ საქმიანობას ლ. ბერიას მფარველობით ეწეოდა. ლ. ბერიას თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მრავალი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჰყავდა. იმის გამო, რომ ბერიას სეპარატისტული დაჯგუფების არსებობას უარყოფდა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან, კანდიდ ჩარკვიანი გაათავისუფლეს. მის ადგილზე ა. მგელაძე დაინიშნა. დააპატიმრეს მეგრული წარმოშობის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: მიხეილ ბარამია, ალექსანდრე მირცხულავა, ჭიჭიკო რაფავა, ვლადიმერ შონია, ნინო ჟვანია და სხვები. ლ. ბერია მიხვდა, რომ თავად იყო ამ პროცესების სამიზნე და შეეცადა სტალინი ყველა ბრალდების სიყალბეში დაერწმუნებია. „მეგრელთა საქმის“ გამომძიებლები: ცეპკოვი, ბოლხოვიტინი, შევრიტინი, ჟარკოვი, დეგტიარევი არაადამიანური წამების საშუალებით,

ბრალდებულთაგან სასურველ ჩვენებებს იღებდნენ. სტალინს მეგრელების გადასახლება ჰქონდა გადაწყვეტილი. მისი გადარწმუნება ლ. ბერიას გაუჭირდა. ბერიამ მას აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მირჯაფარ ბაგიროვიც კი მიუგზავნა, რათა სტალინი განაჩენის შერბილებაზე დაეთანხმებინა, თუმცა ამაოდ. „მეგრელთა საქმე" მას შემდეგ დაიხურა, რაც 1953 წლის 5 მარტს, სტალინი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. მის გარდაცვალებას, კვლავ მოჰყვა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლა. 1953 წლის აპრილში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის სურვილისამებრ, აკაკი მგელაძე გაათავისუფლეს და საქართველოს პარტიულ ხელმღვანელობას სათავეში, ალიოშა მირცხულავა ჩაუყენეს. მასვე გადაეცა შესასრულებლად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, 1952 წლის აპრილის, სპეციალური დადგენილება, რომელიც უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ცნობდა „მეგრელთა საქმეზე" მიღებულ ადრინდელ დადგენილებას და რეპრესირებულთა გასამართლების გარეშე, გათავისუფლებას, ასევე, მათ სრულ რეაბილიტაციას მოითხოვდა. „მეგრელთა საქმის" გამო, დაპატიმრებულები რეაბილიტირებულნი იქნენ. ბევრი მათგანი პარტიულ თანადებობაზე დააბრუნეს.

„მეგრელთა საქმის" მიმართ ქართულ საზოგადოებაში გაორებული პოზიცია არსებობდა. ნაწილს ბრალდების უტყუარობაში ეჭვი არ ეპარებოდა და მიიჩნევდა, რომ თითქოს ამ ამბავში ახალი არაფერი არ იყო, რადგან ზოგიერთმა ბრალდებულმა დანაშაული აღიარა. ნაწილისთვის კი თავიდანვე ცხადი იყო ე. წ. „მეგრელთა საქმის" სიყალბე, თუმცა დიქტატურის პირობებში ხმამაღალ პროტესტს ვერავინ ბედავდა. შემდეგში ცხადი გახდა, რომ არანაირი მეგრული დაჯგუფება არ არსებობდა. „მეგრელთა საქმის" შემთხზველებმა მის შესაქმნელად არსებული ხელსაყრელი პირობები სათავისოდ გამოიყენეს. ყოველივე ეს იმპერიული აზროვნების შედეგი იყო. რუსეთის ხელისუფლება ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდებისთვის დროს არ კარგავდა და საამისოდ ყველაფერს აკეთებდა. 50-იან წლებში ხშირად იბეჭდებოდა წერილები, სადაც მეგრელების, სვანების, აფხაზებისა და დანარჩენი ქართველების ეთნიკურ განსხვავებულობაზე იყო საუბარი, მათ ხშირად არაქართველებადაც მოიხსენიებდნენ. მსგავსი შინაარსის წერილების დაკვეთა

უშუალოდ საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტიდან მოდიოდა. 50-იანი წლების დამდეგის მოვლენებმა, აშკარად აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება, ძირეულ გარდაქმნებს მოითხოვდა.

## $2. ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის მეორე ნახევარში (1950-1980 წწ.)

XX საუკუნის მეორე ნახევრის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, ქართველი ერის, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ პროცესში, უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ამ ბრძოლის შედეგია, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კავშირიდან გასვლა. აღნიშნული პერიოდის მიუკერძოებული, ობიექტური და ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებული მეცნიერული ანალიზი, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პრიორიტეტული ამოცანაა. ხშირ შემთხვევაში, ამის განხორციელება არც ისე ადვილია, რადგან გაყალბებული ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი ლიდერები რადიკალებად, მოღალატეებად და სახელმწიფო დამნაშავეებად არიან სახელდებულნი, ხოლო ნამდვილი მოღალატეები და დამნაშავენი კი – სწორუპოვარ პოლიტიკოსებად და ერისკაცებად არიან წარმოჩენილნი. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ბირთვს საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეის მატარებელი ადამიანები, წარმოადგენენ.

XX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპი 1950-იანი წლებიდან 1986 წლის ჩათვლით, პერიოდს მოიცავს. ამ დროს, ადგილი ჰქონდა კომუნისტური დიქტატურისა და მარქსისტული მსოფლმხედველობის სულიერი ბატონობის ვითარებაში მიძინებული ეროვნული თვითშეგნების აღდგენისკენ სწრაფვას, ასევე, დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის ტენდენციების ჩამოყალიბებას. აღნიშნულ პერიოდში, ერონული მოძრაობის მთავარ ძალას - დისიდენტები, ეროვნულ-პატრიოტული, არალეგალური ჯგუფები და ორგანიზაციები წარმოადგენენ. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმისა

და განსხვავებული აზრის სასტიკი დევნისა, ქართველ ხალხში, სტუდენტობაში ეროვნული თავისუფლების სულისკვეთება კვლავ ცოცხლობდა. ფარულად არსებობდნენ ორგანიზაციები, რომელთა შემადგენლობა თავიდან, მართალია, დიდი არ იყო, თუმცა ისინი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ არალეგალურ საქმიანობას მაინც ეწეოდნენ. ჯერ კიდევ 1954 წელს, საქართველოს ახალგაზრდული იატაკქვეშა ორგანიზაცია „გორგასლიანი“ შეიქმნა. სწორედ, აქედან დაიწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი. ამ პირველ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს სქართველოში ეროვნული მოძრაობის ხანგრძლივი და რთული გზა მოჰყვა, რასაც შემდგომში ლიდერების დაპატიმრება, 1978 წელს ქართული ენისათვის ბრძოლა, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნები და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა. ორგანიზაცია „გორგასლიანი“-ს წევრები საბჭოთა იმპერიის საწინააღმდეგო, ეროვნული შინაარსის პროკლამაციებს ავრცელებდნენ. ორგანიზაცია განსაკუთრებით 1956 წელს გააქტიურდა. იმავე წელს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და „გორგასლიანი“-ს რამდენიმე წარმომადგენელი საბჭოთა უშიშროების მეთაურებმა დააპატიმრეს. ქართველი პატრიოტების აღშფოთება 1956 წელს უნგრეთში ანტისაბჭოთა გამოსვლების სისხლში ჩახშობამ გამოიწვია, როდესაც 1956 წლის 4 ნოემბერს, საბჭოთა კავშირმა 3 000 ტანკი ბუდაპეშტში შეიყვანა და უნგრეთის ოკუპაცია მოახდინა. აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი, უნგრეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, იმრენადი, 1958 წლის 17 ივნისს, დახვრიტეს. ამით საბჭოთა კავშირმა აშკარად განუცხადა დასავლეთს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის ხელყოფას არ დაუშვებდა. 1956 წელს სკოლის მოსწავლეების ერთმა ჯგუფმა, რომელსაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მეთაურობდნენ, თბილისის ქუჩებში უნგრეთში მომხდარი ამბების პროტესტის ნიშნად, პროკლამაცია გამოაკრეს, რომელიც შემდგომში ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დეკლარაციად გადაიქცა. დისიდენტური ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია, „სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია“ („საგ“-ი), რომელიც 1956 წლის 10 მარტს ჩამოყალიბდა [„კონსტიტუციურ-დემოკრატი“, ივნისი, 1994].

ასევე, 1961-1964 წლებში, თბილისში, მოქმედი, ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია - „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კავშირი“, რომლის პროგრამა, დასაწყისში, საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონალურ კონსოლიდაციას და დამოუკიდებელი და ნეიტრალური სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოს შექმნას მოითხოვდა, შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ორგანიზაცია, თბილისში, 1961-1964 წლებში მოქმედებდა და იგი ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. მისი შექმნის იდეა, სათავეს 1956 წლის მარტის, ცნობილი მოვლენებიდან იღებდა და მიმართული იყო რუსეთის იმპერიული რეჟიმის, მოსკოვის ხელისუფლების წინააღმდეგ. მაშინ ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ნათელი გახდა, რომ არსებული იმპერიული რეჟიმის დაცვა-განმტკიცებისთვის კი არ უნდა ებრძოლათ, არამედ თვით ამ რეჟიმში უნდა დაენახათ ბოროტების მთავარი ძალა, რაც ეროვნული თავისუფლების დათრგუნვაში გამოიხატებოდა.

ორგანიზაციის წევრებმა მიზნად დაისახეს რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის გათავისუფლება. ორგანიზაციის პირველი წევრები იყვნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები: იგორ პატარიძე, როსტომ ბეჟანიშვილი, ენვერ გელდიაშვილი, ადილარ გუგულაშვილი, ლერი ნოზაძე, ია მაღლაკელიძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი დავით კაპანაძე, მუშა-მოსამსახურე გივი ნატრიაშვილი და სხვები. 1963 წლის 6 ნოემბერს, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, ოქტომბრის რევოლუციის 46-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლის მსვლელობისას, ორგანიზაციის წევრებმა თეატრის ზედა სართულიდან გადმოყარეს ფურცლები წარწერით: „გაიღვიძეთ!“, რასაც სპექტაკლის ჩაშლა მოჰყვა, თუმცა საიდუმლო ორგანიზაციის წევრები ვერ იპოვეს. ისინი კონსპირაციულად მოქმედებდნენ. ნებისმიერი აქციის ჩატარების თაობაზე, მხოლოდ, უშუალოდ მისმა მონაწილემ იცოდა.

აქციის ჩავარდნის შემთხვევაში, სხვა წევრი ვერავითარ ინფორმაციას ვერ გასცემდა მომავალში დაგეგმილ აქციებზე, რადგან მათ შესახებ არაფერი იცოდა. კავშირში მისაღები პირი საგანგებო ვითარებაში დებდა ფიცს, რომლის შინაარსი

ასეთი იყო: „მე მწამს, რომ ყოველი ადამიანის წმინდათაწმინდა მოვალეობა აუყვარდეს სამშობლო და იბრძოდეს მისი კეთილდღეობისათვის, მე საკუთარი თვალით ვხედავ, რომ დღევანდელი რუსეთის ბორკილები უფრო მძიმეა ჩვენი ქვეყნისათვის, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა. ამის შეგნება მე მავალდებულებს ვიბრძოლო ამ ბორკილებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის; მე მტკიცედ მწამს, რომ ჩვენი ბრძოლა სამართლიანი ბრძოლაა უსამართლობის წინააღმდეგ და ამიტომაც ჩვენ გავიმარჯვებთ" [„პოლიტიკა", 1991: 9,10].

ორგანიზაციის წევრებმა, უშუალო მიზნად და უპირველეს ამოცანად საქართველოს რუსეთის განგათავისუფლება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა დაისახეს. ორგანიზაციის წევრებს, სრულიად კავკასიის რესპუბლიკების შექმნის პირვანდელ იდეაზე უარი არ უთქვამთ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სომხეთში, აზერბაიჯანში და სხვაგან ანტიბოლშევიკურ საქმიანობას სათავეში ანალოგიური ორგანიზაციები ჩაუდგებოდნენ და დროდადრო მათი ბრძოლის კოორდინაცია მოხდებოდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე, ორგანიზაციის ცალკეული წევრი, ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკამ და საბჭოთა იმპერიის მმართველი ბირთვის ფიზიკური განადგურების აუცილებლობის ლოზუნგმა, გაიტაცა. მაგალითად ეს ჯგუფი გივი ნატრიაშვილის მეთაურობით, ნ. ხრუშჩოვზე ტერორისტულ აქტს გეგმავდა. აღნიშნული გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან 1964 წლის ოქტომბერში, „კრემლის გადატრიალების" შედეგად, ნ. ხრუშჩოვი თანამდებობიდან გადააყენეს. 1964 წელს, ანტიქართულად განწყობილი ხრუშოვის ხელისუფლებიდან ჩამოშორების, ხოლო საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივნად ლეონიდ ბრეჟნევის მოსვლის შემდეგ, კერძოდ, 1965 წლიდან ორგანიზაციამ თანდათან შეწყვიტა თავისი საქმიანობა, რადგან საქართველოში პროცესები შედარებით ლიბერალიზაციისაკენ გადაიხარა. გარდა ამისა, დიდი იყო ორგანიზაციის საქმიანობის გამჟღავნების რისკიც. ეროვნულ-პატრიოტული დისიდენტური ჯგუფები ხალხში დამოუკიდებლობის იდეას აღვივებდნენ. საბჭოთა მთავრობა ქართველი მამულიშვილების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ სასტიკად უსწორდებოდა, თუმცა ეს ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა.

საბჭოთა სისტემის კრიზისი, რომელიც აშკარად გამოვლინდა XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში და 60-იანი წლების დამდეგს, ნიკიტა ხრუშჩოვის მოღვაწეობის პერიოდში, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში ლეონიდ ბრეჟნევის ყოფნის დროს (XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანები - 80-იანი წლების დამდეგი) კიდევ უფრო გაღრმავდა და ყოვლის მომცველი გახდა. მართალია, საბჭოთა პოლიტიკური სისტემა გარეგნულად ძლიერად გამოიყურებოდა, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა სულ უფრო ჩანაგდებოდა, მოსახლეობის ცხოვრების დონე განუწყვეტლივ ეცემოდა. ასეთ ვითარებაში დიდი სახსრები სამხედრო მშენებლობას ხმარდებოდა, რაც მძიმე ტვირთად აწვა ისედაც დაქვეითების გზაზე დამდგარ საბჭოთა კავშირის ეკონომიკას. ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაც დაქვეითებას განიცდიდა. ეკონომიკის კრიზისმა ფასების ზრდა გამოიწვია, რამაც მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გააუარესა. საბჭოთა სისტემის კრიზისის გაღრმავებასთან ერთად საქართველოში ეროვნული მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა.

**1956 წლის 9 მარტი.** თავს დატეხილი კატასტროფების მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 11 წლისთავზე, თბილისი და სრულიად საქართველო სახალხო გამოსვლებმა და მანიფესტაციებმა შეძრა, სისხლი კვლავ დაიღვარა. 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა იოსებ სტალინი. ბნელი რუსული მასა, რომლის ერთ-ერთი ელემენტი ნ. ხრუშჩოვი იყო, თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირში, ქართველები სტალინ-ბერიას „წყალობით“, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ცხოვრობდნენ. „პიროვნების კულტის“ გაუქმებისკენ მიმართულმა ოფიციალურმა კამპანიამ რუსი მასის შოვინისტურ ინსტიქტებს გზა მისცა და ანტიქართული ცნობიერება შექმნა. ქართველებისადმი მტრულმა გამოხდომებმა სისტემატური ხასითი მიიღო. სტალინი რომ საქართველოს მოძულე, გლეხებისათვის კოლმეურნეობის, ხოლო მთლიანად საზოგადოებისთვის რეპრესიების ავტორი იყო – ეს ქართველი ხალხისთვის ცნობილია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფაშიზმზე გამარჯვებული სტალინის კოლოსალურმა ფიგურამ, ადამიანთა ფანტაზია დათრგუნა. ქართველები სტალინის პიროვნებაში, მსოფლიოს ნახევარზე გაბატონებულ გენიალურ ქართველს ხედავდნენ, რომელმაც თავისი სიდიადით,

საკაცობრიო ასპარეზზე, ქართველთა თვითდამკვიდრება განახორციელა. ქართველმა ბავშვმაც კი იცოდა, რომ სტალინს მისი ქართველობის გამო, აძაგებდნენ. მის მიერ შექმნილი რეჟიმის საფუძვლების მორყევა არავის უფიქრია. ჯერ კიდევ, 1954 წლის 3-დან 9 მარტის ჩათვლით, ადამიანები, სანაპიროზე, მშრალ ხიდთან ბაღში მდებარე სტალინის ძეგლთან მიდიოდნენ და ყვავილებს აწყობდნენ. თანდათან ეს ერთგვარ მდუმარე მიტინგს დაემსგავსა, თანაც ხელისუფლებისგან არასანქცირებულს, რაც იმ დროისთვის წარმოუდგენელი იყო. 1955 წელს, ძეგლთან კიდევ უფრო მეტი ხალხი მივიდა და საპროტესტო მუხტიც ბევრად დიდი იყო. ამას ახალი გარემოებაც დაერთო - ოფიციოზისგან სტალინის უფრო და უფრო მეტი ლანძღვა და გინება, რაც ხალხში, ზოგადად ქართველების გინებად აღიქმებოდა. ყოველივე ამან, კულიმინაციას, 1956 წელს მიაღწია. 25 თებერვალს, ნიკიტა ხრუშჩოვმა, კომუნისტური პარტიის XX-ე ყრილობაზე, სტალინის კულტი დაგმო. 3 მარტს, თბილისში და საქართველოს დიდ ქალაქებში, საბჭოთა სინამდვილისთვის გაუგონარი, საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. 4 -5-6 მარტს, გამოსვლების მასშტაბი სულ უფრო მეტად იზრდებოდა, ხოლო 7 მარტს, სტალინის ძეგლთან და ლენინის მოედანზე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი), გამართულ მიტინგებზე 70-80 ათასამდე ადამიანი მივიდა. მათ შორის, უმეტესობას თბილისში მცხოვრები და რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები შეადგენდნენ. ქალაქში აქა-იქ, მათ შორის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობაზეც, სტალინის სურათები გამოფინეს.

პიროვნების კულტის კრიტიკას, რომელიც სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს დაემთხვა, საქართველოში განსაკუთრებული მღელვარება მოჰყვა. საბჭოური პროპაგანდის წყალობით, ათწლეულების განმავლობაში სტალინისა და სამშობლოს თაყვანისცემა ქართველი ახალგაზრდობის ცნობიერებაში ერთმანეთს დაუკავშირდა, საბჭოთა ბელადის სახელი ეროვნული სიამაყის სიმბოლოდ აღიქმებოდა. სტალინის კრიტიკა და ქართველი ერის ლანძღვა ახალგაზრდობამ საქართველოში ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების შეურაცხყოფად მიიღო. 1956 წლის 3 მარტს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მანიფესტაციები დაიწყო [ყიფშიძე, 2014:15].

5 მარტს სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ მოსახლეობის დიდი ნაწილი შეუერთდა. თბილისის ქუჩები მანიფესტანტებით გაივსო. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც აღმართული იყო სტალინის მონუმენტი, მრავალათასიანი მიტინგი დაიწყო. 5-9 მარტს დემონსტრაციებმა უწყვეტი ხასიათი მიიღო. საპროტესტო გამოსვლები მთელ საქართველოს მოედო. მიტინგი გაიმართა გორში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ასევე, სხვა ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში. მომიტინგეები ითხოვდნენ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცხყოფის შეწყვეტას, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, კერძოდ, ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენებას და ხელისუფლების შეცვლას. ახალგაზრდების ერთი ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნითაც გამოვიდა. ეს იყო აშკარა გამოსვლა და დაუფარავი პროტესტი კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ხელისუფლებამ სცადა მღელვარების მშვიდობიანი გზით მოგვარება. საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა, ვასილ მჟავანაძემ მომიტინგეებს  მიმართადა გარკვეულ დათმობებზე წასვლის თანხმობაც განაცხადა _ მაგალითად, ბელადის ხსოვნისადმი მიძღვნილი გაზეთების გამოცემა, სტალინის სახელისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიების გამართვა სახელმწიფო დაწესებულებებში. აღნიშნული პირობები საკმარისი არ აღმოჩნდა მომიტინგეთა დასაშოშმინებლად. სტალინის დაცვის მიზნით დაწყებული პროტესტი რომ ეროვნულ მოძრაობაში არ გადაზრდილიყო, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ კონფლიქტის გადაწყვეტის ძალადობრივი გზა აირჩია. ხრუშჩოვის ბრძანებით, თბილისში სამხედრო ნაწილი და ჯავშანტექნიკა შემოიყვანეს. 1956 წლის 9 მარტს, ღამის 10:30 სთ-ზე, ხალხი რუსთაველის გამზირზე მდებარე კავშირგაბმულობის შენობისაკენ დაიძრა, საბჭოთა არმიის ნაწილებმა ტანკების გამოყენებით მომიტინგეებზე იერი შიმიიტანეს, ჯარისკაცებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. რამდენიმე საათის შემდეგ, დილით ადრე, სანაპიროსკენ, ტანკები და ფეხოსანთა ნაწილები დაიძრნენ. მათ ძალის გამოყენებით დაშალეს სტალინის ძეგლთან თავმოყრილი დემონსტრანტების მეორე ნაწილი. უამრავი მშვიდობიანი მომიტინგე დაიღუპა, დაიჭრა და დასახიჩრდა [ზარბაქაძე, 2014:15].

მიცვალებულთა ოჯახის წევრებსა და ნათესავებს დახოცილთა ტრადიციული წესით დასაფლავების უფლება არ მისცეს. ასეთ რთულ სიტუაციაში, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლებამ სრული უუნარობა და უმოქმედობა გამოიჩინა. იგი მხოლოდ მოსკოვის მითითებით მოქმედებდა. 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმა ცხადად უჩვენა საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაციისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის მოჩვენებითი ხასიათი. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემა, მხოლოდ, გარეგნულად შეიცვალა, ხოლო მისი არსი უცვლელი დარჩა. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ ბიძგი მისცა ეროვნულ პროცესებს, ქართველი ხალხის ეროვნულ ცნობიერებას, ტოტალიტარული რეჟიმის დაგმობას, საბჭოთა ღირებულებების კრიტიკულ გააზრებას და გადასინჯვას. დაიწყო ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლის უმთავრესი მიზანი საქართველოს განთავისუფლება და სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო.

9 მარტი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბიძგის მიმცემი გახდა. ამავე წლის 2 დეკემბერს თბილისის ქუჩებში ანტისაბჭოთა პროკლამაციები გამოჩნდა. 15 დეკემბერს დააპატიმრეს მე-11-12 კლასის მოსწავლეები, ისინი გაასამართლეს და მკაცრი სასჯელიც განუსაზღვრეს. ეს „დამნაშავენი“ იყვნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ანატოლ მიქაძე, თამაზ გუნჯუა, ვლადიმერ სიხარულიძე, თემურ მეტრეველი, თეიმურაზ ცერცვაძე, გურამ სხირტლაძე, გურამ დოჩანაშვილი. არ შეიძლებოდა მათ მიმართვას ქართველი ხალხისადმი მაშინდელი ხელისუფლება არ აეფორიაქებინა. ეს იყო 1924 წლის შემდეგ პირველი თამამი გამოსვლა და რეჟიმის მხილება. **„ქართველებო! ხომ არ დაგავიწყდათ 9 მარტის სისხლიანი ღამე? ხომ არ დაგავიწყდათ სისხლიანი ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი, ქართველი ხალხის დარბევისა და გაჟლეტის წლები? როდემდის უნდა გვქნდეს ქედი მოხრილი მტარვალი კომუნისტების მახვილქვეშ? ჩვენს წინაპრებს სისხლი არავისთვის შეურჩენიათ დაარც ჩვენ უნდა შევირცხვინოთ თავი. დღეს, როდესაც მთელი შეგნებული კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის ბოროტმოქმედებით, ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, დროა შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.**

**მიმოიხედეთ ირგვლივ, მსოფლიო ბობოქრობს, განკითხვის დღე მზადდება კრემლელი ჯალათებისთვის. თბილისში, პოზნანში, ბუდაპეშტში მათ მიერ დაღვრილი უდანაშაულო მოსახლეობის სისხლი სამართალს ითხოვს. მათი აღსასრული მოახლოებულია.**

**ქართველებო! სხვა არავინაა ჩვენი მშველელი, ჩვენი საკუთარი თავის გარდა, ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას! ძმური სალამი გმირუნგრელ ხალხს! დაე, ყველა დამონებული ერისათვის მაგალითად იქცეს უნგრელთა გმირობა! ხელები შორს უნგრეთისაგან!**

**ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი ოკუპანტები და მათი სამხედრო ხროვა! ძირს მოღალატე ქართველი კომუნისტები ! გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს! რომელი მოღალატეც ამას ჩამოხსნის, სიკვდილი ელის“ [სსიპსაქართველოს შსს არქივი, ფ. # 6, საარქივო #5638, ტ. #9, ფურც.33].**

ნათელია, ახალგაზრდების რადიკალიზმსა და გაბედულებას ხელისუფლება არ მოითმენდა. „დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა“, რაც განაჩენში ჩაიწერა როგორც ახალგაზრდა პატრიოტების მიზანი, ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფოსთვის მიუღებელი აზრი იყო და ისინი სამაგალითოდ დაისაჯნენ, ცხრავეს მიესაჯა 5-4 წელი, თუმცა, შემდეგ იგი პირობითი სასჯელით შეეცვალათ[**სსიპ საქართველოს შსს არქივი, ფ. # 6, საარქივო #5638, ტ. #9, ფურც.95**]. ეს ერთგვარი დათმობაც იყო და ტაქტიკური ნაბიჯიც, რადგან ხელისუფლებას არ სურდა საკითხის გამწვავება და მოვლენების უფრო მეტ დესტაბილიზაციას მოერიდა.

**ეროვნული მოძრაობა 70-იან წლების საქართველოში.** საბჭოთა ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მასებში იდეოლოგიურ მუშაობას. 1974 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა ღონისძიება: „ლექტორის სიტყვა თითოეულ სოფელს“, რომლის დროსაც 1335 ლექცია ჩატარდა, რაც საზოგადოებრივი აზრის შესწავლას ისახავდა მიზნად [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980:823].

1976 წლის იანვარში, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, ხელისუფლების მთავარ საზრუნავად მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა გამოაცხადა. მისი აზრით,

საჭირო იყო პროპაგანდისა და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერება და უკეთ წარმართვა, იდეოლოგიურ მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრება, რაც მაღალ პრინციპულობას, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას და მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას გულისხმობდა. იმავდროულად, საქართველოში არსებული ეროვნული ძალები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის, აქტიურად აგრძელებდნენ ბრძოლას. ეროვნული მოძრაობის დისიდენტური ეტაპის თავისებური გვირგვინი იყო ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ანტისაბჭოთა მოღვაწეობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლამ, საქართველოს საერთო-ისტორიული განვითარების კონტექსტში, ეროვნული იდეის რეალიზაციისთვის ბრძოლის მთელი ეპოქა შექმნა. 1948 წლის 10 დეკემბერს, პარიზში, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია მიიღო.

ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ქვრივმა, ელეონორა რუზველტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დედამიწაზე ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება; რომ ეს დოკუმენტი არც ხელშეკრულებაა და არც საერთაშორისო შეთანხმება, ის ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპებისა და თავისუფლებების დეკლარაციაა. ადამიანის უფლებების დაცვის უნივერსალური დოკუმენტი 360-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი საქართველოში 1974 წელს ჩამოყალიბდა. ჯგუფი მიზნად ისახავდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ადამიანის უფლებათა და ძირეულ თავისუფლებათა განხორციელების სხვადასხვა ასპექტების შესწავლას. მისი მიზანი იყო ბრძოლა ამ უფლებათა დარღვევის და დაკნინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. ჯგუფის წევრები იყვნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვები [შსსა 6:18; ტორჩინავა, 2012:12].

**ჰელსინკის დეკლარაცია და ბრძოლა ადამიანის უფლებათა დაცვისათვის..** 1975 წლის 1 აგვისტოს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, 35 სახელმწიფოს _ ევროპის ქვეყნების, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას,

რომელმაც საერთაშორისო ცხოვრებაში ახალ ერას ჩაუყარა საფუძველი. ჰელსინკის დეკლარაციას საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი, ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებდა. ჰელსინკის თათბირის ეპოქალურ დოკუმენტში ასახვა ჰპოვა თანამედროვე საზოგადოების ძირითადმა მოთხოვნებმა, როგორიცაა ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა [სარალიძე, 2009:145-160]. ეს ისტორიული აქტი, თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება. მისი ინიციატორები, აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები იყვნენ, რომლებიც მსგავსი დოკუმენტის შექმნის ინიციატივით, ჯერ კიდევ, 1965 წელს გამოვიდნენ. ჰელსინკის დეკლარაციით, მსოფლიომ ცნო ევროპის დაყოფა დასავლურ და საბჭოთა გავლენის სფეროებად. დოკუმენტის მიხედვით, ჰელსინკის დეკლარაციის ხელმომწერნი, ევროპას ისეთს ცნობდნენ, როგორიც ის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იყო, რაც ნიშნავდა საბჭოთა კავშირის კონტროლს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის რესპუბლიკებზე. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯერალდ რუდოლფფორდმა (აშშ-ს 38-ე პრეზიდენტი 1974-1977 წ.წ.), ჰელსინკის დოკუმენტზე ხელმოწერამდე ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ცნობდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანექსიას.

დასავლეთის ქვეყნების მეთაურთა მიზანი, ცივი ომის დაძაბულობის განმუხტვა იყო, ხოლო საბჭოთა კავშირის ლიდერებს საზღვრების განმტკიცების გარდა, ეკონომიკური ინტერესებიც ჰქონდათ. დუბლინის ევროპის ინსტიტუტის დირექტორი, დენიელ ტომასი, რომელიც არის ავტორი წიგნისა ჰელსინკის დეკლარაციის ეფექტის შესახებ, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ლიდერი - ლეონიდ ბრეჟნევი, ჰელსინკის ხელშეკრულებით ბოლომდე კმაყოფილი არ ყოფილა.

ჰელსინკის დეკლარაციამ, საბჭოთა ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ასევე, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთპარტიული მმართველობის დასრულებას შეუწყო ხელი. ჰელსინკის დოკუმენტით განსაზღვრული ურთიერთობის პრინციპები 10 პუნქტს მოიცავს, მათ შორისაა სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. მეშვიდე პუნქტით განისაზღვრა ადამიანის უფლებების, მათ შორის, სიტყვის, სინდისის და გადაადგილების თავისუფლება. საბჭოთა კავშირი, ადამიანის

უფლებების მხრივ, არაფრის გამოსწორებას არ გეგმავდა. ჰელსინკის დეკლარაციის ხელმოწერას, საბჭოთა კავშირში, დისიდენტური მოძრაობის გააქტიურება მოჰყვა. დენიელ ტომასი, 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებასა და 15 წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაცემას შორის პირდაპირ კავშირზე მიუთითებს, რაც საბჭოთა ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობამ განაპირობა.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მასებში იდეოლოგიურ მუშაობას. 1974 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა სპეციალური ღონისძიება: „ლექტორის სიტყვა თითოეულ სოფელს“, რომლის დროსაც 1335 ლექცია ჩატარდა, რაც საზოგადოებრივი აზრის შესწავლას ისახავდა მიზნად [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980:823].

1976 წლის იანვარში, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, ხელისუფლების მთავარ საზრუნავად მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა გამოაცხადა. მისი აზრით, საჭირო იყო პროპაგანდისა და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერება და უკეთ წარმართვა, იდეოლოგიურ მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრება, რაც მაღალ პრინციპულობას, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას და მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას გულისხმობდა.

საქართველოში არსებული ეროვნული ძალები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას, აქტიურად აგრძელებდნენ. 1974 წელს, საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა. ჯგუფი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების შესწავლას და საქართველოში ადამიანის უფლებათა შესახებ დეკლარაციის განხორციელებას ისახავდა მიზნად. მათ ადამიანის უფლებათა დარღვევის და დაკნინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა გადაწყვიტეს. ჯგუფის წევრები იყვნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვები [კოსტავა, 1990:4].

საბჭოთა კავშირში, ადამიანის უფლებათა დარღვევები, რეპრესიები და საკუთარი მრწამსის გამო დაპატიმრებები, განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც საბჭოთა მთავრობამ ჰელსინკის შეთანხმებას მოაწერა ხელი. სამოცდაათიანი

წლების მიწურული და ოთხმოციანი წლების პირველი ნახევარი, საბჭოთა ხელისუფლების ანტიჰელსინკური მოქმედებით ხასიათდებოდა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, შენიღბულად მილიციის სახელით მოქმედებდა და სხვადასხვა პროვოკაციებს მიმართავდა: აპატიმრებდა, ხოლო შემდეგ შეთითხნილი ბრალდებებით, ვითომ და ხულიგნობის, ქურდობის გამო, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბანაკებში გზავნიდა სინდისის პატიმრებს. საბჭოთა უფლებათა დამცველები თავისსავე მიღებულ კანონებს უგულვებელ ჰყოფდნენ.

70-იანი წლების დასაწყისიდან, რუსეთში ადამიანის უფლებათა კავშირის საქმიანობა ახალ ფაზაში შევიდა. მოსკოვში დაარსდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, გამოიცა ჟურნალი „მიმდინარე ამბების ქრონიკა“, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში, განსაკუთრებით ინტელიგენციაში. ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ქართველები, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის უფლების დამცველთა წრეებთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. მათ შორის ინტენსიური თანამშრომლობა და ინფორმაციების გაცვლა აქტიურად ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ როგორც რუსეთში, ასევე, ემიგრაციაში მყოფი რუსი უფლების დამცველნი, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ.

საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენას და მხილებას, ასევე, სინდისის პატიმრების, კულტურის ძეგლთა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვას სუკ-ის (საქართველოს უშიშროების კომიტეტი) შემოტევისგან. ისინი ხელს უწყობდნენ სხვადასხვა უფლებრივი დოკუმენტების და აკრძალული წიგნების პოპულარიზაციას. მიზნად დაისახეს რა ჰელსინკის პროცესის წარმატებული განვითარების ხელშეწყობა, მოსკოველი უფლების დამცველნი სსრკ-ში ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების ხელშემწყობ ჯგუფში გაერთიანდნენ. იმ დროს ქართველი უფლების დამცველები თანამშრომლობდნენ და მჭიდრო კავშირში იყვნენ ჯგუფის დამაარსებელი. ორლოვთან, ასევე, ჯგუფის წევრთან ა. გინზბურგთან და სხვებთან. მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის კვალდაკვალ, ზ. გამსახურდიას ინიციატივით, საქართველოში ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების

ხელშემწყობი ჯგუფი ჩამოყალიბდა. 1976 წელს საქართველოში, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თაოსნობით, „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა“. იმავე წელს, „ჰელსინკის ჯგუფი“ ოფიციალურად დაარსდა. იგი პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია იყო საქართველოში. შემდგომში ჯგუფს „ჰელსინკის კავშირი ეწოდა“. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელის მოწერის შემდეგ, საბჭოთა კავშირს უნდა შეეწყვიტა საქართველოს ანექსია და საოკუპაციო ჯარი ქვეყნიდან გაეყვანა. ჰელსინკის ჯგუფი თავიდანვე ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ამხელდა საქართველოში მიმდინარე ანტიეროვნულ პროცესებს. ჰელსინკის ჯგუფის საქმინაობამ, საბჭოთა ხელისუფლების და მისი მხარდამჭერი გუნდის მხრიდან, მწვავე კრიტიკა დაიმსახურა [სარალიძე, 201548-70].

1974 წელს, ცნობილი რუსი მწერლის, პუბლიცისტის და საბჭოთა დისიდენტის, ნობელის პრემიის ლაურეატის (1970 წელს მიიღო ლიტერატურის დარგში) – ალექსანდრე სოლჟენიცინის (1918-2008 წ.წ.) საბჭოთა კავშირიდან გაძევების შემდეგ, საქართველოს უფლებისდამცველთა მიერ, რუსულ ენაზე გამოიცა მისი ნაშრომი: „არქიპელაგი გულაგი“ (I, II, III, IV ნაწილები). წიგნი მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა. ასევე, გამოიცა კრებულები: „ლოდების ქვემოდან“ („Изподглыб“), „მშვიდობა და ძალადობა“, წიგნი - „ა. სახაროვი მშვიდობისთვის ბრძოლაში“, ასევე, სხვა დისიდენტების სტატიები და ინფორმაციები. მერაბ კოსტავამ დაწერა და გაავრცელა მოზრდილი სტატია: „მოსკოვისა და საქართველოს ურთიერთობა“, რომელშიც შეეცადა გადმოეცა, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რუსეთის ხელისუფლების მოქმედების სრული სურათი, პეტრე პირველიდან მოყოლებული [კოსტავა, 1990:4].

ავტორმა სტატია საზღვარგარეთ, თავისი გვარის გარეშე გამოაქვეყნა, რადგან მოსალოდნელი იყო მისი დაპატიმრება, რაც საქართველოს უფლების დამცველთა ჯგუფის ჩანაფიქრთა პრაქტიკულ განხორციელებას მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. მოსკოვის არალეგალურ გამოცემებში, ინტენსიურად ქვეყნდებოდა მასალები - საქართველოს უფლების დამცველთა მოძრაობის, ეროვნული პრობლემების, მორწმუნეთა დევნის, საქართველოს საგამომძიებლო ციხეებში წამების შესახებ. ერთ-

ერთიასეთიიყო - „მიმდინარეამბებისქრონიკა“, ასევე, ვ. ჭალიძის „ქრონიკასსრკ-ში უფლებათა დაცვის შესახებ“, რომელიც საქართველოში ოფსეტური წესით გამოდიოდა. იმავდროულად, საქართველოში ქართულ ენაზე ითარგმნებოდა და გამოიცემოდა რუსი დისიდენტების სტატიები და წიგნები.

ჰელსინკის ჯგუფის მოღვაწეობა, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას წარმოადგენდა. მათ მიზნად დაისახეს, ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის შესწავლა და თვალ-ყურს ადევნებდნენ, თუ როგორ ხორციელდებოდა საქართველოში მისი პუნქტები. ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, თ. ჯანელიძე, ვ. რცხილაძე, ბ. ბეჟუაშვილი, ი. კენჭოშვილი. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფში, ასევე, მიიღეს თბილისელი „ოტკაზნიკები“: გ. და ი. გოლდშტეინები. პირველი დოკუმენტი, რომელიც ჯგუფმა 1976 წელს გამოსცა, მიზნად ისახავდა ქართველი პატრიოტის – ვლადიმერ (ვოვა) ჟვანიას დაცვას. მთავრობის სახლთან საპროტესტო აქციების გამართვის, ასევე, ქვეყნის სუვერენიტეტის ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით, მას დახვრეტა მიესაჯა. წერილი მიმართული იყო, როგორც საბჭოთა მთავრობისადმი, ასევე, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციისადმი, რამდენადაც ვ. ჟვანიას საქმეში დაშვებული იქნა უხეში სამართლებრივი და პროცესუალური დარღვევები. 1977 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ ვლადიმერ ჟვანია, რომელიც „საქართველოს განმათავისუფლებელი ფრონტის“ სახელით მოქმედებდა გაასამართლა და მაინც დახვრიტა [„კომუნისტი“, 1977: 7. II] .

მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფს გადაეცა დოკუმენტური წიგნი, რომელიც ზ. გამსახურდიამ შეადგინა, სახელწოდებით: „შსს და სუკი მიმართავენ წამებას“. იგი დასავლეთში გამოვიდა სახელწოდებით: „წამებათა შესახებ საქართველოში“. 1976 წელს, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა, საინფორმაციო ჟურნალი: „საქართველოს მოამბე“ გამოსცა, რომლის რედაქტორი ზ. გამსახურდია იყო. ჟურნალი ადამიანის უფლებათა და ეროვნული კულტურის დაცვის სფეროში, ჰელსინკის ჯგუფის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს აშუქებდა. იმავე პერიოდში, გამოიცემოდა ჟურნალი „ოქროს საწმისი“.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში წერდა: „საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების არასასურველი ინფორმაციის დამალვა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ მიზნად ისახავს ქართველი ხალხისათვის ინფორმაციის მიწოდებას, როგორც საჭირბოროტო ეროვნული და სოციალური პრობლემების, ასევე, საბჭოთა კავშირში შექმნილი საერთო ვითარების გამო. ქვეყნდება საბჭოთა და საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები, აგრეთვე ისეთი მასალები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის სწორი შეფასებისთვის, სასამართლოს და პროკურატურის დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცულია დედნის სტილი და ორთოგრაფიაც კი: ჟურნალი არ ღებულობს შემოწირულობებს პოლიტიკური მთავრობის და სხვა ორგანიზაციებისაგან“ [კოსტავა, 1990].

ჟურნალის გამოსვლას მიესალმნენ ცნობილი რუსი დისიდენტები: აკადემიკოსი ა. სახაროვი და მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი ა. ამალრიკი. ა. სახაროვმა აღნიშნა, რომ ჟურნალის გამოსვლა უაღრესად დროული იყო, რადგან საქართველოში არსებული ვითარების შესახებ რეალური ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანი იყო მთელი მსოფლიოსთვის. ჟურნალ „საქართველოს მოამბე“-ს პირველ ნომერში გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა დაცვის სრული ტექსტი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, 1948 წელს მიიღო, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პრინციპები, რომელიც დაარსდა მოსკოვშია. სახაროვის, ა. ტვერდოხლებოვის და ვ. ჭალიძის მიერ. გამოქვეყნდა ინფორმაცია სსრკ-ში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რომლის წევრებიც იყვნენ: ს. კოვალიოვი, ვ. ბორისოვი, ტ. ველიკანოვა, ტ. ხოდოროვიჩი, ა. ლავუტი და სხვები. იმავე ნომერში გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაციები: თბილისის უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის რუსიფიკაციის მცდელობის, საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუქმების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ; ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწის დ. ქორიძის ცნობა

საქართველოს საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ სუკ-ის თანამშრომლების მონაწილეობით, მ. კოსტავას ინფორმაცია აღდგომის დღესასწაულზე კომკავშირული რეიდების, თ. ჯანელიძის ინფორმაცია სვანეთში რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლის, ზ. გამსახურდიას ინფორმაცია საქართველოს საგამომძიებლო ციხეებში პატიმრების წამების, სსრკ-ში შრომის ანაზღაურების დაფასების შესახებ და სხვა.

დისიდენტურ ჟურნალებში გამოქვეყნებული წერილები მოითხოვდა: საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რელიგიურ უფლებათა აღდგენას, ეკლესიაში სიარულის გამო, ახალგაზრდების დევნის შეწყვეტას, ეკლესიიდან უღირსი მღვდელმსახურების, მასში შეგზავნილი აგენტების განკვეთას, სუკ-ის იმ თანამშრომლების დასჯას, რომლებიც, 1972 წელს, საპატრიარქოს გაძარცვაში მონაწილეობდნენ, ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის დ. ქორიძის დევნის შეწყვეტას, რომელმაც შეადგინა ოქმი საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ. ჰელსინკის ჯგუფის წევრები მოითხოვდნენ, ასევე, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის პატივისცემას, საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების რუსიფიკაციის მცდელობის შეწყვეტას, რაც ძირითადი საგნების რუსულ ენაზე წაკითხვას გულისხმობდა. ასევე, ითხოვდნენ: საქართველოს ისტორიის სწავლების აღდგენას ქართულ სკოლებში, საქართველოს ისტორიის ნიშნის შეტანას ატესტატში.

70-80-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლებამ, საქართველოს დისიდენტურ მოძრაობაზე აქტიური შეტევა განახორციელა. დააპატიმრეს და სხვადასხვა ვადით რუსეთის შრომა-გასწორების კოლონიებში გადაასახლეს ქართული დისიდენტური მოძრაობის ლიდერები და წევრები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გურამ გოგბაიძე, ტარიელ ღვიანიაშვილი, ზაქარია ლაშქარაშვილი, ვახტანგ ძაბირაძე, ლევან და დავით ბერძენიშვილები, ვახტანგ შონია, ბეჟან ჯაჯანიძე [ბასილაძე, 2010: 28.V] და სხვები.

1975 წლის ივლის-აგვისტოში, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის – ჰელსინკის ცნობილი აქტის ხელმოწერის შემდეგ, 30-ზე მეტი ქართველი დისიდენტი და სინდისის პატიმარი, საბჭოთა კავშირის შორეულ

კოლონიებსა და მკაცრი რეჟიმის სატუსაღოებში იხდიდა სასჯელს [ძაბირაძე, 2007:9-36].

ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა, 1978 წელს გაასამართლეს და მიუსაჯეს პატიმრობისა და გადასახლების სხვადასხვა ვადები. ზ. გამსახურდიამ, გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებების გამო, აღიარა და მოინანია ზოგიერთი მასალის გავრცელება. ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დასაცავად გამოვიდნენ აკად. ა. სახაროვი, მღვდელი გ. ლებიაკუნინი, ვ. ჭალიძე, აშშ-ს პრეზიდენტი ჯ. კარტერი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯ. ანდრეოტი და სხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

საბჭოთა ხელისუფლება ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობას კატეგორიულად უარყოფდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა (1894-1971 წ.წ.) განაცხადა: „დანაშაული საყოველთაოდ აღიარებული ქცევის ნორმებიდან გადახვევაა, რაც ძალიან ხშირად გამოწვეულია ადამიანის ფსიქიკის მოშლით; რომ საბჭოთა კავშირში აღარ არიან პოლიტპატიმრები, არ არიან საბჭოთა წყობით უკმაყოფილონი, ის ერთეულები კი, კომუნიზმის წინააღმდეგ რომ იბრძვიან, ანუ კმაყოფილებას გამოთქვამენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ფსიქიკურად დაავადებულები არიან" [შსსა 14, 658; კერესელიძე, 2010: 19-23].

უშიშროების ორგანოებმა, დისიდენტებთან საბრძოლველად სპეციალური დავალება მიიღეს. ექიმებთან ერთად, ახალი კონცეფცია შემუშავდა, რომელშიც მთავარი როლი შიზოფრენიის დიაგნოზს უნდა შეესრულებინა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუციით, საჯაროდ სიტყვის თქმის უფლება ნებადართული იყო, კომუნისტური რეჟიმი, სიმართლისმთქმელ, რეჟიმისთვის არასასურველ ადამიანებს, სულით ავადმყოფებად აცხადებდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამწყვდევდა. ფსიქიატრთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ, საბჭოთა ფსიქიატრიული დაწესებულებები, აღიარებული იყო, როგორც სადამსჯელო დაწესებულება. შედარებით უფრო აქტიურ დისიდენტებს, მოსკოვში - სერბსკის კლინიკაში ათავსებდნენ. გამონაკლისი არც ქართველი დისიდენტები იყვნენ. აღნიშნულ მეთოდს, საბჭოთა ხელისუფლება და ფსიქიატრია, XX საუკუნის 70-იან წლებში, ქართველ დისიდენტთა წინააღმდეგ აქტიურად იყენებდა. დისიდენტური

საქმიანობის გამო, 1977 წელს, ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა დააპატიმრეს. დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში, დღის წესრიგში, მათი ფსიქიატრიული გამოკვლევის საკითხი დადგა. ზ. გამსახურდია, გამოსაკვლევად, მოსკოვში, სერბსკის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში გაგზავნეს, მ. კოსტავა კი თბილისის ორთაჭალის ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. აღსანიშნავია, რომ სერბსკის ინსტიტუტი ადამიანების გიჟად მონათვლის ყველაზე ცნობილი დაწესებულება იყო. ინსტიტუტის საიდუმლო განყოფილების თანამშრომლები, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ატარებდნენ ექსპერტიზას. ისინი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან იყვნენ კავშირში და საგამოძიებო საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ზ. გამსახურდიას ფსიქიატრიულ შემოწმებაზე გაგზავნა, „კგბ"-ს საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილემ - ხაზალიამ, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად დაადგინა. მის ხელთ არსებული მონაცემებით, 1965-1968 წლებში ზ. გამსახურდია პასუხისგებაში იყო მიცემული ხულიგნობისა და არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის. დეპრესიული მდგომარეობის გამო, მას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა. გამოკვლევებისას ზ. გამსახურდია ამტკიცებდა, რომ მისი საჭმელი მოწამლული იყო, რომ მას უთვალთვალებდნენ პროკურატურის მიერ მიგზავნილი ადამიანები. სისხლის სამართლის საქმეში ჩადებული იყო ზ. გამსახურდიას 1956 წლის ავადმყოფობის ისტორია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ის ავლენდა უცნაურ ქცევებს და მკურნალობდა ფსიქიატრთან. 1958 წლის 2 დეკემბრიდან, 1959 წლის 27 იანვრამდე იგი სასამართლო-ფსიქიატრიულ სტაციონარულ ექსპერტიზას გადიოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ექსპერტ-ფსიქიატრებმა გააკეთეს დასკვნა, რომ გამსახურდია ღრმად ფსიქოპათიური პიროვნებაა და წარსულში გადატანილი ჰქონდა შიზოფრენია. სერბსკის სახელობის სასამართლო-ფსიქიატრიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, 1977 წლის 30 ნოემბრის, დასკვნის მიხედვით კი ზ. გამსახურდია ფსიქიკურად დაავადებული არ იყო. ის იყო „განდიდების მანიით" შეპყრობილი ფსიქოპათიური პიროვნება და ახასიათებდა ემოციური არამდგრადობა. მას არ დაუდასტურდა დროებითი ფსიქიკური აშლილობა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დაადგინეს,

რომ ის ფსიქიკურად ჯანმრთელი იყო. დასკვნას ხელს აწერდა, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიული კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ჟარიკოვი.

მსგავსად მოექცნენ მ. კოსტავასაც. მან, 1977 წლის 29 სექტემბერს სპეციალური განცხადება გააკეთა: „1977 წლის 29 სექტემბერს შევიტყვე, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი აპირებს ჩემს გაგზავნას გამოკვლევაზე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ჩემთვის ცნობილია, რომ არაერთი ჯანმრთელი დისიდენტი გაუგზავნიათ ამგვარ გამოკვლევაზე და შემდე გავადმყოფად შეურაცხიათ ისინი. მაგალითად, ლეონიდ პლიუშჩი, ა. გრიგორენკო, ვ. ფეინბერგიდაა. შ. პრიმიტიული ლოგიკაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, სახელდობრ სხვაგვარად მოაზროვნეებს რად ხვდენიათ ხოლმე ჩვენში ამგვარი ხვედრი. რატომ მაინცდამაინც დისიდენტები გამოდიან ფსიქიატრიულად დაავადებულები? რატომ ერთხელაც არ მოგსვლიათ აზრად, უშიშროების რომელიმე მუშაკი გაგეგზავნათ ექსპერიმენტისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? დისიდენტებს იმიტომ ეკერებათ ფსიქიკურად დაავადებულის იარლიყი, იდეოლოგიური სტანდარტიდან გადახვევას რომ ვერ იტანს ჩვენი ოფიციალობა. მე ვხედავ საშიშროებას, არც მე ამცდება ზემოთთქმულ პირთა ხვედრი. ჩემთან მჯდომი უშიშროების კომიტეტის პატიმრებიდან ჯერ არავინ გაუგზავნიათ ამგვარ ექსპერიმენტზე. ასეთ გადაწყვეტილებას უშიშროების კომიტეტისას პროტესტით ვპასუხობ, რადგან ზემოხსენებულ სამედიცინო პროცედურაში ვხედავ აშკარა ნეგატიურ მიკერძოებას დისიდენტების მიმართ“ [ყიფშიძე, 2012:12].

**1978 წლის აპრილის მოვლენები, ბრძოლა ქართული ენის უფლების დასაცავად.** ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ ქართველი ინტელიგენციის და სტუდენტი-ახალგაზრდობის ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებებზე. ქართველ ერში პატრიოტული განწყობილების გამომხატველი იყო 1978 წლის აპრილის მოვლენები. 1978 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევდა ეროვნული ბარიერების მოშლას და საბჭოთა იმპერიის სივრცეში

მცხოვრები ერების ურთიერთშერწყმას. უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთო ეთნოსი, ანუ ახალი ისტორიული ერთობა _ საბჭოთა ხალხი. რეალურად ეს საბჭოთა კავშირის იმპერიაში შემავალი მცირე ერების გარუსებას ნიშნავდა. საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის აღმნიშვნელი მუხლი ამოიღეს. პროექტის 75-ე მუხლი ქართული ენისადმი ზრუნვის საჭიროებას, მხოლოდ, ფორმალურად სცნობდა. 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული ენა მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. ეს ფაქტიურად, საფრთხეს უქმნიდა არამარტო ქართულ ენას, არამედ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. იგი ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში უმცირესობების ენას ქართული ენის თანაბარუფლებებს ანიჭებდა და მათ სრულ თანასწორუფლებიანობას აღიარებდა. ასეთ პირობებში, რესპუბლიკათა და შიდა რესპუბლიკური ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენად მხოლოდ რუსული ენა ითვლებოდა. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად ქართველი სტუდენტები და ინტელიგენციის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი გამოვიდა. 1978 წლის 12 აპრილიდან თბილისში საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყო. მასში დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და საშუალო სკოლის უფროსკლასელები მონაწილეობდნენ. ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ სტუდენტების დასარაზმავად დიდი როლი ითამაშეს გია ჭანტურიამ, თამარ ჩხეიძემ, ავთანდილ იმნაძემ, მარიამ ბაღდავაძემ და სხვებმა. ქართველი საზოგადოების დარაზმვაში დიდი წვლილი შეიტანა აკაკი ბაქრაძემ. იგი პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოების ყველა ფენაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. 1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ თავი მოიყარა ათასობით სტუდენტმა. მათ შორის იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ დღეს საქართველოს უმაღლეს საბჭოს ახალი კონსტიტუცია უნდა მიეღო. დემონსტრანტები მთავრობის სასახლისაკენ გაემართნენ. მათ ათასობით სტუდენტი და სკოლის მოსწავლე შეუერთდა. დემონსტანტების მტკიცე მოთხოვნა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენა იყო. ენის დაცვის ლოზუნგმა, ქართველი საზოგადოების სხვადასხვ აფენები გააერთიანა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ედუარდ შევარდნაძე დემონსტრანტებს შეხვდა და მათი მოთხოვნები მოისმინა. მან, ასევე, საბჭოთა იმპერიის მესვეურებს საქართველოში შექმნილი მდგომარეობის სირთულე აუწყა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იგი პირადად შეხვდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს. ამჯერად, სამჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დათმობა ამჯობინა. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი შეიცვალა და ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი აღდგა. ეს ეროვნული ძალების დიდი გამარჯვება იყო.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ამ უჩვეულო დათმობამ თბილისში ემოციები დააცხრო, თუმცა დაძაბულობა გამოიწვია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აფხაზმა კომუნისტურმა ელიტამ ეს ნაბიჯი ქართული ნაციონალიზმის წინაშე დათმობად შეაფასა და მოსკოვის წაქეზებით, აფხაზეთის ავტონომიის საქართველოდან რუსეთის ფედერაციის დაქვემდებარებაში გადატანა მოითხოვა. მათი ეს მოთხოვნა უარყვეს, თუმცა რამდენიმე პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დათმობა მაინც მოხდა. ამ მოვლენების პატივსაცემად, 1990 წლიდან 14 აპრილს, საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება.

## თავი IV

## ქართული ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობა და მისი თავისებურება XX საუკუნის 80-იან წლებში

XX საუკუნის 80-იან წლებში სოციალისტური სისტემის კრიზისმა საბოლოოდ იჩინა თავი და სისტემის შეცვლის აუცილებლობა ცხადყო. საბჭოთა კავშირი და მისი გავლენის ქვეშ მყოფი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები დასავლეთის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან სამხედრო-ეკონომიკურ კონკურენციაში დამარცხდნენ. საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა მეთაურმა მიხეილ გორბაჩოვმა სოციალისტური სისტემის გადასარჩენად რადიკალური რეფორმების გატარება დაიწყო. გარდაქმნებმა („პერესტროიკა“) ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების დაწყება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია, შეიქმნა ახალი პარტიები, რაც ერთპარტიული, დიქტატორული სახელმწიფოსთვის უჩვეულო და ნამდვილი რევოლუციური სიახლე იყო. 1987 წელს დაარსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. ორგანიზაციამ დაიწყო ქართველი ერისთვის საჭირბოროტო საკითხების განხილვა, საბჭოთა რეჟიმის მიერ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლა, ეროვნული თვითშეგნების გამოცოხლება და განმტკიცება.

1988-1989 წლებში საქართველოში მრავალპარტიული სისტემა ჩამოყალიბდა. პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, სახალხო ფრონტი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება და სხვა. ლეგალური მუშაობის საშუალება მიეცათ ადრე დაარსებულ რესპუბლიკურ პარტიას, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და სხვებს. ეროვნული მოძრაობის დიდ ძალას სტუდენტობა წარმოადგენდა. მათ დაარსეს „პრეს-კლუბი“, რომელმაც 1937 წელს უსამართლოდ დახვრეტილ პატიმართა ხსოვნის უკვდავსაყოფად, პირველი აქცია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მოაწყო. აქცია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მილიციის თანამშრომლებმა დაარბიეს. ამ სტუდენტურმა გაერთიანებამ, 1988 წლის თებერვალში, დავით გარეჯის უძველესი სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიიდან საარტილერიო პოლიგონის გადატანა მოითხოვა. ქართული

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებმა საზოგადოების ყურადღება მიმართეს ახალი ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის პროექტისადმი, რომლის განხორციელებაც საქართველოსთვის ახალი უბედურების მომტანი იქნებოდა. სამართალდამცველმა ორგანოებმა მიტინგის ხელმძღვანელები, მათ შორის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს.

მასობრივი დემონსტრაციები 1988 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიწყო. იგი მიმართული იყო სსრ კავშირის გენერალური მდივნის, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის უკანონო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მისი ინიციატივით, საბჭოთა კონსტიტუციაში უნდა მომხდარიყო სათანადო ცვლილებები, რაც მოკავშირე რესპუბლიკების უფლებას კავშირიდან გასვლაზე ფორმალურადაც აუქმებდა. ამის გამო, 1988 წლის 23 ნოემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, შიმშილობის საპროტესტო აქცია დაიწყო. მასში მრავალი პარტია და საზოგადო ორგანიზაცია მონაწილეობდა, შემდეგში კი აქციის მსვლელობაში მოსახლეობის ფართო მასები ჩაებნენ. აქციები 29 ნოემბრამდე გაგრძელდა. ნოემბრის შიმშილობამ საბჭოთა კავშირში მანმადე არნახული მასშტაბი შეიძინა.

1989 წლის 18 მარტს აფხაზეთში, სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა მოსკოვში მიმდინარე XIX პარტიული კონფერენციისა და სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე პეტიცია გაგზავნეს და აფხაზეთისთვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება, ასევე, რუსეთის ფედერაციაში შესვლა მოითხოვეს [ყორანაშვილი 2001:30].

3 აპრილს სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის საპროტესტო აქცია. 4 აპრილიდან მასობრივი გამოსვლები თბილისში დაიწყო. მომიტინგეების ლოზუნგი თავდაპირველად აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა იყო, შემდეგში კი, კონსტიტუციური გზით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნაში გადაიზარდა.

რუსთაველის პროსპექტზე დღედაღამე ათასობით ადამიანი იდგა. ამ დროს შიდა ქართლშიც ძლიერდებოდა რუსების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების ანტიქართული გამოსვლები. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეაშფოთა საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ, რომელმაც სულ

უფრო გამოკვეთილი ანტისაბჭოთა ხასიათი მიიღო. თბილისში მიმდინარე მოვლენებს შეეძლო გავლენა მოეხდინა სხვა რესპუბლიკებზე, სადაც ეროვნული მოძრაობა ასევე ძლიერდებოდა. 6 აპრილიდან თბილისში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი კოჩეტოვი იმყოფებოდა. ამდენად, საკავშირო სამინისტრომ ყველაფერი იცოდა იმის თაობაზე, რაც თბილისში მზადდებოდა. 7 აპრილს, საქართველოს სსრ ცკ-ისკომპარტიის პირველმა მდივანმა (მას ეს პოსტი 1985-1989 წლებში ეკავა - ლ. ს.) ჯუმბერ პატიაშვილი შიფრო ტელეგრამა გაგზავნა მოსკოვში ცენტრალურ კომიტეტში [ „საარქივო მოამბე“, თბილისი, 2011:148].

თბილისში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ასევე ჯ. პატიაშვილის მიერ გაგზავნილი ტელეგრამის შესახებ, სკკპ ცკ -ის მეორე მდივანს – ეგორ ლიგაჩოვს შეატყობინეს, რომელიც მაშინ მივლინებაში იმყოფებოდა. ტელეგრამაში ხაზგასმული იყო: „მდგომარეობა ვითარდება უფრო მწვავედ... მიმდინარეობს უწყვეტი მიტინგები, გაისმის კომუნისტებისთვის ანგარიშის გასწორების მუქარები, მოითხოვენ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლას, მომზადებულია მიმართვა გაეროს ჯარების შემოყვანის თაობაზე“ [ლიგაჩოვი, 1999:29].

მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება თბილისში მიტინგის ძალით აღკვეთის შესახებ. 8 აპრილს, სამხედრო ძალის დემონსტრაციით, მიტინგის მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა სცადეს, რასაც ინიციატორთა აზრით, მიტინგის მონაწილეების შემცირება უნდა მოჰყოლოდა. შედეგი საპირისპირო მიიღეს _ მიტინგს ახალი მონაწილეები დაემატნენ. მიტინგზე მთელი ქალაქი გამოვიდა [სონღულაშვილი, 1999;46].

თბილისში ჯარების შემოყვანა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ჯ. პატიაშვილის ოფიციალური შიფროგრამა გაიგზავნებოდა [სონღულაშვილი, 2009:11-20].

სისხლიანი 9 აპრილის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს აქციამდე ცოტა ხნით ადრე თბილისში ჩამოსულმა სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელპირთა ჯგუფმა. მათ შორის იყვნენ: სელივანოვი, ლობკო, ბაკლანოვი, ბუიანოვი, მიხაილოვი და სხვები. მათთან ერთად იმყოფებოდნენ ცენტრალური პრესის, სამხედროების, შინაგან

საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის თანამშრომლები. ისინი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივნის ბორის ნიკოლსკის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი და ზემოქმედებას ახდენდნენ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე. საგულისხმოა, რომ 9 აპრილის დეზინფორმაციული დეპეშა მოსკოვში სელივანოვმა, ნიკოლსკიმ და ლობკომ შეადგინეს. აღსანიშნავია შეიარაღებული ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების ჩამონათვალი, რომლებიც მშვიდობიანი მიტინგის დარბევაში მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ: მოტომსროლელები, ქვეითები, საჰაეროდესანტი, შინაგანი ჯარები, საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფები, ტანკები, ჯავშნოსანი მანქანები, რომ აღარაფერი ვთქვათ ცეცხლმსროლელ, ქიმიურ იარაღსა და მესანგრეთა ხელბარებზე. გორკიდან გადმოისროლეს სამხედრო კურსანტები, ბაქოდან _ ძერჟინსკის სახელობის დივიზიის მეომრები, ამავე ნაწილების მეთაურები ჩამოფრინდნენ მოსკოვიდან, ქვედანაყოფები ჩამოიყვანეს ვორონეჟიდან, პერმიდან და ეს ყველაფერი განხორციელდა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე. სასტიკი რუსული სამხედრო რეჟიმის პირობებში გაწვრთნილ-გამობრძმედილი ეს უზარმაზარი ძალა უიარაღო, სამშობლოს ინტერესებით ანთებული ადამიანების წინააღმდეგ მოემართებოდა.

მიტინგის დარბევა 1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზედაიწყო. ოპერაციას გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი ხელმძღვანელობდა. მის დაქვემდებარებაში იყო ყველა სახეობის საჯარისო ფორმირება. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებმა დიდი წვლილი შეიტანეს მიტინგის დარბევაში. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შ. გორგოძეს და მის დაქვემდებარებულ საქართველოს მილიციას ფაქტობრივად უნდობლობა გამოუცხადეს და იგი თავად იქცა საჯარისო ნაწილების დარბევის ობიექტად.

დარბევის წინ მიტინგზე სრული სიმშვიდე სუფევდა. ადამიანები ხელში ანთებული სანთლებით იდგნენ და ლოცულობდნენ. დარბევის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 16 ქალი იყო, მათგან ორი არასრულწლოვანი. ათასობით ადამიანი მოიწამლა. 1989 წლის 25 მაისს, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, საქართველოს დეპუტაციამ თბილისის ტრაგიკულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის საკითხის ყრილობის დღის წესრიგში შეტანა მოითხოვა. მათი

მამხილებელი გამოსვლები ხელს უწყობდა მომხდარზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას [რუსული კოლონიალიზმი 2008:473]. 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს არაობიექტურად აფასებდნენ რუსი მაღალჩინოსნები [ჩხარტიშვილი 2009: 21-32].

1989 წლის 9 აპრილს რუსულმა იმპერიამ ისტორიაში კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი ჩაწერა. ამ დღეს კიდევ უფრო გაშიშვლდა საბჭოთა იმპერია, რამაც მისი რღვევის პროცესი დააჩქარა. კომუნისტები არავის დაუმარცხებია. მათ თავად გამოიჭრეს ყელი და არსებობა თვითმკვლელობით დაასრულეს. ეს იყო კომუნისტური მოძღვრების და კომუნისტური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ბუნებრივი შინაგანი რღვევა _ გახრწნის შედეგი“ [ ბაქრაძე, 1995:235]. საბჭოთა ბოროტების იმპერიამ ამ დღეს კიდევ ერთხელ დაანახა მთელ მსოფლიოს თავისი ნამდვილი სახე. 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ შეიარაღებული სამხედრო ძალის გამოყენება, საბჭოთა კავშირში პირველი იყო, ხოლო შემდგომ ამგვარი სადამსჯელო ოპერაციები აზერბაიჯანსა და ლიტვაშიც განმეორდა. სწორედ 1989 წლის 9 აპრილი გახდა მიზეზი 1990 წლის შემოდგომაზე გამართული მრავალპარტიული არჩევნებისა, რის შედეგადაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოექცა ეროვნულ გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთი ფრთა, ბლოკი ,,მრგვალი მაგიდა-თავისუფალი სართველო“. 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზედაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლიტურმა მოსახლეობამ მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუჭირა, იმავე წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1992 წლის 31 ივლისს საქართველო გახდა გაერთიენებული ერების ორგანიზაციის წევრი.

## დასკვნა

1. ქართული ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის მთავარი თავისებურება 1921-1990 წლებში იყო მისი გაფანტულობა (მიმდინარეობდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, იმ ქვეყნებში, სადაც ქართული ემიგრაცია ან დიასპორები იყვნენ);
2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ პერიოდის ძირითადი თავისებურება იყო მისი კონსპირაციულობა, არალეგალური სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, პარტიზანული ბრძოლების გაჩაღება რუსული საბჭოთა არმიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ.
3. მოძრაობა ტოტალიტარიზმის რეჟიმთან მკაცრი დაპირისპირების ვითარებაში ირჩევდა კონსპირაციულობისა და შენიღბვის სხვადასხვა მეთოდს, საჭირო სტრატეგიასა და ტაქტიკას, მოწყვეტილი იყო ერთიანი მოქმედების საშუალებას;
4. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, განსაკუთრებით შესასწავლად აღებული პერიოდის პირველ ხანებსა (1921-1924) და ბოლო წლებში (1985-1990), გააერთიანა სხვადასხვა სოციალური ფენა, ასაკობრივი ჯგუფები, ეროვნული და კონფესიური კუთვნილებები, პარტიები და საზოგადოებები, დარაზმა ისინი ქართული ეროვნული იდეის გარშემო, რამაც უდიდესი როლი ითამაშა გამარჯვებასა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის საქმეში;
5. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთულეს ვითარებაში გამოიკვეთა კავკასიური ერთობის იდეა და მისი პრაქტიკული განხორციელების გზები, რასაც ყოველთვის ჰქონდა გამორჩეული მნიშვნელობა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებისათვის (ალი მიტაევისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევის კავშირები ანტირუსული, კავკასიური ბრძოლების ახალ ეტაპზე XX საუკუნის 20-იან და 90-იან წლებში). ანტიბოლშევიკური ფრონტის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს

ემიგრაციაში არსებულმა საერთო კავკასიურმა ორგანიზაციებმა („კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, „ოთხთა საბჭო“, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და სხვა).

6. საბჭოთა პერიოდის ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის ეტაპები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა: პირველი ეტაპი (1921-1924), რომელიც შეიარაღებული გამოსვლით, საყოველთაო აჯანყების მოწყობით დაიგეგმა, მართალია დამარცხდა, მაგრამ მოიტანა დიდი ზნეობრივი გამარჯვება, რადგან ის იქცა ქართველი ხალხის სიმამაცისა და მონობასთან შეურიგებლობის მკაფიო მაგალითად, მომავალი თაობებისათვის გაკვეთილად. საიდუმლო ორგანიზაციამ (სამხედრო ცენტრმა) შესძლო ფართო მასების ჩაბმა მოძრაობაში, „ჩეკას“ სადამსჯელო ღონისძიებების მიუხედავად, მოაწყო მასიური აჯანყება საქართველოს სხვადასხვა რაიონში;
7. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამორჩეული იყო ახალი სამხედრო ინტელიგენცია (ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი; როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი...), რომელმაც თავგანწირული ერთგულებით დაიცვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა;
8. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აჩვენა კოლაბორაციონიზმისა და ეროვნული ნიჰილიზმის მოჭარბებული არსებობაც საქართველოში, პრორუსული გავლენების გარკვეული მასშტაბი, რაც აზიანებდა და ასუსტებდა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას, ხელს უშლიდა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის პროცესს;
9. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცდილობდა ურთულეს პირობებში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების ყურადღების მიქცევას, მათთან კავშირის დამყარებას. ეს იყო ერთა ლიგის, საერთაშორისო კონფერენციების, დიდი სახელმწიფოების მეთაურების ჩართვა საქართველოს პრობლემების

საერთაშორისო ასპარეზზე გატანაში, მათი მხარდაჭერის მოპოვება ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის 1923 წლის 25 მაისის მიმართვა ხალხთა ლიგისადმი, ჰელსინკის კავშირის მუშაობაში ჩართვა ადამიანის უფლებების დაცვისათვის საქართველოში, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და სხვა ლიდერების მიმართვები საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე 60-80-იან წლებში);

10. ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული როგორც ევროპის, ასევე რუსეთისა და აზიის ქართველთა ემიგრანტული წრეები ეხმარებოდნენ ფულით, იარაღით, უცხოეთის პოლიტიკურ წრეებთან დაკავშირებით და სხვა საჭირო საშუალებებით საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, რაც ამ ძალებს გამარჯვების მეტ იმედს უნერგავდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში;
11. სამოქალაქო საზოგადოებას გვერდით ედგა და სახელმწიფოებრიობის იდეის დაცვის საქმეში შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსეული წარმომადგენლები, რომელთაც სასტიკად დევნიდნენ, ეკლესიაში შეჰქონდათ განხეთქილება, დაპირისპირება, მართლმადიდებლური საეკლესიო წესებისა და რიტუალების უგულვებელყოფა, იდევნებოდა ჭეშარიტი სარწმუნოება, ინერგებოდა ათეიზმი და უღმერთობა, რაც ერის სულიერ-მორალურ გადაგვარებასა და სახელმწიფოებრივი ტრადიციის დევალვაციას იწვევდა, დაინგრა უამრავი ეკლესია, გადარჩენილთა უმრავლესობას იყენებდნენ არადანიშნულებისამებრ: საწყობებად, პირუტყვის სადგომად და სხვ. იკრძალებოდა საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნა, ჯვრისწერა და სხვა რელიგიური რიტუალები;
12. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრებმა კონსტანტინოპოლშივე შეადგინეს ვრცელი მიმართვა ევროპის სოციალისტური და მუშათა პარტიებისადმი რუსულ და ფრანგულ ენებზე. მიმართვაში აღნიშნული იყო, თუ რა ვითარებაში მოუხდა საქართველოს მთავრობის წევრებს სამშობლოს

დატოვება და ემიგრაციაში გამგზავრება. თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთის მთავრობა ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოებისათვის დაემტკიცებინა საკუთარი პოლიტიკის „სიმართლე“ და რუსული იარაღის ძალით საქართველოს დაპყრობა. რუსეთის ხელისუფლება ისწრაფვოდა, რათა საბჭოთა რუსეთის სამართლებრივი აღიარება წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან დროულად მომხდარიყო. თავის მხრივ, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაებათილებინა რუსეთის ხელისუფალთა ცრუ განცხადებები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე.

13. საბჭოთა კავშირის დაზვერვა ცდილობდა ქართული ემიგრაციის რიგებში ისედაც არსებული პოლიტიკური უთანხმოება გაეღრმავებინა, მოეხდინა მისი დაქსაქსვა და პატრიოტი ემიგრანტების ლიკვიდაცია, ეს საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. საბჭოთა მთავრობა აქტიურად ადევნებდა თვალ-ყურს ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების მოღვაწეობას. საბჭოთა ხელისუფლებისთვის მათი გადაადგილების თითოეული ნაბიჯი ცნობილი იყო. საბჭოთა მთავრობამ ემიგრანტებთან მოსარიგებლად, ცნობილი ქართველი ეროვნულ-დემოკრატის ნიკო ნიკოლაძის გამოყენება სცადა. ამ მიზნით, 1922 წელს, ნ. ნიკოლაძე ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას შეხვდა. ქართველი ემიგრანტები ბოლშევიკებთან მოლაპარაკების მთავარ პირობად - საქართველოს დეოკუპაციას, აყენებდნენ, რაზეც, საბჭოთა მთავრობა, ბუნებრივია არ დათანხმდებოდა. ემიგრანტებთან საქმის მოსაგვარებლად, იოსებ სტალინმა თავისი ყოფილი ცოლისძმა ალექსანდრე სვანიძე ცგაგზავნა გერმანიაში. 1924 წელს, ა. სვანიძე ბერლინში მყოფ, გერმანიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილ ელჩს - ვლადიმერ ახმეტელაშვილს შეხვდა. ა. სვანიძე არწმუნებდა ქართველ დიპლომატს, რომ მოსკოვის მთავრობა თითქოს თანახმა იყო, საქართველოს საკითხში გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, რაც ტყუილი იყო და გარკვეული ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურებოდა. საბჭოთა

ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომის დროსა და შემდეგაც ცდილობდა ქართველ ემიგრანტთა მოსყიდვას, მათ ჩამოტყუებას სამშობლოში, შემდეგკი მათზე შურისძიებას, რათა საბოლოოდ ჩაეხშო ეროვნული მუხტი, რასაც ეს ადამიანები აძლიერებდნენ;

14. ქართველ ემიგრანტთა ეროვნული მოღვაწეობა არა მარტო იმდროინდელ პრობლემებს ეხმიანებოდა, არამედ მათ მიერ საერთაშორისო კონფერენციებზე დაყენებული საკითხები ეხმიანება თანამედროვე საქართველოს საჭიროებებსაც. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელმწიფოები ერთგავარად იყვნენ საბჭოთა რუსეთის გავლენაში, ქართველი პოლიტიკოსები არაპირდაპირ ( მათი მხარდამჭერი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკოსთა საშუალებით) მაინც აყენებდნენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, ამხელდნენ საბჭოთა რუსეთის ანტიჰუმანურ, აგრესიულ საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას, რაც არა მარტო დაპყრობილი საქართველოს, არამედ მშვიდობისმოყვარე კულტურული კაცობრიობის საწინააღმდეგო ნაბიჯად აღიქმებოდა;

15. ემიგრაციაში მოღვაწე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ნაწილი მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ძალაუნებურად აღმოჩნდა მსოფლიოს ყველაზე რეგრესული ძალების მხარეს. ქართული ორგანიზაციების – „თეთრი გიორგის“ და „ქართული ფაშისტური დარაზმულობის“ წევრებმა, მეორე მსოფლიო ომში, ინდივიდუალურად მიიღეს მონაწილეობა. გერმანიის მხარეს იბრძოდნენ „ბერმგმანი“, „ბრანდერბურგის დივიზია“ და სხვ. ქართველების მონაწილეობით შექმნილი დივიზიები. ისინი ბრძოლაში გერმანიის მხარეს ჩაერთნენ, რაც საქართველოს გათავისუფლების სურვილით იყო გამოწვეული. „ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარია“. აღნიშნული პრინციპით, ქართველი ემიგრანტების ერთი ნაწილი მეორე მსოფლიო ომში უნებლიედ იქცა გერმანიის მოკავშირედ. განმეორდა ისტორიული ბედისწერის ის ტრაგიკული გამოცდილება, როდესაც ქართველები აღმოსავლურ ომებში როგორც მტრები და მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, განსხვავება იყო ის, რომ ამჯერად ორივე მხარე საკუთარი თავგანწირვით

საქართველოს გადარჩენას ფიქრობდა. მეორე მსოფლიო ომში, საბჭოთა კავშირის მხარეზე დაახლოებით, 700 ათასი ქართველი იბრძოდა, გერმანელების მხარეს კი 32 ათასი, მათ შორის 500 ემიგრანტი (უმრავლესობა ტყვედ ჩავარდნილი ქართველები იყვნენ). ქართველი ერის სუვერენობა, დემოკრატიისკენ სწრაფვა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს არის ძირითადი მიზეზები, რისთვისაც ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციებად გაყოფილი ემიგრანტი პოლიტიკოსები მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის მხარეს იბრძოდნენ;

16. XX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპი 1950-იანი წლებიდან 1986 წლის ჩათვლით, პერიოდს მოიცავს. ამ დროს, ადგილი ჰქონდა კომუნისტური დიქტატურისა და მარქსისტული მსოფლმხედველობის სულიერი ბატონობის ვითარებაში მიძინებული ეროვნული თვითშეგნების აღდგენისკენ სწრაფვას, ასევე, დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის ტენდენციების ჩამოყალიბებას. აღნიშნულ პერიოდში, ერონული მოძრაობის მთავარ ძალას - დისიდენტები, ეროვნულ-პატრიოტული, არალეგალური ჯგუფები და ორგანიზაციები წარმოადგენენ. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმისა და განსხვავებული აზრის სასტიკი დევნისა, ქართველ ხალხში, სტუდენტობაში ეროვნული თავისუფლების სულისკვეთება კვლავ ცოცხლობდა. ფარულად არსებობდნენ ორგანიზაციები („გორგასლიანი“ ,„სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია“ („საგ“-ი), რომელიც 1956 წლის 10 მარტს ჩამოყალიბდა, 1961-1964 წლებში, თბილისში, მოქმედი, ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია _ „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კავშირი“), რომელთა შემადგენლობა თავიდან, მართალია, დიდი არ იყო, თუმცა ისინი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ არალეგალურ საქმიანობას მაინც ეწეოდნენ;

17. საბჭოური იდეოლოგიური მანქანა ახალგაზრდობის ეროვნული გრძნობების სრულ დევალვაციას ახდენდა, მაგრამ ეროვნული ძალების მიერ შექმნილი იატაკქვეშა ორგანიზაციები და პრესა, შეძლებისდაგვარად, მას სწორ

მიმართულებას აძლევდა, აფხიზლებდა, თუმცა, ამ საშუალებებს, უშიშროების ორგანოების მცდელობით, ნაკლები ხელმისაწვდომობა ახასიათებდა. საბჭოური პროპაგანდის წყალობით, ათწლეულების განმავლობაში სტალინისა და სამშობლოს თაყვანისცემა ქართველი ახალგაზრდობის ცნობიერებაში ერთმანეთს დაუკავშირდა, საბჭოთა ბელადის სახელი ეროვნული სიამაყის სიმბოლოდ აღიქმებოდა. სტალინის კრიტიკა და ქართველი ერის ლანძღვა ახალგაზრდობამ საქართველოში ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების შეურაცხყოფად მიიღო, რამაც 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია მოიტანა. ამ ტრაგედიამ ბიძგი მისცა ეროვნულ პროცესებს, ქართველი ხალხის ეროვნულ ცნობიერებას, ტოტალიტარული რეჟიმის დაგმობას, საბჭოთა ღირებულებების კრიტიკულ გააზრებას და გადასინჯვას. დაიწყო ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლის უმთავრესი მიზანი საქართველოს განთავისუფლება და სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო;

18. ქართველი ერის საუკეთესო შვილები, ერის უმცირესობა, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის სამომავლო ბედი, ცდილობდა საქართველოს ეროვნული ინტერესების ფართო საერთაშორისო არენაზე გატანას. ამის შედეგი იყო საქართველოში „ჰელსინკის კავშირის" დაარსება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ, 1976 წელს. ჰელსინკის დეკლარაციამ საბჭოთა ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ასევე, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთპარტიული მმართველობის დასრულებას შეუწყო ხელი. ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელის მოწერის შემდეგ, საბჭოთა კავშირს უნდა შეეწყვიტა საქართველოს ანექსია და საოკუპაციო ჯარი ქვეყნიდან გაეყვანა. ჰელსინკის ჯგუფი თავიდანვე ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ამხელდა საქართველოში მიმდინარე ანტიეროვნულ პროცესებს. ამ ორგანიზაციის დაარსებამ და საქმიანობამ გააღრმავა და გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში;
19. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი როლი ითამაშადისიდენტურმა არალეგალურმა პრესამ, ჟურნალებმა „საქართველოს მოამბე" და „ოქროს საწმისი". დისიდენტურ ჟურნალებში გამოქვეყნებული

წერილები მოითხოვდა: საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რელიგიურ უფლებათა აღდგენას, ეკლესიაში სიარულის გამო, ახალგაზრდების დევნის შეწყვეტას, ეკლესიიდან უღირსი მღვდელმსახურების, მასში შეგზავნილი აგენტების განკვეთას, სუკ-ის იმ თანამშრომლების დასჯას, რომლებიც, 1972 წელს, საპატრიარქოს გაძარცვაში მონაწილეობდნენ, ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის დ. ქორიძის დევნის შეწყვეტას, რომელმაც შეადგინა ოქმი საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ. ჰელსინკის ჯგუფის წევრები მოითხოვდნენ, ასევე, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის პატივისცემას, საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების რუსიფიკაციის მცდელობის შეწყვეტას, რაც ძირითადი საგნების რუსულ ენაზე წაკითხვას გულისხმობდა. ასევე, ითხოვდნენ: საქართველოს ისტორიის სწავლების აღდგენას ქართულ სკოლებში, საქართველოს ისტორიის ნიშნის შეტანას ატესტატში. ამ პრობლემების ჩამოთვლაც მიუთითებს გამოცემათა აქტუალობაზე, მათი როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე;

20. გაძლიერებულმა ეროვნულმა მოძრაობამ პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა 1978 წლის აპრილის მოვლენებისას, როდესაც ბრძოლა ქართული ენის უფლების დასაცავად წარმატებით დაგვირგვინდა. მომდევნო წლებში მოძრაობის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდა. ის თანდათან გამოვიდა კონსპირაციული რეჟიმიდან და საყოველთაო, სახალხო ბრძოლის ფორმა მიიღო;
21. 1985 წლიდან, „გარდაქმნის“ პოლიტიკამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძაობას მეტი გასაქანი შესძინა: შეიქმნა ახალი პარტიები, რაც ერთპარტიული, დიქტატორული სახელმწიფოსთვის უჩვეულო და ნამდვილი რევოლუციური სიახლე იყო.1987 წელს დაარსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. 1988-1989 წლებში ასპარეზზე გამოვიდნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, სახალხო ფრონტი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება და სხვა. ლეგალური მუშაობის საშუალება მიეცათ ადრე

დაარსებულ რესპუბლიკურ პარტიას, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და სხვებს. ეროვნული ძალები შეებრძოლენ ანტიქართული მიზნებით სახელმწიფოს მიერ შექმნილ პროექტებს, მთელ მსოფლიოს დაანახეს რუსული აგრესიის სახიფათო დამოკიდებულება პატარა ერებისადმი, რაც ნათლად გამოვლინდა 1989 წლის 9 აპრილს. საერთაშორისო ასპარეზზე ფართო საინფორმაციო პოლიტიკისა და საზოგადოების მასშტაბური ჩართვით ანტისაბჭოთა მოძრაობაში, მრავალპარტიული, დემოკრატიული ღირებულებების მქონე სისტემის დანერგვით, ეროვნულმა ძალებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს და 1990 წლის 28 ოქტომბერს აიძულეს კომუნისტური პარტია არჩევნების გზით დაეტოვებინა პოლიტიკური ასპარეზი. საქართველომ მე-20 საუკუნეში მეორედ აღიდგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა, რომელიც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე იმავე წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ავალიშვილი ზ. 1929,** - „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებები, ნარკვევები“, თბილისი. გამომც. ,,ზარია ვასტოკა“;
2. **ასათიანი ა. 1928**, - „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, პარიზი. გამომც. ,,საქ. ვალენტინი“;
3. **ახვლედიანი ხ. 1971**, - „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921 წწ.)“, ბათუმი. გამომც. ,,საბჭოთა აჭარა“;
4. **ახვლედიანი ხ. 2012, -** „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, ბათუმი. გამომც. ,,აჭარა“;
5. **ბაქრაძე ა. 1995**, - „დაწუნებული გზა“, თბილისი. გამომც. ,,სარანგი“;
6. **ბაქრაძე ა. 2008,** - თხზულებანი, ტ. II, თბილისი. გამომც. ,,მერანი“;
7. **ბენდიანიშვილი ა. 2001,** „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“, თბილისი. გამომც. ,,მემატიანე“;
8. **ბენდიანიშვილი ა. 2006,** - ,,ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები“, თბილისი. გამომც. ,,მემატიანე“;
9. **ბენდიანიშვილი ა, დაუშვილი ა, სამსონაძე მ, ქოქრაშვილი ხ, ჭუმბურიძე დ, ჯანელიძე ო,** „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“, თბილისი. გამომც. ,,მემატიანე“;
10. **ბენიძე ვ. 1991,** -,,1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბილისი, გამომც. ,,ცოდნა“;
11. **ბენიძე ვ. 1999,** - „საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 1920-1925 წწ.“, თბილისი. გამომც. ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“;
12. **ბურდიაშვილი მ. 2014,** - „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში“ 1921-1924 წლებში, თბილისი, გამომც. ,,უნივერსალი“;
13. **ბონვეჩი ბ, იუნგე მ. ო. თუშურაშვილი რედ. 2015,** „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში“, თბილისი;

14. **ბლუაშვილი უ. 1994,** _ _ „პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წ.წ.“, თბილისი. გამომც. ,,ხატიონი“;
15. **გაბლიანი გ. 2000,** - „ჩემი მოგონებანი“, თბილისი. გამომც. ,,ქუთაისის სტამბის საგამომცემლო ცენტრი 1998 ლომისი“;
16. **გამახარია ჯ. 1991,** - „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან“, თბილისი. გამომც. ,,ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოს გაერთიანება“;
17. **გამრეკელი ი. 1982,** - კრებული, თბილისი, გამომც. „ხელოვნება“;
18. **გელაშვილი გ. 2009,** - „ბოლშევიკების შეჭრა საქართველოში, ბოლშევიკების აგრესია“, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბილისი;
19. **გოგიტიძე მ. 2007,** «Генералы и адмиралы из Грузии» Тб;
20. **გოგიტიძე მ. 2015,** - „სამხედრო ფიცის ერთგულნი“, თბილისი. გამომც. ,,შ. რუსთაველის ეროვნული უნივერსიტეტი“;
21. **გოგუაძე ვ. 1992,** - „ომი“, ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეული, გურამ შარაძის რედაქციით, ტომი 3, თბილისი. გამომც. ,,მეცნიერება“;
22. **გურული ვ. 1998,** - „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა“, თბილისი;
23. **დარსანია ნ. 1998,** - „იყო თუ არა გარდაუვალი საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება“, თბილისი, გამომც. „საისტორიო ძიებანი“;
24. **დაუშვილი რ. 2007**, - „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში“ , თბილისი, გამომც. „რაეო“;
25. **დაუშვილი ა. 2009,** - „ლორეს პროვოკაცია“, სამეცნიერო კრებული „ანალები“, #1, 2005; მისივე, „აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები“, თბილისი. გამომც. ,,უნივერსალი“;
26. **დაუშვილი ა. 2000**, - საეროვნებათაშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1941 წ. წ. სამრეწველო საწარმოთა მასალების მიხედვით, თბილისი. გამომც. ,,მემატიანე“;
27. **ვადაჭკორია შ. 2004**, - „ქართული სოციალ-დემოკრატია 1918-1921 წლებში“, თბილისი. გამომც. ,,საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“;

28. **ვადაჭკორია შ. 1998,** - „ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში“, თბილისი. გამომც. ,,ეროვნული ურთ. კვლევის ცენტრი“;
29. **ვარდოსანიძე ს. 2001,** - „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952.“თბილისი. გამომც.,,მეცნიერება“;
30. **ვასაძე ა. 1977,** - „მოგონებები, ფიქრები“, თბილისი. გამომც. ,,საქ. თეატრალური საზოგადოება“;
31. **ვაჩნაძე მ, გურული ვ. 2001** - „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა: ისტორია, შედეგები, გაკვეთილები,“თბილისი. გამომც. ,,უნივერსალი“;
32. **ზალდასტანიშვილი ს,** 1989 - „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, თბილისი, გამომც. „მერანი“;
33. **ზოსიძე ნ. 2005**, - „საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან (სვიმონ მდივნის წერილები)“, შრომების კრებული ბათუმი. გამომც. „საისტორიო მაცნე“;
34. **თაყაიშვილი ე. 1991,** - „ემიგრანტული ნაშრომები“, ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეული, გ. შარაძის რედაქციით, ტომი 2, თბილისი. გამომც. ,,მეცნიერება“;
35. **თევზაძე ვ. 1990,** - „ქართველი ოფიცრის ჩანაწერები“, თბილისი. გამომც. ,,მეცნიერება“;
36. **თოიძე ლ. 1991,** - „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც“, თბილისი. გამომც. ,,ივენთა მხარე“;
37. **თოიძე ლ. 1999,** - ლევან თოიძე, „საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923),“თბილისი. გამომც. ,,თბილისის უნივერსიტეტი“;
38. **თოფჩიშვილი რ. 1997**, _ „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“, თბილისი. გამომც. ,,ლომისი“;
39. **ირემაძე ა. 1984**, - „განთიადის სათავეებთან: ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ბრძოლა თავისუფლებისათვის ოქტომბრის რევოლუციის დროს“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

40. **კახიძე ნ. 2009,** - „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში“, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქ. #59, კრებული „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები“, თბილისი;
41. **კერესელიძე ლ. 2008,** - „კიდევ ერთხელ რუსულ ოკუპაციასა და მე-11 არმიაზე“, კრებული „საქართველოს მოამბე“, თბილისი;
42. **კვინიტაძე გ. 1990,** - „ჩემი პასუხი“, თბილისი. გამომც. ,,მეცნიერება“;
43. **კვინიტაძე გ. 1999,** - , „მოგონებები“, თბილისი. გამომც. ,,ლომისი“;
44. **კირთაძე ნ. 1996**, - „პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა: ოკუპაციის პირველი წლები“, თბილისი. გამომც. ,,საქართველო“;
45. **კირთაძე ნ. 1996,** -,,1924 წლის აჯანყება საქართველოში“, თბილისი. გამომც. ,,უნივერსიტეტის სტამბა“;
46. **კირთაძე ნ. 1998,** -,,კაენ, სად არის ძმა შენი?!“ . თბილისი. გამომც. ,,მერანი“;
47. **კვესელავა ი. 1999,** _„დისიდენტური მოძრაობა საქართველოში“, თბილისი. გამომც. ,,სამშობლო“;
48. **კვესელავა ი. 1999**, - „საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი საკითხი“, თბილისი. გამომც. ,,სამშობლო“;
49. **კვესელავა ი.** 1999; „საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკითხები“, თბილისი. გამომც. ,,სამშობლო“;
50. **კვესელავა ი. 2004,** - „საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990)“, თბილისი. გამომც. ,,საქ. ტექ.უნივერსიტეტი“;
51. **კვესელავა ი. 2007,** - „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები, II. ზვიად გამსახურდია: დისიდენტი პრეზიდენტი, , თბილისი. გამომც. ,,მოწამე“;
52. **კიკნაძე ვ. 1992,** - „წამებული რაინდები“, თბილისი, გამომც. „ქართული თეატრი“;
53. **კობიაშვილი მ.** ციციშვილი თ, მოდებაძე ი. 1992_ „ქართული ლიტერატურის ისტორიის თავგადასავალი კომუნისტურ ეპოქაში“, თბილისი;
54. **კუპატაძე ე. 2011,** - „ქართული ეროვნული დივიზიები დიდ სამამულო ომში“, თბილისი. გამომც. ,,თავდაცვის ერონვული აკადემია“;

55. **კაჭარავა ი, 1976**, - საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტომი VII, საქართველო XX საუკუნის 20-30-იანწლებში, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“;
56. **კაჭარავა ი**, 1984 - საქართველოს ისტორია, თბილისი, გამომც. „განათლება“;
57. **ლენინი ვ.ი 1972,** - ვ. ი. ლენინი, თხზულებათა ტომი 42, 1917 წლის ოქტომბერი-1923 წლის მარტი, გამოცემა მეოთხე, იბეჭდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, გვ. 288-289, თბილისი;
58. **ლიგაჩოვი ე. 1999,** - „გორბაჩოვის გამოცანა“, თბილისი;
59. **ლომაშვილი ფ. 1997**, - „საქართველოს ისტორია (1918-1921 წწ.)“, თბილისი. გამოც. ,,საქართ. მაცნე“;
60. **ლორთქიფანიძე მ. 1990,** - „აფხაზები და აფხაზეთი“, თბილისი. გამომც. ,,განათლება“;
61. **მაზნიაშვილი გ. 1990**, - „მოგონებები“, ბათუმი. გამომც. ,,საბჭოთა აჭარა“;
62. **მამუკელაშვილი ე. 2009**, - „ჩვენები“, თელავი. გამომც. ,,უნივერსალი“;
63. **მამუკელაშვილი ე. 2010,** - „საქართველო ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში“, თბილისი. გამომც. ,,თელავის სახ. უნივერსიტეტი“;
64. **მამუკელაშვილი ე. 2013**, - ელგუჯა მამუკელაშვილი, „აფხაზეთი (1992-1993)“. თბილისი. გამომც. ,,თელავის სახ. უნივერსიტეტი“;
65. **მანველიძე ი. 2006,** - „საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში“, ბათუმი. გამომც. ,,შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი“;
66. **მანველიძე ი. 2007**, - „საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში“, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, #2. ბათუმი. გამომც. ,,შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი“;
67. **მათიკაშვილი ნ. 1990,** - მიხეილ კვალიაშვილი, „იუნკრები“, თბილისი. გამომც. ,,მეცნიერება“;
68. **მანველიშვილი ა. 1984**, - „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“, სან-ფრანცისკო;

69. **მანველიშვილი ა. 1990**, - „თეთრგიორგული მოძრაობა და მონარქია“, წიგნში: „ნარკვევები და წერილები“, სან-ფრანცისკო;
70. **მანველი ი. 2001,** - „ანტისაბჭოთა გამოსვლები აჭარაში 1921-1930 წლებში“, ბათუმი. გამომც. ,,შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი“;
71. **მაღლაკელიძე შ. 2012**, - „მოგონებები“, თბილისი, გამომც. „პეგასი“;
72. **მაცაბერიძე მ. 1999,** - „1991-1992 წლების მოვლენების შეფასების საკითხისათვის“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო კრებული. თბილისი. გამომც. „ახალი დროება“;
73. **მარშანია ლ. 1995**, - „აფხაზეთის ტრაგედია“, თბილისი. გამომც. ,,საქართველო“;
74. **მგელაძე ვ. 1991**, - „რუსეთის მობრუნება საქართველოში“, თბილისი, გამომც. ,,ცოდნა“;
75. **მენთეშაშვილი ა. 1990,-** „ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“ (რუსულ ენაზე) ,თბილისი. გამომც. ,,ცოდნა“;
76. **მენთეშაშვილი მ. 1990**, _ Ментешашвили, „Грузия- РСФСР (1920-1921 годы)“, Литературная Грузия, №2;
77. **მიბჩუანი თ. 1994**, - „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე“, თბილისი. გამომც. ,,ჯისიაი“;
78. **მურუსიძე შ. 2008,** - „ქართული ემიგრაციისეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის პრობლემები“, თბილისი.
79. **მურუსიძე შ. შველიძე ე, 2009** - „ქართველ მხედართა დარაზმულობის ისტორიიდან“, კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბილისი;
80. **მურუსიძე შ. 2010**: „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი“, კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2(8), თბილისი;
81. **მჭედლიძე გ. 1999,** _ „ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)“, ქუთაისი. გამომც. ,,ლომისი“;

82. **ნათმელაძე მ, დაუშვილი ა. 2004**, - „საქართველოს უახლესი ისტორია“ (1921-2000), თბილისი. გამომც. ,,საქართ. მეცნიერებათა აკადემია“;
83. **ნათმელაძე მ, დაუშვილი ა. ნათმელაძე ა, ჯაფარიძე მ, წენგუაშვილი .** 2008 - ,,საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში“, თბილისი. გამომც. ,,უნივერსალი“;
84. **ნარიმანიძე ე. 2000**, - „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში“, თბილისი;
85. **ნოზაძე ვ. 1989,** - „საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთის გამო“, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, თბილისი;
86. **ოდიშარია გ. 1995,** - „სოხუმში დაბრუნება“, თბილისი. გამომც. ,,მერანი“;
87. **სვანიძე მ. 2003,** - „დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში“, სამეცნიერო კრებული „ქართული დიპლომატია“, ტომი X,
88. **პაიპსი 1994,** - Richard Pipes, Communisme“, ed. Modern Library, 2003. Richard Pipes, „**Communism, the Vanished Specter**“, (,,კომუნიზმი უკვალოდ გამქრალ სპექტრში), Scandinavian University Press;
89. **ქვანია გ. 1992,** - „როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია“, თბილისი. გამომც. ,,სამშობლო“;
90. **ქვანია გრ. 1999,** - „მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და ხელისუფლების დამხობა“, თბილისი. გამომც. ,,მემატიანე“;
91. **ჟორდანია ნ. 1990**, - „ჩემი წარსული“, თბილისი. გამომც. ,,სარანგი“;
92. **ჟორდანია ნ. 1925,** - „რა მოხდა“, პარიზი;
93. **რამიშვილი ა. 2000**, - „ჩვენი შეცდომები (1918-1921 წწ.“, თბილისი. გამომც. ,,მესამე ასაკი“;
94. **სარალიძე ლ. 2015**, - „საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან“, ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები 1(16), თბილისი, გამომც. „უნივერსალი“;

95. **სარალიძე ლ. 2010**, - „იოსებ პილსუდსკი და პოლონელი ხალხის ბრძოლა რუსული აგრესიის წინააღმდეგ“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მეომრის ბიბლიოთეკა #19, გვ. 57, თბილისი. გამომც. ,,2009 ტოფოგრაფიულ სამეურ. კარტ. განყ.სტამბა“;
96. **სარალიძე ლ. 2005**, - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, სამეცნიერო კრებული, „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, #8;
97. **სარალიძე ლ. 2010-2011**, - „რუსეთ-საქართველოს 1932 წლის თავდაუსხმელობის პაქტი და ქართული ემიგრაცია“, კრებულში: „ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, X-XI, თბილისი. გამომც. ,,უნივერსალი“;
98. **სარალიძე ლ. 2009,** - „საქართველოში ეუთოს მისიის მოღვაწეობის ისტორიიდან“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2 (6), თბილისი, გამომც. „უნივერსალი“;
99. **სარალიძე ლ. 2014,** - „საქართველოს დეოკუპაციისთვის ბრძოლის ისტორიიდან (1922-1923 წწ.)“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1(14), გვ. 69-79, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“;
100. **სარალიძე ლ, ჭუმბრიძე დ, კიკნაძე ვ, ქოქრაშვილი ხ** 2016 - საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII_XXI საუკუნეებში, ტომი II, თბილისი. გამომც. ,,2006 ქ.ს.უ“
101. **სილაქაძე დ. 2011,** - „ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი)“, თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I;
102. **სონღულაშვილი ა. 2009**, - „9 აპრილის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისთვის“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2(6), თბილისი;
103. **სონღულაშვილი ა. 2010,** - „ისტორიული ნარკვევები“, თბილისი. გამომც. ,,უნივერსალი“;

104. **სულაძე გ. 2010,** - „ქართული საბჭოთა ემიგრაცია და სპეც სამსახურები“, თბილისი. გამომც. ,,ეროვნული მწერლ. გამგეობა და სტამბა“;

105. **სურგულაძე პ. 1917**, - „საქართველო თავისუფლებისაკენ“ , სტამბოლი. ქართველთა ეროვნული კომიტ. გამომცემლობა;

106. **სურგულაძე პ. 1917,** - „საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“, სტამბოლი. ქართველთა ეროვნული კომიტ. გამომცემლობა;

107. **სურგულაძე პ. 1918,** - „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“, სტამბოლი. ქართველთა ეროვნული კომიტ. გამომცემლობა;

108. **სურგულაძე ა. 1972, -** „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“ - „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი VI, თბილისი. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო“;

109. **სურგულაძე** პ, სურგულაძე ა, 1991- „საქართველოს ისტორია“, თბილისი. გამომც. ,,თსუ“

110. **ურატაძე გ. 1956,** - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და კონსოლიდაცია“, მიუნხენი;

111. **ურატაძე გ. 1958,** - გრიგოლ ურატაძე, „ნამდვილი და ყალბი ისტორია“, პარიზი;

112. **ქებაძე მ. 2008,** - „პოლონეთი, ქართველების მეორე სამშობლო“, თელავი.

113. **ღლონტი თ. 1921,** - „ფურცლები (ქემალის სცენები),“თბილისი; .

114. **ყორანაშვილი გ. 2001**, - „9 აპრილი: მითი და სინამდვილე“, თბილისი. გამომც. ,, ახალი საქართველო“;

115. **ყორანაშვილი გ 1996**, - საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი. გამომც. ,,მერწყული“;

116. **შარაძე გ. 1991,** - „უცხოეთის ცის ქვეშ“, სამ ტომად, თბილისი. გამოც. ,,მერანი“;

117. **შარაძე გ. 2001-2005,** - „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, თბილისი; გამომც. ,,მერანი“;

118. **შველიძე დ. 2008,** - „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992)“, თბილისი. გამომც. ,,უნივერსალი“;

119. **ჩავლეიშვილი მ. 1977,** - „Великий октябрь и победа Социалистической революции в Аджарии", Батуми; გამომც. ,,საბჭოთა აჭარა:
120. **ჩავლეიშვილი მ. 1987,** - „Октябрьская революция и борьба за установление Советской власти в Аджарии (1917-1921 гг)", Батуми. გამომც. საბჭოთა აჭარა";
121. **ჩაჩხიანი ა. 2015**, - „რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922)", თბილისი;
122. **ჩერვონაია ს. 1994,** - „აფხაზეთი, 1992 პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა", თბილისი. გამომც. ,,ჯისიაი";
123. **ჩიჯავაძე-კედია ს. 2002**, - „ნასმენ-ნახული", თბილისი. გამომც. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი";
124. **ჩულოკი ი. 1970,** - „Очерки истории Батумской комунистической организаций (1890-1921 годы)", Батуми;
125. **ჩხარტიშვილი ც. 2008**, - „გენერალი გიორგი მაზნიაშვილი", თბილისი;
126. **ჩხარტიშვილი ც. 2009:21-32**, - „ტრაგიკული 9 აპრილის გენერალ ლებედისეული შეფასება", კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", 2(6), თბილისი. გამომც. ,,გაერთ. შტაბი ტოპ. სამ. პარტ განყ. სტამბა";
127. **ჩხეიძე ო. 1994,** - „არტისტული გადატრიალება", თბილისი. გამოცმ. ,,ლომისი";
128. **ჩხეიძე რ. 1998,** - „თუ საწუთრომან დამამხოს", თბილისი. გამომცც. ,,ლომისი";
129. **ჩხეიძე რ. 1992,1994,** - „დაწყევლილი თაობა", I-II წიგნები, თბილისი, გამომც. „ნაკადული";
130. **ციციშვილი გ. 1998**, - „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ", თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა;
131. **ციციშვილი გ. 2003,** - „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ", თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა;
132. **ციციშვილი გ. 2004**, - „სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ", თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა;

133. **ცოტნიაშვილი მ. 1998,** - „ოსური სეპარატისტული მოძრაობა და მისი არსი“, თბილისი;

134. **ცოცანიძე გ. 2004**, - „თუშური ქრონიკები, სამანელები“, თბილისი, გამომც. „დიოგენე“;

135. **ცუხიშვილი რ. 1996**, _ „ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921 წწ.)“, თბილისი. გამომც. ,,მერიდიანი“;

136. **ცქვიტარია პ. 1962**, - „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები“, წიგნი მეორე, (1914-1921 წწ.), ბათუმი. ,,საქართველოს მთავარი პოლიგრაფიული გამომცემლობა;

137. **ძაბირაძე ვ. 2007,** - „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები“, თბილისი. გამომც. ,,შპს თბილისელები“;

138. **წენგუაშვილი კ. 2005,** - „საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია,“ თბილისი. გამომც. ,,საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ისტ. და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“;

139. **წიქარიშვილი გ. 2003**, - „ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)“, თბილისი;

140. **ჭინჭარაული შ. 1991**, - „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“, თბილისი;

141. **ჭიღვარია ტ. 2000,** _ „საქართველო და საბჭოთა რუსეთი“, სამეცნიერო კრებული „საისტორიო მაცნე“, #9, ბათუმი;

142. **ჭიღვარია 1999,** - „საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა“, ჟურნალი „საქართველო-ევროპა-ამერიკა“, თბილისი;

143. **ჭუმბურიძე დ. 1999,** - „აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი“, თბილისი. გამომც. ,,მემატიანე“;

144. **ჭუმბურიძე დ. 2003,** _ „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში“, თბილისი. გამომც. ,,მემატიანე“;

145. **ჭუმბურიძე დ. 2012,** - „გერასიმე მახარაძე. საქართველოს უკანასკნელი დესპანის ტრაგედია საბჭოთა მოსკოვში“, გვ. 254-267, წიგნში: „ისტორიული პორტრეტები. წერილები“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;

146. **ჭუმბურიძე დ. 2012,** - „გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937)“, თბილისი, გამომცემლობა „არტლაინსის აკადემიური წიგნები“;
147. **ჭუმბურიძე დ. 2012,** - „რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 1918-1924 წლებში და ჟურნალი „მხედარი“, გვ. 402-413, წიგნში: „ისტორიული პორტრეტები. წერილები“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;
148. **ჭუმბურიძე დ. 2013,** - ბრძოლა ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ (1921-1924 წლები), საქართველოს სამხედრო ისტორია, ტომი II, თბილისი;
149. **ჭუმბურიძე დ. 2015:107-123,** - „ზოგიერთი დეტალი საზღვარგარეთ 1924 წლის აჯანყების გამოძახილისა და ქართული ემიგრაციის თვალსაზრისის შესახებ“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1(16), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;
150. **ჯავახიშვილი ნ. 1998,** - „ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ“, თბილისი. გამომც. ,,თბილისის სახ. უნივერსიტეტი“;
151. **ჯანელიძე ო. 2000,** - „სვანეთის 1921-1922 წლების ანტისაბჭოთა აჯანყება“, თბილისი. „კავკასიის მაცნე“;
152. **ჯანელიძე ო. 2000,** - „დახვრეტილი თავისუფლება“, თბილისი, გამომც. ,,ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“;
153. **ჯანელიძე ო. 2009**, - „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა“, კრებულში: „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები“, თბილისი. გამომც. ,,პოლიტოლოგიის ინსტიტუტი“;
154. **ჯანელიძე ო. 2011,** - „ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის 1921 წლის მოლაპარაკებებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში“, წიგნში: „ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის 18-20 მარტი“, თბილისი;
155. **ჯანელიძე ო. 2012,** - „ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან“, გვ. 247-275, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, გამომცემლობა „საარი“;

156. **ჯიჯეიშვილი მ. 1957,** - „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში“, ბათუმი. აჭარის ასსრ სახ. გამ.

157. **История новейшего времени 1989**, - „История новейшего времени стран Европи и Америки 1918-1945“, под редакцией Е. Ф. Языкова, изд. „Высшая школа“, Москва,

158. **История Франции 1973:228,229**, - Том 3, стр: 228-229, Академия наук СССР, изд., „Наука“, Москва,

159. **Мамулия Г 2003**, -, „Грузинский легион в барьбе за свободу и независимость Грузии в годы второй мировой войны“, Тбилиси ,

160. **Орджоникидзе** Г **1936:98**, - „ Статьи и речи,“ Москва,

161. **Траскунов1958:225,** - , „Героический боевой путь 11- ой Армии на фронтах Гражданской войны“, Тбилиси,

**162. Frederic J. Fleron, Jr. Erik P. Hoffmann, Robbin F. Laird,** „**Soviet foreign policy, 1917-1991, Classic and contemporary issues**“**, („sabWoTa sagareo politika, 1917-1991, klasikuri da Tanamedrove sakiTxebi**“**), New Brunswigk, New Jersey, 2009.**

163. **Hélène Carrère d'Encausse,** „**La politique soviétique au Moyen-Orient:** 1955-1975“, Presses de la Fondation nationale des sciences politiques, Paris, 1975;**Hélène Carrère d'Encausse,**„ **L'URSS de la Révolution à la mort de Staline 1917-1953**“**,** éd., du Seuil, Paris, 1993.

164. **Humphrey JP, 1979:21-37,** _ Humphrey JP, "The Universal Declaration of Human Rights: Its History, Impact and Juridical Character", in Ramcharan BG (ed), Human Rights: Thirty Years After the Universal Declaration, pp. 2l-37, 1979.

## ისტორიული წყაროები

1. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფონდი 1864, აღწერა 2;
2. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობა, ფონდი 1861, აღწერა 3;

3. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, ფონდი 1891, აღწერა 4;
4. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის – აკაკი ჩხენკელის პირადი ფონდი 1831;
5. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო, ფონდი 1969, აღწერა 4;
6. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, აღწერა 3;
7. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიას პირადი ფონდი#2113;
8. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის – კონსტანტინე გვარჯალაძის პირადი ფონდი#2114;
9. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის – ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის პირადი ფონდი # 2115;
10. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო ფონდი #2117;
11. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის _ სიმონ მდივანის პირადი ფონდი # 2118;

12. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის პირადი ფონდი #2121;
13. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის პირადი ფონდი #2122;
14. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის ვლასა მგელაძის პირადი ფონდი #2123;
15. საქართველოსეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), გაზეთ „ბრძოლის" რედაქტორის, დამფუძნებელი კრების წევრის დავით შარაშიძის პირადი ფონდი # 2124;
16. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის მინისტრის, ლევილის მამულის გამგის – გიორგი ერაძის პირადი ფონდი #2125;
17. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი დოკუმენტების კოლექცია ფონდი #2128;
18. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარის – ნოე რამიშვილის პირადი ფონდი # 2130;
19. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს მუდმივი მდივნის სანდრო მენაღარაშვილის პირადი ფონდი # 2131.
20. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), ფონდი 2113 - ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას პირადი ფონდი. (სულ 342 საქმე).
21. შსს არქივი (II), ფონდი#6, ს. # 22905-61;
22. შსს არქივი (III), ფონდი#6,ს. #49; ს. #9862;

23. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 311, ფურც 1.
24. სუიცსა 1863:107, - საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე#107, ფურც. 8.
25. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 59, ფურცელი 76-79.
26. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 12, აღწერა 1, საქმე 13, ფურც. 227.
27. შსს არქივი , საქმე 836, - შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 8, აღწერა 11, საქმე 836, ფურცელი 34.
28. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), ფონდი 1831 (აკაკი ჩხენკელის პირადი ფონდი), აღწერა 2, საქმე 62, _ სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფ.2.
29. საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), 1831, საქმე 110, ფ. 1-7, _
30. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 110, ფურც. 1-7
31. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 114, ფ.1-7;
32. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 125, ფურც. 1-7;
33. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 126, ფ. 1;
34. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 126, ფ. 12;
35. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 126, ფ. 14
36. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე111, ფურც.2;
37. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფ.2
38. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფურც. 6-7
39. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფურც. 9-10;
40. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 422, ფ.7;
41. სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 416, ფ.1-2.
42. სსცსა 1831:422; საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 422, ფურცელი 1-3.

43. ცსსსა 2128:37, - საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 37, ფურცელი 1. დოკუმენტები მიუნხენში ქართული პოლიტიკური კომიტეტის დაარსებისა და მისი ამოცანების შესახებ.
44. ცსსსა 1864: 862, - საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 862, ფურცელი 11. ნიუ-იორკში ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელ ვასილ დუმბაძის მიმოწერა აშშ-ის სენატისა და კონგრესის წარმომადგენლებთან – ს. მ. ჟერარდთან, ჰენრი ლაინუილსონთან, ე. ერკისთან და სხვა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხის განხილვის შესახებ.
45. ცსსსა 2128: 37, - ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 37, ფურცელი 5-6.
46. ცსსსა 2128:37, - საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 37, ფურცელი 1. დოკუმენტები მიუნხენში ქართული პოლიტიკური კომიტეტის დაარსებისა და მისი ამოცანების შესახებ.
47. ცსსსა 2121:38, - ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2121 აღწერა 1, საქმე 38, ფურცელი 1.
48. ცსსსა 2121: 35, - ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2121 აღწერა 1, საქმე 35, ფურცელი 12-13.
49. ცსსსა 1864:59, - ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა1, საქმე 59, ფ. 18,21.
50. შსსა 14: 658, - შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი#14, აღწერა 11, საქმე #658.
51. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 28 თებერვლის სხდომის ანგარიში, თბილისი, 2006;
52. „Окупация и фактическая анексияГрузии (Документыиматериалы)“, Тб., 1990;
53. „Документы внешней политики СССР“, т. III, М., 1959.
54. Акты советской дипломатии 1928, - Международная политика новейшего времени в договорах , нотах и декларациях, част III: От снятия блокады с Советской России до десятилетия Октябрьской Революции. Выпуск I: Акты

советской дипломатии / Проф. Ю.В. Ключников и проф. А.В. Сабанин., , стр. 87, Москва, Издание Литиздата НКИД, 1928.

55. Борьба за победу Советской власти в Грузий, Документы и материалы (1917-1921 гг.), Тбилиси, 1958;
56. Сборник документов 1963 :293, - Сборник документов и материалов, Сухуми, 1963.
57. „Окупация и фактическая анексия Грузии (Документы и материалы)“, Тб., 1990;

## პერიოდული პრესა;

### სამეცნიერო ჟურნალები:

1. **არაბული ა. 2010,** - „უკანასკნელი „სამანელი“გოგია ხოხიაიძე“, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, #5, გვ.10-11;
2. **ბარბაქაძე მ. 2014,** - „9 მარტის შემდგომი რეპრესიები“, ჟურნალში: „საარქივო მოამბე“, #15, გვ.15;
3. **„ბედიქართლისა“ 1952** - „ბედი ქართლისა“ (ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალი), #13, გვ. 8-9;
4. **გამსახურდია კ. 1921,** - „ღია წერილი ულიანოვ-ლენინს“, ჟურნალი „ილიონი“, #2. გვ. 3;
5. **გოგიბერიძე ს. 1990,** - „ბრძოლა სამშობლოსათვის (მოგონებები)“, ჟურნალი „მნათობი“,##7,9, გვ. 21-23;
6. **ვადაჭკორია შ. 2001,**- „პოლიტიკური აზრი საქართველოს ოკუპაციის შესახებ (1921-1923)“, ჟურნალი „მნათობი“, #5, გვ. 6;
7. **ვაჩნაძე დ. 1992,** - „ქართული სულის გამოძახილი (1921 წლის ამბებიდან)“, ჟურნალი „კრიტიკა“, #1, გვ. 14;
8. **ზაქარიაძე ა 1994,** - მოგონებები, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ისტორიული ჟურნალი „მხედარი“,##49.69, გვ. 13-17;
9. **კედია ს. 1991, -** „თებერვალი, 1921 წელი“, ჟურნალი „ლაშარი“, #3, გვ.5;

10. **კერესელიძე 2010**, - შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი#14, აღწერა 11, საქმე#658. ასევე, ლია კერესელიძე, „ზვიად გამსახურდიას წერილი ამხ. ედუარდ შევარდნაძეს“, ჟურნალში: „საარქივო მოამბე“, #8, გვ.19-23;
11. **კვინიტაძე გ. 1986,** - „შეგვეძლო თავიდან აგვეშორებინა დაპყრობა?“, ჟურნალი „გუშაგი“, #8, გვ. 21;
12. **კვინიტაძე 1938,** - „იძულებითი პასუხი“, ჟურნალი „კავკასია“, გვ. 312,
13. **კობახიძე რ. 2011**, - „რევაზ გაბაშვილის „ამბოხი სული და მკბენარე კალამი“, ინტერვიუ რეზო გაბაშვილთან (26 მაისი, 1968 წ.), ჟურნალში: „ისტორიანი“, #11, გვ. 32,.
14. **კერესელიძე ლ. 2010,** - „ზვიად გამსახურდიას წერილი ამხ. ედუარდ შევარდნაძეს“, ჟურნალი „საარქივო მოამბე“, #8, გვ. 11-12.
15. **კერესელიძე ლ. 2010,** - „ზვიად გამსახურდიას წერილი ამხ. ედუარდ შევარდნაძეს“, ჟურნალი „საარქივო მოამბე“, #8, გვ. 167;
16. **მაცაბერიძე მ. 1991,** - „საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება“, ჟურნალი „პოლიტიკა“, #1, ,გვ 2,
17. **მესხია ე. 2004,** - „1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ ,ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“,# 26, გვ. 9-10;
18. **მუსხელიშვილი მ. 1993,** - მიხეილ მუსხელიშვილი, „რუსეთი არ არის ევროპა“, ჟურნალი: „ბედი ქართლისა“, , #13. გვ.14
19. **ნარიმანიძე ე. 2003**, - 1922 წლის დღესასწაული თბილისში, საისტორიო ალმანახი „კლიო“,#19; გვ. 26
20. **რონდელი დ. 1927**, - „ლიტერატურული კვალიფიკაციის საკითხი პროლეტარულ მწერლობაში“, ჟ. „პროლეტარული მწერლობა“, #8; გვ. 30-31;
21. **„პოლიტიკა“ 1991**, - ჟურნალი „პოლიტიკა“, ##9-10, გვ. 37-39;
22. **პატიაშვილის ჯ.** თბილისი, 2011, - Входяшая шифротелеграмма № 217/Ш Тбилиси , 7 Апреля, 1989 г ., 20 ч. 40 м., Центральный комитет КПСС, секретарь ЦК КП Грузии ჟურნალში: „საარქივო მოამბე “,#9, გვ. 141-148;
23. **„სამშობლო“1929**- ჟურნალი „სამშობლო“ (ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო), ##3-4, გვ. 25; 38;

24. **ტორჩინავა 2012** - შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი#6, თ. #18, ფურცელი 4; სოფიო ტორჩინავა, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ჰელსინკის კავშირი“, ჟურნალში „საარქივო მოამბე“, #12, გვ. 21-25;
25. **ქავთარაძე ს. 1957**, - „1921 წელი“, ჟურნალი „მნათობი“, #1, გვ. 32-34;
26. **ქავთარაძე ს 1961,** - „ჩვენი ეროვნული დღესასწაული“, ჟურნალი „დროშა“, #32, გვ. 7-9;
27. **ქავთარაძე ს 1966**,-„დღეები პარიზში“, მნათობი“, #4, გვ. 67-68;
165. **ყიფშიძე, ნ. 2015**, - „საზოგადოების განწყობა 1956 წლის მოვლენებთან დაკავშირებით და მთავრობის ღონისძიებები“, ჟურნალში: „საარქივო მოამბე“, #15, გვ. 132-136;
28. **ყიფშიძე ნ 2012**, - „საბჭოთა ფსიქიატრია და დისიდენტები“, ჟურნალში: „საარქივო მოამბე“, #12, გვ. 81-82;
29. **ყიფშიძე ნ 2012,** - „ფსიქიატრია და დისიდენტები“, ჟურნალი „საარქივო მოამბე“, #12, გვ. 82-83;
30. **ჩხეიძე კ. 1971,** - „საქართველოში (პასუხად შეინმანს)“, ჟურნალი „კავკასიონი“, #15, გვ. 13-14;
31. **ჩხეიძე ა. 1933** - „სამხედრო სკოლა“, ჟურნალი „მხედარი“, #13, გვ. 4-6;

## სტატია გაზეთიდან

1. **ბასილაძე მ. 2010, 28მაისი**, - „შავლეგო“, გაზ. „24 საათის“ ყოველკვირეული დამატება, გვ. 1;
2. **ბერიძე შ. 1933:,** - „მოგონება“, გაზეთი „თეთრი გიორგი“, გვ.8
3. **ბესედოვსკი 1929** - გ. ბესედოვსკის ნაამბობი იმ ზომების შესახებ, რომელსაც მოსკოვის პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენელი, უცხოეთში მყოფ

ქართველთა პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობის გასაცნობად ანხორციელებდნენ, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, , გვ. 6;

4. **„ბრძოლისხმა“1929**, - გაზეთი „ბრძოლის ხმა“ (ყოველთვიური ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროსი), , გვ. 3,
5. **გაბლიანი გ. 1961,** - „სიმართლე ობერლენდერის შესახებ“, გაზ. „ქართული აზრი“, გვ. 3,
6. **გენუის კონფერენცია 1922**:20 თებერვალი, - „გენუის კონფერენციის წინ“, გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, , გვ. 6,
7. **“თავისუფალი საქართველო“ 1921,20 დეკემბერი**, - გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, , გვ. 20,
8. **„თავისუფალი საქართველო“ 1922,15 აპრილი**, - საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, , გვ. 7,
9. **„თეთრი გიორგი“ 1934,** - გაზეთი „თეთრი გიორგი“, გვ.
10. **კანის კონფერენცია 1922. 15 იანვარი**, - საქართველოს საკითხი კანის კონფერენციაზე, გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, , გვ. 8,
11. **„კომუნისტი“ 1924, 4 სექტემბერი**- „მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია ბათომში“, გაზეთი „კომუნისტი“, გვ. 3
12. **„კომუნისტი“ 1977, 7 თებერვალი** - „დამნაშავე დაისაჯა“, გაზ. „კომუნისტი“, გვ. 4;
13. **„კომუნისტი“ 1924, 4 სექტემბერი**- „მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია ბათომში“, გაზეთი „კომუნისტი“, გვ. 3;
14. **„კონსტიტუციურ-დემოკრატი“, 1994, 5 ივნისი**, - გაზეთი „კონსტიტუციურ-დემოკრატი“, გვ. 2;
15. **კოსტავა მ. 1990, 27 თებერვალი -** _ „ჰელსინკის ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში“, გაზეთი „საქართველო“, გვ. 5;
16. **კოსტავა მ. 1990, 27 თებერვალი,** - „ჰელსინკის ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში“, გაზ., „საქართველო“, გვ. 4,

17. **მიმინოშვილი რ. 1990, 22 მაისი** - „ფუნქციონერის აღსარება“, გაზეთი „თბილისი“; გვ. 3;
18. **ნოზაძე ვ 1928, 5 აგვისტო** - „სანავთო პოლიტიკა და კავკასია“, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, გვ. 2;
19. **ჟორდანია 1921,23 თებერვალი** - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვლის სხდომაზე, გაზეთი „ერთობა“,
20. **ტოროშელიძე მ. 1921, 16 აგვისტო** - „ბათუმის ამბები (მოგონება)“, გაზეთი „კომუნისტი“, გვ. 2;

## სარჩევი

შესავალი და საკითხის ისტორიოგრაფია ---------------------------------------გვ. 1-30

**თავი I.** ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1921-1924 წლებში და მისი თავისებურებანი-------------------------------------გვ.31-119

$ 1. საბჭოთა რუსეთის ომი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ -გვ.32-48

$2. ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებელი

ეროვნული სახელმწიფოს გადასარჩენად 1921-1924 წლებში---------------გვ.48-70
$ 3. 1921-1924 წლების მოვლენების თანადროული და შემდგომი
შეფასებები საქართველოში და საზღვარგარეთ ------------------------------გვ.70-97
$ 4. საქართველოს ეკლესიის როლი ქართველი ხალხის ეროვნულ-
განმათავისუფლებელ ბრძოლაში საბჭოთა რეჟიმის პირობებში ----------გვ.97-104
$ 5. გაზეთი „კომუნისტი" 1921-1924 წლებში საქართველოში
მიმდინარე ანტიბოლშევიკურ გამოსვლებზე-------------------------------გვ.104-119
**თავი II.** ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კერები ევროპისა და
აზიის ქართულ ემიგრაციასა და დიასპორებში ---------------------------გვ.120-163
$ 1. საერთაშორისო კონფერენციები და ქართველი ემიგრანტი მოღვაწეების
ბრძოლა საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად-------------გვ.120-134
$ 2. ეროვნულ-განმატავისუფლებელი მოძრაობის კერები ევროპის ქართულ ემიგრაციასა და დიასპორებში (მე-XX საუკუნის 20-40-იან წწ) - გვ. 134-145
$ 3. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლა საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის II მსოფლიო ომის შემდეგ-----------------------------------გვ. 145-151
$ 4. ქართული ემიგრაცია შორეულ აღმოსავლეთსა და მანჯურიაში და მისი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის გვ. 151-163
**თავი III.** ქართულიეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობა და მისი თავისებურება XX საუკუნის 40-70-იან წლებში -----------------------------------გვ.164-193
$ 1. მეორე მსოფლიო ომი და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა---------------------------------------------------------------------------გვ.164-172
$ 2. ეროვნული მოძრაობა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში (1950-1980- ---გვ.172-193

**თავი IV.**ქართულიეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობა და მისი
თავისებურება XX საუკუნის 80-იან წლებში-------------------------------გვ.194-198
**დასკვნა-------------------------------------------------------------------გვ.199-207**
**გამოყენებული ლიტერატურა-------------------------------------------გვ.208-229**

სარჩევი ---------------------------------------------------------------------------გვ.230-231